



ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-7/2  
1988

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

4. 1988

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

4. 1988



ქურონალი დაარსებულია 1971 წელს  
 Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
 Выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე ლ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე ზ ი ბ ა :** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეი-  
 შვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე  
 (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე,  
 ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итони-  
 швили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качаравა (зам. редактора), Р. К. Кикнадзе  
 (зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
 Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
 ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 10.11.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.01.89;  
 ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 15.4;  
 პირ. სალ. გატარება 16.1; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.38;  
 უე 04116; შეკ. 3706; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19  
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**შინაარსი**

**წარიღები**

მ. ნიბირიძე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი და მნიშვნელობა . . . . .	5
ბ. სონღულაშვილი, თანამედროვე კაპიტალისტური ქალაქი და საგარეუბნო ზონა . . . . .	13
ო. ჯაფარიძე, ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში . . . . .	25
მ. ხიდაშელი, დრო და სივრცე ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების სულაურ კულტურაში . . . . .	41

**ცნობები და უანიშნავი**

ბ. ანაბაძე, სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო . . . . .	56
ბ. მამდლიძე, XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან . . . . .	65
ძ. პავლიაშვილი, ფეხშიშველა კარმელიტი ბერების ცნობები ვატიკან-ირანის ურთიერთობათა შესახებ XVII საუკუნის 20—50-იან წლებში . . . . .	71
ჯ. გვასალია, ქართლის ხეობათა შედარებითი შესწავლისათვის . . . . .	78
მ. ღუნაშვილი, ქსნის ხეობის წარსულიდან . . . . .	83
თ. თოდუა, ახ. წ. IV—V სს. ეგრისის ზღვისპირა ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის . . . . .	90
ნ. გომბეზიძე, ანტიკური ხანის სამაჯურების ტიპოლოგიისათვის . . . . .	98
პ. ფირფილაშვილი, მალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახიანი ნაგებობის საკითხებისათვის . . . . .	112

**კუხლიკაცია**

ბ. ბამყრალიძე, საოჯახო ყოფის ამსახველი დოკუმენტები კახეთიდან . . . . .	130
--	-----

**დისკუსია და განხილვა**

ა. გომბეზიძე, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ . . . . .	147
--	-----

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

მ. დუმბაძე, სამართალი ვახტანგ მეექვსისა . . . . .	161
ბ. ბძილიძე, მ. გრომიკო, რუსეთის გლეხობის ქვეყის ტრადიციული ფორმები და ურთიერთობის ფორმები XIX საუკუნეში . . . . .	163
ბ. ავალიშვილი, გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე . . . . .	168

**პრონია და ინფორმაცია**

მ. კვაჭანტირაძე, გარდაქმნა, მეცნიერება, ახალგაზრდა მკვლევარი . . . . .	171
ნიკოლოზ თუშიშვილი (ნეკროლოგი) . . . . .	173
მ. ხოშტარია-ბროსი, შოთა ხანთაძის ხსოვნას . . . . .	175

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

М. Р. НЕБНЕРИДЗЕ, Сущность и значение научно-технической революции	5
А. В. СОНГУЛАШВИЛИ, Современный капиталистический город и пригородная зона	13
О. М. ДЖАПARIДЗЕ, Культура ранних курганов Грузии	25
М. Ш. ХИДАШЕЛИ, Время и пространство в духовной культуре раннеземледельческих племен Центрального Закавказья	41

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. З. АНЧАБАДЗЕ, «История царей» Сехнии Чхедидзе как военно-исторический источник	56
Г. Д. МЧЕДЛИДЗЕ, Некоторые вопросы хронологии истории Грузии первой половины XVII в.	65
К. Д. ПАВЛИАШВИЛИ, Сведения босоногих кармелитов о взаимоотношениях Ватикана с Ираном в 20—50-х годах XVII века	71
Дж. Г. ГВАСАЛИИ, К сравнительному изучению ущелий Картли	78
В. Ф. ГУНАШВИЛИ, Из прошлого Ксанского ущелья	83
Т. Т. ТОДУА, К вопросу о характере развития прибрежных городов Эгриси в IV—V вв. н. э.	90
Н. Б. ГОГИБЕРИДЗЕ, К типологии браслетов античного периода (V—I вв. до н. э.)	98
П. М. ПИРПИЛАШВИЛИ, К вопросу о назначении строения с нишами, сохранившегося в руинах имения Магаладзе	112

### ПУБЛИКАЦИИ

Б. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, Документы из Кахети, отображающие вопросы семейного быта	130
---	-----

### ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

А. А. БОГВЕРАДЗЕ, О выступлении Кутлу-Арслана и его сторонников	147
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. К. ДУМБАДЗЕ, Судебник Вахтанга VI	161
Б. О. ГДЗЕЛИДЗЕ, М. М. Громыко, Традиционные нормы поведения и формы общения русских крестьян в XIX в.	163
Г. Б. АВАЛИШВИЛИ, Г. Л. Кавтарадзе, Хронология археологических культур Грузии эпохи неолита и бронзы в свете новых данных	168

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Э. Г. КВАЧАНТИРАДЗЕ, Перестройка, наука, молодой исследователь	171
Н. Н. ТУШИШВИЛИ (некролог)	173
Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ, Памяти Ш. А. Хаптадзе	175

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

მალაზ ნაპირიძე

## მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი და მნიშვნელობა

54881

საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად იქცა ის ფაქტი, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია უნიკალური მოვლენაა კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ასევე საყოველთაო აღიარებით, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევები ჩვენს ეპოქაში მძლავრი ბერკეტია საზოგადოებრივი პროგრესის თვისობრივად ახალ საფეხურზე ასაყვანად. ამიტომაცაა, რომ მეცნიერების პრიორიტეტით მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სხვადასხვა ასპექტი საყოველთაო ყურადღებისა და ინტენსიური კვლევის ობიექტი ხდება ყველგან.

სკკპ XXVII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებულ საკითხთა ვართო წრეს, განსაკუთრებით კი, მის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის პრობლემას. აღნიშნული პრობლემა განსაზღვრული იქნა როგორც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის „ყველაზე გადამწყვეტი უბანი“. სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოსტენებაში მ. ს. გორბაჩოვმა მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და აზრის სიღრმით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირს, მეცნიერულ-ტექნიკური იდეების პრაქტიკაში სწრაფი და ეფექტური დანერგვის გადამწყვეტ მნიშვნელობას გარდაქმნის წარმატებითი განხორციელებისათვის.

გარდაქმნამ, როგორც სოციალიზმის სრულყოფის ეტაპმა თავისთავად აქტუალურად დააყენა ჩვენს ეპოქაში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უაღრესად რთული და მრავალმხრივი პრობლემატიკა. უაღრესად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისათვის დაკავშირებული ამ პრობლემების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მოაზრებული იქნას რაიმე პროგრესი. კაცობრიობის ისტორიული განვითარების ხანგრძლივ მანძილზე არც ერთ ეპოქას არ განუტლია საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივ კვლიებათა ისეთი ღრმა და მასშტაბური ხასიათი, როგორც უკანასკნელ ათწლეულებს. ჩვენს თვალწინ მიმდინარე მსოფლიოს ამ უნიკალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ტრადიციულ პრინციპებსა და მასშტაბებს, მეცნიერების როგორც სიღრმისეული, ისე სივრცისეული განვითარების ტრადიციულ პრინციპებსა და რეგიონალურ საზღვრებს, თავისი მთავარი მიმართულებებით სათავე დაუდო მეცნიერების მატერიალური წარმოების ხელშემწყობი ფაქტორიდან უშუალო საწარმოო ძალად გადაქცე-

კის დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პროცესს. ეს პროცესი კი მეცნიერებას სულ უფრო მეტად ანიჭებს ნებისმიერი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის უნივერსალურ ფუნქციას და რომელიც წარსულის გამოჩენილ მოაზროვნეთა ოცნებას წარმოადგენდა საუკუნეთა მანძილზე.

მაგრამ, ისე როგორც ყოველ მოვლენას, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასაც მედლის ორი მხარე აქვს: მასობრივი მოსპობის თერმატომური იარაღების სრულყოფა-განვითარება და მათი უდიდესი მარაგების დაგროვება, სიცოცხლისათვის ესოდენ აუცილებელი ეკოლოგიური გარემო პირობების გლობალური პრობლემების წარმოშობა, კაპიტალიზმის პირობები წარმოშობილი მწვავე, ანტიგონისტური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მტრ მეორე — ნეგატიური მხარეა. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ თანამედროვე მსოფლიოს აშკარად მოუძნადებელს მოუხსწრო. სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება სრულად და ეფექტურად, და რაც მთავარია — ერთობლივად იქნას გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ისე გარესამყაროს შეცნობა-ათვისების სფეროში. თანამედროვე მსოფლიოს ორი ურთიერთდაპირისპირებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა თავის შესაბამის პოლიტიკურ ელფერს აძლევს მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების სფეროში მიმდინარე თვისობრივ გარდაქმნებს:

„შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ ამ სფეროში ვადის ორ სისტემას შორის ისტორიული შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ფონტი. ასეთი ვითარება ჩვენი პარტიისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ ინტენსიურ განვითარებასა და წარმოებაში მათი უახლესი მიღწევები. ფართო დანერგვას ხდის არა მარტო ცენტრალურ ეკონომიკურ, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები იძენენ გადამწყვეტ მნიშვნელობას“<sup>1</sup>.

ზემოთქმული ნათელს ხდის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მისი პრაქტიკული შედეგების მეცნიერული კვლევის აქტუალობასა და დიდ მნიშვნელობას ჩვენი პარტიულ-საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის. ასეთ კვლევას აქვს არა მარტო წმინდა მეცნიერული და შემეცნებითი, არამედ დიდა პრაქტიკული ღირებულება: გავერკვეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველა პრობლემასა და ნიუანსში, ეს ნიშნავს სწორად დავაყენოთ და გადავწყვიტოთ გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები.

მეცნიერების ასეთი საყოველთაო დომინირების პირობებში თავისთავად აქტუალურად დგება მეცნიერების რაობის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის საკითხები. რა არის „მეცნიერება“? რას წარმოადგენენ მისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები და მამოძრავებელი მოტივები? როგორია მეცნიერული კვლევა-ძიების მიზნები და მიმართულებანი? როგორია ამ კვლევა-ძიების მონაპოვართა პრაქტიკაში დანერგვის ყველაზე ოპტიმალური გზები და საშუალებანი?

<sup>1</sup> „პრავდა“, 29. IV. 1986 წ.



აი, პრობლემები, რომელთა გათვითცნობიერების და ამ გზით მათი სწორი ვადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მოაზრებული იქნას ჩვენს წინაშე არსებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სხვადასხვა ხასიათის პრობლემათა ეფექტური ვადაწყვეტა.

აქ პირველ რიგში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ასეთი ზოგად-ფილოსოფიური პრობლემების წინა პლანზე წამოწევა და მათ დიდ სოციოლოგიურ მნიშვნელობაზე ხაზგასმა მარტო დღევანდელი ეპოქის მოთხოვნა როდია. მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ფენომენზე წარსულის არა ერთ დიდ მოაზროვნეს გაუსვამს ხაზი, პირველ რიგში კი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს ვ. ი. ლენინი ასე გამოკვეთავდა მომავალი ეპოქების ფილოსოფიური და სოციოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას: „ხეველისა და მარქსის საქმის განგრძობა უნდა მდგომარეობდეს ადამიანის აზრის, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დიალექტიკურ დამუშავებაში“<sup>2</sup>.

მაგრამ ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში წარმოიშვა მეცნიერების სოციოლოგიის, როგორც კვლევის ცალკე კონკრეტული საგნისა და ობიექტის აუცილებლობა. მეცნიერების პროგრესმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ მისი საზოგადოებრივი რაობის გარკვევისათვის აუცილებელი გახდა სპეციალური მეცნიერული დარგის — მეცნიერებათმცოდნეობის შემოღება. მისი კვლევის მთავარი საგანი მეცნიერების სოციოლოგიური არსის, მისი სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების, მეცნიერების ტექნიკასთან მიმართების და საერთოდ, წარმოებასთან მისი ინტეგრაციის ყველაზე რაციონალური და ობტიმალური გზების, საშუალებებისა და მეთოდების ძიება. თვითონ ეს ფაქტიც თავისთავად მეტყველებს მეცნიერების განვითარებაში თვისობრივად ახალ ეტაპზე.

მაგრამ უკანასკნელ წლებში წარმოშობილი ზემომოხსენიებული მეცნიერებათმცოდნეობა პრინციპულად განსხვავდება მეცნიერების ისტორიის კლასიკური გაგებისაგან. ნებისმიერი მეცნიერება მის ისტორიაში — ეს უბრალო ფაქტების კონსტატირებაა მეცნიერების წარმოშობისა და წინვლა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მეცნიერებათმცოდნეობა, რა თქმა უნდა, იყენებს ამ ფაქტებს, როგორც მასალას, მაგრამ არ შემოიფარგლება მარტოდენ ამ ფაქტებით: იგი ცდილობს ამ ფაქტების, საერთოდ კი, მეცნიერების განვითარების მთელი ისტორიული პრაქტიკის განზოგადოებით დაადგინოს მეცნიერების არსი საზოგადოებრივი განვითარების საერთო სტრუქტურაში, გაარკვიოს მათი დიალექტიკური ურთიერთკავშირი და განპირობებულობა. ამ კუთხით მეცნიერება წარმოგვიდგება არა უკვე ისტორიულ ჭრილში, არამედ როგორც სოციალური მოვლენა.

დღეს მეცნიერების განვითარების კონკრეტული პრობლემების კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ტექნიკისა და ტექნიკური პროგრესის პრობლემების მეცნიერულ კვლევას. როგორც საბჭოურ, ისე დასავლეთის მთელ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში იშვიათად შეხვდებით ნაშრომს, რომელიც იკვლევდებოდა ერთს ან მეორეს ერთმანეთისაგან მოწყვეტით. ეს მდგომარეობა თავისთავად მიუთითებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე: დღეს, ისე როგორც არასდროს, შეუძლებელია მეცნიერე-

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 140 (IV გამოცემა).

ბისა და ტექნიკის არსებობა-განვითარება, უბრალოდ მათი მოახრებაც კი, ერთიმეორისაგან განცალკევებით.

არსებული ლიტერატურის გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის კვლევა ხდება ძირითადად სამი მიმართულებით:

1. მეცნიერების მეთოდოლოგიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, შექმნებითი და სხვა ზოგად-ფილოსოფიური ასპექტების კომპლექსური კვლევა; 2. ტექნიკისა და ტექნიკური პროგრესის პრობლემათა კვლევა მეცნიერების განვითარების საერთო ფონზე; 3. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დიალექტიკური ერთიანობის კვლევა მატერიალური წარმოებისა და სოციალური პროგრესის კუთხით.

როგორც ცნობილია, მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევა ჯერ კიდევ ახალი ისტორიის გარიჟრაჟზე დაიწყო ფრენის ბეკონის მიერ. ტექნიკა და ტექნიკური პროგრესი კვლევის აქტიურ ობიექტს წარმოადგენდა XIX ს-სა და XX ს-ის პირველ ნახევარში. ჩვენს დღეებში კი პირველ და მეორე მიმართულებებთან შედარებით უკვე წინა პლანზე წამოიწია მესამე მიმართულებამ. უკანასკნელ წლებში როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ გამოსული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ კუთხით აშუქებს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. მეცნიერული კვლევის ასეთი ევოლუცია გამომდინარეობს იქიდან, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმთავრესი საზომი, მისი სარგებლიანობის უმთავრესი კრიტერიუმი გახდა ის თუ რამდენად უწყობს ხელს იგი მოცემული საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწორედ ეს მხარეა წინ წამოწეული საბჭოთა ავტორების უკანასკნელი წლების ნაშრომებშიც.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გლობალურმა ხასიათმა რიგ სხვა პრობლემებთან ერთად მკვეთრად გაამწვავა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთ-მიმართების პრობლემაც. ეს ვითარება აიძულებს ადამიანს ძირეულად გადასინჯოს „ბუნების დამორჩილების“ ძველი ამბიციურ-პრეტენზიული პოზიცია, ახლებურად გაიაზროს თავისი ადგილი და როლი გარემომცველ სამყაროში, ასე ვთქვათ, იაზროვნოს მთელი ჩვენი პლანეტის მასშტაბით. ადამიანის მთელი ისტორია დედამიწაზე ხომ დედაბუნებასთან თანაცხოვრების დიალექტიკური განვითარებაა. „ვიდრე ადამიანები არსებობენ, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი — ბუნების ისტორია და ადამიანთა ისტორია ერთიმეორეს განაპირობებენ“<sup>3</sup>, ამასთან ამ ისტორიულ პროცესში აშკარაა „...გარებუნების პრიორიტეტი“<sup>4</sup>.

და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში გამწვავებული ეკოლოგიური პრობლემების მთავარი და ძირითადი არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ XVIII ს-ის სამრწველო რევოლუციიდან მოყოლებული, როცა ადამიანის სამეურნეო საქმიანობა პირველად დაეფუძნა ინდუსტრიულ საწყისებს, ადამიანი სულ უფრო საშიში პროპორციებითა და მასშტაბებით არღვევს ბუნებასთან თავისი თანაცხოვრების ჰარმონიულ ურთიერთობას, ამ ურთიერ-

<sup>3</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ფიგურაზი, მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირება, თბ., 1968, გვ. 24.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 44.

თობაში ბუნების პრიმატულობას თავის სასარგებლოდ, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით საბოლოოდ თავის საზიანოდ, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ეს სულ უფრო მზარდი დისპროპორცია ქმნის იმის საშიშროებას, რომ ეს ურთიერთობა პარამონიულიდან ანტაგონისტურში გადაიზარდოს და ამით ადამიანი დედის წინ მორბენალი კვიცის არასახარბიელო როლში აღმოჩნდეს.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას გლობალური აზროვნება და შესატყვისი პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური ჯონისტიკების განხორციელება სჭირდება, რაც, თავის მხრივ, სამეურნეო ნელმდევანელებისა და ტექნოკრატების, ბუნებათმცოდნე და პუმანიტარულა მეცნიერების მჭიდრო შემოქმედებით თანამშრომლობას მოითხოვს. ამასთან ამ კომპლექსში პრიორიტეტი ამ უკანასკნელებს უნდა მიენიჭოთ. ამ მხრივ ჩვენთანაც და ტექნოლოგიურად განვითარებულ სხვა ქვეყნებშიც უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგროვდა. ამიტომ, ხომ არ დადგა დრო შეიქმნას კომპლექსური ეკოლოგიური სამსახურის ერთიანი რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ტიპის ცენტრი, რომლის ფუნქციონირების სფეროში შევიდოდა რესპუბლიკის სამეურნეო-ეკოლოგიური პრობლემების მთელი კომპლექსი მცირე მექანიზაციისა და ეროზიიდან დაწყებული და მწვანე საფარისა და ენერგეტიკული პრობლემებით დამთავრებული? ვფიქრობთ, რომ პრობლემის ასეთი გლობალური გადაწყვეტა სრულად უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებით წარმოშობილ საერთო ობიექტურ ვითარებასთან.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მეცნიერული შრომის სწორ და ეფექტურ ორგანიზაციას, როგორც ამხ. ვ. შევარდნაძე აღნიშნავდა ხაზგასმით საქ. კპ ცკ VI პლენუმზე, „...მიზანშეწონილია დაეწყოთ შენეშევაება და დანერგვა მიზნობრივი კომპლექსური პროგრამისა „საქართველო — შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“<sup>5</sup>.

თანამედროვე პირობებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მთავარი თავისებურებაა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვასცდა მატერიალურ წარმოების ცალკეული ობიექტების საზღვრებს და მოცემული ქვეყნის სახალხო მეურნეობის გლობალურ ფენომენად გადაიქცა, ამასთან, იგი თავის თავში მოიცავს პიროვნების მატერიალურ წარმოებასთან მიმართების მთელ მრავალგანზომილებიან კომპლექსს — სტიმულატორული კომპონენტებიდან დაწყებული ტექნოლოგიური პროცესებით დამთავრებული.

მეცნიერების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებაში, სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების სწრაფ და ეფექტურ დანერგვაში შრომის სწორ, წინასწარგააზრებულ მეცნიერულ ორგანიზაციას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების დომინირების ჩვენს ეპოქაში, მასხეა ფაქტობრივად დამოკიდებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მთელი ციკლის — მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება — ადამიანის სწორი ფუნქციონირება. საქმარისია რაიმე შეფერხება ამ ციკლის რომელიმე სტადიაზე, რომ მამინევი დაირღვეს საზოგადოებრივი პროგრესის მთელი მექანიზმის რატმული მუშაობა.

<sup>5</sup> ე. შევარდნაძე, მეცნიერება ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში, გვ. 60.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელ პირობებს თუ მივუსა-  
დაგებთ ჩვენ ცნობილ გამოთქმას, შეიძლება ვთქვათ: მეცნიერება წარმოების  
გარეშე მკვდარია. შემთხვევით არ დამკვიდრდა ამ ბოლო დროს მეცნიერებათ-  
მცოდნეობაში ნიშანდობლივი ცნება: „გამოგონებათა ინდუსტრია“, რაც პრაქ-  
ტიკაში ნიშნავს ძველი სამეცნიერო-საკვლევო ცენტრების ნაცვლად საწარმოო  
დანიშნულების მქონე „ქარხანა-ლაბორატორიებზე“ გადასვლას, სადაც მეცნი-  
ერულ-ტექნიკური კვლევა და მიღებული შედეგების საწარმოო რეალიზაცია  
ერთიანი უწყვეტი ციკლის სახით მიმდინარეობს. როგორც ა. გუსაროვი და  
ვ. რადაევი აღნიშნავენ, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთ-  
რებით მაღალია მეცნიერების ფონდუკუგება იმ სფეროებში, სადაც ასეთ პრინ-  
ციპზე დაფუძნებული მეცნიერული კვლევა და მატერიალური წარმოება (თვი-  
თეულ დოლარზე საშუალოდ 50—60 დოლარი უკუგება)<sup>6</sup>.

ზემოთქმულიდან ნათელია, ერთი მხრივ, მეცნიერული კვლევა-ძიებას  
სწორი ორგანიზაციისა და, მეორე მხრივ, მეცნიერული გამოკვლევებს პრაქ-  
ტიკაში სწრაფი დანერგვის გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოების ეფექტიანო-  
ბის ამაღლებისათვის. გ. პლენოვის გაანგარიშებით დანერგვის პროცესის (სა-  
შუალოდ 7—8 წელი), მხოლოდ ერთი წლით დაჩქარება 5—6 მილიარდი მან-  
ეთის ეკონომიურ ეფექტს მისცემდა ქვეყანას, ამასთან ყოველწლიურად და-  
ნერგვის გარეშე დარჩენილი შესრულებული მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშე-  
ვართა ნახევარზე მეტი 4 მილიარდ მანეთამდე ზარალს აძლევს ჩვენს სახალ-  
ხო მეურნეობას<sup>7</sup>.

როგორც ცნობილია, სოციალიზმის პირობებში ადგილი აქვს არაანტაგო-  
ნისტური ხასიათის წინააღმდეგობებს. ერთ-ერთი მათგანია სოციალისტური  
ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების შედეგად წარმოშობილი დრო-  
ებითი შეუსაბამობა საწარმოო ძალების განვითარებასა და წარმოებით ურთი-  
ერთობას შორის. კაპიტალდამანდებათა მოცულობის, საწარმოო სიმძლავრეთა  
ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების განუწყვეტელი ზრდის პი-  
რობებში სახალხო მეურნეობის მართვისა და ხელმძღვანელობის ზოგიერთი  
ძველი ფორმები ხელს არ უწყობენ, ხშირად კი ამუხრუჭებენ საწარმოო ძალ-  
თა შემდგომ განვითარებას. უკანასკნელ წლებში ვატარებული და აგრეთვე,  
უახლოესი მომავლისათვის გათვალისწინებული სამეურნეო რეფორმები იმის  
თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორი წარმატებით შეიძლება აღნიშნული შე-  
უსაბამობის დაძლევა სოციალიზმის დროს.

საბჭოთა მეურნეობათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა უნდა  
გახდეს სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დიდმნიშვნელო-  
ვან საქმეში უმაღლესი სასწავლებლების აქტიური როლის, გზებისა და მეთო-  
დების კვლევა. ცნობილია, რომ მეცნიერული ძალების დიდი უმრავლესობა,  
ხოლო პერსპექტიული თვალსაზრისით კი მათი აბსოლუტური უმრავლესობა  
სწორედ აქაა თავმოყრილი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში  
სულ უფრო აშკარა ხდება, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა განათლების ფუნ-  
ქციასთან ერთად და შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, უნდა შეიძინონ მეც-

<sup>6</sup> А. Гусаров, В. Радаев, Беседы по научно-технической революции, М. 1982, стр. 28.

<sup>7</sup> В. Т. Лебедев, Г. Плехов, Роль науки в развитии производства, М. 1982, стр. 32.

ნიერულ-ტექნიკური კვლევა-ძიების პოტენციალურად სულ უფრო მზარდი ფუნქციაც.

სკკ XXVII ყრილობამ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გამოაცხადა. მ. ს. გორბაჩოვის საანგარიშო მოხსენებაში გამოკვეთილადაა ნაჩვენები, რომ დანერგვის ტემპებზე და ეფექტურობაზეა პირველ რიგში დამოკიდებული გარდაქმნის ნებისმიერი პრობლემის წარმატებითი გადაწყვეტა.

ყველაზე მთავარი ნაკლი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებას ათეული წლების მანძილზე, ეს არის მათი ცალკ-ცალკე, ურთიერთპარალელური განვითარება. ჭერჭერობით ვერ გამოიძენა ისეთი ეფექტური ორგანიზაციულ-ეკონომიკურა მექანიზმი, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის ამ ორ ძირითად კომპონენტს უშუალოდ და ორგანულად დააკავშირებდა ერთმანეთთან. პარადოქსულად და აბსურდულად მოჩანს ის ფაქტი, რომ საბჭოთა მეცნიერების, მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებათა ფონზე მისი პრაქტიკული სახალხო-სამეურნეო ღირებულება, მასზე დაბანდებული სახსრების ფონდუყვება უაღრესად დაბალ დონეზეა (ერთ მანეთზე საშუალოდ 3 მანეთი, მაშინ როცა მსოფლიო სტანდარტი ერთ დოლარზე 55—60 დოლარს შეადგენს).

პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ არც საწარმოები და არც სამეცნიერო-საკვლევე ცენტრები დაინტერესებული არ არიან დამთავრებული გამოკვლევების დანერგვით. მეტიც, როგორც რესპუბლიკის რიგ საწარმოთა სოციალოგურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, დანერგვის ეს ორი მთავარი მხარე და პარტნიორი, ყოველნაირად ცდილობენ თავიდან აიცილონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. გამოდის, რომ ათი ათასზე მეტი მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის, ათასობით ინჟინრისა და ტექნიკოსის, აგრონომისა და ეკონომისტის შრომის პრაქტიკული ღირებულება სრულ შეუსატყვისობაშია თეორიული კვლევის შედეგებთან.

მეცნიერების ასეთ ცალმხრივ განვითარებას, კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანებისაგან მის მოწყვეტას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოედოს ბოლო. მაგრამ ასეთი მდგომარეობის ძირეულად შეცვლის ცდა მარტოოდენ შიშველი ადმინისტრაციული მეთოდებით (ვთქვათ, ისეთით, როგორსაც გ. ლაერენტიევი გვთავაზობს — უპირატესად სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში თავმოყრილი მეცნიერული კადრებით), ალბათ, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს და მხოლოდ გადაავადებს პრობლემის სერიოზულ გადაჭრას. ამისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია შემუშავდეს საწარმოებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთკავშიარიც და, ამასთან ერთად, ამ კავშირის სტიმულირების ეფექტური ფორმები, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის მოქნილი და დიფერენცირებული სისტემა, მათ შორის ორგანული ერთიანობის მიღწევისათვის გამიზნული ურთიერთობის წერილმან დეტალებამდე გააზრებული კონკრეტული ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები.

„ქარხანა-ლაბორატორიის“ ტიპის საწარმოთა მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ აქ პრაქტიკულად მიღწეულია ამ ციკლის ასეთი უწყვეტი ხასიათი (დანერგვის 3—4 თვის ვადის ინტერვალით, განსხვავებით ძველი ტიპის საწარმოთა 2—3 წლის ინტერვალისა). ჩვენში ინტეგრაციის ასეთ ეფექტურ ფორმად

ამ უკანასკნელ ათწლეულში „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი“ (სსკ) აღმოჩნდა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აქ დანერგვის ვადების მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად (საშუალოდ 4—5 წელი) მნიშვნელოვნადვე ამცირდა მეცნიერების ფონდუკუგებაც (საქართველოში მოქმედი 5 სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მონაცემების საფუძველზე — საშუალოდ 5.5—6 მან.).

მაგრამ მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ახალ, უფრო გავრდილ მოთხოვნებს აყენებს, რომელთაც ჯერჯერობით ვერ პასუხობს აღნიშნული გაერთიანებანი. კერძოდ, შეიძლება გამოვყოთ მათი ფუნქციონირების 3 ზოგადი ნაკლი: 1) არ არის სტრუქტურული და, რაც უფრო მთავარია, ეკონომიკური ერთიანობა გაერთიანების ორ მთავარ პარტნიორს შორის — სამეცნიერო-კვლევით მხარესა და საწარმოო ობიექტებს შორის. მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების ციკლი აქაც ნაცვლად ორგანიზაციულ-ეკონომიკური მთლიანობისა, ჯერ კიდევ სხვადასხვა სტრუქტურულ საფეხურებადაა დაყოფილი; 2) ამ ფაქტითაა განპირობებული ის პარადოქსული მდგომარეობა, რომ დღემდე ვერ გადაწყდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა მართვის ერთიანი აპარატის, ფინანსირების, დაგეგმვისა და ერთიანი ბალანსის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რაც, ბუნებრივია, დამატებით ბიუროკრატიულ სიძნელეებს უქმნის დანერგვის პროცესს; 3) რაც ყველაზე პარადოქსულია, ეს ისაა, რომ ქარხნებს, რომლებიც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში შედიან და არასერიული საცდელი პროდუქციის გამოშვების შეკვეთებს ასრულებენ ამ მიმართულებით, შესრულებული სამუშაო არც ერთი ტიპის საგეგმო მაჩვენებელში არ ეთვლება და, გარდა ამისა, არც ხელფასის შესაბამისი ფონდი ეძლევათ შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. როგორც სამეცნიერო-საწარმოთა გაერთიანებების სოციოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვანახვა, ასეთი ვითარება ყველაზე შემაფერხებელი ფაქტორია ახალი პროდუქციის ათვისების საქმეში და ამიტომ გარდაქმნის მიმდინარე პროცესში დეტალურ შესწავლასა და გადასინჯვას მოითხოვს.

М. Р. НЕБИЕРИДЗЕ

## ЗНАЧЕНИЕ И СУЩНОСТЬ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Резюме

В работе показана сущность научно-технической революции как главное условие социально-экономического прогресса социалистического общества. Отмечается ее решающее значение для успешной реализации решений XXVII съезда КПСС, особенно подчеркивается диалектическая взаимосвязь научно-технической революции и перестройки, даются разные социально-экономические аспекты этой взаимосвязи.

В работе указывается, что основное социологическое значение НТР заключается в росте производительности труда, а также в систематическом обновлении средств производства. В этом контексте рассматриваются все вопросы данной работы.

აკთადილ სონულაზვილი

თანამედროვე კაპიტალისტური ქალაქი და  
საგარეუბნო ზონა

ქალაქი, როგორც განსახლებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა საბოლოოდ ფორმირდება მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში, როდესაც მსხვილი მანქანური ინდუსტრია საბოლოოდ გამოყოფს მრეწველობას სოფლის მეურნეობისაგან. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ძლიერდებოდა და ძლიერდება ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებულობა. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აღრმავებს ქალაქისა და სოფლის უთანაბრობას მიწაზე კერძო საკუთრებაა. ამ დაპირისპირების სოციალური შინაარსია ვაბატონებულის კლასების მიერ მშრომელთა ექსპლუატაციის ანტაგონისტური ურთიერთობა.

სამრეწველო ქალაქი, როგორც წესი თავის ორბიტაში აქცევს მიმდებარე ადგილებსაც. ქალაქელების გარკვეული ნაწილი იძენს აგარაკებს, ზღის ნაკვეთებს, რათა თავისუფალი დრო ბუნების წიაღში გაატაროს. ქალაქების განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მათი საგარეუბნო ზონის, აგლომერაციის, პინტერლანდის განვითარებაზე.

ისტორიაში ახალი მოვლენა აგლომერაციების შექმნა. ეს ტერმინი შემოიტანა XIX ს-ის დასასრულს ამერიკელმა მეცნიერმა ა. ვებერმა დიდი ქალაქის გარშემო ურბანიზებული რაიონის გამოსახატავად. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა — XX ს-ში აგლომერაციები საყოველთაოდ გავრცელდნენ.

მიმდინარე ეტაპზე დედამიწის ფართობის 0,3% დათმობილია აქვს ქალაქებს, სადაც კონცენტრირებულია ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 40%. გავრთიანებული ერების გენერალური მდივანი განსახლებისა და მოსახლეობის მიგრაციის საკითხებში ე. პენელოსა სოელის, რომ 25 წლის შემდეგ დედამიწა გააღიქვევა „ქალაქ-თანამგზავრად“, ანუ საუკუნის დასასრულს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა იცხოვრებს ქალაქებში<sup>1</sup>. მართლაც, სასოფლო-სამეურნეო მიწები უფრო და უფრო იფარება მზარდი ქალაქებითა და სოფლებით, რკინიგზებით, სამრეწველო ობიექტებით, შახტებით. სასოფლო-სამეურნეო მიწების კლებასთან ერთად კლებულობს საკვებიც. ამიტომაც, რომ ინგლისელთა მიერ ქალაქებში შინაურ ცხოველთა მოშენება, მარტო სოფლის ყოფისადმი თაყვანისცემით არ უნდა აიხსნას. საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდის გამო ქალაქელი მეფუტკრეები, მეფრინველეები და მესაქონლეები საკმაო წარმატებებს აღწევენ. ზოგიერთი მათგანი ახერხებს საკუთარ აივანზე იყოლიოს ერთდროულად ბატი, ქათამი, იხვი და ღორი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Урбанизация и развитие городов в СССР, Ленинград, 1985, გვ. 18.

<sup>2</sup> Б. Горизонтов, Капитализм и экологический кризис, М., 1982, გვ. 99.

<sup>3</sup> „კომუნისტი“, 1986 წლის 22 ნოემბერი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალაქის სახე, როგორც მთელი მისი ცხოვრება, ასახავს გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობებს. რა ასახაიანებს ძველი საზოგადოების ქალაქებს? მკვეთრი განსხვავება ცენტრსა და გარეუბნებს შორის — იქ არსებულ წინააღმდეგობათა ნათელი გამოხატულება. ცენტრში არის სასახლეები, გარეუბნებში — ქოხები. არისტოკრატიული ქუჩებია და რაიონები უბირისპირდება ჭურღმულებსა და გეტოებს, სადაც თავს აფარებს ღარიბი მოსახლეობა, სადაც ცხოვრობენ „ზედმეტი ადამიანები“ — უმუშევრები. ამასთან სოციალური სეგრეგაცია ჩვეულებრივ ღრმავდება რასობრივი და ეროვნული სეგრეგაციით. მაგალითად, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბუღაბეშტის გარეუბანში უიპეშტში ინდუსტრიალიზაცია სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კლასობრივი დაყოფა: მექარხნეთა და მდიდარ ვაჭართა ვრცელ კერძო სახლებს ემეზობლებოდნენ ღარიბთა ქოხები, რომლებშიც თავს აფარებდნენ ფაბრიკის მუშები და მათი ოჯახები. უიპეშტის თითქმის მთელი ტერიტორია გრავ კაროლების გვარის მიწათმფლობელ არისტოკრატებს ეკუთვნოდათ. ისინი მიწებს არენდით იძლეოდნენ ან ჰყიდდნენ იმავე ფაბრიკანტებსა და ვაჭრებს, რომლებიც ამ მიწებზე თავიანთ საწარმოებს, საწყობებს და ნავმისადგომებს აგებდნენ<sup>4</sup>.

ჭურღმულები თავიანთი სილატაკითა და ავაზაკთა ბუნაგებით კაპიტალისტური ქალაქის განუყოფელი ნაწილია. ამის კიდევ ერთი დასაბუთებაა ბრახაილის ხელახლა აშენებული დედაქალაქი. მას აპროექტებდნენ და ქმნიდნენ საუკეთესო ხუროთმოძღვრები, რომელთაც ამოძრავებდათ კეთილშობილი მისწრაფებანი — დედაქალაქის მომავალი მცხოვრებლები კეთილმოწყობისა და კომფორტის მაქსიმუმით უზრუნველყოთ. მათ შეასრულეს თავიანთი ამოცანა — ზღაპრული ქალაქი შექმნეს! მაგრამ ნაღდი ფულის სამყაროში ყოველ ქველმოქმედებას თავისი წინააღმდეგობები ახლავს. გავიდა რამდენიმე წელი და ზღაპრულ ქალაქს ყოველი მხრიდან შემოერტყა გეგმით გაუთვალისწინებელი ჭურღმულ-ფაველები. ახალი ქალაქი ვერ გადაურჩა კიდევ ერთ უაზრობას, რაც ესოდენ დამახასიათებელია ძველი კაპიტალისტური ქალაქებისათვის: აქ არის ბევრი ცარიელი სახლი, მაშინ როცა ქალაქში უსახლკაროთა უზარმაზარი არმიაა, რადგან კომფორტი და კეთილმოწყობა ღარიბი ადამიანებისათვის მიუწვდომელია. ასეთია კაპიტალისტური ქალაქის კრიზისის აშკარა, მაგრამ არა ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთები<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნულიდან არის სწორედ გამომდინარე, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქების დაპროექტება ფართო საზოგადოების ინტერესს მოიცავს და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს იდეათა მძაფრ ბრძოლაში. ბურჟუაზიული მეცნიერები მრავალ მოსაზრებას თხზავენ ქალაქების მომავალთან დაკავშირებით. ამერიკელი ფუტუროლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის მაღალი ენერჯის ფიზიკის პროფესორი ჯერარდ ო ნეილი აღნიშნავს, რომ ასი წლის შემდეგ მსხვილი ქალაქების ნაცვლად პატარა ქალაქების რიგი მოვა. ამ ქალაქებს ექნება მოძრავი სახურავი, რომელიც ცუდ ამინდში ქალაქს გადაეფარება, ხოლო კარგ დღეებში გაიხსნება. ცხოვრების პირობები უკეთესი იქნება ზელოვნური კლიმატის ხელშეწყობით<sup>6</sup>. ფუტუროლოგები აგრეთვე სთვლიან, რომ საუკუ-

<sup>4</sup> შ. რადო, დორას ფსევდონიმით, ბათუმი, 1978, გვ. 13.

<sup>5</sup> ხმელეთსა და ზღვაზე, თბ., 1984, გვ. 105—106.

<sup>6</sup> «Американская модель»: с будущим в конфликте, М., 1984, გვ. 91.



ნის უკანასკნელ წლებში ქალაქებში აშენდება უფრო მეტი შენობა, ვიდრე კა-  
პობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ქალაქები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდ-  
რე პლანეტის მოსახლეობა მთლიანად, რადგან იზრდება ქალაქში სოფლის მო-  
სახლეობის დენადობა. ეს პროცესი გლობალურ მასშტაბებს იძენს. როგორც  
ჩანს, მცირე ხნის წინ საქალაქო კომპლექსები სოფლის დასახლებული პუნქტე-  
ბის ოკეანეში მეჩხერ კუნძულებს წარმოადგენდნენ. დღეს, ძველი. განცალკე-  
ვებული ქალაქების ადგილას იქმნება დასახლებების რთული სისტემები, ე. წ.  
მეგალოპოლისები — ერთიანი საქალაქო გაშენების ვრცელი ტერიტორიები.

რამდენიმე ასეთი გიგანტური სუპერქალაქი სტიქიურად ჩამოყალიბდა  
ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთი მათგანი 250 კილომეტრზეა გადაჭიმუ-  
ლი — ბოსტონიდან ფილადელფამდე. მისი ცენტრია ნიუ-იორკი, სადაც 16  
მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ანალოგიური სურათი გვხვდება სხვა მრავალ  
რაიონში, განსაკუთრებით დიდი ტბების სამხრეთ სანაპიროზე და წყნარი ოკე-  
ანის ნაპირებზე — სან-ფრანცისკოდან სან-მარინომდე<sup>7</sup>.

ბელგიის ქალაქების აგლომერაციები ისე ახლოს არის განლაგებული ერთ-  
მანეთთან, რომ მათი გავლენის ზონები და საზღვრები თითქმის შერწყმულია.  
მანძილი ბრიუსელიდან ანტვერპენამდე, შარლერუასა და გენტამდე დაახლო-  
ებით 50 კმ-ია. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის ცენტრალური ნა-  
წილი წარმოადგენს თითქოს ერთიან საქალაქო რაიონს<sup>8</sup>.

აგლომერაციების შექმნას ხელს უწყობს ხელისუფლების ზოგიერთი გადა-  
წყვეტილება. 60-იან წლებში ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შეიქმნა  
პარიზის რაიონი, ანუ, როგორც მას უწოდებენ, დიდი პარიზის ზონა. რომელ-  
შიც ჩართულია 12 ათასი კვადრატული კილომეტრი 10 მილიონი მოსახლე-  
ობით<sup>9</sup>.

ავსტრალია მსოფლიოში შედარებით ურბანიზებული ქვეყანაა. მოსახლე-  
ობის 85,6% ცხოვრობს ქალაქებში. სიდნეის გარშემო მძლავრი საგარეუბნო  
ზონაა გეომეტრიულად დაგეგმილი ქუჩებით, უამრავი კორტეჯებითა და ბაღე-  
ბით, რომელიც ძალიან წააგავს ინგლისურს და ჩრდილოამერიკულს. გიგანტუ-  
რი გარეუბნის ერთფეროვნებას აცოცხლებს მძლავრი სარკინიგზო მაგისტრა-  
ლები, აეროდრომები, სამრეწველო შენობები, სპორტული ნაგებობანი, აუზე-  
ბი, პარკები<sup>10</sup>. ამავე დროს სიდნეი, მელბურნი და ქვეყნის სხვა მრავალი ქა-  
ლაქი შეერწყა მეზობელ პატარა ქალაქებს და შექმნა მსხვილი აგლომერაცი-  
ები<sup>11</sup>.

80-იანი წლების დასაწყისში იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ითვლებოდა  
8,3 მილიონი ადამიანი, ხოლო მის აგლომერაცია კეჰინში, იოკოგამას, კავა-  
საკის და ტიბუს ჩათვლით — 27 მილიონზე მეტი ადამიანი.

<sup>7</sup> ზმელეთსა და ზღვაზე, თბ., 1984, გვ. 110; Б. Горизонтов, დასახ. ნაშრომი,  
გვ. 115.

<sup>8</sup> Л. А. Аксенова, Бельгия, М., 1982, გვ. 32—33.

<sup>9</sup> М. Михайлов, Мгновения жизни, М., 1983, გვ. 21.

<sup>10</sup> Жаклин Бож-Гарнье, Жорж Шабо, Очерки по географии городов,  
М., 1967, გვ. 77.

<sup>11</sup> О. Н. Аничкин, Л. И. Куракова, Л. Г. Фролова, Австралия,  
М., 1983, გვ. 54, 55.

საერთოდ XX ს-ში ურბანიზაციის პროცესი იაპონიაში სწრაფად განვითარდა. ის გახდა მაღალურბანიზებული ქვეყანა. წყნარი ოკეანის სანაპიროზე ჩამოყალიბდა მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი მეგალოპოლისი ტოკაიოდო, რომელიც ითვლის 60 მილიონ მცხოვრებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია აგრეთვე ხანსინის აგლომერაციაში, რომელშიც ჩართულია ქალაქები ოსაკა, კობე, კიოტო, ტიუნიო, ნაგოი და მისი თანამგზავრი და სხვ.<sup>12</sup>

ქალაქების ასეთი სწრაფი განვითარების შედეგად განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიურად იკარგება არანაკლებ 3 ათასი კვადრატული კილომეტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ნიდერლანდებმა მხოლოდ 1960—1970 წლებში დაკარგა 7,3% სასოფლო-სამეურნეო სავარგული საქალაქო და საგზაო მშენებლობისათვის, ნორვეგიამ — 1,5%. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მიზნით ყოველ წელს სოფლის მეურნეობას აკლდება 1,2 მილიონი ჰექტარი მიწა. 1966—1977 წლების მანძილზე მიწის ფართობი, რომელიც გამოიყენებოდა სასოფლო და ტყის მეურნეობისათვის შემცირდა 14,8 მილიონი ჰექტარით. თითქმის 95% ამ მიწისა გამოყენებულ იქნა საქალაქო მშენებლობისათვის<sup>13</sup>.

იაპონიამ მხოლოდ 10 წლის განმავლობაში დაკარგა 7,3% მიწის სავარგული. როგორც ცნობილია, მიწა აქ ძალიან ძვირია, ამიტომ ქალაქები მიიწვევენ სიმადლესი. ხოლო გზები „შენდება“ მიწის, მინდვრებისა და სოფლების ზევით. ნაჰერ-ნაჰერ, უდიდესი შრომის ფასად „ართმევენ“ ოკეანეს მიწას<sup>14</sup>.

ჩინური სცენარის მიხედვით, „სოფელი ალყაში აქცევს ქალაქს“<sup>15</sup>. ხოლო „მსოფლიო სოფელი“ იბრძვის „მსოფლიო ქალაქის“ წინააღმდეგ<sup>16</sup>.

არგენტინელი მაოისტების ლიდერი ხაზს უსვამდა, რომ გზა — „სოფელი ალყაში აქცევს ქალაქს“, შემუშავებული მათი ძედუნის მიერ „აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხისათვის წარმოადგენს უდიდეს წვლილს“, და რომ ლათინური ამერიკის ხალხები ცხოვრებაში განახორციელებენ „მათი ძედუნის მიერ შემუშავებულ ხაზს“<sup>17</sup>.

კამპუჩიაში პოლ პოტა — იენგ სარის რეჟიმის საწყის ეტაპზე მაოისტური თეორიის თანახმად, გადაწყვიტეს „გაენადგურებინათ კაპიტალიზმი“, რისთვისაც მოესპოთ ქალაქები და ქალაქური კულტურა.

1975 წელს პოლ პოტა აცხადებდა: „ქალაქების არსებობა მოსახლეობას შორის წარმოშობს უთანასწორობას“. ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ პრაქტიკულად ქალაქების მთელი მოსახლეობა ძალდატანებით გადასახლებულ იქნა სოფლებში, სადაც ჩინური მაგალითის მიხედვით ქმნიდნენ „კომუნებს“ და „შრომით არმიებს“, რაც სინამდვილეში წარმოადგენდა საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც ადამიანები განიცდიდნენ საშინელ ექსპლუატაციას<sup>18</sup>.

<sup>12</sup> С. В. Лавров, Г. В. Сдасюк, Этот контрастный мир, М., 1985, стр. 118, 119.

<sup>13</sup> Б. Горизонтов, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

<sup>14</sup> В. А. Афанасьев, Глазами «Правды», М., 1985, стр. 56—57.

<sup>15</sup> Б. М. Пытков, Б. С. Старости, Пекин: в поисках «пятой колонны», М., 1981, стр. 16.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 79, 80.



მებს, ქალაქები მალე შეიძლება „ქვის ჯუნგლებად“ გადაიქცნენ, სადაც ერთი ხეც კი არ იქნება<sup>19</sup>. დადგენილად ითვლება, რომ ქალაქის რაიონებში სადაც ჰაერის გაბინძურება მაღალია მნიშვნელოვნად მეტია მოსახლეობის დაავადება კიბოთი, ბრონქიტით, სასუნთქი ორგანოების ანთებით და სხვ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვაფრთხილებს: კიბოს ყველა დაავადების 70-90% ქალაქად დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოში გაფანტულ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების მოქმედებაზე.

როდესაც ავსტრალიელებს ეკითხებიან, როგორია მათი აზრი ქვეყნის ეკოლოგიის პრობლემებზე, ისინი ჩვეულებრივ პასუხობენ — შეშფოთება ბუნებრივი გარემოს გაბინძურებაზე... კანონზომიერია ავსტრალიელების წუხილი, რადგანაც სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა ხორციელდება ქვეყნის მიწის ფონდის მხოლოდ 2%-ზე<sup>20</sup>.

„ქალაქის ეკოლოგია“ — თემა, რომელიც გამოჩნდა სამეცნიერო გამოკვლევათა გეგმებში სრულიად ახალია. თითქმის 10-15 წლის წინათ ამხე უბრალოდ არც კი ფიქრობდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს უხუცესმა წევრმა, სამართლის დოქტორმა უილიამ ო. დუგლასმა ამერიკული ისტბლიმ-ენტის გასაკვირად გულახდილად განაცხადა: „თუ ჩვენი საზოგადოების ერთადერთ მამოძრავებელ ძალად დარჩება მოგებაზე გამოდევნება, ბრძოლა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისათვის მარცხით დამთავრდება“<sup>21</sup>. ეკონომიკა კი კაპიტალიზმის პირობებში ჩვეულებრივად იღებს პრიორიტეტს ეკოლოგიასთან შედარებით. ეკონომიკური ზრდისადმი ფეტიშიზმი იმარჯვებს ყველადანარჩენზე.

ნაგვის დასაყრელი ადგილები, კონსერვის ქილები, ავტომანქანების სასაფლაოები აშშ და დასავლეთის ქვეყნების საგარეუბნო ზონის ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილი გახდა. დასავლეთის ცივილიზაცია „ნარჩენებს ცივილიზაციად“ იქცა. აშშ ყოველი საშუალო მოქალაქე წლის განმავლობაში აგდებს 82 კგ. ქაღალდს, 250 თუნუქის ქილას, 388 ბოთლს — მთლიანად 1 ტ. ნარჩენებს. ამას უნდა დაუმატოთ წელიწადში 7 მლნ. ავტომანქანა, და 100 მლნ. საბურავი. „ნარჩენების მთა ზეუსტონთან დღეს წარმოადგენს ტეხასის ყველაზე ამაღლებულ ვაკეს“<sup>22</sup>.

აშშ მრავალი მდინარე და ტბა კრიტიკულ მდგომარეობაშია. მაგალითად, ერის ტბაში ყოველწლიურად ჩაედინება 7 მილიარდი ლიტრი საყოფაცხოვრებო და 43,5 მილიარდი ლიტრი სამრეწველო ჩამდინარე წყალი.

იაპონიის სამრეწველო საწარმოები წლის განმავლობაში ატმოსფეროში, მდინარეებსა და ზღვის წყლებში გამოყოფენ, დაახლოებით 700 მილიონ ტონა ნარჩენებს, ამ ქვეყნის საავტომობილო პარკი ატმოსფეროში ყოველწლიურად ამოაფრქვევს, დაახლოებით, 20 მილიონ ტონა ნახშირბადს, 5 მილიონ ტონა

<sup>19</sup> ჰელეთსა და ზღვაზე, თბ., 1984, გვ. 239; Б. Горизонтов, დასახ. ნაშრომი, გვ. 83, 116.

<sup>20</sup> ო. Н. Аничкин, Л. И. Куракова, Л. Г. Фролова, Австралия, М., 1983, გვ. 31.

<sup>21</sup> В. Цветов, Огравители из «тиссо», М., 1980, გვ. 15, 16.

<sup>22</sup> С. Б. Лавров, Г. В. Сдасюк, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

ნახშირწყალბადებს. იაპონიის ატმოსფეროს თითოეულ კუბურ კილომეტრზე მოდის შეტევითი მყარ ნაწილაკთა 50 ტონა<sup>23</sup>.

საბჭოთა მკვლევარს ა. მ. რიბჩიკოვის გამოანგარიშებით მსოფლიოს 400 დიდი ქალაქი ვარემოში გამოყოფს 3 მილიარდ ტონამდე მყარ საპრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენსა და 1 მილიარდ ტონამდე სხვადასხვა სახის აეროზოლს. ეს კი იმაზე მეტია, რასაც საშუალოდ (წლიურად) იძლევა ის 578 აქტიური ვულკანი, რომელთა ამოფრქვევასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ოთხი ასეული წლის მანძილზე<sup>24</sup>.

ამჟამად კაპიტალისტურ სამყაროში სულ უფრო იზრდება ევრეთ წოდებულ „ეკოლოგიურ“ გამოსვლათა რიცხვი. მაგალითად, ტოკიოს აეროდრომი ნარიტა, აგებულ იქნა რამდენიმე წლის წინათ. მის ექსპლუატაციაში შესვლას ხელს უშლიან ადგილობრივი ფერმერები, რომელთათვისაც გარემოს შემდგომი გაუქუყიანება გაკოტრების მომასწავებელია. მათ ასაფრენი ბილიკების ზოლოს, ააგეს ფოლადის კოშკები, რომლებიც ხელს უშლიან აეროდრომის გამოყენებას. როცა პოლიციამ სცადა კოშკების დანგრევა, მოხდა გრანდიოზული შეტაკება, რომლის შედეგად დაჭრილ იქნა 400 დემონსტრანტი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქვემო ელბაზე მცხოვრები ერთ-ერთი თემი რამდენიმე თვის (1976—1977 წწ.) მანძილზე ხელს უშლიდა ატომური ელექტროსადგურის ბროკდორფის მშენებლობის დაწყებას. ვინაიდან იგი გამოიწვევდა მდინარის „სითბურ დაუქუყიანებას“. მოსახლეობამ მოახდინა სამშენებლო მოედანთან მისასვლელი გზების ბლოკირება და გაუძლო პოლიციასთან შეტაკებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ში ყველა „სამოქალაქო ინციდენტთა 1/5 (ყველაზე მოკრძალებული გაანგარიშებით) ეკოლოგიურ გამოსვლებზე მოდის<sup>25</sup>.

სწორედ ამის შედეგია, რომ დასავლეთის ქალაქების მოსახლეობა ცდილობს იპოვოს შედარებით მშვიდი ადგილი საცხოვრებლად, როგორც არის საგარეუბნო ზონის ტერიტორია. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად შემცირდა შვეიცარიის ქალაქების მოსახლეობა. მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 128 ათასმა ადამიანმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ვაჟიდა ქალაქგარეთა და სასოფლო რაიონებში<sup>26</sup>.

ჯერ კიდევ XIX ს-ის I ნახევარში ინგლისის ბურჟუაზია უკვე ცდილობს საცხოვრებლად მიკრო საგარეუბნო ზონაში გავიდეს. მაგალითად, მანჩესტერი იყო უდიდესი ცენტრი სამხრეთ ლანკაშირისა, სადაც ინგლისის საფეიქრო მრეწველობა ჩაისახა. ამ ქალაქში, სადაც 400 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, მკვეთრად ჩანდა სოციალური წინააღმდეგობანი. ძველი ქალაქი მიხვეულ-მოხვეულ, ვიწრო ქუჩებიან მუშათა უბნებს ეკავა. მათ მახლობლად სწორ და ფართო ქუჩებზე საშუალო ბურჟუაზია ცხოვრობდა, ხოლო მსხვილ ბურჟუაზიას უპირატესად ქალაქგარეთ ჰქონდა სახლები და ვილები<sup>27</sup>. დღეს ინგლისის მსხვილი ქალაქების მკვიდრთა სულ უფრო დიდი ნაწილი სტოკებს ცენტრალურ უბნებს და ცდილობს ქალაქის განაპირას, ბუნების სიახლოვეს იცხოვ-

<sup>23</sup> კ. საპიტკო, ზ. ხვედელიძე, ადამიანი და ბუნება, თბ., 1983, გვ. 18.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 16—17.

<sup>26</sup> Б. Горизонтов, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

<sup>27</sup> ფ. ენგელსი, ბიოგრაფია, თბ., 1985, გვ. 48.

როს. სტატისტიკოსთა მონაცემებით, 2001 წლისათვის ლონდონის მოსახლეობა მოიკლებს 5%-ით, იგივე ელოდება ქვეყნის 12 დიდ ქალაქს, მათ შორის ლივერპულსა და ნიუქასლს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის კონცენტრაციას უმსხვა-ლესი ქალაქების აგლომერაციაში თან ახლდა სუბურბანიზაციის რთული პროცესი: ქალაქების ცენტრალური რაიონების მოსახლეობის შემცირება და სავარეუბნო ზონის მოსახლეობის ზრდა.

აშშ სავარეუბნო ზონის განვითარების ისტორიას შეიძლება უვალი გავადევნოთ XIX ს-ის შუა ხანებიდან, როდესაც დიდი ქალაქების არისტოკრატამ დაიწყო თავის არიდება ქალაქის სიბინძურისაგან და თავი „შეაფარა“ სავარეუბნო ზონას. ეს იყო რკინიგზებისა და ტროლეიბუსების ჩაზის შექმნის პერიოდი, რაც იძლეოდა საშუალებას საზაფხულო აგარაკების შექმნისათვის, რომელშიც შემდეგ მთელი წლის მანძილზე დაიწყეს ცხოვრება<sup>28</sup>.

XX ს-ის დასაწყისში დაიწყო „სავტომობილო რევოლუცია“, რამაც ხელი შეუწყო სავარეუბნო ზონის ზრდას<sup>29</sup>. 40-იან წლებში შექმნულმა ამერიკელებმა ინტენსიურად დაიწყეს გადასვლა საცხოვრებლად სავარეუბნო ზონაში. კომერციულმა ბურჟუაზიამ ამას უპასუხა ქალაქგარეთა გიგანტური სავაჭრო ცენტრების შექმნით, რომელმაც ერთ ჰერქვეშ გააერთიანა ათობით სხვადასხვა უნივერსალი<sup>30</sup>. სავარეუბნო ზონის მოსახლეობას ზრდა ცენტრალურ ქალაქთან შედარებით პირველად აღინიშნა 1970 წლის აღწერით. 1960 წლიდან 1970 წლამდე ცენტრალური ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 5%-ით, ხოლო სავარეუბნო ზონაში 27%-ით<sup>31</sup>. 1970-1980 წლებში სავარეუბნო ზონის მოსახლეობა გაიზარდა 12%-ით. სიღარიბის დონე ცენტრალურ ქალაქებში 3-ჯერ მაღალია, ვიდრე სავარეუბნო ზონაში<sup>32</sup>. ამის შედეგად ამერიკის ქალაქების ცენტრებში გარკვეულ წილად საცხოვრებელ ადგილს იკავებენ ღარიბები, ხშირ შემთხვევაში ზანგები და პუერტორიკოელები<sup>33</sup>.

გარდა ამისა სავარეუბნო ზონაში ცხოვრება პრესტიჟულობის, შეძლებულობის ნიშანი გახდა. მრავალი ღარიბი ამერიკელის სანუკვარი ოცნებაა — აავის თავისი „ოჯახური სიმაგრე“, საკუთარი სახლი სავარეუბნო ზონის მწვანე ტერიტორიაზე, შორს იყოს „შებოლილი“ ქალაქისაგან, ვერ ხედავდეს უბედურებისა და დამნაშავეობის კვარტალებს. თუმცა ამერიკული სტატისტიკის მიხედვით დანაშაული გაიზარდა სავარეუბნო ზონაში 2-ჯერ მეტად გასულ 10 წელთან შედარებით.

სავარეუბნო ზონის მოსახლეობა ცდილობს იმუშაოს ქალაქში, რის გამოც ორმისამართიან ცხოვრებას ეწევა. მაგალითად, ტოკიოს გარეუბნებიდან ყოველდღიურად ტოკიოში სამუშაოდ დადის 1 მილიონი კაცი. ხოლო აუ ისაქს რაიონებსაც დავეუმატებთ ქანქარული მიგრაციით სარგებლობს 6 მილიონი კაცი<sup>34</sup>.

<sup>28</sup> Е. С. Шомина, Контрасты американского города, М., 1986, с. 28.

<sup>29</sup> Р. Мерфи, Американский город, М., 1972, с. 12, 13.

<sup>30</sup> Е. П. Севастьянов, Н. Е. Корсакова, Последний рубеж, М., 1984, с. 67.

<sup>31</sup> В. М. Харитонов, Урбанизация в США, М., 1983, с. 38—39.

<sup>32</sup> Е. С. Шомина, *დასახ. წინაშობი*, გვ. 96.

<sup>33</sup> Г. Герасимов, Общество потребления: мифы и реальность, М., 1984, с. 10.

<sup>34</sup> «Новое время», 1986, № 41, с. 15.

საგარეუბნო ზონის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია — მოამარაგოს ქალაქებო ბოსტნეულითა და ხილით სულ უფრო მძიმე ფორმებს იღებს. რაც გამოწვეულია წარმოების კაპიტალისტური წესით, ქალაქისა და საგარეუბნო ზონის შიწაზე მლალი რენტის არსებობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 30-იან წლებში ბოსტნეული და სხვა მალფუჭადი პროდუქტები მოჰქონდათ იაფი მუშახელისა და მიწაზე შედარებით დაბალფასიანი რაიონებიდან, რაც ასობით და ათასობით კილომეტრით იყო დაშორებული ცენტრალურ ქალაქებთან<sup>35</sup>. დღეს კალიფორნიელებს სასურველად მიაჩნიათ გაყიდონ ახალი ბოსტნეული და ხილი ფერმერების ბაზარზე, ვიდრე ჩვეულებრივ მალაზიებში. მრავალრიცხოვან შარავზეზე დგას პატარა ფარდულები, სადაც ფერმერები ბოსტნეულსა და ხილს ყიდნიან პირდაპირ ნაკვეთიდან. მოსავლის დიდ ნაწილს ისინი აბარებენ საკურო და სამრეწველო კომპანიებს, ხოლო ნაწილს როგორც აღვნიშნეთ ყიდიან ვებზე<sup>36</sup>.

ბელგიაში საერთოდ სოფლის მეურნეობას მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია. ის ხასიათდება აგრარული ურთიერთობის ჩამორჩენილი და კონსერვატიული ფორმებით და ატარებს „საგარეუბნო მეურნეობის თვისებებს<sup>37</sup>. ქვეყნის მსხვილი ქალაქების ზონაში დიდი ადგილი უჭირავს ბოსტნებს, საბურეებსა და ბადებს. მკიდრო სარტყელად აკრავს ანტვერპენს თავისი გარეუბნები, სადაც სამრეწველო საწარმოები ენაცვლება მუშათა საცხოვრებელ კვარტლებს<sup>38</sup>.

ლისაბონის საგარეუბნო ზონის ქალაქები გამოირჩევიან სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმის ცალკეული დარგების მიწოდებით დედაქალაქისადმი. მაგალითად, სეტუბალი განსაზღვრავს მოსახლეობის დასაქმების ხასიათს. ძირითადად აქ სპეციალებიან ლისაბონისათვის სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტების მომარაგებაში.

ქალაქი სეტუბალი რკინიგზით დაკავშირებულია ლისაბონის ქალაქთან — ნამგზავართან — ბარეირუსთან, რომელიც მდებარეობს ტყეუს მარცხენა ნაპირზე. ბარეირუ „ლისაბონის ინდუსტრიულ სარტყელში ძირითად სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს, ამავე დროს დედაქალაქის ბაზრისათვის ამზადებს მრავალნაირ საქონელს<sup>39</sup>.

ბოლო დროს ევროპის ქალაქების საგარეუბნო ზონაში ხდება სამხედრო ბაზების განლაგება. მაგალითად, რეინალ-პფალცში (გფრ) მიმდინარეობს სულ უფრო მეტი ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა, რის გამოც აქ ყოველწლიურად ნადგურდება 400 ჰექტარი ტყე. თუ ასე გაგრძელდა აღმანიება არ შეეძლებათ ცხოვრება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საშიშროებაზე, რომლებსაც წარმოადგენენ ეს ობიექტები<sup>40</sup>. ინტენსიური წვრთნა მიმდინარეობს ლისაბონის სიახლოვეს (მიკრო ზონაში) სანტამარგარიტას ბაზაზე<sup>41</sup>.

აფრიკული სამყაროს ქალაქების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეუბნო ზონაში სარწყავი არხების არსებობას. ბოტსვანის აღმოსავ-

<sup>35</sup> Большая Советская Энциклопедия, т. 46, М., 1940, ст. 810.

<sup>36</sup> Е. П. Севастьянов, Н. Е. Корсакова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 52, 53.

<sup>37</sup> Л. А. Аксенова, *Бельгия*, М., 1982, ст. 18.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 18, 104.

<sup>39</sup> Л. Г. Крицкий, *Португалия*, М., 1981, ст. 99—100.

<sup>40</sup> «Новое время», 1986, № 45, ст. 11.

<sup>41</sup> В. А. Афанасьев, *Глазами «Правды»*, М., 1985, ст. 87.

ლეთით, კერძოდ ქალაქ კანეს შემოგარენში, დღემდე არსებობს ჯერ კიდევ ევროპელთა მოსვლამდე აგებული რთული საირიგაციო სისტემა — არხება მინდვრების მოსარწყავად და გზებურება საქონლის დასაღვეად<sup>42</sup>.

ახლა მოკლედ შევჩერდეთ სოციალისტური ქალაქის მდგომარეობაზე. სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ბერკეტებით ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ მაღალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო სეზარკულები, მშენებლობა აწარმოონ სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად გამოსადეგ ტერიტორიაზე და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანონ სათანადო საზღაურა მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის მოსავლიანობის მიხედვით. ამ ძირითადი მიზნის მისაღწევად სოციალისტური ქალაქები გამოდიან მათთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული თუ სხვა სახის თავისებურებებიდან და მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის შესაფასებლად იყენებენ სხვადასხვა მეთოდს.

ამავე დროს ჩვენს წინაშე მწვავედ დგება ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების ამოცანა. „სოციალიზმს თავისი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციითა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობით — აღნიშნა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე — შეუძლია პარმონია შეიტანოს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობაში. ჩვენში უკვე ხორციელდება ღონისძიებათა სისტემა ამ მიმართულებით, ამას საკმაოდ დიდ სახსრებს ვახმართ. გვაქვს პრაქტიკული შედეგებიც“<sup>43</sup>.

ამეამად ჰიდრომეტსამსახურის სისტემაში ჰაერის დაჭუჭყიანების კონტროლი წარმოებს 200-ზე მეტ ქალაქში. მაგალითად, ლენინგრადის სხვადასხვა რაიონში დადგმულია ქალაქის საჰაერო აუზის დაჭუჭყიანების მაკონტროლებელი სპეციალური „პოსტი — 1“ — პავილიონები, რომლებიც აღჭურვილი არიან ჰაერის სინჯების აპარატებით, ატმოსფეროში მინარევების შემცველობის ავტომატური რეგისტრაციისა და მეტეოროლოგიური პარამეტრების კამპოში აპარატებით<sup>44</sup>. ლენინგრადში ბევრი კეთდება მწვანე ნარგავების დაცვისათვის. ქალაქში მოქმედებს ხეების დაცვის სამსახური, რომელსაც ეწოდება „მწვანე სასწრაფო დახმარება“. მისი მუშაკები გამოცდილი მემცენარეები არიან, მიდიან საზოგადოებისა და ცალკეული მოქალაქეების საგანგებო სოგნალებზე, სინჯავენ ხეებს. უსვამენ აუცილებელ დიაგნოზს და მკურნალობენ<sup>45</sup>.

ძნელია ყველა იმ სიკეთის ჩამოთვლა, რაც მცენარეს, ტყეს პოაქვს ბუნებისათვის. ეს უაღრესად ლაკონურად ითქვა მეტყვევითა მეხუთე მსოფლიო კონგრესზე: „ტყე ქმნის წყალს, წყალი მოსავალს, მოსავალი კი — სიცოცხლეს“.

ბელორუსიის სსრ-ის ჰიდრომეტსამსახურის სამმართველომ მინსკში მოაწყო ატმოსფეროს დაჭუჭყიანების ღონის კონტროლისა და დაკვირვების სამსახური. ამეამად მინსკში მოქმედებს 8 ავტომაგისტრალის და 15 მსხვილი სამრეწველო საწარმოს მაზლობლად, აგრეთვე საცხოვრებელი რაიონის 9 წერტილში ჰაერის სისუფთავის კონტროლი, რასაც სანიტარული სამსახური ახორ-

<sup>42</sup> В. В. Волков, В. С. Чирков, Ботсвана, М., 1985, გვ. 30.

<sup>43</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პერტიის XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 76.

<sup>44</sup> კ. სპიციკი, ზ. ხედელოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

<sup>45</sup> А. Удадьцов, Поезд надежды, М., 1984, გვ. 91.



ციელებს, 5 სტაციონარულ პუნქტში სისტემატურად იზომება ნახშირქანგის, გოგირდოვანი გაზის, აზოტის ორქანგისა და სხვა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში, წარმოებს მავნე მინარეგების გამოპტყორცნ წყაროებზე საჰაერო და აგრეთვე მეტეოროლოგიური დაკვირვებანი.

1981 წელს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სსრკ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის კომისია ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის.

ამ მხრივ ბევრი კარგი საქმე კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში. ასრულებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის და შემდგომ დადგენილებებს ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, თბილისის საგარეუბნო ზონის სატყეო ჰეურნეობას, რომელთაც ურთულეს ეკოლოგიურ პირობებში უხდებოთ ტყის აღდგენითი სამუშაოების წარმოება, ბევრი პრაქტიკული და მეცნიერული ხასიათის დადებითი გამოცდილება დაუგროვდათ.

1980 წლის 21 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ ქალაქების ჰაერის აუზის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა თაობაზე.

1984 წლის ოქტომბერში რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მაერ მიღებულ სათანადო დადგენილებით დასახულია ორგანიზაციულ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის დედაქალაქის მწვანე ჰეურნეობის შემდგომ განვითარებას და მის კეთილმოწყობას.

თბილისის ტერიტორიული გაშლა-გაფართოების შეზღუდული შესაძლებლობანი განსაკუთრებული სიმწვავეით აყენებს არა მარტო ქალაქის ტერიტორიის, არამედ მისი მიმდებარე მიწების რაციონალური გამოყენების ამოკანას. შეშფოთებას იწვევს ქალაქის საჭიროებისათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ფართობების გამოყენების ფაქტები. ამ მეტი სიფრთხილეა საჭირო.

სასოფლო-სამეურნეო საგარეუბნების რაციონალურმა გამოყენებამ და თბილისის გარშემო ტყეპარკის სარტყლის შექმნამ უნდა აღკვეთოს თბილისისა და რუსთავს შორის ტერიტორიის განაშენიანება, რადგან მტრის მიერ აჩეხილი ვაზი არა ერთხელ აღდგენილა უმოკლეს ვადაში, მაგრამ ქალაქის მიერ დაკავებულ ბაღ-ვენახებს, სახნავსა თუ სათიბ-საძოვრებს აღდგენა აღარ უწყრაით. „საერთოდ — აღნიშნავს ამხ. ჯ. პატიაშვილი — ყოველ ქალაქს აქვს ოპტიმალური ზღვარი, სადამდეც იგი შეიძლება გაიზარდოს. შემდეგ კი იქმნება გადაუჭრელი სოციალური პრობლემების მთელი კვანძი. საქმე აქამდე არ უნდა მივიყვანოთ“<sup>46</sup>.

სოციალისტურ ქალაქს და მის საგარეუბნო ზონას აქვს ნათელი პერსპექტივა, რაც ძველი სამყაროს ქალაქებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. საზოგადოება კონტროლს უწყევს ურბანიზაციის პროცესს, როგორც მთელი სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარების განუყოფელ ნაწილს, ანი-

<sup>46</sup> ჯ. პატიაშვილის სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIV პლენუმზე 1985 წლის 17 აგვისტოს — „კომუნისტი“, 1985 წლის 21 აგვისტო.

ქებს რა მას გეგმაზომიერ ხასიათს და მშრომელთა ინტერესებს უმორჩილებს. ჩვენი ქალაქები სულ უფრო უახლოვდება იმ იდეალს, რომელიც ფ. ენგელსმა განსაზღვრა, როგორც მაღალი კომფორტის ჰარმონიული შეთანხმება სოფლის ბუნების მშვენიერებასთან.

А. В. СОНГУЛАШВИЛИ

## СОВРЕМЕННЫЙ КАПИТАЛИСТИЧЕСКИЙ ГОРОД И ПРИГОРОДНАЯ ЗОНА

Резюме

На текущем плане 0,3% поверхности Земли занято городами. Как показывает практика, города растут быстрее, чем население планеты в целом, а их агломерации быстрее, чем города. Например, в начале 80-х годов в столице Японии Токио насчитывалось 8,3 млн. человек, а в его агломерации 37 млн. человек.

Стало престижным жить в пригородных зонах городов США. Мечта многих несостоятельных американцев жить в этих зонах подалеже от «закопченных» городов, от преступных кварталов.

У социалистического народа более светлая перспектива. Наши города все более приближаются к тому идеалу, который определил Ф. Энгельс как гармоничное сочетание с деревенской красотой.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტია  
ოთარ ჯაფარიძე

**ადრეული ყორღანების კულტურა სამართველოში**

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. საბოლოოდ დაირღვა მტკვარ-არაქსის კულტურის სტაბილური ხასიათი, რომელიც თითქმის ათას წელს გაგრძელდა. ამ პერიოდში გავრცელებას იწყებს ახალი თავისებური კულტურა, რომლისთვისაც განსხვავებული დაკრძალვის წესია დამახასიათებელი ინდივიდუალური ყორღანული სამარხები. მკვეთრი ცვლილებები კულტურაში და საერთოდ ცხოვრების ხასიათში მართა საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებით ვერ აიხსნება. აქ, ჩანს, გარკვეული როლი გარედან მომდინარე ფაქტორებსაც უნდა შეესრულებინა. ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის ჩრდილოეთით თანდათანობით აქტიურდებიან მესაქონლე ტომები, რომლებიც შორს დასავლეთით ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირეთის მიღმა მხარეებს აღწევენ. მოძრაობის ამ დიდ გზაზე ეს ტომები მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მულრნეობის სიმიყარეს. როგორც ჩანს, ეს დასაწყისია იმ დიდი მოვლენებისა, რომლებიც შემდეგში არაერთგზის განმეორებულა ისტორიის მანძილზე და მომთაბარე-მესაქონლე ტომები არაერთხელ გვევლინებიან კულტურას განვითარების შემავფერებელ ძალად.

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერების ხანაში ამიერკავკასია ამ მოვლენების მიღმა დარჩა. მხოლოდ მისი შესუსტების შემდეგ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში აქტიურდება ჩრდილოური გველენები. ერთ-ერთი ძირითადი გზა, საიდანაც ეს ურთიერთობები ხორციელდებოდა, ჩანს, დასავლეთ კასპისპირეთზე გადიოდა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების შესახებ მსჯელობა ჭერჭერობით უპირატესად სამარხებთან მომდინარე მასალების საფუძველზე შეიძლება. ამ ხანის სხვა ხასიათის ძეგლები, განსაკუთრებით კი ნამოსახლარები სადღეისოდ ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი. სად, როგორ, რა პირობებში უხდება ცხოვრება მოსახლეობას, რომელმაც ეს სამარხები დაგვიტოვა, მთლად ნათელი არ არის. ამ დროს ამიერკავკასიაში ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი — ყორღანული სამარხი, რომელსაც აქ არ ვააჩნდა ადგილობრივი ტრადიციები. ყორღანულ სამარხში დაკრძალვის წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე მესაქონლე ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. სიახლე დაკრძალვის რიტუალში შესაძლოა გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთანაც ყოფილიყო დაკავშირებული.

① Мерперт Н. Я., Из истории древнейших племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977.

საერთოდ ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, უნდა წარმოქმნილიყო გაშლილ ადგილას, ველებზე მოზინადრე მესაქონლე ტომებში. ერთფეროვან სტეპურ ლანდშაფტში სამარხის თავზე ხელოვნურად ამოზიდული ბორცვი ადვილად გამოსარჩევი იქნებოდა. სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყორღანი ათასწლეულების მანძილზე სამარხის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპი იყო. როგორც ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ე. წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს<sup>2</sup>. შემდეგში ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა სხვადასხვა მიმართულებით იწყეს მოძრაობა, განსაკუთრებით დასავლეთით და მათ გამოიჩინათან ერთად გავრცელებას იწყებს ყორღანული ტიპის სამარხი. როდესაც ძვ. წ. III ათასწლეულში უზარმაზარ სივრცეზე ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, სამარხის ყორღანული ტიპი მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია ხდება.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელება ძირითადად ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო ალბათ დაკავშირებული, თუმცა კულტურაში ამან თითქოს ნაკლები ასახვა პოვა. ყორღანულ სამარხებში გამოვლენილი კულტურა უპირატესად ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. თუ დაკრძალვის ახალი წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოიჩინათან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ჩანს, რომ ახალმოსულები ძირითადად ადგილობრივ კულტურას ითვისებენ. მესაქონლე ტომებს შედარებით ადვილად გადააქვე უფრო მაღალი კულტურის ტრადიციები. შესაძლოა რიცხობრივად ისინი არც თუ ისე ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. მაგრამ, მაინც საფიქრებელია, რომ მათ ვარკვეულად დააჩქარეს მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოოდ დაცემა, რომელმაც, ჩანს, თავი ვერ დააღწია მეურნეობაში შექმნილ კრიზისულ ვითარებას.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებმა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში გარკვეული ასახვა კავკასიის სამხრეთითაც პოვა. არაერთგზის გამოითქვა აზრი, რომ ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯაში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხთა თავისებურება უცხო წარმოშობის მმართველთა წრისადმი მათი კუთვნილობით აიხსნება, რომლებიც ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსული. მართალია, ალაჯაში ყორღანული ტიპის სამარხი არ აღმოჩენილა, მაგრამ სხვა მხრივ კონსტრუქციაში და საერთოდ რიტუალში გარკვეულა სიახლოვე შემინევა ჩრდილოეთში გავრცელებულ დასაფლავების წესთან<sup>3</sup>. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ალაჯაში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესის არსებობას ვარაუდობს<sup>4</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა<sup>5</sup>. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ჩრდილოური იმპულსები კავკასიის გზით უფრო სამხრეთითაც პოულობენ გამოახილს.

<sup>2</sup> Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-уральского междуречья, М., 1974.

<sup>3</sup> Piggott S., *Ancients Europe*, Edinburg, 1965.

<sup>4</sup> Mellaart I., *The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*, Beirut, 1966; Orthmann W., *Zu den „Stardanten“ aus Alaca Hüyük, Instambuler Mitteilungen*, Bd. 17, 1967.

<sup>5</sup> Goetze A., *Kleinasiens*, München, 1957.

როგორც ჩანს, საერთოდ ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენებმა უკვალოდ არ ჩაიარა და მათ ამიერკავკასიაში გარკვეული დაღი დაასვეს ცხოვრების საერთო წესს. ყოველ შემთხვევაში მტკვარ-არაქსის კულტურაში და მის უწინარეს ხანაში წარმოქმნილი ხასიათი ცხოვრებისა ირღვევა. ძველ საცხოვრებელი ადგილები ცარიელდება და, ჩანს, ძირფესვიანად იცვლება საზოგადოების ცხოვრების წესი. მაგრამ როგორი იყო ცხოვრების ეს ახალი გზა ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის იმის გამო, რომ სადღეისოდ უპირატესად სამარხებიდან მომდინარე, მასალებია ცნობილი. სად მდებარეობდა ამ დროის სოფელი, როგორი იყო მისი დაგეგმარება, სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, მოსახლეობის ეკონომიური საფუძველი და სხვ. ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მაგრამ, რომ ამ დროს უკვე კარგად ფლობდნენ საინჟინრო-სამშენებლო საქმეს მოწმობს დიდებულითა სამარხებში, ყორღანებში დადასტურებული ხის ან ქვისაგან ნაგები დასაკრძალავი შენობა. როგორც ჩანს, სამარხის ასაგებად უფრო მეტ დროსა და ძალას ახმარდნენ, ვიდრე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. საფიქრებელია, რომ საცხოვრებელი უპირატესად ხისა იყო. ქეასა და თიხას ამ საქმისათვის ნაკლებად იყენებდნენ. დასაკრძალავი კაშკაშა გენეტიურად ალბათ საცხოვრებელ სახლთან იყო დაკავშირებული. უადრესი ყორღანების თანადროული ნასოფლარი ადგილები ჯერჯერობით ათთქმის მიუხედავად რჩება. ამიტომ, როგორი იყო იმ დროის მეურნეობის ხასიათი, კერძოდ კი მიწათმოქმედებისა, ძნელი სათქმელია. ახლა თითქოს იმის თქმა შეიძლება, რომ ადრეყოღანების ხანაში არსებობდნენ საკმაოდ შეკავშირებული და ძლიერი კოლექტივები. მათ გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი სამუშაოს ჩატარება, როგორც მოზრდილი ყორღანის აგება იყო. ამასთანავე ადრეული დიდი ყორღანი საკმაოდ რთულ ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც მიწის სამუშაოებთან ერთად ზოგჯერ საკმაოდ დიდი ქვისა და ხის კონსტრუქციებიც იგებოდა. ყორღანის ასაგებად საჭირო მასალის მოზიდვა ხანდახან საკმაოდ შორეული ადგილებიდან ხდებოდა, ყორღანის დადგმა, როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და ზოგჯერ ალბათ ერთი თუ ორი წლის ამბავი არ იყო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მეტ-ნაკლებად დამკდარი ცხოვრების გარეშე ამ მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოების ჩატარება საკმაოდ გართულდებოდა. მაგრამ სად და როგორ უნდა ეცხოვრა ხალხს, რომელმაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეული ყორღანების კულტურა დაგვიტოვა მთლად ნათელი არ არის. დღეს ცნობილია მათი სამარხები, საცხოვრებელი ადგილების მიკვლევა კი, როგორც ჩანს, ისევ მომავლის საქმედ რჩება.

ადრეყოღანების კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დღეს ცნობილია მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში აზერბაიჯანსა და საქართველოში; უფრო სამხრეთით, არარატის ველზე და მის მიმდებარე მხარეებში ამ კულტურის ნაკვალევი ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყორღანები ამიერკავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში არ გვხვდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყოღანების კულტურის გავრცელების უკიდურესი დასავლეთი საზღვარი თითქმის ლიხამდე აღწევს. გადადიოდა თუ არა ეს კულტურა უფრო დასავლეთით ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მართალია, კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ნაშთსა და რაზე შავპრილა კერამიკის არსებობა დადასტურდა, რომელიც მოგვაგონებს ადრეყოღ-

ღანულ ქურჭელს, მაგრამ სანამ არ იქნება დადგენილი ამ შავპრიალა ქურჭლის ფორმა, ძნელია გარკვევით რაიმეზე ლაპარაკი.

ადრეყორღანების კულტურა, მესხეთ-ჯავახეთის გამოკლებიან, თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. ადრეულ ყორღანებში ქრონოლოგიურად რამდენადმე განსხვავებული ორი ჯგუფი გამოიყოფა — ერთი ადრეული, მეორე კი უფრო გვიანი. უადრესი ყორღანები სადღესოდ ცნობილია წალკის პლატოზე თრიალეთში, თბილისის მახლობლად მარტყოფში და სამგორის ველზე. თრიალეთში ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვაშიწაყრილიანი, საკმაოდ მოზრდილები, ორმოს სიღრმე ზოგჯერ 7,0 მ აღწევს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ორმოს ძირზე ბავშვის ჩონჩხი. ყველა ყორღანი სამარხეული ინვენტარის სიღარიბით გამოირჩევა. მათთვის დამახასიათებელია შავზედაპირიანი, მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ქურჭელი, რომელსაც მხარზე ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ფართო ყური აზის<sup>6</sup>. მას ჩვეულებრივად მკვეთრად გამოსახული მუცელი აქვს, საკმაოდ მაღალი ყელი და შედარებით ვიწრო ძირი. მართალია, ეს ტიპი ქურჭლისა უკვე საცხებით ჩამოყალიბებული ფორმით ხასიათდება, მაგრამ მაინც შეინიშნება გარკვეული კავშირი წინარე ხანის კერამიკასთან. ეს ჩანს როგორც თვით ქურჭლის ფორმის ზოგიერთ დეტალში, ისე ორნამენტის ხასიათში. მსხლისებრი ფორმის ქურჭელთან ერთად ყორღანებში ჩვეულებრივი შავი ფერის ცალყურა მოზრდილი ტოლჩა გვხვდება. ეს ქურჭელიც ფორმით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის კერამიკასთან, განსაკუთრებით კი მათ ორნამენტის ხასიათით აახლოვებს.

თრიალეთის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე სამგორისა და მარტყოფის ყორღანებში. სამგორის ველზე დაახლოებით ერთ ხაზზე სამი დიდი ყორღანია ამოხიდეული, გარკვეული მანძილით ერთი მეორისაგან დაცილებული. როგორც ჩანს, ველმაც თავისი სახელი აქედან მიიღო. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში მილის სტეპში ადგილი უჩ-თეფე, სადაც აგრეთვე თითქმის ერთ ხაზზე მდებარე სამი ყორღანი გვხვდება, თავის სახელს ამ სამი გორიდან იღებს<sup>7</sup>. როგორც აქ შესწავლილი ერთ-ერთი ყორღანიდან ჩანს, ისინი ადრეყორღანული კულტურის ხანისაა და ხასიათით საკვებით ისეთივე, განსაკუთრებით ყრილის აღნაგობის მხრივ, როგორიც სამგორისა და მარტყოფის ყორღანებია.

სამგორის გათხრილი ყორღანი „კობრა გორა“ საკმაოდ მოზრდილი იყო. მიწის ყრილის შიგნით მას შუა ნაწილში ქვაყრილი ჰქონდა. ქვაყრილის ქვეშ ცენტრში სწორკუთხა მოყვანილობის ხის ძელური შენობა იდგა. ნაგებობას ორმაგი კედლები ჰქონდა და მათ შორის სივრცე ამოვსებული იყო დორღათა და მიწით. სწორკუთხა შენობას გარს უვლიდა წრისებურად განლაგებული მსხვილი ხის მორები. შენობის ერთ-ერთ უკეთ გადარჩენილ კუთხეს შემორჩენილი ჰქონდა მუხის მორების ხუთი რიგი, რომლებსაც ბოლოებზე ჭდეები ჰქონდათ და ერთმანეთზე გადაბმული იყო ნახევარი ხით. შენობის მოტყეპნილი იატაკზე თიხის ქურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელობრიანი სატყეპარი, ქვის ბრტყელი ცული და ცხვრის კოჭები აღმოჩნდა. იატაკის აყრის შემდეგ

<sup>6</sup> Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

<sup>7</sup> Иессен А. А., Раскопки большого кургана в Урочище Уч-Тепе, МИА, 125, М.—Л., 1965.

შენობის ერთ ნაწილში ორმო გამოჩნდა, რომელშიც ჩადგმული იყო თიხის ჩაღარულყელიანი ჭურჭელი. ჭურჭელში ფერფლის ნაშთი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მიცვალებული დაუწვავთ და მისი ფერფლი თიხის ურნაში მოუთავსებოდა, რომელიც შემდგომში იატაკის ქვეშ ამოღარულ სამალავ ორმოში ჩადგამთ<sup>8</sup>.

სამგორის ყორღანში შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა. ერთადერთი ლითონის ნივთი ბრტყელი, ყუნწიანი სატევრის პირი პრემიტიული ფორმისაა. საინტერესოა ამ ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა. მსხლისებრა მოყვანილობის ჭურჭელი თავისი ფორმით უახლოვდება ამგვარსავე ჭურჭლებს თრიალეთის ადრეული ყორღანებისაგან. მოზრდილი ტოლჩა თითქმის სავსებით იმეორებს ამავე ყორღანებისათვის დამახასიათებელ ამ ტიპის ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტს. ერთგვარად თავისებურია თიხის ურნა. მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელი ამიერკავკასიაში ადრეულ ყორღანებში ცნობილი არ არის. იგი ფორმით თითქოს უფრო უახლოვდება ჩრდილო კავკასიის ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს.

საინტერესოა შედეგები მოგვცა მარტყოფის ჯგუფის ყორღანების შესწავლაში, სადაც ოთხი ყორღანი გათხარა. ყრილის სტრუქტურას ხასიათის მხრივ ყორღანები თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან. აქაც, ისევე როგორც სამგორის ყორღანში, ყრილი ზემოდან მიწისა იყო, ქვეშ კი ქვისა. დასაკრძალავი კამერები ზედ მიწისპირზე ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილის ქვეშ იყო მოთავსებული.

ერთ-ერთი ყორღანის დასაკრძალავი კამერა ქვის ფილებით იყო ნაგებო. მშრალი წყობით ამოყვანილ ნაგებობას ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. იგი, ჩანს, ფილებით თაღურად უნდა ყოფილიყო გადახურული; იატაკიც ქვის ფილებისა ჰქონდა. მიცვალებულის ნაშთი კამერაში არ აღმოჩენილა. გარდა კერამიკისა აქ ნაპოვნი იყო საღაფის სხვადასხვა მოყვანილობის საკიდები, ქვის ცული, ბრინჯაოს ისრის პირი და სხვ.<sup>9</sup>.

ორ დანარჩენ ყორღანში დასაკრძალავი კამერა ხის ძელებისაგან იყო ნაგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტყოფის ჯგუფის ყველაზე მოზრდილი ყორღანი, სადაც ცენტრში კარგად იყო შერჩენილი ხის ნაგებობა. ამ ყორღანის დიამეტრი 100 მ აღემატებოდა, სიმაღლე კი 12,0 მ აღწევდა. ყორღანის ცენტრში ქვაყრილის ქვეშ, რომლის დიამეტრი 40,0 მ-მდე იყო, სიმაღლე კი 3,0 მ აღემატებოდა, ხის ძელებისაგან ნაგები, კარგად გადაჩენილი ნაგებობა იდგა. იგი წარმოადგენდა მუხის მორებისაგან ნაგებ ერთმანეთში ჩადგმულ ორ ნაგებობას და მათ შორის სივრცე მოზრდილი ქვებით იყო ამოვსებული. გარეთა ნაგებობის ზომები უდრიდა 11,0 მ×10,0 მ, შიდასი — 8,0 მ×6,0 მ, სიმაღლე კი, 2,0 მ აღწევდა. კამერის იატაკი ქვის ფილებისაგან იყო ნაგები. გადახურვა მას ალბათ ხისა ჰქონდა.

კამერის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ოთხივე კედლის გასწვრივ თიხის ჭურჭლები ელაგა. საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარი შედგებოდა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა მოყვანილობის საღა-

<sup>8</sup> საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1965.

<sup>9</sup> ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის მარტყოფის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წწ. მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. VII, თბ., 1980.

ფის საკიდებისაგან, სერდოლიკისა და პასტის მიწვეებისაგან. მრავლად იყო სხვადასხვა ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, ბრინჯაოს და ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ოქროს და ვერცხლის მიწვეები. აქვე აღმოჩნდა ოქროს ორი ფართო რგოლი და ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი — ცულები და სხე.

თრიალეთის და სამგორის ყორღანებთან შედარებით მარტყოფის სამარხებში ვაცილებით უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა. ამ ყორღანებს განსაკუთრებით თიხის ჭურჭელი აახლოებთ. მარტყოფის ყორღანებში აღმოჩნდა მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ჭურჭელი და მოზრდილი ტოლჩები.

მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა ვაცილებით უფრო მრავალფეროვანია. იგი უპირატესად შავბრიალაა, კარგად ნაძერწი, გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით. ჭარბობს მოზრდილი ქილისებრი ჭურჭელი ბიკონუსური ფორმისა, ან ყელდაბალი მუცელგამობერილი. ხშირია ყელფართო, მკვეთრ-მუცლიანი ცალყურა ჭურჭელი, რომელიც ფორმით მსხლისებურ ჭურჭელს უახლოვდება და მისგან უნდა იყოს განვითარებული. თუ არ ჩავთვლით ტოლჩისებურ ჭურჭელს, შედარებით მოძეო ზომის ცალები თითქმის არ გვხვდება. მარტყოფის კერამიკაზე ვაცილებით უფრო მრავალფეროვანი ორნამენტული სახეებია დატანილი. აქაც ჭარბობს ნაკაწრი ორნამენტი, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აგრეთვე რელიეფურად გამოყვანილი სახეები, კოპეხა და სხე.

მარტყოფის ყორღანები იმითაც გამოირჩევიან სხვა თანადროული ძეგლებისაგან, რომ აქ კარგადაა წარმოდგენილი სამარხეულ ინვენტარში არავერამიკული მასალა. თრიალეთის ყორღანებში, თუ არ ჩავთვლით IV ყორღანის ყრილში ნაპოვნ ვერცხლის ხეიას, ლითონის ან სხვა რაიმე მასალის სამკაულთა თითქმის ცნობილი არ არის. მხოლოდ ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი ყუნწიანი დანისა თუ სატევრის პირი. ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი იყო ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი თუ ისრის პირი. ვარდა ამისა ერთჯერ აღმოჩნდა ობსიდიანის ორი ისრის პირი<sup>10</sup>. სამგორის ყორღანშიც დაახლოებით ამგვარივე სურათი იყო. კერამიკის გარდა აქ ნაპოვნი იყო ერთი ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის სატევრის პირი და ერთი ც რიყის ქვის ცული.

თრიალეთისა და სამგორის ყორღანების სამარხეული ინვენტარის სიღარიბე და ერთგვაროვანი ხასიათი თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საზოგადოების შიგნით მიმდინარე ქონებრივი უთანასწორობის პროცესი ნაკლებად შესამჩნევია. დაწინაურებულ წევრს უფრო მოზრდილ ყორღანებში ასაფლავებდნენ, რომლის აგებაშიც ალბათ მთელი გვარი თუ ტომი მონაწილეობდა, მაგრამ ქონებრივად რიგით წევრთაგან იგი ჯერ კიდევ მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა საზოგადოების შიგნით დიდხანს არ გაგრძელდებოდა. გამოჩნეულ მდგომარეობას მიღწეული წევრი ეკონომიურადე წინაურდებდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მარტყოფის ყორღანებში. მართალია, ისინი დროით თრიალეთისა და სამგორის ყორღანებს, ჩანს, ბევრით არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათში უკვე აშკარად შეიმჩნევა, რომ დაკრძალული წევრი საზოგადოებისა ქონებრივადე გამოჩნეულია. ყორღანები აგების წესით, მათზე დახარჯული შრომითა და დროით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან, მაგრამ მარტყოფის ყორღანები აშკარად გამო-

<sup>10</sup> Жоржикашвили Л.; Гоголдзе Э., Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974.



ირჩეოდნენ სამარხეული ინვენტარის სიუხვით. თანაც ამ ყორღანების ნივთიერი მასალა შედარებით უფრო მაღალი ნახელავია, მრავალფეროვანია. როგორც კი საზოგადოების დაწინაურებული, არისტოკრატიული ნაწილი ქონებრივადაც მომძლავრდა, ამან, ჩანს, გარკვეული ასახვა ნივთიერ მასალაშიც პოვა. იზრდება და იხვეწება მომხმარებლის გემოვნება, წინაურდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, ნაწარმიც უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

მარტყოფის ყორღანებში, მართალია, ჯერ ისევ გვხვდება მსხლისებურია აგებულების ჭურჭელი და მოზრდილი, ვიწროძირიანი ტოლჩები, მაგრამ ამავე დროს ჩნდება ახალი ფორმები კერამიკისა. იგი უპირატესად კარგადაა ნაკეთები, შავად გაპრიალებული ზედაპირით და მასში უკვე შეინიშნება მომდევნო ჩვეულის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკის გარკვეული ელემენტები. თრიალეთისა და სამგორის ყორღანებისაგან განსხვავებით ისინი გამოირჩევიან კერამიკული მასალის სიუხვით. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში კარგადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი, მისი მრავალგვარი ფორმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, ამ ხანაში მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია. მარტყოფის ყორღანებში კარგადაა წარმოდგენილი ლითონის იარაღი და სამკაული. მარტყოფის დიდი ყორღანი ლითონის ნაწარმის განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა. აქ თითქმის სავსებით ერთნაირი ფორმის ოთხი ყუადაქანებული ცული აღმოჩნდა. ცულები კარგადაა ნაკეთები, ერთ მათგანს კიდეებზე თევზიფხური ორნამენტი ამკობს. თავისი ფორმით ისინი საჩხერულ ყუადაქანებულ ვიწროტანიან ცულებს უახლოვდებიან, მაგრამ მათზე რამდენადმე მასიურებია. საერთოდ ეს ფორმა ცულისა მტკვარ-არაქსის კულტურის. გვიანდელ საფეხურზე ჩამოყალიბდა და ადრეყოღანობის ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ამ პერიოდში იგი ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში და უფრო ჩრდილოეთითაც აღმოსავლეთ ევროპაში. გარდა ამისა ამავე ყორღანში სამი ბრტყელი ცული აღმოჩნდა. ეს ტიპი ცულისა წინარე ხანაში იწყებს არსებობას და შემდგომშიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიაში და კავკასიაში.

თითქმის ყველა ადრეულ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწიანი სატევრის პირები. ეს პრიმიტიული იარაღები საგრძნობლად განსხვავდებიან მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ საჩხერული ტიპის სატევრის პირისაგან. ფორმით ეს სატევრის პირები თითქოს უფრო უახლოვდებიან ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე იარაღებს, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდებიან. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში აღმოჩნდა ოთხწახნაგა კრძელყუნწიანი ისრის პირები. ოთხწახნაგა სადგისის თუ ისრის პირები წინარე ხანაშიც გვხვდება, ოღონდ ყორღანებში ნაპოვნ ისრისპირებს მკვეთრად გამოსახული პირამიდალური მოყვანილობის წვერი აქვთ.

მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში კარგად ნაკეთები ქვის ხერგლიანი ცული აღმოჩნდა. ქვის ბრტყელი ცული სამგორის ყორღანშიც იღო. ქვის ხერგლიანი ცულები ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში ამ პერიოდში შედარებით იშვიათად გვხვდება. ქვის რამდენიმე ცული ნაპოვნია აზერბაიჯანში გაოზრილ ადრეულ ყორღანებში. სამაგიეროდ ქვის გახვრეტილი ცულები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდებიან.

ლითონის სამკაულთაგან უადრეს ყორღანებში გვხვდება ბრინჯაოსაგან ნაკეთები სასაფეთქლე რგოლები. ამგვარი სასაფეთქლე რგოლები საკმაოდ კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის ვეიანი პერიოდის ძეგლებზე. სამკაულებით განსაკუთრებით მდიდარი იყო მარტყოფის დიდი ყორღანი. აქ ბლომად აღმოჩნდა ბრინჯაოს და ვერცხლის კასრისებრი მძივები, ოქროს რამდენიმე მოკრძო, ცილინდრული მოყვანილობის წახანავიანი მძივები და ორი ფართო რგოლი. ძვირფასი ლითონებიდან ნაკეთები ნივთები მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის. ოქროს ორი რგოლი ნაპოვნი იყო საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე, რომლებიც უადრეს ყორღანებიდან დროით მაინცადამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონის ნივთები ჩვენში ყორღანული კულტურის ხანაში იწყებენ გავრცელებას და ბედენის საფეხურზე ოქრომჭედლობა უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს.

სხვა უადრესი ყორღანებისაგან განსხვავებით მარტყოფის ყორღანებში ბლომად აღმოჩნდა პესტისა და სერდოლიკის მძივები. სამკაულებით განსაკუთრებით მდიდარი იყო დიდი ყორღანი. აქ მრავლად აღმოჩნდა სადაფის სხვადასხვა მოყვანილობის საკიდები, ძვლის ბრტყელი მძივები და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები. მსგავსი საკიდები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრეული კულტურებისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ არის, მაგრამ სამაგეროდ ცხოველის კბილების და ეშვების საკიდები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ცნობილია ჩრდილო კავკასიის და ჩრდილო შაიხლვისპირეთის სამარხებში.

აღსანიშნავია სადაფის სხვადასხვა ფორმის ბრტყელი სამკაული, რომლებიც ალბათ ტანსაცმლის ან სხვა რაიმე ნივთის შესამკობად იხმარებოდა. მსგავსი სადაფის სამკაული მარტყოფის ყორღანების გარდა სხვა უცნობია. სადაფის სამკაული ჩრდილო კავკასიის ადრეულ სამარხებში გვხვდება, მაგრამ სულ სხვა ხასიათისა.

სადღესოდ ცნობილი თითქმის ყველა უადრესი ყორღანი საზოგადოების დაწინაურებული წევრის სამარხს წარმოადგენდა. იგი გამოირჩეოდა თავისი ზომით, კონსტრუქციით, ინვენტარით. როგორ იმარხებოდნენ იმ დროს რიგითი წევრები ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. როგორც ჩანს, მათ დასაკრძალავად ყორღანული ტიპის სამარხი მაინცადამაინც არ გამოიყენებოდა. შედარებით მცირე ზომის ყორღანები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეჩინა რიგით წევრთა სამარხებად, ამ ხანისა ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა ისინი ძველი წესისამებრ იმარხებოდნენ ორმოსამარხებში ან ქვაყუთებში, მაგრამ არც ამ რიგის სამარხებია მაინცადამაინც სადღესოდ გამოვლენილი. ჩანს, რომ იმ დროს რიგით წევრთა სამარხების გარეგნულად გამორჩევაზე მაინცადამაინც არ უზრუნველათ.

დაკრძალვის ყორღანული წესის შემოსვლა შესაძლოა საზოგადოების შივნით მომხდარ გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთან იყო დაკავშირებული. უცხო ეთნიკური ელემენტის გამოჩენასთან ერთად განსხვავებული ტიპის სამარხი ვრცელდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცნობილი უადრესი ყორღანები კონსტრუქციულად ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე სამარხებს უახლოვდებიან. იქაც ხშირად ყორღანის ყრილი ორფენა იყო — ქვედა ქვისა,

ხედა მიწისა<sup>11</sup>. ზოგჯერ ქვაყრილის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში დასაკრძალავი ორმო იჭრებოდა, ან კიდევ დასაკრძალავი კამერა ქვისაგან ან ხის ძელებისაგან მიწის პირზე იგებოდა<sup>12</sup>. სამარხეულ ინვენტარშიც, მართალია, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ჩრდილოური გავლენები. ამიტომ შესაძლოა ადრეული ყორღანები ძირითადად ჩრდილოეთიდან შემოსულ, უცხო წარმოშობის პირებს ეკუთვნოდა, რომლებიც ერთხანს საზოგადოებაში დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ.

როგორც ჩანს, ახალმოსულთა პირველ ტალღას საზოგადოების ცხოვრების წესში მაინცაღმამინც დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. მათ გამოჩენას მეურნეობის ხასიათში რაიმე საგრძნობი გარდატეხები არ გამოუწვევია. ისინი ერწყმიან დამხდურებს და მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ გვიანდელ ნამოსახლარებში მოპოვებული მასალა ერთხანს მათი ერთად თანაარსებობაზე მეტყველებს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოისახა ამ ნამოსახლარების კერამიკულ კომპლექსში, სადაც უკვე შეიმჩნევა უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ელემენტები. დასახლების ხასიათს რაიმე საგრძნობი ცვლილება არ ეტყობა. როგორც ჩანს, ეს პირველი ნაკადი მოსულებისა არც თუ ისე ძლიერი იყო, რომ წინარე კულტურის საბოლოო ნგრევა გამოეწვია. პირიქით ისე ჩანს, რომ მათ ბევრი რამ დამხდურებისა შეითვისეს, მათი კულტურა და საერთოდ ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. მაგრამ მაინც ახლის გამოჩენამ გარკვეული დიდი დასვა საზოგადოების ცხოვრებას, ალბათ პირველყოფლისა მეურნეობის ხასიათს. რამდენადმე ძლიერდება ალბათ ეკონომიკაში მესაქონლეობის ხვედრითი წონა. ეგებ ამათაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დააჩქარა მტკვარ-არაქსის კულტურის მიწათმოქმედი საზოგადოების საბოლოო დაცემა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უადრეს ყორღანებში დაკრძალვის რიტუალში, ჩანს, მაინცაღმამინც წესად არ იყო საქონლის ჩატანება საფლაოში. მარტყოფის დიდ ყორღანში სულ რამდენიმე მსხლილფეხა საქონლის ძვალი და ცხვრის კოჭი აღმოჩნდა. სამგორის ყორღანში წვრილფეხა საქონლის რამდენიმე კოჭი იყო ნაპოვნი. აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილოკავკასიაში მაიკოპის კულტურის ყორღანებისთვისაა მაინცაღმამინც დამახასიათებელი ცხოველების ჩატანება<sup>13</sup>. ეს სამარხები კი, როგორც ცნობილია, მესაქონლე ტომებს ეკუთვნოდა. ჩვენში სამარხში საქონლის ჩატანების რიტუალი რამდენადმე უფრო გვიან ბედნური კულტურის ხანაში შემოდის. რომ ჩრდილო კავკასიიდან ამ დროს, მართლაც, ვრცელდება მოსახლეობა თითქოს შეიძლება მოწმობდეს ქსნის ხეობაში, ლენინგორის მახლობლად სოფ. კორინთოსთან აღმოჩენილი ერთი სამარხი<sup>14</sup>. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა სილანარევი თიხის ექვსი ჭურჭლისაგან, რომლებიც როგორც ფორმით, ძერწვის ხასიათით, თხნით საგრძნობლად განსხვავდებიან ჩვენში გავრცელებულ ამ დროის კერამიკისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სამარხში ნაპოვნი ძვლის ჩაქუჩისებურთავიანი სამი საკინძი. საკინძები მომცრო ზომისაა, კარგად ნაკეთები. ამ ტიპის საკინძები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთის სტეპებში ძველი ორმოსამარხების და კატაკომპური კულ-

<sup>11</sup> Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975.

<sup>12</sup> Нечитайло, Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1978.

<sup>13</sup> Мунчаев Р. М., დასახ. ნაშრომი.

<sup>14</sup> ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა ნ. აფხაზაემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასენებთ. 3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 4

ტურების ხანაში<sup>15</sup>. ამიერკავკასიაში ამ ტიპის საკინძების აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევაა. კავკასიის სამხრეთით საერთოდ, თუ არ ჩავთვლით ერთ ვერცხლის საკინძს ალაჯა ჰუიუყის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხადან, რომლის გამოჩენასაც ჩრდილოურ გავლენას მიაწერენ<sup>16</sup>, ძვლის ამგვარი საკინძი ცნობილი არ არის. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი პატარა მარყუჟისებრთავიანი საკინძი. მარყუჟისებრთავიანი საკინძები ჩვენში ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე გვხვდება<sup>17</sup>. ამ სამარხის საკინძის მარყუჟი უფრო უხეშადაა დახვეული. იგი უფრო უახლოვდება დაღესტანში მანასის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ საკინძს<sup>18</sup>.

კორინთოს სამარხში ნაპოვნი ქვიშაქვის ლახტის თავი ბირთვისებრი ფორმისაა. ბირთვისებური ლახტის თავები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრე ჩნდება. გვხვდება იგი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც. საინტერესოა ამ სამარხში აღმოჩენილი ძაღლის საძირკე კბილებისაგან ნაკეთები საკიდები. მსგავსი საკიდები აღმოჩნდა მარტყოფის დიდ ყორღანში. საერთოდ ცხოველის კბილების საკიდები ადრეულ ყორღანებში ნაკლებად გვხვდება, მაშინ როდესაც ჩრდილოეთში ცხოველის კბილებისაგან და ეშვებისაგან ნაკეთები სამკაული ფართოდ იყო გავრცელებული. ძაღლის კბილების და ეშვების საკიდები კარგადაა ცნობილი ძველორმოსამარხების კულტურაში<sup>19</sup>. საფიქრებელია, რომ კორინთოს სამარხებში ჩრდილოეთიდან გადმოსული პირი იყო დაკრძალული.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საგრძნობი გარდაქმნები შეინიშნება. ამ დროისათვის აქ ვრცელდება ე. წ. „ბედენური კულტურა“, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. რა ხდება ამ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, საიდან შემოდის ახალი ელემენტები კულტურაში, რა იყო მიზეზი ცვლილებებისა ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. საინტერესოა, რომ სიახლე დაკრძალვის წესს მიანიჭა დამაინც არ შეჩებია. მიცვალებულებს ისევ ძირითადად ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ. მაგრამ სამარხულ ინვენტარში უკვე საგრძნობი სხვაობაა. ეს განსაკუთრებით კერამიკულ მასალაში შეიმჩნევა. ზოგი რამ ახალი დაკრძალვის რიტუალშიც შეინიშნება. ეხლა, ჩანს, წესად შემოდის მიცვალებულის ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად დასაფლავება, საქონლის ჩატანება საფლავში და სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადრე ყორღანების ხანაში ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში ანალოგიური სურათი შეიმჩნევა. ამ პერიოდში აქაც ორ საფეხურს გამოყოფენ ადრეულს, საკუთრივ მაიკოპისა და უფრო მოგვიანო — ნოვოსვობოდნაის. ორივე საფეხურზე სამარხის ძირითადი ტიპი ყორღანია. მაგრამ სამარხულ ინვენტარში უკვე საგრძნობი სხვაობაა. აქაც ეს განსაკუთრებით კერამიკის ხასიათში იგრძნობა. ზოგიერთი იმასაც აღნიშნავს, რომ განსხვავება ამ საფეხურებს შორის იმდენად დიდია, რომ აქ ორი დამო-

<sup>15</sup> Латынин Б. А., Молоточковидные булавки, их культурная атрибутика и датировка, Археологический сборник, вып., 9, Л., 1967.

<sup>16</sup> Piggott S., დასახ. ნაშრომი.

<sup>17</sup> თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

<sup>18</sup> Федоров Г. С., Еще одна Манасская катакомба, Древние памятники Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1977.

<sup>19</sup> Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი.

უციდებელი კულტურის არსებობა უნდა ვივარაუდოთ — მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაის<sup>20</sup>. ახლა ძნელია გარკვევით თქმა ადრე ყორღანების ხანაში კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში შენიშნული კულტურული ძვრები ერთი საერთო მოვლენა იყო, თუ ამას სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. უფრო ისე ჩანს, თითქოს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში სხვადასხვა ვითარება იქმნება, რასაც გარკვეული ცვლილებები უნდა გამოეწვია კულტურის ხასიათში. ვარაუდობენ, რომ ნოვოსვობოდნაის ეტაპზე აქ დასავლეთიდან მომდინარე გავლენები ძლიერდება. ბედენსა და ნოვოსვობოდნაის შორის საგრძნობი სხვაობაა, თუმცა ზოგი რამ მათ გარკვეულ კონტაქტების არსებობაზე მეტყველებს.

რა ხდება ბედენის საფეხურზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ გარკვევით თქმა ძნელია. მართალია, კულტურის ხასიათის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ ნაადრევია, მასალები უპირატესად სამარხებიდან მომდინარეობენ და ნამოსახლარი ადგილები ნაკლებადაა გამოკვლეული, მაგრამ ჩანს, რომ საზოგადოება წინა საფეხურთან შედარებით, განვითარების უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო ჩაქრობა ამიერკავკასიაში ამ დროს ემთხვევა. მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის არც ერთ ნამოსახლარზე ბედენთან შერწყმის მაგალითი არ შეინიშნება. შილა ქართლში შესწავლილ ბერეკლდების ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსის კულტურის ფენას ბედენური ხანის ნასოფლარი ადევს. ჩანს, რომ იგი წინარე ხანის სოფლის განადგურების შემდგომ წარმოიქმნა. დაახლოებით ასეთივე სურათი შეინიშნება თითქოს აზერბაიჯანში მულანის ველზე შესწავლალ მიშარჩაის I ნამოსახლარზე, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფენას მოსდევს ფენა, რომელიც ბედენისათვის დამახასიათებელ კერამიკას შეიცავს<sup>21</sup>. ყარაბაღის ველზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს მდ. ხაჩნაგეტის აუზში შესწავლილი იყო ამ დროის ყორღანები<sup>22</sup>. ვრცელდება თუ არა ეს კულტურა უფრო სამხრეთით არარატის ველზე და მის მიმდგომ ოლქებში ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. ქ. ოქტემბერიანთან მაისიანის ველზე გათხრილი ყორღანული ტიპის სამარხების ერთი ნაწილი თითქოს ადრეულ მასალას შეიცავენ<sup>23</sup>.

ბედენურ საფეხურზე საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ, ადრე-ყორღანების ხანაში ჯავახეთის პლატოზე ცხოვრება, ჩანს, თითქოს ქრება. ამ დროის ძეგლები აქ სადღესოდ გამოვლენილი არ არის. არც ახალციხის ქვაბულში ჩანს ამ ხანაში მაინცაღმამინცი ათვისებული. ეს მტკვარ-არაქსის კულტურის დროს საკმაოდ აყვავებული მხარე მომდევნო ხანაში თითქოს უკაცრიელდება. რა იყო ამის მიზეზი, რამ გამოიწვია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის მესხეთ-ჯავახეთში ცხოვრების საგრძნობი შესუსტება, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის.

<sup>20</sup> Латынин Б. А., *დასახ. ნაშრომი*.

<sup>21</sup> Махмудов Ф. Р., *Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, автореферат*, Тб., 1979.

<sup>22</sup> Кушнарёва К. Х., *Памятники медного века в Нагорном Карабахе, Советская археология*, т. XX, М., 1954.

<sup>23</sup> Арешян Г. Е., *Раскопки в Мансяне. Археологические открытия 1984 года*, М., 1986.

აღმოსავლეთ საქართველოში ბედენური საფეხურის ძეგლები გვხვდებიან როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის ზოლში თრიალეთში წალკის პლატოზე ადრე ყორღანების კულტურის ორივე ჯგუფის ძეგლები ერთად გვხვდება. თითქმის ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვამიწაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი შედარებით ლარიზული იყო და ძირითადად შედგებოდა შავპირიანა კერამიკისაგან, ზოგჯერ თხელკედლიანი წვრილი ნაკაწრი ორნამენტით შემკული. მხოლოდ ერთ ყორღანში ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე გრუნტის ღონეზე, თხელკედლიან შავპირიან კერამიკის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა ოქროს ორეოლუტინის საკინძი, ორმოს ძირზე კი თავის ქალასთან ნაპოვნი იყო ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის ფოთლისებრი ფირფიტები და თეთრი პასტის წვრილი მძივები. ერთ-ერთ ყორღანში კერამიკის გარდა ობსიდინის ერთი ფუქემოლარული ისრისპირი აღმოჩნდა. აღსანიშნავია წალკის პლატოდან ჯავახეთის ზეგანზე გადასასვლელთან ფარავნის ტბის მახლობლად შესწავლილი ერთი ყორღანი, უორმო, ქვაყრილიანი. მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთები არ აღმოჩენილა, სამარხეული ინვენტარი კი დასაკრძალავ მოედანზე იდო ზედ მიწის პირზე. იგი შედგებოდა სპილენძის ბრტყელი სატევრის პირისაგან ფართო განვრეტილი ყუნწით და პრიმიტიული ბრტყელი ფოთლისებრპირიანი გრძელყუნწიანი შუბისპირისაგან; სპილენძის მრგვალი თხელფირფიტაანი აბჯრის ნაწილები შიგნიდან გამოყვანილი კოპებით იყო შემკული. აქვე იყო ოქროს თხელი ფირფიტის სამი ცილიანდრული მოყვანილობის გარსაკრავი. სპილენძის მილაკი, ობსიდინის ფუქემოლარული ხუთი ისრის პირი და ჰემატიტის ლახტის თავი. ყორღანში თიხის ჭურჭლის მხოლოდ ერთი ნატეხი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ბედენური ტიპის კერამიკისა<sup>24</sup>.

ამ დროის ყორღანების დიდი ჯგუფი ბედენის პლატოზე აღმოჩნდა. გარეგნულად ყორღანები თითქმის ერთი ტიპისაა, უპირატესად ქვამიწაყრილიანი, მხოლოდ ზომებით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. მათი დიდი ნაწილი შედარებით მომცრო ზომისაა; მათ გვერდით გვხვდება უფრო მოზრდილი ყორღანები. თითქმის ყველა შესწავლილი ყორღანი ორმოიანი იყო. ზოგჯერ ორმოში ჩადგმული იყო ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან შეკრული კამერა. მიცვალებულს ზოგჯერ ხის ოთხთავალ ეტლთან ერთად კრძალავდნენ<sup>25</sup>.

ბედენის ყორღანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ყორღანი „გადაჭრილი გორა“, რომლის სიმაღლე 6,0 მ, დიამეტრი კი 80,0 მ აღწევდა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელიც შეეულად აღმართული მუხის მორებისაგან შედგენილი დასაკრძალავი კამერა იყო ჩადგმული. იატაკი ძელებისა ჰქონდა, გადახურვაც ძელური იყო, რომელიც კამერაში ჩადგმულ ხის ორ ბოძს ეყრდნობოდა. იატაკზე, ჩანს, ჯერ ჭილობი, შემდეგ კი ქეჩა იყო დაფენილი. სამარხში სამი მიცვალებული აღმოჩნდა, ორი მათგანი კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ესვენა. ერთი კი, როგორც ჩანს, ძირითადი, ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ხის ფიცრებისაგან შეკრულ კუბოში ესვენა. კუბო ხის საკაცეზე იდგა და ხის ოთხთავალ ეტლზე იყო დასვენებული. აქვე აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგებოდა კარგად ნაძერწი თხელკედლიანი თიხის ჭურჭლისაგან, რომლის ზედაპირი შესანიშნავადაა ნაპრიალები, თითქმის ლითონის

<sup>24</sup> Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი.

<sup>25</sup> გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხის კულტურა, თბ., 1981.

ბზინვარებამდე მიყვანილი. აქვე აღმოჩნდა ხის სამფეჭა რამდენიმე ჯამისებური ჭურჭელი, ხონჩის ნაწილები და სხვ. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია სპილენძის ორი ქინძისთავი დისკოიდალური თავით, სატეხი და ბრტყელი ცული, ოქროს მასიური ორვოლუტური საკინძი, ვერცხლის მილები. სერდოლუკის მძივები, რქის ღილაკები, ობსიდიანის ისრის წვერები და სხვ. გარდა ამისა სამარხში იდო სხვადასხვა ქსოვილი — სელის, მატყლის, ქეჩა და სხვ. აღმოჩნდა აგრეთვე ხორბლის, წაბლის, კაკლის ნაშთები, ცხოველების ძვლები და სხვ.

ბედენის სხვა უფრო მომცრო ყორღანებში, მართალია, უფრო ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა, მაგრამ ზოგ მათგანში ნაპოვნი იყო ოთხთვალა ეტლის ნაშთები, ისეთივე ბრწყინვალე კერამიკა, ხის ჭურჭელი, სპილენძის აარალი და სხვ.

ამავე ხანის ყორღანები აღმოჩნდა მთის წინა ზოლში, რომელთაგან აღსანიშნავია თეთრიწყაროს მახლობლად ნადარბაზევში გათხრილი ერთი ყორღანი, რომლის სიმაღლე 4,0 მ, დიამეტრი კი 70,0 მ აღწევდა. ყრილი თავისი ხასიათით მარტყოფის და სამგორის ყორღანებს მოგვაგონებდა — ქვემოთ ქვისა, ზემოთ კი მიწისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ფორმის დასაკრძალავი ორმო იყო ამოჭრილი, რომლის ძირი თხალესილი იყო და ზემოდან ჭილობი ეფარა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ფეხებმოკეცილი. თიხის ჭურჭელი ორმოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა — ორი შავპირილა ყელდაბალი დერგი, თხელკედლიანი კარგად ნაპირალები კერამიკის ნატეხები. ლითონის ნივთებიდან სამარხში აღმოჩნდა სპილენძის ყუამილიანი ცული, სატეხი, ბრტყელი ცული, სადგისი, სატევრის პირი და სხვ. აქვე იყო ვერცხლის ერთი სატევრის პირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი კაჟისა და ობსიდიანის შესანიშნავად დამუშავებული, ფუძემოლარული ისრის პირები. აღმოჩნდა აგრეთვე ძვლის მოზრდილი ისრის პირები, ძვლის სამი ცილინდრული მოყვანილობის ნივთი, ქვის სალესი, საბეგველი და სხვ. გარდა ამისა აქვე აღმოჩნდა რქისაგან, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალისაგან ნაკეთები რომბისებრი მოყვანილობის 30-ზე მეტი მცირე ზომის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, რომლებზედაც სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებია ამოღარული — ჩვარი, რომბები, სწორკუთხედებით შედგენილი ბადეები, ღარები და სხვ. ისინი თავისი ხასიათით თითქმის მოგვაგონებენ მარტყოფის დიდ ყორღანში ნაპოვნ მსგავს ნივთებს. ამავე დროისა თეთრიწყაროს მახლობლად 1957 წ. გათხრილი ერთი ყორღანი, სადაც ტიპიური ბედენური კერამიკა აღმოჩნდა<sup>26</sup>.

ქვემო ქართლის ბარში ბედენის დროინდელი ყორღანები აღმოჩნდა მარნეულის ველზე შულავრის მახლობლად<sup>27</sup>. ყველა ისინი ერთი ტიპისაა, შედარებით მომცრო ზომისა, ქვამიწყარილიან. უპირატესად ორმოიანი. მათი სიმაღლე 2,0 მ არ აღემატებოდა, დიამეტრი კი 20,0 — 30,0 მ აღწევდა. ორ შემთხვევაში დადგინდა, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა. ძლიერ მოკუნტული ფეხებით. სამარხეული ინვენტარი ძირითადად კერამიკისაგან შედგებოდა, უპირატესად მომცრო ზომის. შავპირილა ჭურჭლისაგან — ჯამები, ქოთნები, სასმისები და სხვ. ლითონის ნივთებისაგან რამდენიმე სატევრის

26. თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957—1958 წწ., თბ., 1962.

27. თ. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975.

პირი და ოთხწახნაგა სადგისი აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები. ამ ჯგუფიდან უნდა გამოიყოს ერთი ყორღანი, რომელიც ერთგვარად თავისებურ კერამიკულ კომპლექსს შეიცავდა, რომელიც თითქოს უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს მოგვაგონებს. აქვე აღმოჩნდა ლითონის ყუამილიანი ცული, ღარიანი სატეხი, ბრტყელი ცული და სატევრის პირი.

ადრეულ ყორღანების ხანაში შიდა ქართლის ვაკე საკმაოდ ათვისებული ჩანს. მართალია, აქაური ყორღანები შედარებით მომცრო ზომისა არიან და არ გამოირჩევიან თავისი სიდიდით და ბრწყინვალეობით, მაგრამ სამავიეროდ სადღეისოდ აქაა გამოვლენილი ბედენური საფეხურის ნამოსახლარი. როგორც ჩანს, ამ დროისაა ხოვლესთან გათხრილი ყორღანის ჩაშვებული სამარხი, სადაც ტიპური ბედენური კერამიკა იყო ნაპოვნი. ქარელთან იქ, სადაც მდ. ფრონე მტკვარს ერთვის ბერიკლდეებზე აღმოჩნდა ბედენური ხანის ნამოსახლარი და ყორღანული სამაროვანი. სამაროვანმა საკმაოდ დიდ ხანს იარსება, თითქმის მთელი ბრინჯაოს ეპოქის მანძილზე. პირველი მიცვალებულება აქ, ჩანს, ბედენურის საფეხურზე დაიმარხნენ, ეგებ სწორედ ახლო მდებარე ნამოსახლარის მკვიდრნი. ყორღანულ ველზე სამარხები ზომებით თუ განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან<sup>28</sup>. ამიტომ ადრეული და უფრო მოგვიანო ყორღანების გარეგნულად გამოირჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ყორღანები მომცრო ზომისაა, ქვამიწაყრილიანი ორმოიანი. აქ გათხრილი ბედენური ბედენური ხანის ორი ყორღანის ზომები — ერთის დიამეტრი 15,0 მ, სიმაღლე კი 0,60 მ, მეორის დიამეტრია 30,0 მ, სიმაღლე — 1,60 მ. მიცვალებულები ხის ოთხთავა ეტლთან ერთად იმარხებოდნენ. სამარხებში ტიპური ბედენური ზასათის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა — შავპირალა, თხელკედლიანი ფაქიზი ორნამენტით შემკული. ერთ-ერთ ყორღანში გარდა კერამიკისა ნაპოვნი იყო სპილენძის სატევრის პირი, ვერცხლის ვარსაყრავიანი სპილენძის ცილინდრულთავიანი საკინძი და სერდოლიკის მძივები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერიკლდეების ნამოსახლარი<sup>29</sup>. იგი უშუალოდ ყორღანულ ველს ეკვრის და გამოწეულ კონცხზე მდებარეობს, რომელსაც ერთი მხრივ მტკვარი ჩამოუდის, მეორე მხრივ კი — მდ. ფრონე. პირველი დასახლება კონცხზე, ჩანს, საკმაოდ ადრე მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარეს ხანაში წარმოქმნილა. შემდეგ ცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში გაგრძელებულა, რომელიც ბედენურის საფეხურზე არ შეწყვეტილა. ბედენური პერიოდის შემდეგ ნასოფლარზე ცხოვრება ეტუობა ჩაკვდა და მომდევნო შუა ბრინჯაოს ხანაში ამ ადგილს მიცვალებულებას დასაყრდენად იყენებენ. როგორც ჩანს, ყველა პერიოდში სოფელში ცხოვრება მაინცაღამაინც ხანგრძლივი და ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო. ყველაზე ძლიერა კვალი ცხოვრებისა აქ თითქოს ბედენის ხანაში ჩანს. აქ ამ დროის რამდენიმე სამშენებლო დონეს გამოარჩევენ. გამოვლინდა ორი სწორკუთხა შენობა, თი-

<sup>28</sup> ი. გაგოშიძე, ე. ქორიძე, ე. გოგიჩაიშვილი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—1981 წლების საველე მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, VIII, თბ., 1986.

<sup>29</sup> ლ. დლონტი, გ. ნემსაძე, ალ. ჯავახიშვილი, ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979—1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, VIII, თბ., 1986.



ხატკენილი იატაკით. ნაგებობები გვერდი გვერდ იდგა და შუა ნაწილში ჩადგმული იყო კიდევბგადაღესილი მრგვალი კერა, რომლის ცალ მხარეზე სახეა გამოსახული; თვალუბის ადგილას ობსიდიანის ნატეხებია ჩასმული. ოთახების გამოსახული; თვალუბის ადგილას ობსიდიანის ნატეხებია ჩასმული. ოთახების კედლებს გასწვრივ მოზრდილი დერგები იდგა, კერის ირგვლივ უფრო მომცრო ზომის ჭურჭელი ელაგა. საცხოვრებლის თითქმის მთელი ფართობი კერამიკას უკავია. ოთახში თავისუფალი ადგილი თითქმის არ იყო და როგორ თავსდებოდა საცხოვრებლად აქ ადამიანი ძნელი წარმოსადგენია. უფრო სავარაუდოა, რომ გამოვლენილ შენობები სხვა დანიშნულებისა იყო, ეგებ, მართლაც, როგორც ფიქრობენ, კულტთან იყო დაკავშირებული. მცირე ზომის კერამიკა შავბრიალაა, უპირატესად ნაცრისფერი სარჩულით, გამოირჩევა ცალყურა ან ორყურა ქოთნები, ტოჩები, სასმისები და სხვ. ზოგჯერ რელიეფური ან ნაკწრი ორნამენტით შემკული. უფრო მოზრდილი ჭურჭლები შედარებით ტლანქია, სქელკედლიანი, უპირატესად დაბალყელიანი, ფართო პირით, ყურებით ან უყურო, ზოგჯერ შემკული შევრილებით, რელიეფური ან ჩაღარული გეომეტრიული სახეებით. თავისი ხასიათით ეს კერამიკა ძალიან ახლო დგას ბედენის ხანის ყორღანებში მოპოვებულ ჭურჭელთან. შიდა ქართლში გორის რაიონში სოფ. ხელთუბანთან ყორღანული სამაროვანი აღმოჩნდა. აქ გაითხარა რამდენიმე ქვაყრილი, ორმოიანი ყორღანი. ყორღანებში შენიშნული იყო ხის ეტლების ნაკვალევი. ერთ-ერთ ყორღანში თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს პირამიდალურწვერიანი ისრის პირი. ყორღანები, ჩანს, ბედენური ხანისა უნდა იყოს<sup>30</sup>.

ბედენური დროისა უნდა იყოს მარტყოფთან გათხრილი ერთი ყორღანი, რომელიც განმარტოვებით იდგა და გარეგნულადაც ერთგვარად განსხვავდებოდა აქ შესწავლილი ყორღანებისაგან<sup>31</sup>. იგი უფრო პატარა ზომისა იყო — სიმაღლით 1,75 მ, დიამეტრით კი 30,0 მ. ყრილი მას ზემოდან ქვისა ჰქონდა, შემდეგ კი თიხისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიც შევულად დაყენებული ძელებისაგან შეკრული ნაგებობა იყო ჩადგმული, რომელაც ხის მორებით იყო გადახურული. იატაკი მას ძელური ჰქონდა, რომელზედაც ორი მიცვალებული ესვენა. ერთი მათგანი ცენტრალურ ნაწილში მარცხენა გვერდზე იწვა, ფეხებმოკეცილი. ჩონჩხი, ჩანს, საკმაოდ ახოვან, მსხველძვალა მამაკაცს ეკუთვნოდა. მის ფეხით მცირე მიცვალებული ესვენა, მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი ფეხებით. იგი, ჩანს, ქალი უნდა ყოფილიყო. სამარხში ეტყობა ხის ოთხთვალა ეტლი იყო ჩადგმული, რასაც მოწმობს ორმოს კიდებებზე შერჩენილი ღრმულები, ხის ნაშთებით.

ლითონის იარაღიდან სამარხში აღმოჩნდა ყუამილიანი ცული, მოზრდილი ღარიანი სატეხი, სადგისი და ისრის პირი, ბრინჯაოს ბრტყელი, ფართო ფოთლისებრი მოყვანილობის, ყუნწიანი ნივთი, ეგებ „შტანდარტი“. სამკაულთაგან აღსანიშნავია ბრინჯაოს რამდენიმე სასაფეთქლე ხვია კასრისებრი მძივება, ოქროს ხვია, სერდოლიკის მძივები და მძივსაკიდები და ერთი გომრის ფართო რგოლი.

<sup>30</sup> Миндиашвили Г. М., Археологическая экспедиция в селе Хелтубани (Горийский район), Полевые археологические исследования в 1980 г., Тбилиси, 1984.

<sup>31</sup> თ. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის), არქეოლოგიური ექსპედიციის (1980—1981 წლების) მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, VIII, თბ., 1986.

სამარხში რამდენიმე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა — ორყურა ქოთნები, ჯამები, შავპრიალა თხელკედლიანი ცალყურა ტოლჩა ფაქიზად ნაკაწრი ორნამენტით შემკული, სამფეხა ჯამი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ორმოს თავზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაშვებული სამარხი აღმოაჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამარხი კამერის გადახურვის ძელებზე იყო კუთხეში გამართული. მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოზრილი ფეხებით. სამარხში აღმოჩნდა შავპრიალა, თხელკედლიანი ორი ცალყურა, ყელდაბალი ქოთანა და სასმისი, ბრინჯაოს ისრისპირი, ბრინჯაოს მოზრდილი შუაში ქედიანი დისკო, ბრტყელი ყუნწით ეგაბ „შტანდარტი“ და ოქროს გარსაკრავიანი ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვია. საინტერესოა, რომ ანალოგიური სურათი შეიმჩნევა წალკი პლატოს XXII ყორღანში, სადაც სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე მიწის პირის დონეზე აღმოჩნდა შავპრიალა, თხელკედლიანი ჭურჭლების ნატეხები და ოქროს ორვოლუტინის საყინძი, რომლის ბრინჯაოს ღერო ოქროს ფირფიტით იყო გადაკრული<sup>32</sup>. როგორც ჩანს, ორსავე შემთხვევაში ჩაშვებული სამარხი ძირითადი საფლავის თანადროული იყო, ბედენური ხანისა\*.

<sup>32</sup> Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი.

\* გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში.

მანანა ხილაშაული

## დრო და სივრცე ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედო ტომების სულიერ კულტურაში

ყოველი საზოგადოება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სულიერ კულტურას ქმნის, რომელიც უპირველეს ყოვლისა მისი მსოფლმხედველობის ასახვის ძირითად ფორმას წარმოადგენს. სწორედ სულიერი კულტურა გამოხატავს ადამიანის შეხედულებათა სისტემას სამყაროზე, მასში არსებულ ძალებზე, მიმდინარე პროცესებზე, განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში. ამიტომაც, სულიერი კულტურის შესწავლის დროს, გააზრებული უნდა იყოს ღირებულებათა ის სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ საზოგადოების მსოფლგანგებას, განვითარების ამ საფეხურზე შექმნილ „სამყაროს მოდელს“, რომელშიც გამოვლენილია ადამიანების მიერ სამყაროს აღქმა და სინამდვილის გააზრება.

არქაული საზოგადოება, კლასობრივ ცივილიზაციებთან შედარებით მთელა რიგი თავისებურებებით ხასიათდება. სწორედ ამიტომ, მისი სულიერი კულტურაც უაღრესად თავისებურია და განსაზღვრულია იმ სპეციფიკით, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილებისთვის არის დამახასიათებელი.

თემური წყობილება ხასიათდება საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით. მის განმსაზღვრელ ნიშანს კოლექტივიზმი შეადგენს. ძირითად სოციალურსა და ეკონომიურ უჯრედს წარმოადგენს პირველყოფილი თემი. თემში მიმდინარეობს კოლექტივის მთელი ცხოვრება. თემი წარმოადგენს საწარმოო კოოპერაციას, ამავე დროს ყოფითსა და საკულტო კოლექტივს. თემი თანასწორუფლებების მქონე წევრებისაგან შედგება. ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია ჯერ არ არსებობს. ამის შესაბამისია სამემკვიდრეო სისტემაც — მემკვიდრეს თემის ძირითადი ბირთვი შეადგენს. ამ ბირთვიდან ირჩევს იგი თავის წინამძღოლს.

თემური წყობილების პირობებში, ადამიანის ეკონომიური, სოციალური და სულიერი ცხოვრება ერთმანეთში გადახლართული, ერთმანეთით არის განპირობებული და ურთიერთზემოქმედებას ახდენს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ამას ადგილი აქვს უფრო მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში. თემური წყობილების სწორედ ამ სპეციფიკის გამო ადამიანის სულიერი ცხოვრების და შემოქმედების ყველა სფერო უმჭიდროვესად არის დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, შრომით საქმიანობასთან, მრავალრიცხოვან რიტუალებთან!

არქაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საყოველთაო სინკრეტიზმი უდევს საფუძვლად ადამიანის აზროვნებას, რომელიც დიუალურია,

1 В. Р. Кабо, Синкретизм первобытного искусства, в сб.: «Ранние формы искусства», М., 1972, с. 276—278.

კონკრეტულ-გრძნობიერი. ამიტომაც /სამყაროს აღქმისას ადამიანი ემყარება არა გონებას, არამედ გრძნობებს, ხატებს, ან უფრო სწორედ ისეთ ცნებებს, რომლებსაც ხატების კონკრეტულობა ეძლევათ./

ადამიანის აზროვნების სინკრეტულობა უდევს საფუძვლად არქაული საზოგადოების მიერ შექმნილ სულიერი კულტურის თავისებურებებს და მთლიანად ამ კულტურას განუყოფელ სახეს აძლევს.

საყოველთაო სინკრეტიზში განსაზღვრავს იმას, რომ თემური წყობილების პირობებში სამყაროს გაგების, მისი გააზრების, სამყაროს ახსნის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მითოლოგია. მითოლოგია არის არქაული ადამიანის აზროვნების წესი, ამ საზოგადოების მსოფლგაგება. მითოლოგია არის ცდა სამყაროს მოვლენების გააზრებისა, ამ მოვლენათა არსში ჩაწვდომისა, ამ მოვლენების ახსნისა<sup>2</sup>. მითოლოგია პირველყოფილი იდეოლოგიური სინკრეტიზმის გამოხატულების ფორმაა<sup>3</sup>.

სწორედ ამიტომ, ცივილიზებულ სამყაროში შექმნილი კულტურებისაგან განსხვავებით, /არქაული კულტურისათვის დამახასიათებელია უნივერსალური მხატვრული სინკრეტიზმი, რომელშიც მხატვრული შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ფორმა, მათ შორის რელიგია და ხელოვნება, არ არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი, განსაზღვრავს ერთმანეთს, ურთიერთდამფუძვლებს ერთმანეთს და ქმნის ე. წ. პირველყოფილ სინკრეტულ კომპლექსს<sup>4</sup> რომლის ყველა მხარე განსაზღვრულია ამ საზოგადოების მსოფლგაგების უნივერსალური ფორმით — მითოლოგიით. სწორედ უტილიტარული მხატვრული სინკრეტიზმი განაპირობებს იმას, რომ არქაულ ხელოვნებას ძირითადად გამოყენებითი ხასიათი აქვს. ეს ხელოვნება არ წარმოადგენს არქაული კულტურის ნაწილს, იგი მასთან მთლიანობაში არსებობს. არქაული კულტურა ქმნის ამ ხელოვნებას, ხოლო ხელოვნება ამ სინკრეტული კულტურის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცევა. ამდენად, არქაული ხელოვნება ამ კულტურის „თვითშეგნებაა“, თავისებური „კოდი“, ის ვასალები, რომელიც ხსნის კულტურის კონტექსტს, სრულად გადმოგვეცემს მის შინაარსს<sup>5</sup>.

ხელოვნება, როგორც კულტურის კოდის გააზრება, ახლებურად აყენებს მხატვრული სტილის საკითხს. სტილი მხატვრული ფორმის მაორგანიზებელი ძალაა, მისი ძირითადი შინაარსის გამოხატველი. სტილის სტრუქტურა, რომელიც უშუალოდაა განპირობებული ეპოქისათვის დამახასიათებელი მსოფლგაგებით, წარმოადგენს სულიერი კულტურის ძირითად ნიშანს, კულტურის კოდის მთავარ მატარებელს. დიფერენცირებულ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს მსოფლგაგებისა და ამ მსოფლგაგების გამოხატვის რამდენიმე განსხვავებული სტილი. არადიფერენცირებულ საზოგადოებაში კი ასეთი სტილი ალბათ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. მართლაც, კარგად არის ცნობილი, რომ თემური წყობილებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, დიდი მატე-

<sup>2</sup> И. М. Дьяконов, Введение, Мифы Древнего мира, М., 1977, с. 17.

<sup>3</sup> Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, М., 1963, с. 10.

<sup>4</sup> М. С. Каган, Искусство в системе культуры, «Советское искусствознание», 1978, вып. II, с. 276.

<sup>5</sup> В. Б. Мириманов, Первобытное и традиционное искусство, М., 1973, с. 11.

<sup>6</sup> М. С. Каган, Искусство в системе..., с. 250; Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии, М., 1984, с. 44.

რიალური კულტურების ვრცელ ტერიტორიებზე გავრცელება. ამ არქეოლოგიურ კულტურებში გავრთიანებული ძეგლები ხასიათდება როგორც მხატვრული, ასევე სიუჟეტური ერთგვაროვნებით. ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელი ერთიანი მხატვრული სტილი, მისი სრული უპიროვნობა, ცხადს ზდის, რომ ეს ხელოვნება გამოხატავს ადამიანთა დიდი კოლექტივების საერთო მსოფლგაგებას. არქაული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სტილს შეიძლება ვუწოდოთ ერთგვარი კოლექტიური სტილი, რომელიც გამოირიცხავს ცალკეული ოსტატების მხატვრულ ინდივიდუალობას<sup>7</sup>. იგი განეკუთვნება ადამიანის სინკრეტულ შემოქმედების სფეროს და მისი რიტუალურ-მაგიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს<sup>8</sup>. არქაული ხელოვნების სტილი ყველაზე სრულად ასახავს ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ღირებულებათა მთელ სისტემას<sup>9</sup>, გადმოგვცემს ადამიანის აზროვნების თავისებურებებს, კოლექტივის უნარს აღიქვას და გამოხატოს სხვადასხვაგვარი ფორმა, რიტმი, ფასეულობა<sup>10</sup>.

თემური წყობილების პირობებში კოლექტივის მიერ სამყარო გააზრებულია, როგორც განუყოფელი მთლიანობა, სადაც ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობს, ყველა მოვლენა ერთმანეთთან კავშირში იმყოფება, ერთმანეთისგან გამომდინარეობს. მ. ლევი-სტროსის შენიშვნით, მითოლოგიის საფუძველს წარმოადგენს სამყაროში აუცილებელი წესრიგის არსებობის მოთხოვნა<sup>11</sup>. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მითოლოგია ადამიანის გონებისათვის გაუგებარ პროცესებს ღვთაებრივობას ანიჭებს, ადამიანისათვის გაუგებარ მოვლენებს მისთვის გასაგები თვისებებით აჯილდოვებს, ამით თითქოს აუქმებს გაუგებრობას და ადამიანისათვის მისაღებ სამყაროს სურათს ქმნის. მითოლოგია, ცხადია, მეცნიერულ პლანში ვერ სწყვეტს საკითხს. ამიტომ მას მიერ შექმნილი „სამყაროს მოდელი“ ილუზორულია. აქ მოქმედი პარამეტრებია — დრო და სივრცე, საინტერესოდ და თავისებურად არის გააზრებული.

ჩვენს მიზანს შეადგენს, აღვადგინოთ სამყაროს ის მოდელი, რომელიც ადრე სამიწათმოქმედო ტომების საზოგადოებაში იყო შექმნილი, განვსაზღვროთ, თუ როგორ იყო გააზრებული აქ ისეთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიები, როგორცაა დრო და სივრცე, სამყაროს აგებულება, ადამიანის ადგილი ამ სამყაროში.

ა. გურევიჩის აზრით, დროისა და სივრცის კატეგორიები ისტორიკოსების მიერ ცალმხრივად იყო გააზრებული, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მატერიის არსებობის ფორმები. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, დროისა და სივრცის კატეგორიებს ბუნებასა და საზოგადოებაში განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, ვინაიდან სივრცე და დრო არსებობს არა მხოლოდ ობიექტურად, არამედ ადამიანის მიერ სუბიექტურადაც განიცდება. ამიტომაც

7 მ. სიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რქონის ხანაში, თბ., 1982, გვ. 9.

8 В. В. Иванов, Очерки по истории семнотики в СССР, М., 1973, с. 8.

9 R. L. Anderson, Art in Primitive Societies, New-Jersey, 1979, გვ. 46.

10 A. Leroi-Gourhan, La Geste et la parole La nemoire et les rythmes, 1964, გვ. 46—93. ხალხთა ვარკვეული ერთობის მიერ შექმნილ ამ სტილს ავტორი „თინიკურს“ უწოდებს.

11 C. Lévi-Strauss, Pensée sau vage, Paris, 1962, გვ. 17.

სხვადასხვა ცივილიზაციებში, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, დრო და სივრცე განსხვავებულად იყო გააზრებული. კულტურის ისტორიის კვლევისას ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან ადამიანის მიერ სივრცისა და დროის გააზრება განსაზღვრული იყო იმ კულტურის ხასიათით, რომელსაც ეს საზოგადოება ეკუთვნოდა<sup>12</sup>.

1 თემური წყობილების პირობებში, რომლის კულტურა სინერგეტულია და მთლიანადაა განსაზღვრული მსოფლგაგების ერთადერთი ფორმით, მითოლოგიით, დროისა და სივრცის კატეგორიები ერთმანეთისაგან არ არიან გამოკლუნნი, თვისობრივად ერთგვაროვანი არიან და განუყოფელ მთლიანობას, ე. წ. ქრონოტიპს ქმნიან. ამ ქრონოტიპს საიდუმლო ძალა მიეწერება. დრო და სივრცის მათობები, მცენარეები და ცხოველები, ადამიანი, დაწესდა ადამიანური ცხოვრება, შეიძლება იყოს ავი და კარგი, კეთილად ან ბოროტად განწყობილი ადამიანის მიმართ. ამიტომაც არსებობს საკრალური სივრცე და საკრალური დრო, რომლებსაც განსაკუთრებული, ღვთაებრივი ძალა მიეწერება<sup>13</sup>.

არქაულ საზოგადოებაში საყოველთაოდ იყო გაბატონებული რწმენა იმისა, რომ ადამიანთა ცხოვრებაში დროის ჩვეულებრივ მდინარებას წინ უსწრებდა განსაკუთრებული ეპოქა, რომელშიც შეიქმნა სამყარო, მისი რელიეფი, მნათობები, მცენარეები და ცხოველები, ადამიანი, დაწესდა ადამიანური ცხოვრების წესი, სოციალური დაჯგუფებანი, რელიგიური დოგმები. ადამიანის წარმოდგენით, ყველაფერი ეს არის შედეგი უხსოვარ წარსულში მოქმედი მოვლენებისა, შედეგი ღვთაებათა და ე. წ. „კულტურული გმირების“ საქმიანობისა. სწორედ ესაა ადამიანის მითოლოგიური წარსული, ე. წ. მითოსური დრო, წინარე დრო (პრა დრო) საწყისი ყოველივესი, ეპოქა პირველსაგნებისა და პირველქმედებისა<sup>14</sup>.

ადამიანის წარმოდგენით, მითოსურ დრომდე, პირველქმნადობამდე, სამყაროში ჭაოსი იყო გაბატონებული. ჭაოსიდან კოსმოსის, ე. ი. ადამიანებით დასახლებული ქვეყნის შექმნა, ესაა ღვთაების უმაღლესი გამოვლენა, ის უმიშვნელოვანესი აქტი, რომელიც ადამიანის მითოსურ წარსულში აღსრულდა.

არქაული ადამიანი ჩვეულებრივ დროში ცხოვრობს. მაგრამ ეს პროვანული დრო პერიოდულად იცვლება, მაშინ, როდესაც დღესასწაულების ხანა, ე. წ. საკრალური დრო დგება. დღესასწაულების დროს, საკრალურ ხანაში ხალხი მრავალფეროვან წეს-ჩვეულებებსა და რთულ რიტუალებს ასრულებს. მ. ელიადეს სიტყვით, დღესასწაულების დროს ჩატარებული რიტუალების მეშვეობით, ადამიანს შეუძლია გადალახოს ჩვეულებრივი დროის მდინარება და მითოსურ დროში აღმოჩნდეს. ამიტომაც, საკრალური დრო განმეორებულია, ისე პერიოდულად აცოცხლებს მითოსურ წარსულს, იმ საკრალურ ფაქტებს, რომლებიც მითოსურ წარსულში, „დასაწყისში“ მოხდა. ამდენად, რელიგიურ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ჩვეულებრივი დროიდან გამოსვლას და მითოსური დროის აღდგენას<sup>15</sup>.

<sup>12</sup> А. Я. Гуревич, Категории средневековой культуры, М., 1984, с. 43—44.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>14</sup> Е. М. Мелетинский, Поэтика мифа, М., 1976, с. 173.

<sup>15</sup> М. Eliade, The Sacred and the Profane, The Nature of Religion, New-York, 1959, გვ. 69.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მითოსურ ხანაში უმნიშვნელოვანესი აქტი აღსრულდა — ქაოსიდან, ადამიანებით დასახლებული კოსმოსი შეიქნა. ამდენად, მითოსური დრო ამავე დროს კოსმოგონიური დროცაა. ამიტომაც, რიტუალში საწყისი დროის განმეორება ფაქტობრივად სამყაროს შექმნის აქტის განმეორებასაც გულისხმობს. ადამიანს სჯერა, რომ დღესასწაულების ხანაში სხვა დროში ცხოვრობს, რიტუალის \*საშუალებით ახერხებს მითოსურ წარსულში დაბრუნებას, პერიოდულად აცოცხლებს მითოსურ დროს და იმეორებს კოსმოგონის, ე. ი. სამყაროს შექმნის აქტს<sup>16</sup>.

ამგვარად, / მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანი ახდენს არა მარტო დროის, არამედ სივრცის დაყოფას, შემდეგ ამ ნაწილებს კვლავ აერთიანებს. / ეს უმნიშვნელოვანესი აქტი სრულდება ახალი წლის მთავარი რიტუალის შესრულების დროს, ძველი და ახალი წლის შესაყართან. ამ რიტუალის შესრულებისას ხდება ძველი სამყაროს სივრცობრივ-დროითი კონტინიუმის ნგრევა, მსხვერპლის — ძველი სამყაროს განსახიერების შეწირვა და დანაწევრება. ახალი წლის პირველ დღეს თავიდან იქმნება ახალი სამყარო, მისი სივრცობრივი დროითი კონტინიუმი, განმეორებით სრულდება კოსმოგონიის აქტი, რომელიც მსხვერპლის დანაწევრებული ნაწილების კვლავ გამოლიანებაში ვლინდება<sup>17</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არქაულ საზოგადოებაში გარკვეული აზრით, დროის ხაზოვანი სისტემაც მოქმედებს. ადამიანი განასხვავებს ერთმანეთისაგან წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ადამიანები და მათი მითოსური წინაპრები დროის სხვადასხვა განზომილებაში არსებობენ. მაგრამ / ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება ღვთაებებისა და მითოლოგიური წინაპრების ცხოვრების მარადიულ განმეორებას წარმოადგენს, ადამიანის ყოფიერება უმჭიდროვესად უკავშირდება თავის მითოსურ წარსულს, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო შესაძლოა განუსაზღვრებლად აღდგეს და დაუბრუნდეს ადამიანს. /

/ აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ უძველესი ადამიანის თვალსაზრისით, სამყაროში არ არსებობს განვითარება. / ბუნებაში ადამიანი ხედავს უცვლელობას და მხოლოდ და მხოლოდ მარადიულ განმეორებადობას. ეს მარადიული განმეორებადობა ხდება მისი სულიერი ცხოვრების ცენტრი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის შეხედულებებს სამყაროსა და ცხოვრებაზე<sup>18</sup>. / დროის ეს ციკლურობა უდევს საფუძვლად კალენდარულ დღესასწაულებსა და კალენდარულ მითებს, რწმენას მოკვდავი და აღმდგომადი ღვთაებების არსებობის შესახებ. დროის ციკლურობაზეა აგებული ყველა ის ძირითადი შეხედულება, რომელიც განსაზღვრავს არქაული ადამიანის მსოფლგანცხადებას.

რას წარმოადგენს სივრცე არქაული ადამიანისათვის? სივრცე უცნობია პირველყოფილი ქაოსისათვის და მხოლოდ კოსმოსისათვის არის დამახასიათებელი. სივრცე ავსებულია მრავალფეროვანი საგნებით, იგი ცოცხალია, გასულდგმულებული. სივრცე არაა ერთგვაროვანი მთლიანობა, მისი ნაწილები თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომაც არსებობს საკრალური სივრცე, რომელიც მყარია და დიდი მნიშვნელობის მქონე. მის გვერდით არსებობს არასაკრალური სივრცე, რომელიც მოკლებულია დიდ მნიშვნელობას. საკრალური სივრცე ღვთაების განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება.

16 M. Eliade, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.  
17 Мифы народов мира, II,  
18 А. Я. Гуревич, Категории..., с. 47.

ფება. ადამიანი არაა უფლებამოსილი თავისუფლად აირჩიოს საკრალურის ადგილმდებარეობა, ადამიანი მხოლოდ ეძიებს ამ ადგილს და პოულობს მას ღვთაების დახმარებით<sup>19</sup>.

მ. ელიადეს სიტყვით, სივრცის არაერთგვაროვნების გააზრებას ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოავლინა ის საყრდენი წერტილი, ცენტრალური ღერძი, რომელიც ადამიანის სამყაროში მომავალი ორიენტაციის საფუძველი გახდა და გამოაჩინა „სამყაროს შექმნის“ შესაძლებლობა<sup>20</sup>.

ფიქრობენ, რომ შეუძლებელია მითოსის მთლიანად წარსულისათვის მიკუთვნება. მითოლოგიური წარსული, თავისი განსაკუთრებული აქტივობის გამო, ერთდროულად წარსულსაც ეკუთვნის, ამავე დროს კი ყოველთვის იმყოფება „აქ“ (ამ სივრცეში) და „ამჟამად“ (ამ დროში)<sup>21</sup>. მითოსისათვის დამახასიათებელი დროის სისტემა. გარკვეული აზრით, ყოველდღიური დროის პარალელურად არსებულად უნდა ჩაითვალოს. მითები ყოველთვის ხასიათდება გასაოცარი ნახტომით დროისა და სივრცის ერთი სისტემიდან მეორეში, ერთგვარადობიდან განმეორებადობასა და ციკლურობაში. ეს არ არის ნახტომი მხოლოდ „წარსულიდან“ „აწმყოში“, ვინაიდან რიტუალის შესრულების დროს, ადამიანი პირიქით „აწმყოდან“ „წარსულში“ გადადის, უბრუნდება იმ სიტუაციას, რომელშიც შეიქნა სივრცისა და დროის სისტემები, რომელთა ნულოვანი წერტილები — დროის საწყისი და სივრცის ცენტრი, თან ხვდება ერთმანეთს<sup>22</sup>.

სწორედ აქ ვლინდება არქაული ადამიანის თავისებური აზროვნება, განსაკუთრებული ხედვა, მთელი სამყარო, რომელიც მხატვრულ სახეებშია განსახიერებული, ამ სამყაროს ამერიკელმა მეცნიერმა ტ. გასტერმა „ტოპოკოსმი“ უწოდა. „ტოპოკოსმი“ მოიცავს მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანის მთელ სამყაროს, ავსებულს როგორც სულიერი არსებებით, ასევე უსულო საგნებით. ამ სამყაროს ორმაგი ბუნება აქვს. ერთი მხრივ იგი მტკიცედ არის დაკავშირებული წარსულთან, თავის მითოლოგიურ პროტოტიპთან. მეორე მხრივ, რიტუალის შესრულების დროს, იგი ყოველთვის თავიდან წარმოიშობა, თავიდან იწყებს არსებობას. „ტოპოკოსმი“ რეალურია; ამავე დროს იდეალური. იგი მარადიულია, მაგრამ პერიოდულად კვდება, რათა ისევ აღდგეს და თავიდან დაიწყოს არსებობა<sup>23</sup>.

როგორც ითქვა სამყაროს ცენტრალურ ღერძის, საყრდენი წერტილის მიგნება ადამიანის აზროვნების უდიდესი აღმოჩენა იყო. ფრანგი ეთნოგრაფის ა. ლერუ-გურანის აზრით, ამგვარი შეხედულების შექმნას ხელი შეუწყობინა ცხოვრებაზე და წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ. მისი აზრით, სწორედ ადრემიწათმოქმედ ტომების სულიერ კულტურაში ჩამოყალიბდა სამყაროს გააზრების, ე. წ. სტატიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ქვე-

<sup>19</sup> M. Eliade, The Sacred and the Profane..., გვ. 28.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 21—22.

<sup>21</sup> W. H. Stanner, Religion, Totemism and Symbolism «Aboriginal Man in Australia», Sidney, 1961.

<sup>22</sup> С. Ю. Неклюдов, Особенности изобразительной системы в долитературном и повествовательном искусстве, Сб.: «Ранние формы искусства», М., 1972, с. 192—193.

<sup>23</sup> Th. Gaster, Ritual, Myth and Drama in the Ancient Near East, N. Y., 1950, გვ. 4—5.



ყანა ანუ კოსმოსი შექმნილი იყო სამყაროს ცენტრში, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა<sup>24</sup>.

ე. კასირერი წერს, რომ პრიმიტიული საზოგადოება არ იცნობს აბსტრაქტულად აგებულ სივრცეს. პრიმიტიული სივრცე, ესაა სივრცე იმ მოქმედებისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართულია ადამიანის უმარტივესი პრაქტიკული მიზნების დაკმაყოფილებისაკენ. იგი კონკრეტულია, თვისობრივად განსხვავებული. სამყაროს სწორედ ამგვარი გააზრების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი კოსმიური წესრიგის არსებობის კონცეფცია<sup>25</sup>.

ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების გზაზე ქვეყნის ოთხი მხარის არსებობის აღმოჩენა იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტი. მაგრამ თავიდან, ეს ოთხი მხარე ადამიანის მიერ დამუშავებული მინდვრის მხარეებს ასახავდა. ამასთან ერთად, დროის ასპექტსაც გულისხმობდა — შუადღესა და შუალამეს, მზის ჩასვლასა და ამოსვლას<sup>26</sup>. ადრემიწათმოქმედი ტომების კერამიკაზე ჭვრისა და ჭვრის ტიპის გამოსახულებანი, სწორედ ოთხი მხარის არსებობის იდეას გადმოგვცემდნენ. ამიტომაც, დეკორში მინდვრის იდეოგრამამ მიიღო შემდეგი სახე: ჭვრით გადასერილი კვადრატი, რომლის თითოეულ ნაწილში წერტილებით თესვლია ჩანახტული. მაშინვე შეიქმნა მზის იდეოგრამაც — დისკო, რომელშიც ჭვარია გამოსახული. ამ ნიშანში ნათლად ჩანს დროისა და სივრცის ერთიანობა, დედამიწის კოორდინატების განსაზღვრა, რაც მზის საშუალებით ხდებოდა<sup>27</sup>.

ადრემიწათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში სივრცემ თანდათან იდეალურად მოწესრიგებული სახე მიიღო. სწორედ აქ შემუშავდა სივრცის აგებულების უნივერსალური კონცეფცია, რომლის მხატვრულ სახეს წარმოადგენს სამყაროული, ანუ კოსმიური ხე<sup>28</sup>.

კოსმიური ხე აწესრიგებს სივრცეს და წარმოადგენს სამყაროს ე. წ. ვერტიკალურ კოსმიურ მოდელს. იგი სამყაროს სამ ნაწილად ყოფს, უპირისპირებს ერთმანეთს სამ ძირითად კოსმიურ ზონას — ქვესკნელს, შუასკნელსა და ზესკნელს. ამ სივრცობრივ ზონებს დროითი პარამეტრები შეესაბამება — წარსული, აწმყო და მომავალი, რასაც ხალხის გენეალოგიაც უკავშირდება — წინაპრები, დღევანდელნი და მომავალი თაობა.

კოსმიური ხე, ამავ დროს, სამყაროს ჰორიზონტალურ მოდელსაც ქმნის. ეს არის საკუთრივ ხე და ის ობიექტები, რომლებიც მის ოთხივე მხარეს არიან


<sup>24</sup> A. Leroi-Gourhan, *Préhistoire de l'art occidental*, Paris, 1965, გვ. 155. ავტორის აზრით, უფრო ადრე პალეოლითელთა საზოგადოებაში გავრცელებული იყო სივრცის გააზრების განსხვავებული, ე. წ. ხაზოვანი ანუ დინამიური თვალსაზრისა, რომლის შემუშავება უკავშირდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე გარკვეულ გადაადგილებას. სამყაროზე დინამიური შეხედულება საუკეთესოდ ვლინდება პალეოლითელთა მიერ შექმნილ კედლის მხატვრობაზე, რომლის კომპოზიციებიც ყოველთვის ხაზოვანად არის განლაგებული.

<sup>25</sup> E. Cassirer, *An Essay on Man, An Introduction to a Philosophy of Human Culture*, New-Haven, 1945, გვ. 44—45.


<sup>26</sup> Б. А. Рыбаков, *Космогония и мифология земледельцев энеолита*, СЛ, 1965, с. 31—33.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>28</sup> В. Н. Топоров, *К происхождению некоторых поэтических символов, Ранние формы искусства*, I, 1972, с. 93.



საფრანკო



საფრანკო


ნახ. 1




მედიონი



ფანიკონი



სიბრინძი III



გომესონი

ნახ. 2

ვანლაგებულნი. როდესაც ჩნდება წრიული მოძრაობის იდეა, სამყაროს ხის გაზრებას ემატება კიდევ ერთი განზომილება — სიღრმე<sup>29</sup>.

ვ. ტობოროვი მსოფლიო ხის საშუალებით წარმოდგენილ სამყაროს ვერტიკალურ მოდელს განიხილავს როგორც დინამიური პროცესების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს აღმოცენებას, განვითარებასა და დაკემას. სამყაროს ვერტიკალური ზონები შემდეგნაირად არის სემანტიზირებული: ზედა ნაწილი ხასიათდება დადებითი თვისებებით, ხოლო ქვედა — უარყოფითით.

სამყაროს ჰორიზონტალური მოდელი, რომლისთვისაც განმსაზღვრელია რიცხვი ოთხი (ქვეყნის ოთხი მიმართულება, წლის ოთხი დრო, ოთხი ან ოთხ-სახოვანი ღვთაება და სხვ.) წარმოადგენს სტატიკურ მთლიანობას, იდეალურად მდგრად სტრუქტურას<sup>30</sup>.

თვით კოსმიური ხის „აღმართვა“ ნიშნავს იმას, რომ შეწყვეტილია ქაოსი და სამყაროს ნაწილის შორის დამყარებულია ყველა შესაძლებელი კავშირი<sup>31</sup>.

კოსმიური ხე უაღრესად ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსაზღვრავდა ადამიანის მიერ შექმნილ სამყაროს მოდელს. ამავე დროს იგი იყო უძველესი ხელოვნების წამყვანი თემა. სამყაროს ხე და მისი ალოლეგემენტები — ადამიანის კოსმიური სხეული, სვეტი, მთა, ტაძარი, ხელოვნების ძეგლებზე გადაიქცნენ სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეის გამოხატვის ძირითად საშუალებად.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ადრემიწათმოქმედმა ტომებმა შექმნეს უაღრესად თავისებური ორნამენტული ხელოვნება, რომელიც საკვებით შევსებაზეა ბინადარ ცხოვრებაზე გადასული ტომების ცხოვრების სტილს, მათ მიერ შემუშავებულ შეხედულებებს სამყაროზე, რომლის ცენტრში თვითონ სახლობდნენ, იმ საიდუმლო ძალებზე, რომლებიც განაგებდნენ მათ ცხოვრებას. ამიტომაც არის, რომ ორნამენტულ კომპოზიციებში ყოველთვის საგანგებოდაა გამოყოფილი ცენტრი. ყოველთვის ცენტრშია მოთავსებული ის ძირითადი მოტივი, რომელსაც ყველაზე ძლიერი სემანტიკური დატვირთვა ეძლევა. გარდა ამისა, სწორედ ამ პერიოდის ძეგლებზე გვხვდება ჯვრისა და ჯვრის პრინციპებზე აგებული კომპოზიციები, კვადრატები, სამკუთხედები, სპირალები, რაც სამყაროს სივრცობრივ და დროით გაზრებასთან უნდა აყოს დაკავშირებული. ზოგადად კი, ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი ორნამენტის სიმბოლიკა ყველაზე მეტად დაკავშირებულია ნაყოფიერების იდეასთან, ქალურ საწყისთან. ამიტომაც უმთავრესი ადგილი ნაყოფიერების ქალღვთაებას ეკუთვნის, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეულობის გამრავლებას.


წინა აზიის ადრემიწათმოქმედი ტომების კერამიკაზე ჯვრის გამოსახულება ერთ-ერთ წამყვან მოტივს წარმოადგენს. გარდა ამისა, მთელი კომპოზიციები ხშირად ჯვრის საფუძველზეა აგებული. სწორედ არის შენიშნული, რომ ჯვარი განზოგადებული კოსმოგონიური ნიშანია, რომელიც წარმოგვიდგენს მთელს ქვეყნიერებას, ცისქვეშეთს<sup>32</sup>. ვფიქრობთ, რომ ამ სემანტიკური მნიშვნელობის გამო, ჯვარი შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს ხის ერთ-ერთ ექვივა-

<sup>29</sup> В. Н. Топоров, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 95.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 93—96.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>32</sup> ი. რ. სურგულაძე, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა*, თბ., 1986, გვ. 35.



მეცნიერებათა



2

სამეცნიერო ცენტრი

ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5

ლენტად. ჯვარი, როგორც ნიშანი, სივრცის თავისებური გააზრების შედეგადაა მიღებული. იგი ყოველთვის აღნიშნავს, ერთი მხრივ, სამყაროს ცენტრს, ხოლო, მეორე მხრივ, გადმოგვეცემს სამყაროს მთლიანობის იდეას, მის აკებულებას, წარმოგვიდგენს სამყაროს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მოდელს.

წინა აზიის უძველესი მიწათმოქმედი ტომების კერამიკაზე სამყაროს ხის მოტივი უაღრესად პოპულარულია. იგი ზოგჯერ ხის მცენარეებრივი სახით გვევლინება. მაგრამ უფრო ხშირად, ეს იდეა ჯვრის ტიპის გამოსახულებებით არის გადმოცემული. ჯვრის პრინციპებზე აგებული კომპოზიცია, ზოგჯერ უშუალოდ მცენარეულ მოტივთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ კი ჯვარს რომბისებური და სამკუთხედის სახეები ქმნიან (ნახ. 1, 2).


იენტრალური ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის ხასიათი ადასტურებს, რომ ამ ტომებს გამოუმუშავებული ჰქონდათ საკუთარი შეხედულება სამყაროზე, მის აგებულებაზე, როგორც ჩანს, მათ მიერ შექმნილ სამყაროს მოდელში, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეა იყო გამოსატული. ყურადღებას იქცევს შულავერში აღმოჩენილი მჯდომარე ქალღვთაების თიხისაგან შესრულებული ქანდაკება (ნახ. 3). მისი ვერტიკალური სხეული შემკულია გრაფიკულად შესრულებული სახეებით — ფეხებზე დატანებულია პარალელური ჭდეები, ხოლო სხეულზე გამოსახულია ხე, რომელიც უშუალოდ ქალის საშოდან ამოდის. კომპოზიციის ვერტიკალური ხასიათი და სხეულზე ამოკვეთილი ორნამენტი ქალის ფიგურას ამსგავსებს ხეს. ამ შემთხვევაში ეს ქანდაკება უნდა გავიზაროთ როგორც ქვეყნიერების სიმბოლო, რომელშიც სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის იდეაა ჩადებული.

უაღრესად საინტერესოა მტკვარ-არაქსის კერამიკის დეკორატიული მოტივები. ყველაზე დამახასიათებელ მხატვრულ სახეს წარმოადგენს რელიეფურად შესრულებული, ორმხრივ დახვეული სპირალი, რომელიც ჭურჭელზე სხვადასხვა კომბინაციით არის წარმოდგენილი; სპირალური სახეება ზოგჯერ ერთმანეთთან დაკავშირებულია ჰორიზონტალური ხაზით, ზოგჯერ კი სპირალი ვერტიკალური სვეტის დაბოლოებას წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც სპირალები ერთმანეთს უკავშირდებიან სამკუთხედის ფორმით. ზოგჯერ სპირალებს შორის განლაგებულია წვეროებით ერთმანეთისაკენ მიმართული სამკუთხედები (ნახ. 4). ჩვენი აზრით, ამ კერამიკისათვის დამახასიათებელი ორმხრივ დახვეული ე. წ. სათვალისებრი სპირალი „სამყაროს ხის“ გამოსახულებას წარმოადგენს და გადმოგვეცემს სამყაროს ვერტიკალური აგებულების იმ დროისათვის უნივერსალურ კონცეფციას.

მტკვარ-არაქსის კერამიკაზე გავრცელებულია აგრეთვე ჯვრის გამოსახულება, რომლის ოთხივე მხარე დახვეული სპირალით არის დამთავრებული (ნახ. 5). უნდა ითქვას, რომ სპირალური ორნამენტი უძველესი ხელოვნების უაღრესად გავრცელებული სახეა. მრავალფეროვან კომპოზიციებში სპირალი. ჯვართან ერთად, ხშირად ქმნის ძირითად მოდულსა და პირველად კონსტრუქციულ ელემენტს. მბრუნავი ჯვარი, გააზრებულია, როგორც დაუსრულებელი, მუდმივი მოძრაობის სიმბოლო<sup>33</sup>. ჩვენი აზრით, ეს მხატვრული სახე ყველაზე სრულად ავლენს უძველეს საზოგადოებაში დროისა და სივრცის არქიტაპის

ერთიანობას. ერთი მხრივ იგი წარმოგვიდგენს ორგანიზებულ სივრცეს, სამყაროს, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სტრუქტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, გადმოგვცემს მოძრაობის, მარადიული განმეორებადობის, დროის ციკლურობის იდეას. ნიშანდობლივია, რომ მესობოტამიისა და ირანის უძველესი მიწათმოქმედი ტომების კერამიკაზე ხშირად გვხვდება ჯვრისა და ტრიალის პრინციპზე აგებული კომპოზიციები, სადაც ჯვრის, ანუ სამყაროს ცენტრის გარშემო წრიულად მოძრაობენ ღვთაებები და სხვადასხვა ცხოველები. ეს კომპოზიციები გადმოგვცემენ ისევ და ისევ სამყაროს მთლიანობასა და ამ სამყაროში გაბატონებული დროის ციკლურობის იდეას<sup>34</sup>.

ჩვენი ყურადღება მიიქცია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელმა დიდი ზომის ბრინჯაოს საკინძებმა — ისინი წარმოადგენენ ვერტიკალურ სვეტს, რომლის ბრტყელი, რკალისებური მოყვანილობის თავის ორივე ბოლო ხვეულებით არის დამთავრებული (ნახ. 6,1) საკინძების ეს ტიპი მიჩნეულია ადგილობრივ ჩამოყალიბებულ ბრინჯაოს ნაწარმად. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებულია, ამავე ფორმის მცირე ზომის საკინძები. გარდა ამისა ისიც, რომ ორმხრივ დახვეული



ნახ. 6

34 შდრ. ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

სპირალის მოტივი ფართოდ არის გავრცელებული კერამიკაზე<sup>35</sup>. ამ საკინძაბის დიდი ზომა მათ პრაქტიკულ გამოყენებას ეკვემვეშ აყენებს. უფრო საფიქრებელია, რომ მათ საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. ისინი, ალბათ, საკულტო „დროშების“ როლს ასრულებდნენ და განსახიერებდნენ სამყაროს ხეს, მათ მიერ შექმნილ სამყაროს მოდელს.

მტკვარ-არაქსის ტომების მიერ შემუშავებულ სამყაროს მოდელს საესკებით შესაბამებოდა მათი რელიგიური პანთეონი. ისინი თავყვანს სცემდნენ დედამიწას, რომელიც ქალის სახით წარმოიდგინებოდა და კერაში იყო განსახიერებული. იგი წყლების მფარველიც იყო და მზის კულტსაც მოიცავდა; იმ გავებით, რომ მზის თავდაპირველ სამყოფელს ქვესკნელი წარმოადგენდა<sup>36</sup>:

დედამიწის ქალღვთაების ღვთაებრივ წყვილს ზეცის განმგებელი მიამაკცი ღვთაება შეადგენდა. რომელიც წვიმის საშუალებით ანაყოფიერებდა მიწას, ამ ღვთაების ძირითად ემბლემას კერის ზესადგარები წარმოადგენდნენ. ზეცის მიერ დედამიწის განაყოფიერების შემდეგ თავიდან იწყებოდა სიკოცხლე; ჩნდებოდა მცენარეულობა, იმ განახლებული სამყაროს სიმბოლოს წარმოადგენდა სამყაროს ხე, რომლის გამოსახულება კერის სადგარებში მაგრდებოდა<sup>37</sup>.

ცხადია, რომ მტკვარ-არაქსის ტომების პანთეონში გააზრებულია მთელი სამყარო, რომელიც ვერტიკალურ ხაზზეა ორგანიზებული. ზედა სამყაროს მამაკაცი ღვთაება წარმოგვიდგენს, ხოლო ქვედას, — რომელიც ერთდროულად შემქმნელიც არის და მომსპობიც<sup>38</sup>, — დედამიწის ქალღვთაება.

ადრემიწათმოქმედი ტომების კერამიკაზე ხშირად გვხვდება სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებანი. მესობოტამიაში, სამარასა და ხალაფის ჭურჭელზე გამოხატულია გარეული თხები, ფრინველები, ხარები, ირმები, ვეფხვი, გველი<sup>39</sup>. ირანში, სუზა 1 კერამიკაზე ასახულია გარეული თხების, ირმების, გველებისა და ფრინველის ფიგურებისაგან შემდგარი კომპოზიციები<sup>40</sup>. სიალკის ჭურჭელზე — გარეული თხები, ირმები, ვეფხვი, გველი, ფრინველი, ხარი<sup>41</sup>. ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ჭურჭელზე ხშირად ვხვდებით ირმების, ფრინველის, გველის გამოსახულებებს. რიგ შემთხვევაში, კერამიკაზე ეს ფიგურები ერთეული სახით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ისინი გაერთიანებულია მრავალფიგურიან კომპოზიციებში.

ადრემიწათმოქმედი ტომების კერამიკისათვის დამახასიათებელი ცხოველთა სახეები ავლენენ ამ კულტურის ერთ საერთო თავისებურებას, რომელიც საერთოდ არქაული ხელოვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად უნდა იყოს მიჩნეული. საზოგადოება, რომელიც გადასულია წარმოებით მეურნეობაზე, დიდი ხანია მისდევს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მხატვრულ შე-

<sup>35</sup> K. X. Кушнарева, Т. Н. Чубинашвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, с. 127.

<sup>36</sup> V. Haas, Magie und Mythen in Reich der Heithiter, Hamburg, 1974, გვ. 48-49.

<sup>37</sup> მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982, გვ. 106—107.

<sup>38</sup> М. М. Бахтин, Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса, М., 1965, с. 26.

<sup>39</sup> B. L. Goffi, Symbols of Prehistoric Mesopotamia, London, 1963, ნახ. 75—90.

<sup>40</sup> В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, М.—Л., 1964, с. 377, 379.

<sup>41</sup> R. Ghirshman, Fouilles de Sialk, vol. 1—2, 1938.

მოქმედებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარეულ ცხოველებს, ფრინველებსა და ქვეწარმავლებს; ე. ი. (ისეთ ცხოველებს, რომლებიც მას სამეურნეო ცხოვერებაში არავითარ როლს არ ასრულებენ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სივრცის არაერთგვაროვნების მივანება, ადრემიწათმოქმედი ტომების ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა იყო. ამას შედეგად, სამყარო მათთვის ორ ნაწილად გაიყო: ისინი იცნობდნენ „თავის“ ქვეყანას, ე. ი. იმ ქვეყანას სადაც თვითონ სახლობდნენ. გარშემო კი მათდამი მტრულად განწყობილი „უცხო“ ქვეყანა არსებობდა, სადაც ზებუნებრივი ძალები ბატონობდნენ, როგორც კეთილები, ასევე ბოროტები. ამიტომაც ფიქრობს ი. ლოტმანი, რომ ღვთაებათა გარეგნობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სივრცის რაგვარ დანაწევრებას იყენებდა ეს საზოგადოება<sup>42</sup>. ამ უცხო სამყაროში სხვადასხვა ცხოველებიც სახლობდნენ. ადამიანსა და ცხოველთა სამყაროს შორის დამოკიდებულება ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოახერხა სივრცის გააზრება, შეიმუშავა სამყაროს მოვლი, მსოფლიო ხის საშუალებით გამოხატა სივრცის აგებულების უნივერსალური ვერტიკალური სტრუქტურა., ცხოველთა სამყაროს მისთვის, ალბათ, უფრო გასაგები გახდა, ერთგვარად მოწესრიგდა კიდევ — ქვესკნელში ქვეწარმავლები და თევზები მოთავსდნენ, შუასკნელს რქოსანი ცხოველები და ძაღლები (უფრო გვიან ადამიანიც) დაუკავშირდნენ, ხოლო ზესკნელს — ფრინველები. ამგვარად, უძველესი მითოლოგიური კოდი, რომელიც ცხოველებში იქნა ჩადებული, სწორედ სივრცის გააზრებასთან იყო დაკავშირებული.

აქვე გვინდა შევეხოთ მაგალითური კულტურის საინტერესო ძეგლებს ე. წ. ვეშაპოიდებს, რომლებიც კავკასიაში სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ძვ. წ-ის III ათასწლეულში იყვნენ გავრცელებულნი. ისინი წარმოადგენენ მონოლითურ სვეტებს, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ სამ მეტრამდე აღწევს. ამ სვეტებზე ხშირად სხვადასხვა სიმბოლოებია გამოხატული — ფრინველები, ძაღლი, გველი, ასტრალური ნიშნები (ნახ. 6). ცხადია, რომ ეს მაგალითები მთლიანობაში წარმოგვიდგენენ იმდროინდელი ადამიანის მთელ სამყაროს, მის ვერტიკალურ კოსმიურ მოდელს, რომელიც სამყაროს ტრიხოტომული დანაწილების იდეას გამოხატავს. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა ძეგლზე, არასოდეს არაა ასახული კონკრეტული სივრცე, რაიმე მინიშნების პეიზაჟზე. ყველა შემთხვევაში, მხატვრულ ძეგლებზე გადმოცემულია კოლექტივის განზოგადებული შეხედულება სამყაროზე და მის აგებულებაზე.

ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილმა კულტურამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დამკვიდრებამ, მეტალურგიის განვითარებამ ძირფესვიანად შესცვალა ადამიანის ცხოვრება და ამ საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობა გამოავლინა. სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა პირველი კულტურული ეტალონები, რომლებიც სწრაფად გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ადრემიწათმოქმედმა ადამიანმა პირველად გააზრა სამყარო, მისი უმთავრესი პარამეტრება — სივრცე და დრო, გამოიმუშავა დროის ციკლურობის კონცეფცია, იდეალურად მოწესრიგებული

<sup>42</sup> Ю. М. Лотман, О метаязыке типологических описаний культуры, т. 36, вып. 4, 1989, с. 469.



სახე მისცა სივრცეს და რაც მთავარია, განსაზღვრა თავისი ადგილი სამყაროში — ადამიანებით დასახლებული ქვეყანა სამყაროს ცენტრში მოადავსა. ადამიანი მოახერხა ცხოველთა უმარტივესი კლასიფიკაციის შექმნა, რაც მის მიერ სივრცის თავისებური გაზრებიდან გამომდინარეობდა. ეს იყო ემპირიულ გამოცდილებაზე დამყარებული, ადამიანის მიერ მიღებული ერთ-ერთი პირველი ცოდნა, სამყაროს სტიქიური ათვისების გზაზე.

ადრემიწათმოქმედი ტომების და, კერძოდ, მტკვარ-არაქსელეზის მიერ შექმნილი სამყაროს მოდელი მიგვაჩნია ამ ეპოქის სულეირი კულტურის უმთავრეს მიღწევად. მან მტკიცედ მოიპოვა თავისი ადგილი, დიდი ხნით დამკვიდრდა და გარკვეული ცვლილებებით თვით ქრისტიანობის შემოსვლამდე მოაღწია.

М. Ш. ХИДАШЕЛИ

## ВРЕМЯ И ПРОСТРАНСТВО В ДУХОВНОЙ КУЛЬТУРЕ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКИХ ПЛЕМЕН ЦЕНТРАЛЬНОГО ЗАКАВКАЗЬЯ

Резюме

Для духовной культуры архаического общества характерен всеобщий художественный синкретизм, в котором все формы общественного сознания создают т. н. первобытный синкретический культурный комплекс, полностью обусловленный мировосприятием той эпохи — мифологией. В этой культуре Время и Пространство — неразделенный хронотип, выступающий в качестве могущественных таинственных сил.

С установлением оседлости и производящего хозяйства начинается осмысление окружающего человека мира, его основных параметров — времени и пространства. Время подчиняется циклическому восприятию жизненных явлений, пространство приобретает черты идеально организованной системы, создается образ Мирового дерева, которое является центральной фигурой как «вертикальной», так и «горизонтальной» космической модели.

Создание племенами куро-аракской культуры модели мира является основным достижением духовной культуры этого общества. Эта модель прочно утвердилась и просуществовала вплоть до приятия христианства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილებამ

ბიოგრაფიული

სახენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც  
სამხედრო-საისტორიო წყარო

„ცხოვრება მეფეთა“ XVIII ს-ის ქართული ნარატიული ძეგლია. მასში აღწერილია 1653—1739 წწ. სამხედრო-პოლიტიკური ამბები. თხზულების ავტორი, სახენია ჩხეიძე, პროფესიონალი სამხედრო პირი იყო, XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის დასაწყისის ომების მოწმე და მონაწილე. სწორედ ამ ომების აღწერას მიუძღვნა მან, თითქმის მთლიანად, თავისი ნაშრომი. ბიოგრაფიული მონაცემები ს. ჩხეიძის შესახებ, ძირითადად, მისსავე თხზულებაშია შემორჩენილი. პირველად იგი თავის თავს 1687 წლის ამბებთან დაკავშირებით ახსენებს, როდესაც მონაწილეობა მიიღო გიორგი XI-ის (1676—1688, 1703—1709 წწ.) გალაშქრებაში არაგვის საერისთავოზე<sup>1</sup>. სახენია ჩხეიძის მთელი შემდგომი ცხოვრებაც მდიდარია სამხედრო თავგადასავლებით, როგორც საქართველოში, ასევე ირანში, სადაც იგი ბატონიშვილი ქაიხოსროს აპალასთან ერთად გაემგზავრა 1696 წ.

ს. ჩხეიძე თავისი დროისათვის, განათლებული ადამიანი იყო, კარგად იცნობდა ძველ ქართულ საისტორიო ლიტერატურას. მაგრამ, როგორც მეომარსა და ფეოდალს, მას, განსაკუთრებით, სამხედრო საკითხები აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრება მეფეთა“ სამხედრო-ისტორიული ფაქტების განუწყვეტელ ჩამოთვლას წარმოადგენს. ამ ცნობების მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ ავტორი წერილობითი პირველწყაროებით კი არ სარგებლობდა (ასეთები მას, სავარაუდოა, არც გააჩნდა), არამედ აღწერდა საკუთარი თვალთ ნანახს, ხოლო ზოგჯერ კი იშველებდა სხვა უშუალო მოწმეების მონათხრობს. მისი თხზულების დამახასიათებელია ნიშანია, აგრეთვე, ქრონოლოგიური მონაცემების სიუხვე, რითაც „ცხოვრება მეფეთა“, ადრინდელი ქართული ნარატიული ძეგლებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

უკანასკნელად ს. ჩხეიძე თავის თავს ახსენებს 1723 წ. დასაწყისის ამბების აღწერისას, როდესაც იგი ვახტანგ VI-ის (1716—1724 წ.წ.). პეტრე დიდთან ურთიერთობის გამო განრისხებულმა შაჰმა დილეგში ჩააგდო<sup>2</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, ტყვეობა დიდხანს არ გავრძელებულა. „ცხოვრება მეფეთა“-ში 1723 წ. კონსტანტინე-მამკლდუფლი-ხანის მიერ თბილისის აღების აღწერა, უშუალო მოწმის მიერ აღწერილს წააგავს. როგორც ჩანს, ს. ჩხეიძე ვახტანგ

<sup>1</sup> ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, წიგნი — საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

VI-საც ვაპყობია რუსეთში, თუმცა იგი სამეფო ამაღის წევრთა სიების შემორჩენილ ნაწილებში არსად მოიხსენიება. ეს მოჩანს მისი ცნობებიდან, სადაც ქართლის მეფის პეტერბურგისაკენ მგზავრობაა აღწერილი. ეს აღწერილობა შეიცავს ზოგ ისეთ უმნიშვნელო წერილმანს, რომელიც მხოლოდ თვითმხილველს თუ დაამახსოვრებოდა. ავტორი არც აქ ღალატობს თავის ინტერესს სამხედრო საქმისადმი, მის თხზულებაში ბევრი დეტალური ცნობაა კახტანგის დასახვედრად გამოსული რუსული ჯარის ნაწილების შესახებ<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ უარყოფითად აფასებდა „ცხოვრება მეფეთა“-ს, სწორედ მისი ავტორის სამხედრო აღწერილობებისადმი მისწრაფების გამო. „თხზულება საზოგადოდ შინაარსის მხრივ მეტად ერთფეროვანია, — წერდა იგი, — მოთხრობა თითქმის განსაკუთრებით მკვეთა პოლიტიკურს და სალაშქრო თავგადასავალს ეხება. ავტორი ომისა და ვაეკაცობის დიდი მოტრფიალეა და თვითოეულის შემთხვევით სარგებლობს, რომ დაწვრილებით და აღტაცებით აგვიწეროს ისეთი ლაშქრობაც — კი, რომელიც სპარსეთში მომხდარა და საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს“<sup>4</sup>. მეცნიერი, თვითონ სენია ჩხეიძესაც მკაცრად ახასიათებს ხოცვა-ჟლეტვის სცენების დეტალური აღწერების გამო<sup>5</sup>. მართლაც, „ცხოვრება მეფეთა“-ში გვხვდება ადგილები, რომლებიც შუა საუკუნეების ყველაზე სასტიკ ზნე-ჩვეულებებს გვახსენებენ. მაგალითად, „რა გათენდა, მართავეს თავი ხუთას ორმოცი, აქაცა და იქაცა ააშენა თავების მინარა, თითო ოც-ოცა წყრთა“<sup>6</sup>. აუღელვებლად მოგვითხრობს ს. ჩხეიძე, თუ რა გზით დაამყარა „წესრიგი“ გიორგი XI-მ ყანდაარის ოლქში: „საითყენაც ურჩი იყო გაუსედეცის ჯარსა და უყვის ყათლამი, ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგი კბილები დააძურის და თავზე დაარქვის“<sup>7</sup>. „ცხოვრება მეფეთა“-ში სხვა მსგავსი ადგილები მოიპოვება. მაგრამ, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის ამის გამო ავტორი გულბოროტ პიროვნებად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ ასეთი ადგილები „ცხოვრება მეფეთა“-ში მაინც, არც თუ ისე ბევრია. არ შეიძლება ავრთვე, XVIII ს-ის თხზულებას თანამედროვე საზომებით მივუდგეთ. პირიქით, ს. ჩხეიძეს, ჰუმანური, ან რაიმე სხვა მოსაზრებებით, რომ დაემალა ეს ფაქტები და ამით შეეღამაზებინა თავისი დროის სინამდვილე, მისი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა უფრო ნაკლები იქნებოდა.

ჩვენს ავტორს, ფეოდალური ომის აღმწერელს, მართლაც უყვარს ამა თუ იმ მეომრის, და განსაკუთრებით ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლების საბრძოლო მამაცობის ჩვენება. მაგრამ ამავე დროს იგი მოწინააღმდეგის გმირობასაც არ ჩქმალავს. მაგალითად, მისი მოთხრობა გულადი ბელუჯის შესახებ, რომელმაც მარტომ გაარღვია მტრების რკალი, მოჰკლა რამდენაე მათგანი და ხმალი შემოჰკრა თვით სენიასაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს „ცხოვრება მეფეთა“-ს ავტორის არატენდენციურობას<sup>8</sup>.

3 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

4 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 360—361.

5 იქვე, გვ. 361.

6 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

7 იქვე, გვ. 22.

8 იქვე, გვ. 15—16.

ვერ დავეთანხმებით, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის იმ სიტყვესაც, რომ ს. ჩხეიძის მიერ აღწერილი სპარსეთში მომხდარი ომები, საქართველოსთან არავითარ კავშირში არ არიან. ჩვენი აზრით, რადგანაც ამ ომებში მონაწილე ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს ქართველთა რაზმები შეადგენდნენ, ხილო ყველა საბრძოლო ოპერაციებს ირანის მხრიდან, ქართველი მეფეები და ბატონიშვილები სარდლობდნენ, თამამად შეგვიძლია ეს ომები საქართველოს ისტორიასაც მივაკუთვნოთ და მათ შესახებ არსებული ცნობები გამოვიყენოთ საქართველოს სამხედრო ისტორიის შესასწავლად.

ს. ჩხეიძე დიდი რაოდენობით ფაქტობრივ მასალას გვაწვდის აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე მომხდარი ომების შესახებ XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში. ეს არის მეფეთა ბრძოლა მეამბოხე თავადების წინააღმდეგ, ძმათაშვილები ომები ქართლსა და კახეთს შორის<sup>9</sup>. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობლებთან: გიორგი XI-ის აჯანყებას სეფიანთა წინააღმდეგ<sup>10</sup>, ბრძოლას ოსმალთა ოკუპანტებთან 1723—1735 წწ.<sup>11</sup>, ხოლო შემდეგ კვლავ ირანელებთან<sup>12</sup> და სხვ.

შინაფეოდალური ომებისა და ირანელ და თურქ დამპყრობლებას შემოსევათა ფონზე XVIII ს-ის პირველ ნახევარში, სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა და საშიშ სახეს იღებდა, დაღესტნელი ხალხების გვაროვნული და ფეოდალური ზედაფენის მიერ მოწყობილი თავდასხმები. თუ ადრე ლეკთა თარეში მხოლოდ კახეთის განაპირა მხარეებს ემუქრებოდა, XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან, ხელსაყრელი პირობების გამო, იგი თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მოედო. ხშირად ლეკებს თვითონ ქართველი ფეოდალები იწვევდნენ, რათა მათი მეშვეობით ანგარიში ესწორებინათ თავიანთ პეტოქეებთან. დაღესტნელთა რაზმების გამოყენებას მუდამ ცდილობდნენ, აგრეთვე თურქთა და ირანელი ხელისუფლები. მათი პოლიტიკა მთიელთა მიმართ ორგვარ ხასიათს ატარებდა: ჯერ ერთი, როგორც აღენიშნეთ, ყიზილბაშები და ოსმალები ცდილობდნენ ლეკების სამხედრო ძალა გამოეყენებინათ თავისი მოწინააღმდეგეების, მათ შორის, ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ, მეორე მხრივ, ლეკთა თარეში ძირს უთხრიდა მათ საკუთარ ბატონობასაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ამიტომ, ირანელი და ოსმალი გამგებლები, გაიმაგრებდნენ თუ არა, მეტ-ნაკლებად, აქ თავის პოზიციებს, ბრძოლას იწყებდნენ მთიელთა წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში დამპყრობლები ცდილობდნენ ლეკებთან ომში ქართველების გამოყენებასაც.

„ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს დიდ მასალას აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეშისა და მასთან ბრძოლის შესახებ<sup>13</sup>. ეს ცნობები კვირვნივნივ თავდასხმების ხასიათსა და მათი არეალის თანდათანობით გაფართოვებას. ქართველები ლეკებს ებრძოდნენ, როგორც შემოჭრილი რაზმების დევნა-მოსპობის გზით, ასევე ამიერკავკასიაში მათი მთავარი ბაზის, ქარბელაქნის წინააღმდეგ ლაშქრობების მოწყობით. თუკი პირველ შემთხვევაში წარმატება ხშირი იყო,

<sup>9</sup> ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3—7, 35—36.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 37, 38, 45, 46.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 48, 49.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 32, 33, 40—43 და სხვ.

მეორე — რიგი მიზეზების გამო, — უშედეგო აღმოჩნდა. ამაში ბრალი, მნიშვნელოვანწილად, ირანელ და თურქ ხელისუფლებს მიუძღოდნენ. მაგალითად, ს. ჩხეიძის ცნობით, ვახტანგ VI-მ, 1921 წ., შაჰის სურვილით ქარეულებს ომი აუტეხა, მაგრამ მალე ირანიდან საპატიო ხალათი და განკარგულება მიიღო შეეწყვიტა წარმატებით დაწყებული ლაშქრობა. მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ყაენს ქართველების გაძლიერებისა ეშინოდა, ჭარის დამორჩილების შეპოხვევაში. ქარელთა დასჯა მან შირვანის ხანს დაავალა, რომელიც მალე დამარცხდა და მოკლული იქნა ლეკთა მიერ. ამის შემდეგ მთიელთა თარეში კიდევ უფრო გახშირდა<sup>14</sup>.

გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ს. ჩხეიძე, აგრეთვე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, „ცხოვრება მეფეთა“-ში გარკვეული ცნობებია დაცული ვახტანგ VI-ის განჯისაკენ გალაშქრების შესახებ, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა პეტრე დიდის ჯარებთან შეხვედრა შირვანის ტერიტორიაზე<sup>15</sup>.

განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღწერილი ს. ჩხეიძის თხზულებაში ქართველთა სამხედრო საქმიანობა ირანში, XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში. მეტადრე ეს ეხება იმ მოვლენებს, რომლებშიც თვით სეხნიას ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

სეფიანთა სახელმწიფოში ქართველები დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ქართლის მეფე, შაჰის შემდეგ ერთ-ერთ უმნაშვნელოვანეს პირად ითვლებოდა. ბევრმა წარჩინებულმა ქართველმა ირანის სახელმწიფოს სამსახურში მაღალ თანამდებობას მიაღწია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველთა როლი სეფიანთა სამხედრო ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის (1587—1629 წწ.) მიერ შექმნილ რეგულარულ ჯარში, ლუღამთა 10 ათასიანი ცხენოსანი კორპუსი მეტწილად ქართველებისაგან შედგებოდა. ამის გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოების ლაშქარიც ხშირად მონაწილეობდა სეფიანთა ომებში. ირანის სამხედრო ძლიერების დაცემასთან ერთად, სეფიანთათვის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ქართული რაზმების მნიშვნელობა. ეს უკვე ძველი ლულამები კი აღარ იყვნენ — ირანული არმიის შემომრები, არამედ უშუალოდ ქართული ჯარები, ჩამოყალიბებულნი და შეიარაღებულნი საქართველოში, თავისი მეთაურებითა და სარდლებით. ისინი სპარსეთში უკვე საბრძოლოდ გამზადებულნი ჩადიოდნენ და როგორც ჩანს, ორკანონიზაციულადაც არ შედიოდნენ ყიზილბაშთა არმიის რიგებში, თუმცა, რა თქმა უნდა, სეფიანთა ინტერესებს ემსახურებოდნენ. ქართველები, არაიშვიათად, ნებაყოფლობით მიდიოდნენ ამ სამსახურში. თავადაზნაურებს იგი უქადდა: შაჰის საჩუქრებსა და ჯამაგირს, დავლასა და სახელს. „გვქონდა მორემა და მოვლენა, ლხინი და ნადირობა, ბურთობა და ყაბახის სროლა“ — წერს ამის შესახებ სეხნია<sup>16</sup>.

აღმოსავლეთ ირანის პროვინციები, იმ დროს, ავღანელ და ბელუჯ ფეოდალთა თარეშის ასპარეზს წარმოადგენდა, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ თავისი ხალხის ბრძოლას სეფიანთა ბატონობის წინააღმდეგ. მარბიელი რაზმების მოგერიება და აჯანყების ჩაქრობა, შაჰმა სულთან-ჰუსეინმა

14 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—34.  
15 იქვე, გვ. 34.  
16 იქვე, გვ. 18.

(1694—1722 წწ.) ქართველებსა და გიორგი XI-ს დაავალა, რომელაც სეფიანთა არმიის მთავარსარდლად და რიგი აღმოსავლური ოლქებას გამგებლად დანიშნა.

ს. ჩხეიძემ მონაწილეობა მიიღო ირანულ-ქართული ჯარების მრავალ საბრძოლო ოპერაციაში. ზოგიერთი მათგანი მას მეტად დაწვრილებით აქვს აღწერილი. საბრძოლო მოქმედებები, მეტწილად, ქერმანისა და სისტანის უდაბურ ადგილებში მიმდინარეობდნენ. ადამიანებიცა და ცხენებიც ძალიან იტანჯებოდნენ სიციხის, უწყლობისა და საკვების უქონლობის გამო. მომთაბარეთა მსუბუქი რაზმების დევნაში ქართველებს მრავალდღიანი მარშების მოწყობა უზღებოდათ უკიდევანო, დაუსახლებელ და უწყლო ტერიტორიებზე, მათთვის სრულიად უცხო ქვეყანაში. „ბიბანსა შიგან სიარულმა შეგვაწუხა... ის ალაგები გზითაც არავის გაველო, არამ-თუ საომრად ვინ წავიდოდა“. — ჩივის სენხია<sup>17</sup>. უდაბნოებში ომის აღწერა „ცხოვრება მეფეთა“-ს ერთ-ერთი სპეციფიკური მხარეა, რასაც აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება სამხედრო ისტორიის მკვლევარმა.

„ცხოვრება მეფეთა“-ში კარგად მოჩანს სეფიანთა სამხედრო ძლიერების დაცემა. მათი ერთადერთი რეალური ძალა ქართული რაზმებილა რჩებოდა. ისპაჰანის მცხოვრებთა აჯანყების ჩაქრობაც კი, 1707 წ. სულთანაბუსეინმა ქართველებს მიანდო<sup>18</sup>. ყიზილბაშთა და ავღან-ბელუჯთა სამხედრო თვისებების შედარებისას ს. ჩხეიძე, ამ უკანასკნელთ, აშკარა უპირატესობას ანიჭებს<sup>19</sup>. „ცხოვრება მეფეთა“-ში ვხედავთ, რომ ირანელებს, მათი მოწინააღმდეგენი: ლეკები, ავღანელები, ბელოუჯები — არად აგდებდნენ<sup>20</sup>. ამავე დროს ქართველთა სამხედრო თვისებებს, ეს ხალხები, რომლებიც არაერთხელ შეხვედრიან ჩვენს წინაპრებს, ბრძოლის ველზე, მალა აყენებდნენ<sup>21</sup>. ს. ჩხეიძის მონაცემებს ქართველების სამხედრო რეპუტაციის შესახებ კავკასისა და წინა აზიის ხალხებში კარგად აღსატურებენ სხვა იმდროინდელი წყაროები<sup>22</sup>.

შემდეგ „ცხოვრება მეფეთა“-ში აღწერილია გიორგი XI-ის მმართველობა ყანდაარში და მისი დაღუპვა 1709 წ.. ქართველთა რაზმის ძნელი გადასვლა ყანდაარიდან გირიშკამდე, მოხსენიებული. აგრეთვე, სხვა წყაროებში, მეფე ქაიხოსროს ლაშქრობები ავღანელებზე და სხვ.<sup>23</sup>

ხანგრძლივ და მძიმე ომებს მრავალი სიცოცხლე ეწირებოდა და აღმოსავლეთში მყოფი ქართული ლაშქარი საჭიროებდა პერიოდულ შევსებას. ს. ჩხეიძე გვაცნობს ქართლში შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბების შესახებ რიცხვით 1000 კაცამდე და მეტი, ირანში გასავზავნად<sup>24</sup>.

„ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს გარკვეულ მასალას აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ძალების ორგანიზაციისა და სტრუქტურის შესახებ. მოხსენ-

17 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

18 იქვე, გვ. 24.

19 იქვე, გვ. 16.

20 იქვე, გვ. 12, 32.

21 იქვე, გვ. 12, 32.

22 იხ. О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966 с. 101.

23 ს. ჩხეიძე, გვ.

24 იქვე, გვ. 4, 20, 24.

ნიებულია სადროშოები<sup>25</sup>. ლაშქარი ძირითადად მხედრებისაგან შედგებოდა, რომლებიც ცხენებზეცა და ქვეითადაც იბრძოდნენ. წინა დროსთან შედარებით ძალზე გაზრდილი ჩანს ჯარების აღჭურვილობა ცეცხლსასროლი იარაღით, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ბრძოლის ფორმებზე. თხზულებაში ხშირია ხანგრძლივი და ძლიერი თოფის სროლის ხსენება. მაგალითად, „დაგვიწყეს სროლა, ...თავიან თქვენთან, ასე მოდიოდის ფინდიხისაგან ფოაოლი, ხშირი წვიმა ყოფილ იყო“, „იყო სროლა დილითგან შუალამემდი“ და ა. შ.<sup>26</sup>. იხსენიება თბილისის ციხის ზარბაზნებიც<sup>27</sup>. ამასთან ერთად, XVIII ს-ის დასაწყისამდე კიდევ ფართოდ იყენებდნენ მშვილდ-ისარს. ს. ჩხეიძის ცნობით, მშვილდ-ისარი განსაკუთრებით მეთაურთა შემადგენლობაში ინარჩუნებდა პოზიციებს<sup>28</sup>. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე, იმ პერიოდის ცეცხლსასროლი იარაღის არასრულყოფილება.

მნიშვნელობას ინარჩუნებდა შუბიც, ქართული ცხენოსანი ლაშქრის მთავარი იარაღი საუკუნეების მანძილზე<sup>29</sup>. ხელჩართულ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხმალს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ცხენით, ასევე ქვეითად ომში<sup>30</sup>. თავდასაცავი აღჭურვილობიდან „მეფეთა ცხოვრება“-ში მოიხსენიება ფარი. ფარი კარვად იცავდა მებრძოლს ცივი იარაღისაგან, მაგრამ თოფის ტყვიას იგი ვერ აკავებდა<sup>31</sup>.

ს. ჩხეიძე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როგორც წესი, არ აღწერს დაწვრილებით სამხედრო წყობას, მხარეთა მოქმედების ხერხებსა და ფორმებს. მაგრამ, სამაგიეროდ, მას იმდენი ცნობა აქვს სხვადასხვა ბრძოლასა და შეტაკებაზე, რომ ეს, რამდენადმე ანაზღაურებს მისი თხრობის ლაკონურობას. ყველა ეს ცნობა, ერთად აღებული, წარმოდგენას გვიქმნის ტაქტიკის შესახებ. ასე, რომ „ცხოვრება მეფეთა“-ს ფრაგმენტური ცნობების შეჯერებით, შეიძლება იმდროინდელი საბრძოლო მოქმედებათა ფორმების აღდგენა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მებრძოლი მხარეები საკუთარი განლაგებარს დასაცავად ყარაულს გამოჰყოფდნენ, მოწინააღმდეგეს ზვერავენ, ზოგჯერ მხვერავები მთავარ ძალებს რამოდენიმე დღის სავალით უსწრებენ წინ<sup>32</sup>. ბრძოლები მიმდინარეობს დანაწევრებული საბრძოლო წყობით. გვხვდება ძალთა ორი, სამი და მეტი ელემენტებისაგან შემდგარი საბრძოლო დაწყობა. ფართოდ იყენებენ შემოვლასა და გარშემორტყმას.<sup>33</sup> სუსტი მხარე, როგორც წესი, ბრძოლაში იყენებს საველე სიმაგრეებს (სანგრებს, საფრებს, ქვის ყორეებს, ადგილზე არსებულ ნაგებობებს). მათ ჩამოქვეითებულნი უტევენ. ძალების ნაწილი რეზერვშია დატოვებული, კონტრიერიშის მოსაგერიებლად<sup>34</sup>. ხშირია ღია ბრძოლისაგან თავის არიდების შემთხვევები და მოულოდნელი თავდასხმების

25 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

26 იქვე, გვ. 5, 41, 42.

27 იქვე, გვ. 35.

28 იქვე, გვ. 13, 26.

29 იქვე, გვ. 5, 6, 13, 16, 28.

30 იქვე, გვ. 15, 16, 26.

31 იქვე, გვ. 12.

32 იქვე, გვ. 12, 14, 17, 28.

33 იქვე, გვ. 15, 43.

34 იქვე, გვ. 15, 43.

მოწყობა მტრის ცალკეულ რაზმებზე და საყარაულო პოსტებზე. მაგალითად, გიორგი XII-ის სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, ს. ჩხეიძის ცნობით, „ეცემოდინ ჩვენის ჯარის კაცი, იმით მონაპირეს კაცსა გააქცევდიან, დახოცდიან“<sup>35</sup>.

„ცხოვრება მეფეთა“ გვიჩვენებს, აგრეთვე, სამხედრო ემშაკობის ფორმებსა და ხერხებს. როგორც ცნობილია, სამხედრო ემშაკობა, ეს არის ფანდი, ხრიკი, რომლის დანიშნულებაცაა შეაციდინოს მოწინააღმდეგე, მცდარ გზაზე დაყენოს იგი. მისი მეშვეობით იქმნება საბრძოლო მოქმედებათა წარმატებით წარმართვისა და გამარჯვების მოპოვების ხელსაყრელი პირობებუ. ს. ჩხეიძის თხზულებაში სამხედრო ემშაკობის ელემენტებს, მის ცალკეულ მეოღებს, ვხვდებით ფეოდალური შინაომის აღწერის დროს<sup>36</sup>. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ოსმალებისგან გორის განთავისუფლების შესახებ 1734 წ. ავტორი მოგვითხრობს, რომ გორელთა დახმარებით ქართველი მეომრები დამით შეიბარნენ ქალაქში და დაიკავეს სახლები მთის ძირთან, რომელზეც ციხეა აგებული. ეს ისე შენიღბულად გაკეთდა, რომ ოსმალურ გარნიზონს არაფერი გაუგია. თურქებს, საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონიათ, რომ მათზე თავდასხმა მზადდებოდა, და ამიტომ, გამთენიისას ციხის კარები გაიღო და ოსმალი ჯარისკაცებმა, თავ-თავის საქმეებზე, ქალაქში ჩამოსვლა იწყეს. მაშინ ოთხმა საგანგებოდ შერჩეულმა ქართველმა მხრებზე ძელები შეიგდო და ციხისაკენ გასწია, ოსმალები ხეს აგროვებდნენ და არ კითხულობდნენ იმას, თუ ვის მიჰქონდა იგი მათთვის. ქართველებმა ძელები ციხის შესასვლელში ისეთნაირად დაჰყარეს, რომ კარის დახურვისათვის ხელი შეეშალათ. ამასობაში, ჩასაფრებული ქართველები ქალაქში მყოფ ოსმალებს დაერივნენ. შეიქნა ხოცვა-ყლევა. ციხეში განგაში ატყდა და მცველებმა, ძელებისდა მიუხედავად კარების ჩარახვა მაინც მოასწრეს. მაშინ, შიგნით დარჩენილმა ოთხმა ქართველმა დამალული სატყვერები იძრო. მათ დასჭრეს იანიჩართა ალა, დახოცეს კარის მცველები, დალეწეს კლიტეები და კვლავ გახსნეს კარი. თურქების ნაწილი დახოცილი, ნაწილი კი დატყვევებული იქნა<sup>37</sup>. ასე, ორიგინალური ჩანაუტიქრისა და შენიღბვის კარგი ორგანიზების მეშვეობით, მოხერხდა მოულოდნელობის მიღწევა და დიდი დანაკარგის თავიდან აცილება.

„ცხოვრება მეფეთა“-ში ვხვდებით აგრეთვე, ცნობებს ჯარების მოძრაობის სიჩქარისა და დღიური გზის სიდიდის შესახებ, ამ ცნობებთა, ქართულ ცხენოსან ლაშქარს შეეძლო მრავალდღიანი მარშების მოწყობა, საშუალო სიჩქარით — 20 ალაჯი დღეში<sup>38</sup>. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ალაჯის სიგრძე 4 კმ-დან 7,5 კმ-მდე მერყეობდა. XVIII ს-ის არითმეტიკის ერთ ქართულ სახელმძღვანელოში „დღის გზა“ 12 ალაჯით არის განსაზღვრული. გ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ალაჯი საშუალოდ უდრიდა 6 კმ-ს და ამრიგად, დღის გზა 72 კმ.

<sup>35</sup> ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7. თითქმის ასევე აღწერს ამ ბრძოლებს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერტი: «Когда персы выступали против грузин, они прятались, а ночью нападали на войска (персов), убивали и захватывали их имущество» (З. К о н а к е р ц и, Хроника, перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян, М., 1969, გვ. 192).

<sup>36</sup> ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7, 35.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 45—46.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 14.



იყო<sup>39</sup>. ჩვენი აზრით, ნორმალური სვლისათვის ეს ძალიან ბევრია. 1680-იან წწ. დღიური გზა საქართველოში 37—40 კმ-ს შეადგენდა<sup>40</sup>. ასევე იყო ძველ დროშიც; მაგ., ურარტუელთა ლაშქარი დღეში 30—40 კმ-ს გადიოდა<sup>41</sup>. შუა საუკუნეების არაბ გეოგრაფთა გამოთვლით დღიური გზა დაახლოებით 37,5 კმ-ს უდრიდა<sup>42</sup>. ამრიგად, თუ ერთი დღის გზად 38 კმ-ს მივიჩნევთ, ზემოხსენებული ქართული სახელმძღვანელოთი ერთი აღაჯი დაახლოებით 3,2 კმ. ვამოვა. გამოდის, რომ ს. ჩხეიძის მიხედვით, ქართული ლაშქარი ამქარბული მარშით დღეში, დაახლოებით 64 კმ-ს გადიოდა<sup>43</sup>. იმ დროისათვის ეს მოძრაობის ძალიან მაღალი ტემპი იყო და მისი მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლაშქარი მრავალრიცხოვანი არ იყო, არ აფერხებდა მძიმე აღალი, ჰყავდა კარგი ცხენები<sup>44</sup>, ხოლო მხედართა სპეცმოზხადება ძალად დონეზე იდგა.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გავიხსენოთ „ცხოვრება მეფეთა“-ში არაერთგზის მოხსენიებული ნადირობა, ბურთაობა, ყაბახი და ფეოდალთა სხვა გასართობი თამაშები. ისინი დროის ტარების გარდა სამხედრო-დიპლომატიური აღზრდის ინტერესებსაც ემსახურებოდნენ, რომლის გარეშეც ზემოთ აღნიშნული მხედრული მიღწევები წარმოუდგენელი იყო.

მთლიანობაში, ს. ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია. მართალია, ავტორი ყურადღებას არ აქცევს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის ფაქტებს, მაგრამ, სამაგროდ იგი მეტ-ნაკლები დეტალურობითა და, რაც მთავარია, თანმიმდევრობით მოგვითხრობს სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. მისი ცნობები ამ საკითხში მნიშვნელოვნად ავსებენ, ან ადასტურებენ სხვა წყაროთა მონაცემებს. თხზულების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე. სამხედრო ისტორიის საკითხებიდან „ცხოვრება მეფეთა“ შეიცავს ძირითადად ცნობებს ქართული ლაშქრის შეიარაღებისა და ბრძოლის ტაქტიკური ფორმების შესახებ. გარდა ამისა, ძეგლმა შემოგვინახა XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა.

<sup>39</sup> გ. ჯ ა რ ი მ ე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 155.

<sup>40</sup> А. М. Аргутинский, Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда Тифлисской губернии, «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», IV, Тифлис, 1886, с. 311.

<sup>41</sup> С. А. Есаян, Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, с. 129.

<sup>42</sup> იბ. Константин Багрянородный. Об управлении государством, Известия гос. академии материальной культуры, 1934, вып. 91, с. 65.

<sup>43</sup> ლაშქრისათვის დღიური გზის სიდიდე, ცხადია, საკმაოდ პირობათი ცნებაა, რადგანაც დამოკიდებულია მის რიცხვზე, ადგილის ხასიათზე, გზების მდგომარეობაზე, მტრის წინააღმდეგობაზე და სხვ.

<sup>44</sup> ს. ჩხეიძის ცნობით ქართველ მეთაურებს სამარქაფო ცხენებიც ჰყავდათ (გვ. 12).

Г. З. АНЧАБАДЗЕ

 «ИСТОРИЯ ЦАРЕЙ» СЕХНИИ ЧХЕИДЗЕ  
 КАК ВОЕННО-ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК

## Резюме

«История царей» — нарративное сочинение первой половины XVIII в. В нем более или менее подробно, а главное, последовательно изложены военно-политические события 1653—1739 гг. Эти сведения во многом подтверждают или дополняют данные других источников. К достоинствам произведения относится также обилие хронологических материалов. По вопросам военной истории «История царей» содержит сведения в основном о вооружении и тактических формах борьбы грузинского войска, а также сообщает много фактов из истории борьбы грузинского народа против иноземных завоевателей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

გულიყო მადლიძე

XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს ისტორიის  
ქრონოლოგიიდან

(ქართლის კათალიკოსების ქრისტეფორე I-ის, ზაქარია ჯორჯაძისა  
და ევდემონ დიასამიძის ზეობის წლების დაზუსტებისათვის)

XVII ს-ის ქართლის კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ქართული ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის ბ. ლომინაძის<sup>1</sup> მიერ.

კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისა და კერძოდ, დიპლომატიკისათვის. ბევრი დაუთარილებელი საბუთების დათარიღება, განსაკუთრებით საეკლესიო საბუთებისა, სწორედ კათალიკოსთა ზეობის წლების მიხედვით ხდება. ცნობილია, რომ კათალიკოსი, როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი, ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა და დიდ როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. გარდა ამისა, კათალიკოსთა ცვლა საქათლიკოსო საყდარზე წარმოადგენდა ანარეკლს შინაკლასობრივი ბრძოლისას და გამოხატავდა დამოკიდებულებას სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ამდენად, კათალიკოსთა ზეობის წლების დაზუსტება ბევრ გაურკვეველ საკითხს მოჰყვინდა ნათელს და გარკვეულ დახმარებას გაგვიწევდა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლაშიც.

შევეცადეთ, დაგვეზუსტებინა ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით ქრისტეფორე I-ის, ზაქარია ჯორჯაძისა და ევდემონ დიასამიძის კათალიკოსად ყოფნის წლები.

გადავხედოთ XVII ს-ის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას. ცნობილია, რომ, XVII საუკუნე საქამოდ ავბედითი ხანა იყო ქართველი ხალხისათვის. განსაკუთრებით შემზარავი აღმოჩნდა საქართველოსათვის შაჰ-აბასის ამოხრებელი თავდასხმები. მას შემდეგ რაც შაჰ-აბასი ხელმეორედ შემოესია საქართველოს, ეს კი 1616 წელს მოხდა — თეიმურაზ მეფე კვლავ იმერეთს შეეხიზნა. მას თან ახლდნენ სხვა დიდებულებთან ერთად კათალიკოსი იოვანე ავალიშვილი და კათალიკოსის მოადგილე ზაქარია ჯორჯაძე. იმერეთში ყოფნისას გარდაიცვალა კათალიკოსი იოანე<sup>2</sup> (1612—16). თეიმურაზ მეფეს სურდა საკათალიკოსო საყდარზე ზაქარია ჯორჯაძე დაესვა, როგორც მისი ერთგული

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვეთი 29, 33-67—74.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 441.

5. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 4

და მისი პოლიტიკური ორიენტაციის გამტარებელი, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. 1615 წლის დამლევს ქართლის სამეფო ტახტზე ბაგრატ VII (1615—1619 წწ.) დაჯდა. მან კი კათალიკოსად დასვა ქრისტეფორე. პ. კარბელაშვილი თვლის, რომ ქრისტეფორე 1616—1660 წწ. იჯდა კათალიკოსის ტახტზე: „გამეფდა თუ არა ბაგრატ მირზა, კათალიკოზობა უბოძა აავისი მეუღლის ძმას, ქრისტეფორეს“<sup>3</sup>. ქრისტეფორე I და ქრისტეფორე II ერთ პიროვნებად მოიჩნია მას. ეს გაუგებრობა იქიდან მოდის, რომ ეტყობა ორივე ქრისტეფორე ამილახვართა საგვარეულოს ეკუთვნოდა. სპეციალურად შევისწავლეთ და შევადარეთ ერთმანეთს ქრისტეფორე I-ისა და ქრისტეფორე II-ის ხელრთვები. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამჟამად საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა ხელწერის მქონე პიროვნებასთან. ნათქვამის საილუსტრაციოდ სტატის თან ერთვის ორივე კათალიკოსის ხელრთვები (იხ. ქრისტეფორე I—Ad 1630, Hd—9646, ქრისტეფორე II—Ad 352, Qd 1058).

ცნობილია, რომ ბაგრატ VII მეუღლე დედოფალი ანა ამილახვართა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ასევე ამილახვართა საგვარეულოდან იყო ქრისტეფორე I-იც. 1636 წ-ის გაცემულ საბუთში წერია: „ამილახვრის კათალიკოსის წიგნითა გქონდეთ ბაჟის ამოკვეთისა და ახლა ჩვენც ამოგაკვეთეთ“<sup>4</sup>. საბუთი კათალიკოს ევდემონ დიასამიძის მიერ არის გაცემული, მისი ხელრთვაც ერთვის დედანს. მის წინ ზაქარია ჯორჯაძე იყო კათალიკოსად. ქრისტეფორემდე კი არც ერთი კათალიკოსი არ ეკუთვნოდა ამილახვართა სახლს. ამიტომ, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ამილახვარ კათალიკოსში ქრისტეფორე I იგულისხმება. მაგრამ მტკიცება იმის შესახებ, რომ ის მაინცდამაინც ანა დედოფლის ძმა არის, საძნელოდ გვეჩვენება. ვერ მივაკვლიეთ ამის ამსახველ მასალას, ვერ დავადგინეთ, რომელი წყაროდან აიღო ეს ცნობა კარბელაშვილმა.

მკვლევარი ბ. ლომინაძის მიხედვით, ქრისტეფორე 1616—1622 წწ. კათალიკოსობდა<sup>5</sup>. გვაქვს ცნობები, რომ ის 1623, 1624 წლებშიც მოქმედი კათალიკოსია. 1623 წ. ეკუთვნის ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ გაცემული სითარხნის სიგელი<sup>6</sup>. ასევე 1623 წელს მიეკუთვნება კანდელაკ ეგაძე შიოსადში ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ გაცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნი<sup>7</sup>. დედანს ერთვის მისი ხერთვა „კათალიკოზი“ და ორი ბეჭედი: კუთხოვანი და მრგოლოვანი. რომლის ლეგენდაა: „მონა ღვთისა კათალიკოსი ქრისტეფორე“. საბუთის თავში, სადაც ადრე ქრისტეფორე წერებულა, გადაშლილია ეს სახელი და სხვა მელნით და სხვა ხელით „ზაქარა“ — წერია. ხელრთვა რომ უდავოდ ქრისტეფორეს ეკუთვნის ეს მათმა შედარებამ ცხადყო. მაშ რა მოხდა? რატომ წაშალეს „ქრისტეფორე“ და „ზაქარა“ დაწერეს? ვფიქრობთ, ეს იმ დამოკიდებულებების ანარეკლია, რაც სუფევდა ქრისტეფორე კათალიკოსსა და კათალიკოს ზაქარია ჯორჯაძეს შორის. ეტყობა, ზაქარია თვლიდა, რომ კათალიკოსის ტახტი მას ეკუთვნოდა კანონიერად, თეიმურაზიც მას უჭერდა მხარს და ქართლშიც საერო და საეკლესიო წრეებს შორისაც ბევრი მომხრე ეყოლე-

3 ივარჩია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შედგენილ მღ. პოლივეიტოს კარბელაშვილის მიერ, თფილისი, 1900, გვ. 116.


4 ხელნაწ. ინსტ. Hd—1587.

5 ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

6 ხელნაწ. ინსტ. Hd—14628.


7 იქვე, Hd—9446.

ՃԻՆԵՇՎՅՈՒՆ I




Hd 9446  
1623Ե.

ՃԻՆԵՇՎՅՈՒՆ I




Ad 1630  
1618Ե.

ՃԻՆԵՇՎՅՈՒՆ II



Ad 352  
1648Ե.

ՃԻՆԵՇՎՅՈՒՆ II



Hd 1587  
1636Ե.  
(ՃՅՈՅԵՐՅՈՒ  
ԵՅՅՅՈՒՅՅ-  
ՅՅ).

ՔՅՅՅԻՆ




Hd 1510  
1617Ե.

ՔՅՅՅԻՆ




Ad 365  
1632Ե

ՅՅԵՅԻՆ



Hd 1587  
1636Ե.

ՅՅԵՅԻՆ



Hd 1710  
1638Ե.

ბოდა, ხოლო ქრისტეფორე კათალიკოსი კი როგორც ბაგრატ VII-ის მიერ დასმული კაცი, არასასურველ კანდიდატურას, წარმოადგენდა. ამ დამოკიდებულებით აიხსნება და ამასვე ადასტურებს 1617 წელს ზაქარია კათალიკოსის მიერ გაცემული წყალობის წიგნი. ზაქარიას ხელრთვაც აქვს დედანს<sup>8</sup>. ეს მაშინ, როდესაც 1617 წელს ზაქარია ჯორჯაძე იმერეთშია და კათალიკოსის ტახტზე ქრისტეფორე ზის.

1624 წელს ქრისტეფორე I ისევ მოქმედი კათალიკოსია. ამას ადასტურებს 1624 (ტიბ) წლის 17 ივლისს ხუცია მაღალაძისადმი ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ გაცემული გომნის მოურაობის წყალობის წიგნი<sup>9</sup>.

1624 წლის 20 ოქტომბერს ეკუთვნის ქართლის კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ გაცემული წიგნი<sup>10</sup>, რომლითაც მან პაპუნას და ელიზბარს უწყალობა ზეკორძს ტატიას და ციხნიაშვილის მამული. მაშასადამე, 1624 წლის მიწურულამდე კათალიკოსის საყდარზე ქრისტეფორე I ზის; 1624 წლის დასასრულს კი იგი, როგორც ჩანს, ზაქარია ჯორჯაძემ შეცვალა.

სახელმწიფო არქივის ფონდში — 1449—1760, დაცულია საბუთი. ეს საბუთი გაუცია ზაქარია კათალიკოსს. იგი წარმოადგენს სვეტიცხოვლისათვის მიცემულ ძეგვზე და ციხედიდზე მფლობელობის აღდგენის წიგნს. საბუთს თარიღად უზის ქრონიკონი ტიბ. ე. ი. 1624 წ. 2 თებერვალი. თარიღი მცდარია, რადგან არა თუ თებერვალში, ოქტომბერშიც კი კათალიკოსი ქრისტეფორეა. საბუთი დედნის პირია, ეტყობა ვადამწერს მოუვიდა შეცდომა და უნდა იყოს არა ტიბ, არამედ ტივ, ე. ი. 1625.2.II, რაც საესებით შეესაბამება ზაქარიას კათალიკოსად ყოფნის დასაწყის ხანას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზაქარია ჯორჯაძის ზეობის წლებად 1623—1630 წწ-ია მიჩნეული<sup>11</sup>. ზაქარია კათალიკოსის ზეობის უკანასკნელ თარიღად პატივცემული მკვლევარი — ბ. ლომინაძე Hd 14 678 საბუთის მიხედვით 1630 წლის 9 სექტემბერს მიიჩნევს.

ჩვენ ენახეთ ზაქარია ჯორჯაძის მიერ 1630 წლის 25 დეკემბერს გაცემული საბუთის პირი<sup>12</sup>. მას ზუმბულიძეებისათვის უწყალობებია სამოურაოდ აღიანი.

მ. თამარაშვილის ცნობილ ნაშრომში „ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის“ დაცულია საინტერესო ცნობები ზაქარია ჯორჯაძის შესახებ. ნაშრომიდან ვიცი, რომ ზაქარია კათალიკოსი სწყალობდა ლათან მისიონერებს გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის გამო და აქტიურად ეზმარებოდა მათ. საერთოდ იგი ცენტრალური პოლიტიკური ფიგურა იყო და დიდი მხარდამჭერი თეიმურაზ მეფისა.

1631 წლის 12 მაისს გორში ჩამოსულან ლათინი მისიონერები: იოსებ ჯუღიჩი და არქანჯელო ლამბერტი. „მათი მოსვლა ყველასთვის სასიხარულო შეიქმნა. ორი დღის შესვენების შემდეგ ეახლნენ მეფეს, რომელიც იყო საპორწელში, გორიდან ერთი დღის სავალზე, სადაც მოელოდნენ ქუთაისის მეფეს ალექსანდრეს, რომლისთვისაც უნდა მიეთხოვებინა თავისი დაქვრივებული

<sup>8</sup> ხელნაწ. ინსტ. Hd—2510.

<sup>9</sup> იქვე, Ad—1756.

<sup>10</sup> იქვე, Qd—1058.

<sup>11</sup> გ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

<sup>12</sup> ცსსა, ფ. 1449—1760.

ქალი, ზურაბ ბეგის ნაცოლარი. იქ მეფესთან მოსულიყვნენ ქორწილზე დასსწრებლად დიდებული თავადაზნაურობის გარდა ზ ა ქ ა რ ი ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი (ხაზგასმა ჩვენია — გ. მ.), ეპისკოპოსები და მონასტრის წინამძღვრები<sup>13</sup>. „...რომა მისიონერმა ზაქარია კათალიკოსს მოუტანეს საჩუქრად ერთი საეპისკოპოსო ძვირფასი თვლებით მოჭედული მიტრა და ერთიც ოქრომკედლის ძვირფასი ფილონი“<sup>17</sup>.

ზაქარია კათალიკოსს მიმოწერა ჰქონია რომის პაპთან: „პეტრე ავიტებალემ, როგორც ზაქარია კათალიკოსის წიგნი წაილო რომის პაპთან, ისევე მოიტანა პასუხიცა“<sup>15</sup>. ეს წერილი, რომელსაც რომის პაპი ურბანო VIII უგზავნის ზაქარია კათალიკოსს, დათარიღებულია 1631 წლის ივნისით. მაშასადამე, 1631 წელსაც კათალიკოსი ზაქარია ჯორჯაძეა.

1632 წელსაც მოქმედ კათალიკოსად ზაქარია ჯორჯაძე გვევლინება. ჩვენ ხელთ გვაქვს 1632 წელს(ტვ) გაცემული საბუთი<sup>16</sup>, რომელიც სამწუხაროდ თვენაკლულია. დედანს აქვს კათალიკოსის ხელრთვა „კათალიკოსი“. ხელრთვები შევადარეთ და იგი ეკუთვნის ზაქარია ჯორჯაძეს. ეს არის კათალიკოსის მიერ გაცემული წიგნი ვინმე ოყლაყაშვილ შიოშისადმი ტამხისეული მამულის წყალობისა. ზაქარია ჯორჯაძის ამ სიგელის ხელრთვა სტატის თან ერთვის ზაქარიას სხვა ხელრთვასთან (იხ. Ad 352) შესადარებლად და მათი იდენტურობის დასტურსაც უფიქრობდა.

1633 წლის 18 თებერვალს როსტომ მეფე შემოვიდა ჯარით საქართველოში. თეიმურაზ მეფე იძულებული გახდა კვლავ თავშესაფარი იმერეთის მეფესთან ეძებნა. ამჯერადაც სხვა დიდებულებთან ერთად ქართლის კათალიკოსი ზაქარია მაჰმადიანი მეფის შემოსვლის გამო თეიმურაზს იმერეთში გაჰყვა. ზაქარია კათალიკოსი ბოლომდე დარჩა თეიმურაზის ორიენტაციის ერთგული დამცველი „რადგან თეიმურაზთან ერთად ზაქარია კათალიკოსიც გაიქცა იმერეთს, ამისთვის როსტომ ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელიც არ იყო მეგობარი კათალიკებისა და რომლის შესახებ ამბობდნენ კაი მონადირე და კაი მეომარი“<sup>17</sup>.

აქედან ცხადია, რომ 1633 წლის 18 თებერვლამდე კათალიკოსის ტახტზე ზაქარია მჯდარა, ხოლო თებერვლის მიწურულს ის კათალიკოსის საყდარზე ბოდბელ ეპისკოპოსს ევდემონ დიასამიძეს შეუცვლია.

მაშასადამე, ზაქარია ჯორჯაძე კათალიკოსობდა 1624—1633 წლის მართამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ევდემონ დიასამიძე კათალიკოსის ტახტზე როსტომ მეფემ აიყვანა, ის, ისევე როგორც ქართველ დიდებულთა დიდი ნაწილი მაჰმადიანი როსტომის წინააღმდეგ იბრძოდა, ამით ირანის ორიენტაციას უარყოფდა და ქრისტიანი თეიმურაზის ერთ-ერთ აქტიურ მომხრეს წარმოადგენდა. აქ ის მომენტიც ფიგურირებდა, რომ ევდემონის ძმისწული ქეთევანი თეიმურაზის ვაჟს, დათუნას ჰყავდა ცოლად.

13 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნაშრომი საბუთების შემოტანით და განმარტებით XII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902, გვ. 112.

14 იქვე, გვ. 113.

15 იქვე, გვ. 120.

16 ხელნაწ. ინსტ. Ad—365.

17 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

სახელმწიფო არქივის ფონდში ინახება საბუთის პირი<sup>18</sup>, რომელიც 1630 წლის (ტიმ) 29 ივნისით თარიღდება. თარიღში შეცდომაა, რადგან 1630 წელს არა თუ ივნისში, დეკემბერში გვაქვს ზაქარია კათალიკოსის მიერ გაცემული საბუთები. გვაქვს 1633 წელს ევდემონ დიასამიძის მიერ გაცემული საბუთის პირი<sup>19</sup>. სხვა წლის საბუთებიც მოგვეპოვება. ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს 1638 წელს ევდემონ კათალიკოსის მიერ გაცემული წყალობის წიგნი გედევანიშვალ-ელიოზიშვილებისადმი<sup>20</sup>. საბუთს უზის ევდემონ დიასამიძის ხელრთვა: „კათალიკოსი ევდემონ“.

ცნობილია კათალიკოს ევდემონ დიასამიძის დაღუპვის ორა ევრსია: იგი როსტომ მეფემ სხვა დიდებულებთან ერთად (ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი და სხვ.) თეიმურაზის ქართლში გამეფების მცდელობისათვის მოაკლევინა. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: „შეიპყრო კათალიკოსი ევდემონ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეში და მუნვე ციხეშივე მოაშობინა“<sup>21</sup>. ხოლო ვახუშტის მიხედვით: „შეიპყრა როსტომ მეფემ კათალიკოსი ევდემონ და პატიმარ ჰყო ციხესა შინა შემდგომად გადმოავდო განძის კარის კოშკიდან“<sup>22</sup>.

ევდემონ დიასამიძის მოკვლის შემდეგ როსტომ მეფემ კათალიკოსობა მისცა ურდუბეგაშვილ ქრისტეფორეს. ეს კი 1638 წელს მოხდა. ე. ი. ევდემონი 1633—1638 წწ. განაგებდა ქართლის საკათალიკოსოს.

ამრიგად, მოხმობილი მასალის შეჭერების შედეგად ზემოთ ნახსენები სამი კათალიკოსის ზეობის წლები ასე წარმოგვიდგება:

ქრისტეფორე I (ამილახვარი) — 1616—1624 წწ.

ზაქარია ჯორჯაძე 1624 წლიდან 1633 წლის 18 თებერვლამდე.

ევდემონ დიასამიძე 1633 წ-ის მარტიდან 1638 წ-მდე.

Г. Д. МЧЕДЛИДЗЕ

### НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ХРОНОЛОГИИ ИСТОРИИ ГРУЗИИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XVII В.

#### Резюме

В статье на основании данных исторических документов и подписей уточнены даты пребывания в сане Картлийских каталкиков: Христофоре I (Амилахвари) — 1616—1624 гг., Захария Джорджадзе — 1624—1633 гг., Эвдемси Диасамидзе — 1633—1638 гг.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

<sup>18</sup> ცნსა, ფ. 1450, დ. 38, № 191.

<sup>19</sup> იქვე, ფ. 1450, დ. 31, № 120.

<sup>20</sup> ხელნაწ. ინსტ., Hd, 1710.

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 423.

<sup>22</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ეველა იპირითადა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 442.



კათოლიკე კავშირები

ფეოდალური კარგელობის ხარისხის ცნობები ვატიკან-ირანის ურთიერთობათა შესახებ XVII საუკუნის 20—50-იან წლებში

XVII საუკუნიდან, ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში თანდათანობით შეიჭრა ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხი“ და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ევროპის სავაჭრო კაპიტალი აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა. რამდენადაც ირანი, აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გამავალ გზაზე მდებარეობდა, აზღუნად, იგი ევროპის პოლიტიკოსთა დანტერესების ერთ-ერთი ძირითადი საგანი გახდა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ირანის იმპერიის ურთიერთობის გაქტიურება ევროპის ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში უხვად დაგროვდა მასალა, რომლებიც ეხებიან დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ვატიკანის პოლიტიკას აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ კი, ირანის მიმართ. ეს მასალებია, კათოლიკე მისიონერების, ასევე მოგზაურების მოხსენებითი ბარათები, წერილები, ანგარიშები, მემუარული ხასიათისა, თუ სხვა სახის დოკუმენტები. ახლო აღმოსავლეთში, ევროპის ეკონომიკური დანტერესების თანდათანობითი ზრდა, იწვევდა ირანსა და მათ შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ ზრდას.

აღმოსავლეთის ქვეყნები ამ პერიოდისათვის, წარმოადგენდნენ დასავლეთელი ვაჭრების, ავანტიურისტებისა და მეფეთა სატყუარას<sup>1</sup>. ევროპის სავაჭრო კაპიტალს წინ უძღვებოდნენ კათოლიკე მისიონერები. ამიერიდან, ირანში მასიურად შედიოდნენ იტალიელი მისიონერები. ამ გზით, ევროპამ მჭიდრო ურთიერთკონტაქტი დაამყარა ირანთან. მისიონერები ერთი მხრავ, ევროპას აცნობდნენ ირანის კულტურას, ხოლო მეორე მხრივ, იქიდან კულტურის სათანადო ელემენტები გაჰქონდათ. ამ პერიოდისათვის, არც ერთი მისიონერი არ ყოფილა, რომელსაც სერიოზული როლი არ შეესრულებინა აღმოსავლეთის ქვეყნების ნებისმიერ მნიშვნელოვან მოვლენაში<sup>2</sup>.

მ. თამარაშვილმა, პირველმა აღნიშნა, რომ მისიონერები მართო სასულიერო საქმისათვის“ ქრისტეს ვენახის გასაშენებლად“ მოვლენილი მოძღვრება კი არ იყვნენ, არამედ, ასევე ევროპის პოლიტიკური დავალებებით აღჭურვილი აგენტები და ელჩები, რომლებიც ლეზულობდნენ გარკვეულ სახელმწიფო დავალებებს, როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის სუვერენეტებისაკენ<sup>3</sup>. ისინო, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების საბაბით, მტკიცედ მკვადრდებოდნენ აღმოსავლეთში და თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ ამ ქვეყნე-

1 Ан. Калининко, Миссионеры—агенты капитала, М., 1930, стр. 3.  
2 იქვე, გვ. 8.  
3 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტვ. 1922, გვ. 10.

ბის ეკონომიკის შესწავლის და მათთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას საქმეს.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ვატიკანი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, არამედ ირანის იმპერიის მესვეურებიც იყვნენ დაინტერესებულნი მათთან კონტაქტებით და ყველა ღონის ხმარობდნენ ამ ურთიერთობისათვის. სეფიანთა ირანის მმართველები იბრძოდნენ რა, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ირანის საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარების საქმეს. ამ პერიოდისათვის, შაჰ აბას I-ის პოლიტიკის შედეგი იყო, ის, რომ „არც მანამდე, და არც შაჰ აბას I-ის მეფობის შემდეგ, სეფევიდების სახელმწიფოს არ მიუღწევია ისეთი დიდი პოლიტიკური ძლიერებისათვის, როგორც შაჰ აბას I-ის მეფობისას... იგი ამცლავნებდა დიდ ინტერესს ევროპის ქვეყნების ტექნიკისა და მატერიალური კულტურისადმი...“<sup>4</sup>

დასავლეთ ევროპიდან ინდოეთისაკენ გამავალმა სავაჭრო-საქარავნო გზამ, რომელიც ირანზე გადიოდა, გამოიწვია სატრანზიტო ვაჭრობის განვითარება, რამაც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა. ამიტომ, ირანის უმაღლესი საზოგადოება და თვით შაჰიც კი, სისტემატურად აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს და ამ საქმეს არ სთვლიდნენ თავიანთი წოდებისა და ღირსების სათაკილოდ<sup>5</sup>.

ირანის ელჩები, არაერთგზის მიემგზავრებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსალაპარაკებლად, მაგრამ მათი უმრავლესობა უშედეგოდ მთავრობდა. შაჰის ელჩები ევროპაში იმ დროს ჩნდებოდნენ, როდესაც ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ან ომი წარმოებდა, ან დაძაბული ურთიერთობები იყო, მაგრამ აბრეშუმის ვაჭრობით დაინტერესებული შაჰი, ევროპასთან კავშირის დამყარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამასთან, მის ერთ-ერთ მიზანს ანტიონომალური კოალიციის შექმნა წარმოადგენდა. რომლის გეგმებიც, საბოლოოდ, განუხორციელებელი დარჩა.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან და კერძოდ, ირანთან ურთიერთობაში, ერთ-ერთ აქტიურ და მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კათოლიკური ეკლესიის ცენტრი — ვატიკანი, რომლის ძირითადი მიზანიც ირანში, კათოლიციზმის დამკვიდრება და მისი მეშვეობით, ევროპის საერთო მტრის — თურქეთის მუქარის თავიდან აცილება იყო.

რეფორმაციის გაძლიერებამ ევროპაში, ერთგვარად დაარღვია კათოლიკური ეკლესიის მთლიანობა და ნიშნელოვანი ნაწილი ჩამოაცილა მას. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა კლდე უფრო გაძლიერდა აღმოსავლეთის ქვეყნებში და მათ შორის ირანშიც.

თავისი არსებობის მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ჰაბობამ ბევრი ცვლილება განიცადა. ისტორიას, ახსოვს ფაქტები, როდესაც რომის ეკლესიის მოთავენი მეფეებზე მბრძანებლობდნენ, სწყვეტდნენ ქვეყნის ბედს და მთელ მსოფლიოზე ბატონობას იჩემებდნენ. ასევე ბევრი მაგალითები ვიცით, როდესაც

<sup>4</sup> А. Ю. Пигулевская, И. П. Якубовский и др. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. — М., 1958, гл. 278.

<sup>5</sup> გ. ზედვინიძე, ბოგდან გურჯიკი დიპლომატიურ ასპარეზზე, — თბ., 1983, გვ. 31.

<sup>6</sup> Е. С. Зевакин, Персидский вопрос русско-европейских отношений в XVII веке, «Исторические записки», М., 1940, № 8, гл. 130—158.

საც პაპობა საოცარი სისწრაფით მიეჭანებოდა და ცემისავენ, საზოგადოების გან-  
ვითარებას აფერხებდა და პროგრესულ ძალებს ებრძოდა. პაპობის მთელი ის-  
ტორია ხელისუფლებისათვის ბრძოლაა, რომელსაც მათ არავენ უღობობდა აღ-  
ვილად. პაპის „მზრუნველი მარჯვენა“ მიმე ტვირთად აწევებოდა მაზანში ამო-  
ღებულებს.

პაპობის დამახასიათებელი ნიშანია გამდიდრებისავენ უზომო ლტოლვა. ამ  
მიდრეკილებას, ისინი დროისა და პირობების მიხედვით სხვადასხვაგვარად გა-  
მოხატავდნენ. „ეკლესია — აღნიშნავდა ფ. ენგელსი — ფოდალურა წყობის  
უმალეს სანქციას წარმოადგენს“<sup>7</sup>. ბევრ შემთხვევაში, „ქრისტეს მოადგი-  
ლეებს“ ავიწყდებოდათ თავიანთი დანიშნულება და მათი სიხარბე ყოველგვარ  
საზღვარს აჭარბებდა. „ურწმუნოთა სულის გადასარჩენად“ ე. ი. პაპებისადმი  
მორჩილების საქადაგებლად, მისიონერთა მთელი არმიები იგზავნებდნენ  
მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ასეთ შემთხვევაში. პაპების დამხმარედ მისიონერი დიპლომატები გამო-  
დიოდნენ. პაპების დავალებებით აღჭურვილები, ისინი მიემგზავრებოდნენ  
სხვადასხვა ქვეყნის მესვეურებთან, პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად.  
პარალელურად, აწარმოებდნენ ახალი ქვეყნების დაზვერვას და უზუნაეს მმარ-  
თველს (რომის პაპი) ამ სახელმწიფოთა სამხედრო გეგმებსა და მათ ძალებზე  
მოხსენებებს ადგენდნენ.

ყოველ დროსა და გარემოში მყოფი პაპები დაყინებით ატარებდნენ აღმო-  
სავლეთის პოლიტიკას და მისი დანორჩილებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით  
ევროპაში, რეფორმაციის შემდეგ გააძლიერეს. რეფორმაციის გამარჯვება, რო-  
მის ეკლესიისაგან თავდასხნას არ ნიშნავდა, რადგან პროტესტანტებთან ბრძო-  
ლის იარაღს რომის პაპი ასე ადვილად არ დაპყრიდა, მან მხოლოდ ერთგვარად  
შესცვალა მოქმედების ტაქტიკა, რაც აღმოსავლეთში პროპაგანდას გაძლიერე-  
ბით გამოიხატებოდა.

ყოველივე ზეოღნიშნულმა კი. გამოიწვია ძველი ორდენების განახლება  
და ახალი ორდენების ჩამოყალიბება, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ფეხ-  
შიშველ კარმელიტთა ორდენი, რომელმაც ვატიკან-ირანის ურთიერთობის გან-  
ვითარების საქმეში ფრიალ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რაც შეეხება  
მისიას, საკმარისია აღნიშნოს, რომ ორდენის კათოლიკური საგანგებო  
კათედრას კარმელიტი ბერები განაგებდნენ.

კარმელიტების ორდენი XII ს-ის მეორე ნახევარში დაარსდა, პალესტი-  
ნაში, იტალიელი ჯვაროსნის ბერტოლდის მიერ. კარმელიტთა პირველი მონა-  
ზნური თემი კარმელის მთაზე მდებარეობდა, აქედან მოდის მათი სახელწო-  
დებაც. კარმელიტების პირველი წესდება დამატკიცა პაპმა პონოროუს III-ემ  
1226 წელს, ჯვაროსანთა დამარცხების შემდეგ. XIII საუკუნიდან, კარმელი-  
ტები ევროპაში გადავიდნენ, სადაც 1245—1247 წლებში, პაპ ინოკენტი IV-ის  
პერიოდში მათხოვრულ ორდენად გადაიქცნენ. XVI ს-ში, ორდენის ახალი რე-  
ფორმის დამტკიცების შედეგად, ისინი ორ ფენად გაიყვნენ: კარმელატებად და  
ფეხშიშველ კარმელიტებად. პირველი ნაწილი ძველი რეფორმის მიმდევრება  
იყვნენ, ხოლო მეორე კი ახალ რეფორმას აღიარებდა.

ფეხშიშველი კარმელიტები ირანში თითქმის ხელმოცარულნი მიდიოდნენ,  
რადგან, მათი სიღატაკე პროპაგანდის ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო. რო-

მის პაპისავე რეკომენდაციით, ისინი იყვნენ: „სათნონი, გაწვრთნაღნი ღმრთის სჯულში, გამოცდილნი საქმეში, მიმბაძვენი მაცხოვრის სიმდაბლისა“<sup>8</sup>. ისინი სილატაკეში ცხოვრობდნენ და ხშირ შემთხვევაში, თავს საკუთარი შრომით ირჩენდნენ. მათი ერთ-ერთი დამაზასიათებელი თვისება მასებში ტრიალი იყო, რადგან მოგლახაკე ბერი, ყველგან და ყველა სოციალურ ფენას ადვილად უღვებოდა. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ირანში შესულ ვაჭრებთან, სხვადასხვა სავაჭრო კომპანიებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქმისადმი თავგანწირვა ამ ორდენის ყველა წევრისათვის, დამაზასიათებელი ნიშანი იყო, სტოვებდნენ, რა მშობლიურ მხარეს და შორ, საზიფათო გზას ადგებოდნენ და არც იცოდნენ მიაღწევდნენ, თუ არა დანიშნულ ადგილს, პაპის ტახტის სამსახურში, კარმელიტები დიდ ფანატიზმს იჩენდნენ.

ფეხშიშველი კარმელიტი ბერები, სპეციალურ კოლეგიუმებში იღებდნენ სათანადო განათლებას და გარკვეული ინსტრუქციებით იყვნენ აღჭურვილნი, რომლებშიც ყოველი მათი მოქმედება წინასწარ იყო გათვალისწინებული: პირადი ცხოვრება, სამისიონერო საქმიანობა, თანხების მოხმარება, ქადაგება, ყმაწვილთა სწავლა-განათლება. ნათელა, ახალმოქცეულთადმი დამოკიდებულება და სხვ. ოფიციალურ ინსტრუქციას თან საიდუმლო დავალებანიც ერთვოდა, რადგან მათი გამჟღავნება ვატიკანის ავტორიტეტს უცხო თვალში დასცემდა. ამგვარად შეიარაღებული და იეზუიტური სულსკვეთებით აღზრდილი პაპის მსახურნი, დავალებების ცხოვრებაში გასატარებლად მსხვერპლს არ ერიდებოდნენ და ფანატიკურად მოქმედებდნენ.

სათანადო შესწავლისა და კარმელიტთა ორდენის გენერალთან შეთანხმების შემდეგ, პროპაგანდა ფიდე, არჩეულ კანდიდატურებს სამუშაოდ ავზავნიდა. მისიონერებს, პროპაგანდის კონგრეგაციისათვის წერილობითი მოხსენება და თავიანთი მოღვაწეობის ანგარიშის ჩაბარება ევალებოდათ; ანგარიშები კი წინასწარ მიცემული ვეგმით იწერებოდა, რომელშიც მათი ყოველი ნაბიჯი იყო აღწერილი და მასში ირანის სახელმწიფოს არსებული სურათი იშლებოდა. ქვეყნის პოლიტიკური გართულებები, კარმელიტების მოღვაწეობაზე სასტრატეგიულ მოქმედებას, რის გამოც, მათ ხშირად ბინა სრულიად მოეშლებოდათ ხოლმე.

კარმელიტების მისიები ირანში, როგორც დიპლომატიურ, ისე ევანგელისტურ ხასიათს ატარებდა, მათი დიდი ენერგია იხარჯებოდა ევროპის სუვერენებსა და ირანის შაჰებს შორის მოლაპარაკებათა წარმოებაში. დიდი იყო იმ პერიოდის ერისკაცთა მცდელობანიც, რომლებიც დახმარებას უწყევდნენ კარმელიტების წარმატებიან მოღვაწეობას. მისიონერებს მეგობრულა ურთიერთობანი ჰქონდათ არაკათოლიკე ინგლისელ ვაჭრებთან და აღმოსავლეთის რეგიონებში მოგზაურ პირებთან. მრავალი მათგანი ფინანსურ და სულიერ დახმარებას უწყევდა მათ.

ირანში მოღვაწე 138 ფეხშიშველი კარმელიტი ბერიდან, მათი საშუალო ასაკი 53-54 წელი იყო, ხოლო მოღვაწეობის პერიოდი 14-15 წელს უდრიდა. ისინი სისტემატიურად ადგენდნენ თავიანთი მოღვაწეობის ამსარველ დღიურებს, რომლებიც მოკლე კონსპექტური ხასიათის იყო, ადვილად საკითხავი და შემეჯამებელი სახის, ხოლო წერის მანერა კი სარწმუნოებრივი. მართალია,

<sup>8</sup> მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

პირველი პიონერი კარმელიტი მამები არ ყოფილან პაპის თავისუფალი ჯამუ-  
შები, მაგრამ ისინი თავიანთ მოვალეობას მაინც პირნათლად ასრულებდნენ.  
ნისიონერებს, ორმაგი როლის შესრულება უხდებოდათ, რაც მათ ღვთისმოსავ  
საქმიანობას ერთგვარად აფერხებდა. მათ ხშირად უხდებოდათ საძვეო კარზე  
ყოფნა, მეფეებთან ერთად სადილობა, მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონ-  
დათ ირანის დიდებულებთან. ყოველივე ეს კი, მათი ხელმძღვანელობის უკმა-  
ყოფილებას იწვევდა, რადგან ისინი ასკეტური ცხოვრების წესს მოწყვეტილნი  
იყვნენ, თუმცა ღირსეულ და უნარიან მამებს კარგად ესმოდათ თავიანთი მოვალე-  
ობა, რომ ისინი მოვალენი იყვნენ დაეცვათ პაპის ინტერესები, რათა ცდილ  
სამსახურს გაუწევდნენ თავიანთ სარწმუნოებას და ევროპას თურქულ აგრე-  
სიას თავიდან ააცილებდნენ.

კარმელიტი მისიონერები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ირანის  
მოსახლეობასა და მის სამეფო კარზე. მათ, რომის პაპის მოციქულებად  
სთვლიდნენ და დიდი პატივით ეპყრობოდნენ.

1631 წლის 22 მაისის კონგრეგაცია პროპაგანდა დე ფიდეს სხდომის გა-  
დაწყვეტილებით, ირანში მყოფ ფეხშიშველ კარმელიტთა პრეფექტად დანიშ-  
ნა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეო<sup>9</sup>.

1632 წლის 26 იანვარს, კარდინალ სპადას მიერ კოლეგიაზე წარდგენილ  
ანგარიშში ნათქვამია, რომ ჯოვანი ტადეომ ირანში მოღვაწეობა პაპ კლემენტ  
VIII-ის დროს დაიწყო<sup>10</sup>. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს. პაპი კლემენტ  
VIII 1605 წელს გარდაიცვალა. მაშინ, ჯოვანი ტადეო ჯერ კიდევ ირანისაკენ  
მიმავალ გზას ადგა (პოლონეთში), სადაც იგი დაელოდა ახალი პაპის არჩევას  
და მისგან სარეკომენდაციო წერილის მიღებას. 1605 წელს რომის პაპის ტახტი  
დაიკავა ლეონ IX-ემ, მაგრამ იგი იმავე წელს გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა  
პაოლო V (1605—1621 წწ.). სწორედ მისგან მიიღო სარეკომენდაციო წერილი  
პოლონეთში შეჩერებულმა ჯოვანი ტადეომ და ირანისაკენ გზა განაგრძო. ამ-  
რიგად, მაშინ ირანში მოღვაწეობა ჯოვანი ტადეომ დაიწყო პაპ პაოლო V-ის  
დროს და არა კლემენტ VIII-ის დროს<sup>11</sup>.

ახლად დანიშნულ ეპისკოპოსს თან სამი მისიონერი გააყოლეს: მამა სტე-  
ფანე, მამა კოლუმბანი და მამა იოანე, მათთან ერთად სამი ბერაც. ეპისკო-  
პოსი იმედოვნებდა, რომ მოგვიანებით ვატიკანი ახალ შევსებას გაუგზავნიდა  
ირანს, რაც გამიზნული იყო ირანის ქრისტიანებისათვის ისფაჰანში კათოლიკე-  
რი ეკლესიის სკოლის გახსნისათვის.

პირველ ხანებში, ირანში ჩასულ კარმელიტ ბერებს შაჰმა დახმარების ხე-  
ლი გაუწოდა და ქადაგების ნებაც კი მისცა მათ. მოსახლეობის მკურნალობის  
გზით, მისიონერებმა ხალხში გავლენაც კი მოიპოვეს. ისფაჰანში მონასტერი,  
ხოლო შირაზში, პოსპიტალი გახსნეს, მაგრამ მათი პროპაგანდა ხანგრძლივი  
არ აღმოჩნდა, როდესაც კარმელიტებმა დააპირეს მაჰმადიანთა კათოლიკებად  
მოქცევა, შაჰმა მათ ბორკილები დაადო, ხოლო მაჰმადიანებს მკაცრად აუკრძა-  
ლა სარწმუნოების გამოცვლა.

<sup>9</sup> The Chronicle of the Carwolits in Persia and Papal mission of the XVII and XVIII centuries.—London., 1939. V. I, გვ. 297.

<sup>10</sup> The Chronicle..., გვ. 298—299.

<sup>11</sup> ი. ტაბახაძე, საქართველო ევროპის არჩევებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1986. ტ. 11, გვ. 19.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, კარმელიტებს, ავ-ბედიით უკვე დაუდგათ. შაჰ-აბას II-ის პოლიტიკა არც, თუ სახარბიელო გამოდგა მათთვის. 1645 წლის 30 სექტემბრის გამბრანის ჩანაწერები მეტყველებენ, რომ ირანის დიდგვაროვნებს ვეზირი მოუტლავთ<sup>12</sup>, ხოლო 1646 წლის 2 მარტის მამა დიონისიუსის ჩანაწერი აღნიშნავს<sup>13</sup>, რომ მოკლული ვეზირის თანამდებობაზე ფანატიკურად შეუწყნარებელი პიროვნება დაუნიშნავთ, რომელიც ქრისტიანთა მიმართ ანტი-გონისტურად იყო განწყობილი. ყოველივე ეს კი მისიონერთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და მათ მდგომარეობას ართულებდა. ახალი ვეზირი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შაჰ აბას II-ის კარზე და თვით შაჰსაც ანტი-გონისტურად განაწყობდა მისიონერების მიმართ. ამისი შესანიშნავი ფაქტია წმინდა მამა ბარნაბის 1657 წლის 12 მაისის ჩანაწერი<sup>14</sup>, სადაც იგი დაწვრილებით აგვიწერს შაჰ აბას II-ის განწყობას ქრისტიანებისადმი: „...ყოველივეს ვადმოცემა არ შემძლია, მხოლოდ გაუწყებთ, რომ ირანის შაჰმა მოიხსნა ნილაბი და გამოააშკარავა რა ღვარძლიც ჰქონდა გულში. ამჟამად, დიდი უბედურება დაატყდათ თავს სომეხებს, ქართველებს და სხვა ქრისტიანებს. შაჰს უნდოდა ისინი გაემამაღლიანებინა. პატრიარქის ძმა, თვით არქიეპისკოპოსიც კი გამამაღლიანდა... შაჰი არ აძლევს ნებას ქრისტიანებს დატოვონ მისი ქვეყანა...“. ირანში არსებულ მძიმე და აუტანელ ყოფას, რომელიც განსაკუთრებით კარმელიტ მისიონერთა მოღვაწეობას ატყდებოდა თავს, სრულად აღწერს მამა ფელიქს სანტ ანტონიო 1659 წლის 4 ივნისის<sup>15</sup> წერილი პროპაგანდა ფიდესადმი: „ჩვენი მოღვაწეობა აქ უნაყოფოა. არ არსებობს არავითარი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა; დავინახეთ, რომ სპარსელები ქვეშაირიტებისაგან შორს დგანან...“

ყოველივე ზემოაღნიშნულმა კარმელიტი ბერები მძიმე მატერიალურ ვაჭირებაში ჩააგდო. ისინი ველარ აუდიოდნენ დიდძალი ვალების გადახდას, იძულებულნი იყვნენ გაეყიდათ ავეჯი, საოჯახო ინვენტარი, რათა ამ გზით მაინც გაესტუმრებინათ ვალების ნაწილი. აღსანიშნავია ის ფაქტაც, რომ კარმელიტები ბოლო დროს უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ვატიკანის მიმართ, რომ მათ აღრინდებულად აღარ უზრუნველყოფდნენ ფინანსებით. მამა დიონისე 1657 წლის 10 ივლისის წერილში იუწყებოდა:<sup>16</sup> „...ღმერთმა ჩვენი მისიონები სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტა, რომლებიც აღრე უკეთ მარაგდებოდნენ, ვიდრე ღღეს...“ გარდა ფინანსური დახმარებისა, მისიონერები უჩიოდნენ ვატიკანის უყურადღებობას მათ მიმართ. მამა სტეფანი 1651 წლის 10 თებერვლის<sup>17</sup> ცნობაში აღნიშნავდა: „...უკვე ორი წელია, რაც არავითარი ცნობა არ მივიღია ორდენისაგან“.

დროთა განმავლობაში, ვატიკანიდან მისიონერებისადმი უყურადღებობის გამო, კარმელიტებმა თავიანთი პირველადი მოვალეობა-ფუნქცია დაჰკარგეს. მათი სახლ-კარი საავადმყოფოებად იქცა, სადაც ყოველი მხრიდან ძნელად სწეული ავადმყოფები მოჰყავდათ სამკურნალოდ. სამისიონერო საქმე, ბერებმა

<sup>12</sup> The Chronicle..., გვ. 353.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 353.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 364.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 365.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 369.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 372.

თითქმის მთლიანად მიივიწყეს და ავადმყოფ ყმაწვილთა ნათვლაზე გადავიდნენ.

იმ პერიოდისათვის, ირანის იმპერიაში სერიოზული ეპიდემიები მძვინვარებდა, რამაც განსაკუთრებით ბევრი ბავშვი იმსხვერპლა. ამ მდგომარეობით სარგებლობდნენ წმინდა მამები და სიკვდილის პირას მიმდგარ ბავშვებს ნათლავდნენ. 1648 წლისათვის კარმელიტებმა ირანის სხვადასხვა რეგიონში 120 ბავშვი მონათლეს, ხოლო 1649 წელს კი 375 ბავშვი<sup>18</sup>. ბერები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მონათლული ყმაწვილები სიკვდილს გადაერჩინათ და სქესობრივ სიმწიფემდე მიეყვანათ. ორი წლის განმავლობაში, მათ მიერ მონათლული ბავშვებიდან 200 დაიღუპა. მიუხედავად ასეთი მარცხისა, ირანის მოსახლეობას ღრმად სწამდათ მისიონერების და მათ მიერ წარმოთქმული ლოცვების, იმდენად, რამდენადაც მათთვის ეს ლოცვანი გაუგებარი და უცხო იყო, მას ერთგვარ „თილისმად“ მიიჩნევდნენ. მათ სჯეროდათ „ავი თვალის“ და, რომ აქედან ხსნა მხოლოდ კარმელიტი მამებს შეეძლოთ.

ამრიგად, ვატიკანის სწრაფვას ირანის იმპერიისაკენ, რომელიც შუამავლის როლით გამოიხატებოდა ევროპის სახელმწიფოებსა და ირანის იმპერიას შორის, ემსახურებოდა თურქთა აგრესიის თავიდან აცილებას ევროპაში. ვატიკანი კი, ფარული ზრახვებით ყოველ ღონეს ხმარობდა ფეხშიშველი კარმელიტი მისიონერების საშუალებით კათოლიციზმი გაეცრელებინა ირანში და მისი ქრისტიანი მოსახლეობა ნაწილობრივ მაინც ესხნა გამაჰმადიანებისაგან. ამასთან, ირანს, ვატიკანი იყენებდა ერთგვარ პლაცდარმად საქართველოსა და სხვა მართმადიდებლურ ქვეყნებში შექრისათვის.

К. Д. ПАВЛИАШВИЛИ

## СВЕДЕНИЯ БОСОНОГИХ КАРМЕЛИТОВ О ВЗАИМОТНОШЕНИЯХ ВАТИКАНА С ИРАНОМ В 20—50-ГОДАХ XVII ВЕКА

Резюме

В первой половине XVII века замечалась особая активизация взаимоотношений Иранской империи с государствами Европы. В архивах и книгохранилищах Европы собралось много материала, относящегося к политике западных стран и Ватикана по отношению к Ирану. Эти материалы представляют собой заявительные прамоты, письма, отчеты мемуарного характера и др. документы кармелитов-миссионеров и путешественников.

Заинтересованность Европы Ближним Востоком вызвала рост культурных и политических взаимоотношений между Ираном и Европой. Устремленность к империи Ирана, Ватикана, который занимал срединное положение между европейскими государствами и Ираном, благоприятствовала уничтожению турецкой агрессии в Европе. Ватикан стремился с помощью кармелитов распространить католицизм в Иране и хотя бы частично освободить его христианское население от мусульманства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ინფორმაციის სექტორმა

ჯონდო ვასალია

ქართლის ხეობათა შეღარაბითი შესწავლისათვის

(„ქსნური ფენომენი“)

საქართველოს გულის — შიდა ქართლის ვრცელი ტერიტორიისათვის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში დამახასიათებელი იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი საერთო ნიშნები. თუმცა მის ცალკეულ რეგონებს ამ მხრივ ჰქონდათ თავისი სპეციფიკა.

სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ქსნის ხეობა. მას თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა ქართლისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში. ქსანსა და მის დასავლეთით მდებარე ხეობებში წარმოიშვა ქსნის საერისთავო — ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი. ქსნის ხეობა გამოირჩეოდა მაღალი კულტურულ-ეკონომიკური განვითარებით, რაზეც მიუთითებს მდიდარი არქეოლოგიური აღმოჩენები (საძეგური, ყანჩაეთი, ახალგორი, ალევი, ნასტაკისი, ალაიანი), შუა საუკუნეების არქიტექტურის პირველხარისხოვანი ძეგლები (წირქოლი, ყანჩაეთი, არმაზი, ხოფა, ლარგვისი, ქარჩოხი, ქოლოთი, ცხავატი) ადგილობრივ ფეოდალთა შესანიშნავი საგვარეულო მატეიანის „ძეგლი ერისთავთას“ შექმნა (XIV ს.); ქსნის ერისთავთა დიდი ხვედრითი წონა საქართველოს სამეფოში და ა. შ.

მდ. ქსანი სათავეს იღებს ყელის ტბიდან, რომელიც მდებარეობს კავკასიონის ქედზე. ქსნის ზემო წელი წარმოადგენს ვიწრო და ღრმა ხეობას. სოფელი იკოთის ქვემოთ ქსნის ხეობა ფართოვდება. ქედები, რომლებიც მდებარეობენ მდინარის ნაპირებზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაბლდებაან. ქვედა ნაწილში ქსანი მიედინება ქართლის ანუ მუხრანის ველზე. მდ. ქსნის ზემო წელი ყელის პლატოსა და ქნოლოსთან ერთად წარმოადგენს ერთიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს.

ქსნის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური ძლიერება განპირობებული იყო მისი ეკონომიკური განვითარებით, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ხეობის მრავალმხრივ ბუნებრივ პირობებს: სუბალპური და ალპური საძოვრები შეადგენდნენ ინტენსიური მეცხოველეობის განვითარების საფუძველს; ნაყოფიერი ზეგანი ანუ მთისწინეთი და ბარი გარკვეული სამეურნეო (მათ შორის სიბრინჯაო) ჩვევების არსებობის პირობებში განპირობებდა მემანდრეობის, მევენახეობა-მებაღეობის განვითარებას. ქსნის ხეობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მის სიახლოვეს მაგისტრალთან, რომელიც ჩრდილო კავკასიას აკავშირებდა მახლობელ აღმოსავლეთთან.



დვ. წ. IV საუკუნის საქეგურისა და ყანჩაეთის მდიდრული სამარხების აღმოჩენა მდ. ქსნის სხედასხვა ნაპირზე, 15 კმ დაშორებით, რაც მთიანი რელიეფის პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, გვიბიძგებს აზრისკენ, რომ ანტიკურ ხანაში ქსნის ხეობაში იყო ორი ადმინისტრაციული ერთეული ცენტრებით საქეგურსა და ყანჩაეთში. ეს აზრი მტკიცდება გვიანდელი ხანის ანაგოგიური სიტუაციითაც: VII ს-ის „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით ქსნის ხეობაში ერთდროულად არსებობდა კვლავ ორი ადმინისტრაციული ერთეული ცხრაძმისხევი (ცხრაძმა) და ქსნისხევი.

ქსნის საერისთავოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მემინდვრობას. იგი კარგად იყო განვითარებული საერისთავოს ბარში. მთიან ნაწილში კი მემინდვრობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული; იგი წარმოადგენდა მეურნეობის დამხმარე დარგს, ძირითადი კი იყო მესაქონლეობა. საერისთავოს ბარულ ნაწილში განვითარებული იყო მევენახეობა და მებაღეობა.

ქსნის ხეობაში საუკეთესო საზაფხულო საძოვრებად ითვლებოდა ჭურთა, ქარჩოხი და ყაშური, ხოლო ინტენსიური მესაქონლეობის განვითარება წარმოუდგენელი იყო ქნოლოსა და მღრან-დვალეთის (დიდი ლიახვას სათავეები) საძოვრების გარეშე. ამით აიხსნება ქსნის ხეობის ხელისუფალთა სწრაფვა ამ საძოვართა დაუფლებისაკენ. საერთო საძოვართა ფლობის ფაქტში უნდა ვეძებოთ ქსნისა და მეზობელ ხეობათა სათავეების ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ეს გაერთიანება წარმოიშვა ცხრაძმისხევის ირგვლივ. VI ს-თვის ეს უკვე კარგა ხნის მოხდარი ფაქტია.

ცხრაძმისხევის მესაქონლეებს საზამთრო საძოვრები ჰქონდათ შიდა ქართლის ბარში — აშურიანში, ალაიანში, თხოთი-წლებავზე, სხალტბაში, ქ. გორის მიდამოებში.

მონღოლთა შემოსევების ხანაში (XIII ს. შუა წლებიდან), როცა ფეოდალური საზოგადოების გამოთვევლმა ტენდენციებმა ახალი ძალით დაიწყეს ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ერთიანობის რღვევა, ქსნის ხეობის მთურა ნაწილი გამოეყოფა ქართლის საერისთავოს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული (ადრეფეოდალური ხანის ყოფილი ცხრაძმისხევი), და რომლის მმართველი, რომელიც ჯერ კიდევ არ ფლობს ხეობის ქვედა წილს, თითქმის წარმოადგენს ცხრაძმისხევის ხელისუფლის პოლიტიკურ მემკვიდრეს.

ცენტრალური ხელისუფლების მიძიმე საგარეოპოლიტიკურ კითარებაში იწყება ცხრაძმისხევის მფლობელთა თანდათანობითი განდიდება. ამის პარალელურად იწყება შეტევა სამხრეთით ქსნისხევის მიმართულენებით. საგულისხმოა, რომ თუ VII—X სს-ში ქსნისხევი (ანუ ინტენსიური სოფლის მეურნეობით განვითარებული ბარი) თავისი მძლავრი ეკონომიკური განვითარების დროს პოლიტიკურად იმორჩილებს ცხრაძმისხევის (ანუ მთას ექსტენსიური სოფლის მეურნეობით), ეხლა გვიანშუასაუკუნეების ეპოქაში, საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური სისუსტისა და ეკონომიკური დაქვეითების პირობებში, ადგილი აქვს პირუკუ პროცესს. XIII—XIV სს. მიჯნაზე ცხრაძმისხევის ერისთავები მნიშვნელოვნად აფართოებენ თავიანთ მიწებს.

XV—XVIII საუკუნეებში ქსნის საერისთავო ტაბილური სააჯადოა. XVII ს-ის დასაწყისიდან ქსნის საერისთავოს რეზიდენციად ქვენიფნევის ნა-

ვლად იქცევა ახალგორი, ხოლო ერისთავებს საგვარეულო საქმე-სამარხი გადააქვთ ლარგვისიდან იკორთაში. ეს ღონისძიება დაკავშირებული იყო საერისთავოს სამფლობელოთა გაფართოებასთან შიდა ქართლის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. საქმე ის არის, რომ XV—XVI სს-ში საამილახვროსა და სამუხრანბატონოს წარმოშობის შემდეგ, ქსნის საერისთავოს მმართველებს აღარ აქვთ შესაძლებლობა სამხრეთით გააფართოონ ტერიტორია. ქსნის ერისთავთა ექსპანსია მიმართულია დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ შიდა ქართლის ბარული ნაწილის დასაუფლებლად.

ქსნის საერისთავო წარმოადგენდა მრავალ ხეობათა ერთობას, მაგრამ მის ბირთვს შეადგენდა წინაფეოდალური და ადრეფეოდალური ხანის ცხრაძმისხევი და ქსნისხევი. თუ ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში ორივე ეს ერთეული ტოლფასოვანია, ეპოქის დასასრულისათვის მოწინავეობს ქსნისხევი. XIII—XIV სს. არის ცხრაძმისხევის გაფურჩქვნის პერიოდი. გარკვეულად შეინიშნება მისი ექსპანსია სამხრეთით, ადრეფეოდალური ხანის ქსნისხევის ტერიტორიისაკენ. XVI—XVIII სს-ში წამყვან როლს ასრულებს ხეობის მთისწინეთი (ზეგანი) და ქვენიფენიდან ახალგორში რეზიდენციის გადმოტანასთან დაკავშირებით ქსნის საერისთავოს გამგებელთა გვარი ქვენიფენველი (მომდინარე ცენტრისგან ქვენიფენი) იცვლება ქსნის ერისთავად.

მაშასადამე, ქსნის საერისთავოს წარმოშობისა და განვითარების ისტორია ესაა მხარის მთური და ბარული ნაწილების ურთიერთობის ისტორია, თავდაპირველად ცხრაძმისხევსა და ქსნისხევს, ხოლო შემდეგ ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონო-საამილახვროს შორის ურთიერთობის ისტორია. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიმძლავრე იმით იყო განპირობებული, რომ აქ ძლიერ მთასა და ბარს შორის მოქცეული იყო ძლიერი მთისწინეთი (ტერიტორია დ. ლენინგორსა და ცხავატს შორის). ქსნის ხეობის მთისწინეთი ხელს უწყობდა მთისა და ბარს შეუფერხებელ ურთიერთობას. ამასთან ქსანზე აგრძნობოდა ძლიერი კავშირი მთასა და ბარს შორის. ვრცელი მთისწინეთის არსებობის გამო ქსნის მთაში ადვილად აღწევდა ბარის ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური იმპულსები.

ასეთ კავშირს ჩვენ იშვიათად ვამჩნევთ შიდა ქართლის სხვა ხეკვებში. მაგალითად, იგი არ არსებობდა არაგვზე. მეზობელ ხეობათა ერთნაირ გეოგრაფიულ განედებზე ვხვდებით განსხვავებულ რელიეფურ-კლიმატურ პირობებს.

არაგვის მთისწინეთი — ჭართალის ხეობის ვიწროები, არ ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს ბაზალეთ-არაგვისპირის (ბარის) და მთიულეთის (მთის) ურთიერთობისთვის. ამასთან ჭართალის ხეობა მწირია და გამოირჩევა ცუდი კლიმატური პირობებით. არაგველი მეცხოველენი საზამთრო საძოვრებს ეძიებდნენ არაგვის ხეობის მიღმა. გერმანელი მეცნიერი იულიუს კლაპროტა XIX ს-ის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ შორეულ ყარაიაში სძოვდა მთიულეთის, ფშავისა და ხევსურეთის ცხვარი.

არაგვის ხეობის განვითარების უმთავრეს ნიშანს კი წარმოადგენდა ის, რომ იქ უძველესი დროიდან გადიოდა მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალი, რომელსაც არა-

გვის ანუ დარიალის გზა ეწოდებოდა (XVIII ს-ის მიწურულიდან — საქართველოს სამხედრო გზა).

ჩვენ შევეუბრისპირეთ ქსნისა და არაგვის ხეობები. ასევე თუ შევედარებთ ერთმანეთს ქსნისა და ლიახვის ხეობებს, დაახლოებით იგივე სურათი წარმოგვიდგება. მიუხედავად იმისა, რომ ლიახვის ხეობის ბარი ფეოდალურ ხანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დაწინაურებულია, ამას ვერ ვიტყვით მის შუა წელსა და, განსაკუთრებით, სათავეებზე (მათზე). ფეოდალური ხანის მალრან-დვალეთის მატერიალური კულტურა გაცილებით ღარიბია, ვინემ შესაბამის განედზე მდებარე ქაშურისა (ქსანზე). მალრან-დვალეთი სოციალური განვითარებით გაცილებით დაბლა იდგა, ვიდრე ქსნის ხეობა საერთოდ და თუნდაც მისი მთიანი ნაწილი. არაა შემთხვევითი, რომ „ძეგლი ერისთავთა“ მიხედვით, ქსნის ერისთავებს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ მალრანდვალელებთან. მალრან-დვალელები ქსნელ ფეოდალებს (ერისთავებს) უყურებდნენ როგორც ძალას, რომელსაც მოჰქონდა ფეოდალიზმი, რისთვისაც მალრან-დვალეთის საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მზად. ასევე თუ შევადარებთ ერთ განედზე მდებარე ჯავის ხეობის (ლიახვი) და ცხრაძმის (ქსანზე) ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებს, გაცილებით მდიდრულად გამოჩნდება ცხრაძმა. ჯავის ხეობის ვიწროება ჰართლის ხეობის (არაგვზე) ანალოგიურად არ იძლეოდა საშუალებას ლიახვის მთისა და ბარის ხელსაყრელი ინტენსიური ურთიერთობისათვის.

ქსნის ხეობის შედარებითმა შესწავლამ არაგვისა და ლიახვის ხეობებთან გვაჩვენა ქსნის ხეობის ეკონომიკური უპირატესობა და აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი სოციალური სტატუსი არაგვის და ლიახვის ხეობებთან შედარებით. ვარკვეული აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ შიდა ქართლში „ქსნურ ფენომენზე“, ქსნის ხეობის განსაკუთრებულობაზე.

ფეოდალური ქსნისათვის დამახასიათებელია ლარგვისელ „საყდრისშვილების“ (საეკლესიო აზნაურები) არსებობა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „საყდრისშვილები“ უცნობია როგორც არაგვის, ასევე ლიახვის ხეობებისათვის. აღსანიშნავია: რომ მიუხედავად იმისა, რომ ქსნის, არაგვისა და ლიახვის ხეობები ერთიმეორის გვერდით ერთ გეოგრაფიულ განედში მდებარეობენ, მათი განსხვავებული გეოგრაფიული (ლანდშაფტური) პირობების გამო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვანაირად გამოიყურებიან. ყოველ შემთხვევაში, ფეოდალურ ხანაში ქსანი სოციალურ-ეკონომიკურად უფრო დაწინაურებული ჩანს.

თუ შევადარებთ XIV საუკუნის ორ საისტორიო წყაროს — „ძეგლის დადების“ და „ძეგლი ერისთავთა“ სოციალურ ტერმინოლოგიას, რომელთაგან ერთი ასახავს მთიულეთის (არაგვის ხეობის), ხოლო მეორე ცხრაძმის (ქსნის ხეობის) საზოგადოებას, ვნახეთ, რომ სოციალური განვითარების თვალსაზრისით ცხრაძმა გაცილებით მაღლა იდგა მთიულეთზე.

„ძეგლის დადების“ სოციალური ტერმინებია: ერისთავი, მსახური, გამგებელი აზნაური, ხევისბერი, ციხისთავი, პეროვანი, სოფლიონი, ლომასის გლეხი.

„ძეგლი ერისთავთა“ სოციალური ტერმინებია: ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, აზნაური, აზნაურიშვილი, საყდრისშვილი, წინამძღვარი, მსახური, ციხისთავი, მამასახლისი, ერი, წურილი ერი, გლახაკი, გლეხი, მობევრე, ხიზანი, მონა („მორჩილი, ხელქვეითი მსახური“).

ამასთან „ძეგლის დადება“ აზნაურობას მხოლოდ გამგებლისათვის დამანასიათებლად და გლეხს მხოლოდ ცხრაძმისთან მოსაზღვრე თუ მოზიარე სალოცავის — ლომისასთან მიმართებაში ახსენებს, ხოლო „ძეგლი ერისთავთა“ ხევისბერს თმულეთთან დაკავშირებულ თბრობაში. ხევისბერობა არაა დამახასიათებელი „ძეგლი ერისთავთაში“ აღწერილი ცხრაძმის საზოგადოებისათვის. სოციალური ტერმინოლოგიის ვათვალისწინებით ცრაძმის საზოგადოებისათვის კარგა ხნის განვლილი ეტაპია ის სოციალური ყოფა, რომელიც დამახასიათებელია „ძეგლის დადებაში“ ასახული მთიულეთის საზოგადოებისათვის. იქნებ არც ის იყოს შემთხვევითი, რომ შუა საუკუნეების ცხრაძმა (ქსნის მთა) იცნობს აზნაურებს — ჟურულებს, ფიცხელაურებს, რატიშვილებს, ხალბეგაშვილებს, მაშინ, როდესაც მთიულეთიდან აზნაურები არ არიან ცნობილნი.

ქართლის ხეობათა ლოკალურ თავისებურებათა შესწავლამ გვაჩვენა ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ანუ გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტ გავლენა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ანტიკურსა და ფეოდალურ ხანაში.

ДЖ. Г. ГВАСАЛИА

## К СРАВНИТЕЛЬНОМУ ИЗУЧЕНИЮ УЩЕЛИЙ КАРТЛИ («КСАНСКИЙ ФЕНОМЕН»)

Резюме

При изучении Картли привлекает внимание особенность культурно-экономического развития Ксанского ущелья в античную и феодальную эпохи. Это — богато представленные памятники материальной культуры, факт создания уникальной летописи эриставов «Дзегли эриставта», большой удельный вес ксанских вельмож в истории Картлийского царства.

Сопоставляя Ксанское ущелье с Арагвским и Лиахвским ущельями, становится очевидным, что несмотря на их расположение в одной географической широте, Ксани стоит на более высокой степени социально-экономического развития. Выдвижение Ксани объясняется природными условиями ущелья: место характеризуется типичными горами и равнинами, широким пространством предгорья, способствующим беспрепятственным взаимосвязям между горной частью и равниной, благодаря которому проникали экономические, культурные и социальные импульсы из равнины. В определенном смысле можно говорить о «Ксанском феномене» в Картли.

Отсутствием аналогичных природных условий на Арагви и Лиахви можно объяснить их сравнительно низкое социально-экономическое развитие.

Изучение локальных особенностей ущелий Картли показывает большое значение географической среды для социально-экономического развития общества в период докапиталистических формаций.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში

ვლადიმერ ლუნაჩვილი

ქსენის ხეობის წარსულიდან

ლენინგორის (ლენინგორს, 1934 წლამდე, ახალგორი ერქვა) რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სასანთლის ქვედა ნაწილი (ძირი), საინვენტარო № 1297/13. სასანთლის ზედა ნაწილი ზრახნის ყოფილა ჩამაგრებული და მუზეუმში მოტანამდის უკვე დაკარგულა. სასანთლის ქვედა ნაწილი შედგება: ძირისა და ძირზე მიჩრჩილული ცენტრალური ღეროს სამაგრი ბუდისაგან (ერთგვარი გული).

სასანთლის ძირი დამზადებულია ვერცხლის ფურცლისაგან, ჩამოსხმით, კედლითა და წნეხით. ზედაპირი გაუპრიალებიათ სპეციალურ ჩარხზე, შემორჩენილია პარალელური წრეხაზები. გარემემოწირულობა გაუთხელებიათ და შეუკეცავთ. შეკეცილობა სპეციალური საჭრისით თანაბარ ზომამზე შემოუჭრიათ. შემოჭრილი წიბო მიუჩრჩილავთ.

სასანთლის ძირის შუაში მიჩრჩილულია 4,5 სმ. დიამეტრისა და 2,3 სმ. სიმაღლის მქონე ცენტრალური ღეროსათვის ჩასახრახნი ბუდე, ზრახნი სპეციალური საჭრისით გაუკეთებიათ, რის შემდეგაც ზევიდან ამავე დიამეტრის მქონე ნახვრეტისანი ვერცხლისავე ფირფიტა მიუჩრჩილავთ. „გული“ გარედან გაუპრიალებიათ. იწონის 81,400 გრ. დიამეტრი არის 12,2 სმ.

სასანთლის ძირის უკანა მხარეს გაკეთებულია ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა. იწყება ქანწილით და მისი ჩათვლით მხ სიტყვას მოიცავს. „ქ-შევსწირე სასანთლე ესე წმინდას მოწამეს გიორგის წირქოლის ეკლესიასა-მე შენმან; მსას-ებელმან საქართველ-ს მეფის სძალმან და თანა მეცხედრემან ძისა მისისა გიორგისამან მარამ-რათა მე-ხ მექმნა მრჩ-ბელსავე ცხოვრებასა შინა მეუღლით ჩემით ძეებითა და ასულებითა ჩემითა-წელსა ჩ ღ ჟ ა მიხალი მ-თ.“

წარწერა გაკეთებულია კარგი გამართული კალიგრაფისტის მიერ, სიტყვება შორის დატულია თითქმის თანაბარი მანძილი. დაქარაგმებულია ასო ო. ტექსტში ო ნახმარია 11-ჯერ, აქედან 2-ჯერ დაქარაგმებულია, 2-ჯერ პატარა ხაზია გაკეთებული. თითოჯერ გამოტოვებულია ასოები ე და ს. ასო ლ დაწერილია 11-ჯერ. 9 შემთხვევაში გამოსახულია სწორად, ორჯერ არის დაწერილი წარმოსახვით ხაზს ზევით. ასო ა გამოყენებულია 37-ჯერ, აქედან ოთხჯერა დაწერილი წინა ასოს თავზე. ასო ი გამოყენებულია 22-ჯერ, აქედან 2-ჯერ მიბმულია წინა ასოს ფეხზე.

ტექსტი 5-ჯერაა დაყოფილი ორი პატარა ჰორიზონტალური ხაზით. ორი ორი ჰორიზონტალური ხაზით დაყოფა, როგორც ჩანს, აგებულია სუნთქვის პრინციპზე და იძლევა წარწერის შინაგან რიტმს.

ქარაგმების გახსნისა და გამოტოვებული ასოების აღდგენის შემდეგ წარწერა წაიკითხება „ქ/რისტე/, შევსწირე სასანთლე ესე წმინდას მოწამეს გიორგის წირქოლის ეკლესიასა, მე შენმან მსას/ო/ ებელმან საქართველ/ო/ს მეფის სძალმან და თანა მეცხედრემან ძისა მისისა გიორგისამან მარამ; რათა მე/ო/ხ მექმნა მრჩ/ო/ბ ელსავე ცხოვრებისა შინა მეუღლით ჩემით ძეებითა და ასულობითა ჩემითა, წელსა ჩ ღ ჟ ა /1791/ მი/ს/ხალი მ-თ (49).

სასანთლის ძირს ზედა მხარეს აქვს დაშტამპული ტოლმკლავიანი ჯვრის ფორმის გამოსახულება, რომლის თითოეულ მკლავში ჩაბეჭდილია ხუთი მხედრული ასონიშანი შემდეგი ფორმით.



სასანთლის ზედა მხარეს დაშტამპული ტოლმკლავიანი ჯვრის ფორმის გამოსახულება, წარმოადგენს ხელოსნის პირად დამლას და ქარავმის ვახსნით წაიკოტება არუთინ. წარწერასა და პირად დამლაზე დაკვირვების შედეგად ჩვენ მივვანინია, რომ სასანთლე დაუმზადებია მეფის საოქრომჭედლოში<sup>1</sup>, ძარიაშის შეკვეთით, ოქრომჭედელ არუთინს, არუთინი ყოფილა ცნობილი ოსტატი, რამეთუ მას ჰქონია პირადი დამლა, საკუთარი სახელის აღმნიშვნელი ასოებით.

სასანთლის ძირის წარწერიდან ჩანს, რომ 1791 წელს ერეკლე II-ის უფროსი შვილის გიორგის, მეორე ცოლი<sup>2</sup>, მარიაში ყოფილა ქსნის ხეობაში და წირქოლის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს სასანთლე. და უთხოვია შუამდგომლობა: რათა შეეწიოს მარიაშს, მის მეუღლეს გიორგის, ძებება და ასულებს სააჭაო და საიჭიო ცხოვრებაში.

1777 წლის დასასრულიდან, ერეკლე II-ის მიერ, ქსნის ერისთავებისათვის, როგორც მოღალატეებისათვის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ვრთეულის, ქსნის საერისთავოს ჩამორთმევისა და თავის შვილებისათვის ვაუაყემის შემდეგ<sup>3</sup>, როგორც ლენინგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სასანთლის ძირის წარწერიდან ჩანს, 1791 წლისათვის ქსნის ხეობა ყოფილა კვლავ გიორგის მფლობელობაში. შ. ხანთაძეს მოაქვს ერთი საბუთო<sup>4</sup> რომლის თანახმადც 1791 წელს გიორგი ბატონიშვილს უწყალობებია ზურაბ ფაცხელაურისათვის წირქოლის ხოდბუნები. ამდენად, სასანთლის ძირის თარიღიანი წარწერა და გიორგი ბატონიშვილის წყალობა ზურაბ ფაცხელაურისათვის ერთმანეთთან კავშირშია. 1791 წლის შემდგომ, გიორგი ბატონიშვილმა ყოფილი


1 მ. იოსელიანის თანახმად, მეფის საოქრომჭედლოში მუშაობდნენ გაბრიელ ბასხარაიკი (მ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978, გვ. 67) და კოსტა (იქვე, გვ. 154) გ. კეკელიძის გამოკვლევით, მეფის საოქრომჭედლოში ყოფილან ხელოსნები იაკობ; დავით, ნიკოლოზ; გ. კიკნაძე, ლითონის ქართული ამლიანი ზურბული, კრებულში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXII, — 1976, გვ. 192.

2 მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, 1985, გვ. 191.

3 იოსელიანის თანახმად, მარიათაშვილი, ცხოვრება — ანდერძი, მასალები სპ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28, 1950, გვ. 81; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 1983, გვ. 57, საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII—XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, 1980, გვ. 140; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 328—329; მისივე, მასალები, ქართველი გლეხობის ისტორიისათვის, XVIII საუკუნე, 1979, გვ. 187—188; ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 1967, გვ. 51, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, 1967, მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, 1983, გვ. 78...

4 შ. ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდები გვიანფეოდალურ საქართველოში, 1959, გვ. 151, კრებულში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XX.

ქსნის საერისთავოს ტერიტორია თავის შეილებს გადასცა. კერძოდ: ქსნის ხეობა — იოანეს, ბაგრატს კი ისროლისა და მეჭუდის ხეობებში. ქსნის ხეობის გადაცემა იოანესათვის უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1797 წლისა.



სურ. 1. სასანთლის ძირის ზედა მხარე

წირქოლიდან სამიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ იკოთის წმინდა მარინეს ეკლესიის სამხრეთის კედელზე გაყვებული წარწერის თანახმად ეკლესიის განმასხვებლად გამოდის იოანეს მეუღლე. ქეთევან წერეთელი, 1797<sup>6</sup> წ. ასევე იოანე ბატონიშვილის მიერ 1794—1799 წლებში შესრულებულ ქართლ-კახეთის აღწერაში, სოფელი წირქოლი თავის კუთვნილად ექვს მოხსენიებული<sup>7</sup>.

1801 წლის დასაწყისში ბაგრატიონები უბრუნებენ ქსნის ერისთავებს 1777 წლისთვის ჩამორთმეულ ტერიტორიას<sup>8</sup>. სავარაუდოა, რომ ამ ღრრისათვის დაებრუნებინათ სოფელი წირქოლიც.

ქსნის ხეობის სოფელი წირქოლი (ვახუშტი, დაბად მოიხსენიებს<sup>9</sup>) ისტო-

<sup>5</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 330; მისივე, მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის XVIII საუკუნე, 1979, გვ. 188—189.

<sup>6</sup> ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, 1968, გვ. 90.

<sup>7</sup> იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, 1986, გვ. 36.

<sup>8</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, 1983, გვ. 69; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 331.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 359.

რისა და კულტურის ძეგლებით ერთ-ერთი მდიდარი სოფელია. აქ არის VII ს-ის ღვთისმშობლის ეკლესია, X ს-ის ციხე, ე. წ. წირქოლის ციხე<sup>10</sup> გვიან შუა საუკუნეების ფიციხელაურების საგვარეულო კოშკი და მათივე კარის ეკლესიის ნაშთი<sup>11</sup>. ქსნის პირას, კლდეზე არის თეთრი წმინდა გიორგის ეკლესია<sup>12</sup>. აღნიშნულის გარდა საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების მიერ ფიქსირებულია: წმინდა მარინეს გვიან შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. სადაც იმართებოდა, ათიქის ჩვენ დრომდის, ლიტურგია. სოფლის მაღლა, ქედზე ორიოდ კილომეტრზე, ტყეში არის გვიან შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები. ამდენად, სოფელ წირქოლსა და მის მიდამოებში დღეს არის ისტორიისა და კულტურის 7 არქიტექტურული ძეგლი<sup>13</sup>.

ლენინგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სასანთლის ძირი, არის თეთრი წმინდა გიორგის ეკლესიიდან, თუმცა წარწერაში „თეთრი“ არ ფიგურირებს.

მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს, იქ სადაც ახლა წირქოლის დაკიდული ხილია, მკვეთრად წამოწვდილ კლდეზე აღმართულია შუა საუკუნეების<sup>14</sup> მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი ჯიშის კლდის ფლეთილი და რიყის ქვით. ნახარია შირიმის ქვა და ქართული აფური. დარბაზული ეკლესია გვეგით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდიით. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზისაზე. კონქი სფერულია, საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე ზომის მხრებით. დარბაზის იატაკი მოპირკეთებულია ოთხკუთხა ქვის ფილებით.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელში დატანებული მცირე თაღოვანი სარკმლებით. ეკლესია შიგნიდან და გარედან შელესილია, თუმცა რამდენიმე ადგილას უკვე ჩამორეცხილია. აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის დაბლა გარედან შელესილობა ამოკაწრულია „1918“. შესაძლებელია გარკვეული სახის შელესილობა გაკეთდა ამ, 1918 წელს. დასავლეთის ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში ორი ტოლმკლავი ჯერის რელიეფური გამოსახულება.

ეკლესიაზე, დასავლეთის კედელზე აღმართულია მცირე სამრეკლო. იგი წარმოადგენს: დია, თაღოვან ფანჯატურს, ოთხქანობა სახურავით. იგრობა XIX ს-ის რუსული სტილი. ეკლესია გადახურულია კრამიტით.

ძეგლის გარშემო, შემორჩენილია სხვადასხვა სათავეებისა და გალავნის ნაშთები. მიმდებარე ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა ზატის ვენახს

<sup>10</sup> Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, 1970, გვ. 152—161; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, 1974, გვ. 40—41, 118; Р. Мелишавили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии—Илида Каргли, 1975, გვ. 22—25; პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, 1973, გვ. 57—61.

<sup>11</sup> ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, 1968, გვ. 69.

<sup>12</sup> ს. მაკალათია, იქვე, გვ. 72; პ. ზაქარაია, ლენინგორის რაიონი, გზამკვლევი, 1981, გვ. 5—6.

<sup>13</sup> თ. ბარნაველის მიერ შედგენილი, საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების სიაში დასახელებულია ორი: VIII ს-ის ეკლესია და წირქოლის ციხე. დასახ. ნაშრომი, 1957, გვ. 147.

<sup>14</sup> ძეგლის დათარიღება ეყუთვნით, ძეგლთა დაცვის პასპორტიზაციის განყოფილების თანამშრომლებს: ლ. გიორგაძეს და მ. აბაშიძეს... საქართველოს სახ. მუზეუმის თანამშრომლებს: ი. ვაგოშიძეს, ნ. აფხაზაძეს...





დათარიღების საფუძველი: 1. პალეოგრაფიული ნიშნები, მხედრულის შერევა ასომთავრულში. 2. წარწერის შინაარსი, ჟურულის მოხსენიება.

პირველი სტრიქონის წაკითხვა „წმინდაო კვირაცხოველო“ გამომდინარეობს შემორჩენილი გრაფემებისა და სახელწოდების ურთიერთშეჯერებით.

რაც შეეხება მეორე სტრიქონს, გვიან შუა საუკუნეებში ქსნის ხეობის მოღვაწეთა შორის ჟურულთა გვარი სავსაოდ ცნობილია. ჩვენი ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული ჟურული უნდა იყოს მღვდელი გიორგი ჟურული, რომლის წინაპარი 1460 წლის სასისხლო სიგელის მიხედვით „ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხის შვილი და მქონებელა“<sup>16</sup>. მისი სისხლი 160000 კირმანეული ღირს, მაშინ როდესაც ამავე პერიოდის ცხრაზმის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის სისხლი 170000 კირმანეული ღირს<sup>17</sup>.

ცხრაზმის საერისთავოში XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის დასაწყისში მოჩანს ცხრა ხევი<sup>18</sup> (ხევი-საერისთავოს ფარგლებში მყოფი მცირე ადმინისტრაციული ერთეული). სასისხლო სიგელის მიხედვით, ჟურულები, ცხრაზმის საერისთავოს მონაპირე მმართველნი ყოფილან. „მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხის შვილი და მქონებელი. ჩვენი ვარაუდით, ჟურულთა გვარი, ცხრაზმის საერისთავოში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეულის ცხრაზმის ხევის მმართველნი ყოფილან“<sup>19</sup>. 1459 წლისათვის კი ცხრაზმაზე სამი ხევია მოხსენიებული — „შევიყვარენით ჩუენ ცხრაზმისკვეისა სამასავე ქაეის კრებულნი და მამასახლისნი“<sup>20</sup>.

დანარჩენი, ეჭვსი მცირე ადმინისტრაციული ერთეული — ხევი, სავარაუდოა, რომ უკვე ერისთავის სათავისთავო მამულის ნაწილად არის გადაქცეული. ამ ეჭვის გაუქმებულ სახევისთავოებს შორის საგულისხმოა ცხრაზმის ხევი, რომელიც ცხრაზმის ერისთავმა XV საუკუნეში უშუალოდ თავის მამულად გადააქცია. ხოლო ხევისთავთა შთამომავალი გიორგი ჟურული 1470 წელს

<sup>16</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 278.

<sup>17</sup> ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, წიგნი 11, 1924, გვ. 95—98.

<sup>18</sup> ძველი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა შ. მესხიამ, კრებულში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 20, 1954, გვ. 247.

<sup>19</sup> ჟურულების ნაღვძარი, ჩვენი აზრით, რომელიც გამომდინარეობს სასახლესი სიგელის მონაცემებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, უნდა იყოს, დღევანდელი ცხრაზმის ხევის სოფელი ჩიტანი. აქ, სოფლის თავზე, ტყეში არის ვარდამავალი პერიოდის (დათარიღება ვეუთენით ძველთა დაცვის პასპორტიზაციის განყოფილების თანამშრომლებს: ლ. გიორგაძეს, მ. აბაშიძეს, ავ. თოფურაძეს...) დარბაზული ეკლესია — ყველაწმინდა. რომლის კედლებზე, შემორჩენილია მონატულობის ფრაგმენტები და ფრესკული: ასომთავრული და მხედრული წარწერები: წარწერის რამდენიმე ფენა. ასომთავრული წარწერებიდან სამხრეთის კედელზე კარგად იკითხება „აბრაჰამი ჟურული“. (წარწერაზე ყურადღება მივაქცევინა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა გ. გაგოშიძემ). სოფელშივე ყოფილა ციხე. ციხე დანგრეულია, მოსახლეობას ახსოვთ მისი დანგრევა — ჩვენი საუკუნის 50-იანი წლები.

გვიან პერიოდში, როგორც ჩანს, ჟურულებს უცხოვრიათ ლარგისში. ზემოთ მოყვანილი ლოკუმენტის გარდა, ამას ამტკიცებს ტოპონიმი „ჟურულთა მიწები“ — რაიონის ცენტრალურ სოფელ ლარგისში შემავალი გზის მიმდებარე მიწებს მოსახლეობა „ჟურულთა მიწებს“ ეძახის.

ჟურულებს უცხოვრიათ ს. იკოთშიც. ეს ჩანს იკოთის წმინდა მარინეს ეკლესიასთან არსებულ XIX ს-ის საფლავის ქვის წარწერიდან.

<sup>20</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 111, 1970, გვ. 206.

ლარგვისის წინამძღვრათ დანიშნა „მიჩენია წინამძღვარი ეურულის შვილი გიორგი და შვილნი მისნი გამირიგებია“<sup>21</sup>.

1470 წლის, შალვა ქვენიფნეველის შეწირულობიდან ლარგვისის ეკლესიისადმი<sup>22</sup> კარგად ჩანს, რომ ეკლესიების, ნაოხარი სოფლების მშენებელი ყოფილა თვითონ შალვა ქვენიფნეველი და მისდამი დაქვემდებარებული პირნი „აღვაშენ... ქსანზედა სოფელი ჰერედაჲ, ... ქურთაჲ და სხუაი“<sup>23</sup> სოფელ ერედასა და სოფელ ქურთას შორის არის სოფელი წირქოლი (იგულისხმება, რომ ბაზუაანთ უბანი XV ს-ში არ არსებობდა. იგი შედარებით, ახალი დასახლებაა.) სავარაუდოა, რომ ლარგვისის მონასტრის წინამძღვარმა გიორგი ეურულმა გარკვეული სახის აღმშენებლობითი მუშაობა ჩაატარა წირქოლის წმინდა გიორგის ეკლესიაზე და გააკეთებინა შესაბამისი ფრესკული წარწერა.

В. Ф. ГУНАШВИЛИ

## ИЗ ПРОШЛОГО КСАНСКОГО УЩЕЛЬЯ

### Резюме

В Ленинградском краеведческом музее в экспозиции представлено одно подсвечник с надписью: этот подсвечник для Циркольской церкви Святого Георгия в 1791 году был пожертвован Марьямом Цицишвили, от жены Георгия Батонишвили.

Установлено, что подсвечник был изготовлен в 1791 году в ювелирной мастерской царя ювелиром Арутином. В 1791 году село Цирколи находилось во владении Георгия Батонишвили.

В фресковой надписе, сделанной в церкви, упомянут Журули. Историческими исследованиями устанавливается, что Георгий Журули был настоятелем (главой) Лартвиской церкви.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

<sup>21</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 11, 1965, გვ. 143.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 138—143.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 140—141.

თეზის თეზა

ახ. წ. IV—V სს. ეგრისის ზღვისპირა ქალაქების  
განვითარების ხასიათის საკითხისათვის

დასავლეთ საქართველოს აღრეფეოდალური ხანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიისათვის არც თუ ისე ახალი პრობლემაა. ზოგად საისტორიო ხასიათის ნაშრომებსა<sup>1</sup> და ცალკეულ ქალაქებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში<sup>2</sup> განხილულია დასავლეთ საქართველოს ახ. წ. IV—VII სს. ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ძირითადი საკითხები, მაგრამ ამ პრობლემის არაერთი ასპექტი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ახ. წ. IV—V სს. ეგრისის ზღვისპირა ქალაქების ხასიათს, რომლის გარკვევა წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ IV ს-ის დასასრული, განსაკუთრებით V ს-ზე ეგრისის ზღვისპირა ქალაქების — პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის ცხოვრების დაქვეითების ხანა იყო<sup>3</sup>. ამის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია სინქრონული ხანის იმპორტული კერამიკისა და მონეტების სიმცირე. ასეთი „გარდატეხის“ მიზეზად მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს ჰუნების ტომების შემოსევებს<sup>4</sup>, ხოლო მეორე ნაწილი, აღნიშნული ქალაქების დაცემას უკავშირებს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებასა და კოლხეთში რომაელთა პოზიციების დასუსტებას<sup>5</sup>.

ცხადია, რომ შედარებით ახ. წ. III—IV სს., IV ს-ის დასასრულიდან და განსაკუთრებით V ს-ში, როგორც პიტიუნტში, ისე სებასტოპოლში მკვეთრად მცირდება იმპორტული კერამიკის რაოდენობა. მაგრამ ეს სრულადაც არ ნიშნავს სავაჭრო კავშირთიერების საერთოდ შეწყვეტას გარე სამყაროსთან და ამ ქალაქების „დაცარიელებას“. მასობრივი არქეოლოგიური მასალების

1 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; В. А. Леквинадзе, Мемориальные памятники Западной Грузии I—VII вв. საღვთობო დისერტაცია, თბ., 1973; М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959.

2 დიდი პიტიუნტი, I, II, III, თბ., 1975, 1977, 1979; ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, II, თბ., 1981, 1987; В. М. Джапаридзе, Вардцხское городище, საქანდ. დისერ., თბ., 1981.

3 ა. აფაქიძე, „დიდი პიტიუნტი“ — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, — დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 27; М. М. Трапш, Сухуми в позднеантичное время, — Труды ИИ, Сухуми, 1969, გვ. 294; М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

4 რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, — მსკა, III, თბ., 1963, გვ. 120—121.

5 М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 264; დიდი პიტიუნტი, I, გვ. 27.

შესწავლამ გვიჩვენა, რომ V საუკუნეშიც საკმაოდ მრავლად შემოღის ახ. წ. V ს-ის ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქციის წითელლაკიანი კერამიკა. სოხუმსა და ბიჭვინტაში დადასტურებულია ამ რეგიონის სახელოსნოების ვერტიკალურიპირიანი წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები, შემკული ცხოველების (დელფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებებით<sup>6</sup>. ბიჭვინტასა და სებასტოპოლისში V ს. საკმაოდ მკვეთრად ორიენტირებული კულტურული ფენის არსებობის ილუსტრაციაა ამ ნაქალაქარების ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები<sup>7</sup>. მცირეაზიული ჭრაქების ზოგიერთი ტიპი: სახელდობრ, ღია ფერის, მარწყუისებური ყურიანი ჭრაქები, რომელთაც საპატრუქე მკვეთრად აქვთ გამოყოფილი და წაგრძელებული<sup>8</sup>. ბიჭვინტაში აღმოჩენილია, აგრეთვე ახ. წ. V ს-ის ატიკური სახელოსნოების ჭრაქის ფრაგმენტებიც. აღნიშნული ნაქალაქარების ტერიტორიაზე დადასტურებულია ასევე V ს. პრიალაზედაპირიანი დოქების ადრეული სახესვებები, „ლურჯხალაიანი“ და ბადისებრ ორნამენტაინი მინის ჭურჭლები, ჯვრისებრი მუხლხამბარიანი მშვილდსაკინძები<sup>9</sup> და სხვ. რაც შეეხება უცხოურ მონეტებს, მართალია, V ს-ში თითქმის სრულიად ქრება აღნიშნულ ქალაქებში მისი მიმოქცევა<sup>11</sup>, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ იმპერიის სხვა პროვინციების (მაგ. პანონის)<sup>12</sup> მსგავსად, აქაც IV ს-ის მონეტები V საუკუნეში ყოფილიყო ხმარებაში. იმპორტული მასალების გარდა, საქალაქო ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტები<sup>13</sup> და, რაც მთავარია, ბიჭვინტის მეორე ტაძრის მოზაიკა. რომელიც ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, V საუკუნეშია შესრულებული<sup>14</sup>.

<sup>6</sup> М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 326; დიდი პიტუნტი, II, გვ. 192; ჯერისა და ცხოველის გამოსახულებიანი წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები დიდი რაოდენობითა აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში და მათ ზოგადად V ს-ის დასაწყისით — VII ს-ით ათარიღებენ: იხ. В. В. Кропоткин, *Хронология черняховской культуры и римско-византийские импортные вещи в Восточной Европе.*—КСИА, 1970, 121, გვ. 51.

<sup>7</sup> დიდი პიტუნტი I, გვ. 274; ა. აფაქიძე, *ოთ. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისთვის*, მაცნე, 1965, № 3, გვ. 113.

<sup>8</sup> ი. ცუხიშვილი, *ჭრაქები ბიჭვინტას ნაქალაქარდან.*—დიდი პიტუნტი, II, გვ. 213.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 213.

<sup>10</sup> დიდი პიტუნტი, II, გვ. 127; М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 351; А. К. Амброз, *Фибулы юга европейской части СССР*,—САИ, вып. Д1—30, М., 1966, გვ. 94—95; Ю. Н. Воронцов, *Тайна Цебельдинской долины*, М., 1975, გვ. 121.

<sup>11</sup> ი. ცუხიშვილი, *ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები.*—დიდი პიტუნტი, II, გვ. 306.

<sup>12</sup> P. O l i v a, *Pannonia and the onset of crisis in the Roman Empire*, Praha, 1962, გვ. 172.

<sup>13</sup> М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 328; ა. აფაქიძე, *ოთ. ლორთქიფანიძე*, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 113—114.

<sup>14</sup> В. А. Леквинадзе, *О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках.*—ВДИ, 1970, № 2, გვ. 192; Л. А. Шервашидзе, *Средневековая монументальная живопись в Абхазии*, Тб., 1980, გვ. 8. შმღ., ჩვენი მზრით უნდა დავძინოთ, რომ მოზაიკურიატიკიანი ეკლესიაც V საუკუნეში უნდა იყოს აგებული, ვინაიდან წახანგოვანი აფსიდები ჩნდება მხოლოდ V ს-ში. იხ. Ch. Delvoye, *Art paleochretien de Chypre.*—15 Congress International

როგორც ვხედავთ, „დაცემა-დაქვეითების“ მიუხედავად V საუკუნეში ეგრიისის ზღვისპირა ქალაქებში საქალაქო ცხოვრება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. რაც შეეხება იმპორტული მასალებისა და მონეტების შემკირების ფაქტს, როგორც ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, სულ სხვა მიზეზებით იყო გაპირობებული.

ახ. წ. I—III სს. ეგრიისის ზღვისპირა ქალაქების ეკონომიკურ საფუძველს, ელინისტური ეპოქის საქალაქო ცენტრების მსგავსად, ვაჭრობა და ზელოსნობა წარმოადგენდა. ახ. წ. IV საუკუნიდან საქალაქო მეურნეობაში წამყვან როლს თანდათანობით სასოფლო-სამეურნეო დარგები იკავებენ. აგრარიზაციის პროცესის წარმოდგენა ყველაზე უკეთ ბიჰვენტის მაგალითზეა შესაძლებელი, ვინაიდან დღეისათვის იგი არქეოლოგიურად შედარებით კარგადაა შესწავლილი. ახ. წ. IV ს. ბიჰვენტაში იმ ადგილებზე, სადაც ადრე საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები იყო, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი ჩნდება. ასე მაგ., შიდაციხის ცენტრალური ქუჩის საპირეთით მდებარე შენობა, რომელშიც II—III საუკუნეებში სანოვანის საწყობად თუ სამეურნეო დანიშნულების სათავსებად ჩანს გადაკეთებული<sup>15</sup>. ახ. წ. IV საუკუნიდან რომელთა სამხედრო ნაწილების შვილღვისპირა ქალაქების დატოვების<sup>16</sup> შემდეგ, გარნიზონთან დაკავშირებული ციხედლის ნაგებობებიც უქმდება და აქ მარანი და ღვინის საწური აბაზანები იგება<sup>17</sup>. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი დადასტურებულია, აგრეთვე ნაქალაქარის სხვა უბანზეც. სახელდობრ, კასტელუმის მეორადი კედლისა და „კანაბას“ შეერთების მონაკვეთზე გამოვლინდა სწორკუთხა გეგმის მქონე სათავსი, რომლის შიდა ფართობზე აღმოჩნდა ერთმანეთის პარალელურად შევეულად ჩადგმული პითოსები. ნიშანდობლივია, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ტაძრის გაწვევით არსებული სასიმაგრო კოშკები (№ 4, 19) კარგავენ „თავდაცვის“ ფუნქციას და აღნიშნულ ხანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების როლს ასრულებენ<sup>18</sup>. საქალაქო ცხოვრებაში მიწათმოქმედების წამყვან როლზე მიუთითებს. ასევე ბიჰვენტის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზელსაფქვავეები, წერაქვისებრი თოხი, რომლებიც ზოგადად III—IV სს. თარიღდება<sup>19</sup>.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქალაქსა და სოფელს შორის „დაპირისპირება“, რომელიც ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არსებობდა<sup>20</sup>, მათ შორის ზღვარი, კოლხეთის ქალაქში გვიანანტი-

d'études byzantines Rapports et co-reports Athenes, 1976, გვ. 14; მარმარლოს დეკორაციის სტილი, ანალოგიებით V ს. შეესაბამება; იხ. E. Testa, Il Simbolismo dei Ciudeo-Cristiani, Jerusalem, 1981, გვ. 91-92, სურ., 24, ტაბ. 7, სურ. 6.

<sup>15</sup> დიდი პიტენტი, I, გვ. 154-155.

<sup>16</sup> М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 265; Н. Ю. Ломоури, Грузинские взаимоотношения, გვ. 279.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 95; М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი გვ. 265.

<sup>18</sup> დიდი პიტენტი II, გვ. 139; З. В. Агрба, Археологические раскопки 1981 г. на территории мыса Пицунда.—АОА, 1981—1982 гг., თბ., 1985, გვ. 36—37; შტრ. მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დონსუკის-სემასტოპოლისი, ბიჰვენტა),—სმგმ, 1963, № 4, გვ. 148—149.

<sup>19</sup> თ. თოდუა, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ბიჰვენტის ნაქალაქარიდან, 1988.

<sup>20</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Немечкая идеология, Соч., т. 3, М., 1951, გვ. 49—50.



რისა და ბიჭვინტის შუამდებარე მიწა-წყლის მფლობელად გულისხმობს<sup>27</sup>. თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ამ ტომის გარკვეულ ნაწილს მაინც ქალაქში ეცხოვრა და საქალაქო კულტურის გარდაქმნაში გარკვეული როლიც შეესრულებინა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენ მაინც გვიძმის საქალაქო კულტურის გარდაქმნაში ბარბაროსული ტომების გადამწყვეტი როლის აღიარება, ვინაიდან ბარბაროსული ტომების მოქალაქეა აქ და სხვაგანაც როდი იყო ისე ძლიერი, რომ მას გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა ქალაქის იერსახის შეცვლაზე, მით უმეტეს, როცა რომის იმპერიის პროვინციების რიგ ქალაქებში რუსტიფიკაციის პროცესი ბარბაროსული ტომების შემოსევამდე დაიწყო. ასე მაგ., IV საუკუნეში თრაკიისა და დაკიის ქალაქებში საქალაქო ცხოვრების დაცემა დაიწყო შინაგანი სოციალური ცვლილებების შედეგად, ბარბაროსული ტომების შემოსევამდე<sup>28</sup>, ხოლო ამ უკანასკნელი ელემენტების მომრავლების შემდგომ, აქ ეს პროცესი უფრო დაჩქარდა<sup>29</sup>. ბოსფორის ქალაქებში კი აგრარიზაციის პროცესი პირველი საუკუნიდან შეიმჩნევა<sup>30</sup>, ხოლო III—IV სს. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები თითქმის რუსტიფიცირებულია<sup>31</sup>. ბარბაროსული ტომების შემოსევების მიუხედავად, აქ V—VI საუკუნეებშიც, როგორც უკანასკნელი წლების გათხრების შედეგები მოწმობენ, საქალაქო ცხოვრება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა<sup>32</sup>. როგორც ჩანს, საქალაქო კულტურის გარდაქმნაში ბარბაროსულმა ტომებმა დამაჩქარებლის როლი უფრო შეასრულეს, ვიდრე გარდამქმნელისა. ამიტომ აგრარიზაციისა და ნატურალიზაციის პროცესის გამომწვევი მიზეზები კოლხეთის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძვლებში უნდა ვეძებოთ, მაგრამ ჭერჭერობით, ჩვენ საამისოდ საკმარისი მასალა არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ანტიკური სამყაროს სხვადასხვა რეგიონის იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებისა და ბიჭვინტის ნეკროპოლის მასალების საფუძველზე შესაძლებელია ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქების დაცემა-დაქვეითება გაპირობებული იყო როგორც სოციალური პროცესებით და მსხვავი და საშუალო მიწათმფლობელობის თანაფარდობის ცვლილებებით, ასევე ვანდალების შემოსევებითაც. ამან საბოლოოდ შეარყია საქალაქო წყობილება, გადატანებამდე მიიყვანა საშუალო მუნიციპალური მიწათმფლობელება და ანტიკუ-

<sup>27</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 104.

<sup>28</sup> В. И. Великов, Градът в Тракия и Дакия через късната античност, София, 1959, с. 129.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>30</sup> В. Д. Блаватский, Античная археология и история, М., 1985, с. 87.

<sup>31</sup> И. Т. Кругликова, დასახ. ნაშრომი, გვ. 58-59.

<sup>32</sup> Э. Я. Николаева, О позднеантичном Боспоре, — III научные чтения памяти В. Д. Блаватского, СА, № 2, 1987, с. 286; В. М. Зубарь, Итоги и перспективы исследования Западного некрополя Херсонеса. — Задачи советской археологии в свете решений XXVII съезда КПСС, Тезисы докладов, Суздаль, 1987 г., М., 1987, с. 103—104; А. В. Сазанов, Ю. Ф. Ивашенко, Исследования Тиритаки в 1983—85 гг. и проблемы истории позднеантичного Боспора. — Задачи советской археологии..., с. 223.



რი ტიპის სამიწათმფლობელო მესაკუთრეობაც დაარღვია<sup>33</sup>. წვრილი და საშუალო მიწათმფლობელების გაჩანაგება-გალატაკების ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა. აგრეთვე, ანტიოქიაშიც IV ს. სწორედ წვრილი და საშუალო მიწათმფლობელები ხარჯავდნენ სასსრებს, მიღებულს თავიანთი სამფლობელოების ექსპლუატაციისაგან, მუნიციპალური ვალდებულებებისა და ქალაქების კეთილმოწყობისათვის. კურიალების გალატაკებასა და მათი მსყიდველობითი უნარის დაკარგვას შედეგად მოჰყვა ხელოსნობის, ვაჭრობისა და საერთოდ, ქალაქების კეთილდღეობის დაქვეითება. ამავე დროს, ქალაქის სათემო და მუნიციპალური ორგანიზაციების მიწების მითვისების ნიადაგზე მსხვილი მიწათმფლობელობის ხვედრითი წონის ზრდამ გამოიწვია ის, რომ IV საუკუნეში ანტიოქიამ დაკარგა კავშირი მიწათმოქმედებასთან და ძალაუფლება — ხორაზე, ე. ი. ანტიოქიამ დაკარგა ანტიკური ქალაქის დამახასიათებელი ნიშნები<sup>34</sup>. საშუალო მიწათმფლობელების გალატაკება და მსხვილი მიწათმფლობელური მეურნეობის ზრდა შეიმჩნევა, აგრეთვე, ჩრდილოეთ ბულგარეთშიც<sup>35</sup>. იქ მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენლები სოფლებში ცხოვრობდნენ და არა ქალაქებში, სადაც მათ ჰქონდათ სახელოსნოები; რომლებიც მიწათმფლობელთა მეურნეობას ემსახურებოდა<sup>36</sup>. გარდა ამისა, რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV ს-ის მიწის მნიშვნელოვანი ნაკვეთები ქრისტიანული ეკლესიის ხელში იყო თავმოყრილი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა, ასევე ეგრისის ქალაქებშიც. I—IV სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების ეკონომიკურ დაწინაურებას ხელი უნდა შეეწყო სოციალური დიფერენციაციის პროცესის გარმავეებისათვის. აღნიშნულ ხანაში, ქალაქის საზოგადოება ძლიერი დიფერენცირებული ჩანს. ამის მოწმობად უნდა ჩაითვალოს ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტათა ოთხი განძი, რომელიც შესაბამისად III და IV სს. თარიღდება<sup>37</sup>. ქალაქის მცხოვრებთა ზედაფენის ქონებრივ შესაძლებლობაზე მეტყველებს გონიოში აღმოჩენილი ახ. წ. პირველი საუკუნეების მდიდრული განძი<sup>38</sup>, რომელიც შესაძლოა ციხე-ქალაქ აფსაროსის მდიდარ მოქალაქეს ეკუთვნოდა.

სოციალური სტრატეფიკაციის სურათი ყველაზე უკეთ ბიჭვინტას ნეკროპოლში<sup>39</sup> წარმოდგენილი. სამარხის ასაგებად განკუთვნილი ღირებულებისა და დახარჯული შრომის მიხედვით, სამაროვანზე გათხრილი სამარხები, სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით, ორ ჯგუფად იყოფა: სამარხთა პირველ

<sup>33</sup> Г. Г. Дилигенский, Северная Африка в IV—V вв., М., 1961, с. 264; ასე ხდება რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებშიც — აზიაში, გალატისა და მაკედონიაში III—V სს. იხ. А. Н. М. Jones, The cities of the Eastern Roman provinces, Oxford, 1938, გვ. 91.

<sup>34</sup> Г. Л. Курбатов, Ранневизантийский город, Л., 1962, გვ. 82 და სხვ.

<sup>35</sup> В. И. Велков, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 173—174.

<sup>37</sup> გ. დუნდუა, სამონეტო მომოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ბიჭვინტაში ნეკროპოლის მასალების მიხედვით ძვ. წ. II — ახ. წ. IV სს. — დიდი პიტეონტი, I, გვ. 290 შმდ.

<sup>38</sup> თ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი. გონიოს განძი. თბ., 1980, გვ. 11 შმდ.

<sup>39</sup> См.: Г. А. Лордкипанидзе, Н. Ш. Кигурадзе, Т. Т. Тодуа. Раскопки пицундского некрополя и городища — ПАИ в 1984—1985 гг. Тб., 1987, გვ. 55—59.

ჯგუფში შედის ორმოსამარხები, „ამფორა-სამარხები“, ქა-სამარხები, კრემაციული სამარხები, რომლებიც ნაკლები დახარჯული შრომითა და ინვენტარის სიღარიბით ხასიათდებიან. როგორც ჩანს, სამარხების ეს ჯგუფი მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენას განეკუთვნება.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კრამიტსამარხები, ფილასამარხი და ხსნარიანი სამარხები. როგორც კრამიტი, ასევე კირხსნარი ძვირფასი სამშენებლო მასალაა. ამასთანავე მათი აგებაც შრომატევადი იყო და ღროსაც მეტს პოითხოვდა. ინვენტარიც ამ სამარხებისა (განსაკუთრებით ხსნარიანი სამარხებისა) მრავალრიცხოვანია და შედარებით მდიდრულიც. ექვგვარეშა, ომ ეს სამარხები ეკუთვნოდნენ მოსახლეობის საკმაოდ შეძლებული წრის წარმომადგენლებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდათ მსხვილ მიწათმფლობელებსაც. მსხვილი მიწათმფლობელების როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო IV ს-ში, როდესაც ქალაქის მოსახლეობის იდეოლოგიაში გაბატონებული ადგილი დაიკავა ქრისტიანულმა რელიგიამ<sup>40</sup>. სწორედ ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელებასთან იწყება დასავლეთ საქართველოში „ვეოდალური რევოლუცია“, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა და მისი საბოლოო გამარჯვებით დამთავრდა<sup>41</sup>.

IV საუკუნიდან მსხვილ მიწათმფლობელს, ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენს<sup>42</sup>. მართლაც, IV—VI სს. ქრისტიანული ეკლესია უკვე ფლობდა მიწის მნიშვნელოვან ნაკვეთებს, რადგან ადრეული ქრისტიანული თემის წევრობისას ფიზიკური შრომა აუცილებელი პირობა იყო<sup>43</sup>.

ყოველივე ზემოთქმული შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება V ს-ის ზღვისპირა ქალაქების დაცემა-დაქვეითებისა თუ „დაცარიელების“ შესახებ უნდა გადაისინჯოს, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, აღნაშნულ ხანაში საქალაქო ცხოვრება აქ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა; 2. IV—V საუკუნეებში ეგრისის ზღვისპირა ცენტრები, უპირატესად ნატურალური, აგარული ხასითის ქალაქებს წარმოადგენდნენ; 3. საქალაქო მეურნეობის ნატურალურადაც და მიწათმოქმედების ხედრითი წონის ზრდა დაკავშირებული ჩანს დასავლეთ საქართველოში მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებასა და ქრისტიანული იდეოლოგიის გაბატონებასთან.

40 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 120; მისივე, Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981, გვ. 290—291.

41 იხ. ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა. — ტ. II, თბ., 1952, გვ. 307 შპდ.

42 М. П. И н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 265—266.

43 იმპერიის შორეულ საზღვრებთან განლაგებული ქრისტიანული ეკლესიის სიმძლავრეზე, ორგანიზაციულ სიმტკიცეზე მიუთითებს, აგრეთვე ბიჟინტელი ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობის ფაქტი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წ. იხ. გეორგევა, I, თბ., 1965, გვ. 2—4.

Т. Т. ТОДУА

К ВОПРОСУ О ХАРАКТЕРЕ РАЗВИТИЯ ПРИБРЕЖНЫХ  
ГОРОДОВ ЭГРИСИ В IV—V ВВ. Н. Э.

Резюме

В научной литературе признано, что конец IV, особенно V вв. н. э. для прибрежных городов Эгриси — Питиунта, Севастополиса и Апсара являются временем упадка городской жизни.

Однако изучение массового археологического материала показывает, что в V в. в прибрежных центрах Эгриси городская жизнь протекала довольно интенсивно. В IV—V вв. н. э. прибрежные центры Эгриси представляли собой преимущественно аграрные города с натуральным хозяйством.

Натурализация городского хозяйства и рост удельного веса земледелия, по всей вероятности, связаны с развитием крупного землевладения и началом господства христианской идеологии в Западной Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ალაქიძემ

ანტიკური ხანის სამაჯურების ტიპოლოგიისათვის

(ძვ. წ. V—I სს.)

სამაჯური ანტიკური ხანის კომპლექსების ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია. იგი ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ ხანაში და საკვლევ ეპოქაში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ სახის სამკაულის შესწავლას იმთავითვე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მკვლევართა მიერ, მით უფრო, რომ რიგ შემთხვევებში სამარხეული ინვენტარი მხოლოდ სამაჯურებითაა წარმოდგენილი და ეს სამკაული დამატარებელ მნიშვნელობას იძენს. სამაჯურთა ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხებს სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გ. ფილიმონოვის<sup>1</sup>, ვ. ანტონოვიჩის<sup>2</sup>, პ. უვაროვას<sup>3</sup>, ი. სმირნოვის<sup>4</sup>, ბ. კუფტინის<sup>5</sup>, მ. ივაშჩენკოს<sup>6</sup>, ნ. ხოშტარის და სხვათა ნაშრომებში უკანასკნელ წლებში ძველი საიუველირო ხელოვნების პრობლემებზე საუბრისას გამოთქმულია მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებებისა სხვადასხვა სახის სამკაულისა და კერძოდ სამაჯურების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა ოთ. ლორთქიფანიძის<sup>8</sup>, ი. გავომიძის<sup>9</sup>, ე. თოლორაძეას<sup>10</sup>, ც. დავ-

1 Г. Д. Филимонов, О доисторической культуре в Осетии; В; Приложение к XXXI I. Известий Общества любителей естествознания, антропологии и этнографии, М., 1878.

2 В. Б. Антонович, Дневник раскопок, веденных на Кавказе осенью 1879 г.; В; V, Археологический съезд в Тифлисе, Протоколы подготовительного комитета, М., 1900.

3 П. С. Уварова, Могилиники Северного Кавказа, МАК, т. VIII, М., 1900.

4 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тбилиси, 1934.

5 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941; Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949; т. II, 1950.

6 М. М. Иващенко, Кувшинные погребения Грузии (рукопись), 1941; Кувшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII, 1950.


7 Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани, Имерети и ее древности, Известия кавказского историко-археологического ин-та, 1927; Древнее поселение в Даблагоми (кандидатская диссертация); Археологические исследования в Вани и Ванском р-не, 1952; Находки в селе Мтисдзири, МАГК, т. II, Тб., 1959 и др.

8 ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, თბ., 1972; Древняя Колхида, Тб., ვანის ნაქალაქარი, ვანი III, თბ., 1977; და სხვა.

9 ი. გავომიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964. К датировке могильника Нерон-Дереси, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1975; მასალები ქართული ოქრომწებლობის ისტორიისათვის, სსმმ, XXX —, თბ., 1976 და სხვ.

10 ე. თოლორაძეა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, ძვ. წ. III—I სს., მსკა, III, 1963; მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბ., 1976; არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წწ., ვანი II, თბ., 1976; არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წწ., ვანი II, თბ., 1976; დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

ცაბუღა I



ლიანიძის<sup>11</sup>, ა. ჭყონიას<sup>12</sup>, ნ. კილურაძის<sup>13</sup>, გამოკვლევები, სადაც ავტორთა მიერ მოცემულია სამაჯურთა ცალკეული სახეობების დათარიღებისა და სამაჯურთა ტიპოლოგიის შემუშავების ცდა.

მიუხედავად მკვლევართა ამგვარი ყურადღებისა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია და დასაზუსტებელი. სადღეისოდ საბოლოოდ დადგენილად შეიძლება ჩათვალოს საქართველოში ზურგმედრეკილი სამაჯურების გავრცელების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი — ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარი<sup>14</sup>. საბოლოოდ გადაწყვეტილია აგრეთვე სამთავროს მასალებში დამოწმებული ზურგმედრეკილი ღეროდანაწინავებული სამაჯურების ქრონოლოგიის საკითხიც (არშაქიდული დრაქმების საფუძველზე ისინი ზუსტადაა დათარიღებული ძვ. წ. I ს.)<sup>15</sup>.

მეტ-ნაკლებად განისაზღვრა ქრონოლოგიური ადგილი ზოგიერთი სხვა ტიპის სამაჯურებისთვისაც. მაგრამ ეს ყველაფერი დღეს საკმარისი აღარ არის. ბოლო წლებში გამოვლენილი სტრატოციფიცირებული კომპლექსები ამ სახის სამაჯურების დანაწევრებულ ქრონოლოგიაზე მუშაობის საშუალებას იძლევა. ჩვენი კვლევის მიზანს სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში გავრცელებული სამაჯურების დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავება შეადგენდა. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ სამაჯურებას შემცველი ცნობილი კომპლექსები, რომელთა ურთიერთშეჯერებამ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

როგორც აღვნიშნეთ, სამაჯურის ეს ჯგუფი ძალზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, ამდენად, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება მკვლევართა მისწრაფება გამოპყონ მასში დიდი ჯგუფები საერთო მოხაზულობის მიხედვით. თავდაპირველად ჩვენც შევეცადეთ ამ პრინციპის დაცვა, მაგრამ კვლევის პროცესში დავრწმუნდით, რომ ეს გზა არ შეესაბამება ჩვენი კვლევის მიზნებს, რადგან სამაჯურის საერთო ფორმა საკმაოდ სტატიკური ელემენტია და ხშირად საუკუნეთა მანძილზე უცვლელი რჩება. ასე მაგალითად, ზურგმედრეკილი სამაჯურები გავრცელებულია საქართველოში ძვ. წ. IV ს-დან გვიანანტიკური ხანის ჩათვლით და რაც მთავარია, თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი თანაარსებობენ ზურგსწორ და ოვალურზურგაან სამაჯურებთან (ვანის სამარხი № 9, შემოფარცხმის სამარხი № 25 და სხვა).

ამდენად, ზურგმედრეკილობა, როგორც ნიშანი, დანაწევრებულ ქრონოლოგიაზე მუშაობისას ნაკლებ გამოსადგვია, თუმცა ზოგიერთი ტიპის დათარიღებისას ჩვენ ამ ნიშნისაც აუცილებლად ვითვალისწინებთ.

გარდა შემოხსენებულისა არსებობს ზოგადი ნიშნების მთელი რიგი, რომელიც გარკვეული ქრონოლოგიური საზღვრების დადგენის საშუალებას იძლევა. ასეთი ნიშნების რიცხვს მიეკუთვნება სამაჯურის ღეროს სისქე. ძალზე თვალსაჩინოა მისი თანდათანობით გაწვრილება ძვ. წ. პირველი საუკუნეებისაკენ, მა-

11 ც. დავლიანიძე, სოფ. ბეშთაშენის ციხესთან მდებარე ადრეანტიკური ხანის სამაროვნის მასალები, თბ., 1968; ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლში, სსმ, XXXII—; 1976; ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, (საქანდიდატო დისერტაცია), თბ., 1976; სოფ. გომართეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, სსმ, V, თბ., 1977.

12 ა. ჭყონია, ოქროს სამაჯური ვანის ნაქალაქარიდან, ვანი IV, თბ., 1961.

13 Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб., 1976.

14 იქვე.

15 ა. ჭყონია, დასაბ. ნაშრომი, გვ. 48.

შინ როდესაც საკვლევი ეპოქის უძველესი სამაჯურებისათვის დახასიათებულა თანაბარი მასივური ღერო. ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან თავს იჩენს სამაჯურები, რომელთაც შედარებით გაწვრილებული ზურგი და თანდათანობით შემსხვილებული ბოლოები ახასიათებს (ვანის № 9 სამარხის ვერცხლის ბურცობებიანი სამაჯურები). ამგვარი მოხაზულობის სამაჯურები ფართოდაა გაცრელებული მომდევნო ხანაშიც. იგი ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა სამთავროს ქვევრსამარხების მასალებში, მაგრამ, პირველისაგან განსხვავებით, ეს სამაჯურები ნაკლები მასივობით, შედარებით წვრილი ღეროთი და საერთო სიმსუბუქით გამოირჩევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამაჯურების გვერდით განაგრძობს არსებობას თანაბარღეროიანი სამაჯურებიც (მაგ. ბურცობებიანი სამაჯურები). ამგვარად, ყველა ეს საერთო ტენდენციები მხოლოდ ზოგადი ქრონოლოგიის სფეროს განეკუთვნება.


მასალაზე მუშაობისას თავი იჩინა კიდევ ერთმა მოვლენამ. ირკვევა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე ღეროიანი მეორდება სხვადასხვა ფორმისა და მოხაზულობის სამაჯურებზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მასალის დაჯგუფება ამ ნიშნის მიხედვით. ამ თვალსაზრისით მთელი საკვლევი მასალა ყველაზე თვალსაჩინო, ზედაპირული ნიშნების მიხედვით საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის ოთხ დიდ ჯგუფად დახარისხდა. თითოეული ჯგუფი მოიცავს რამდენიმე ქვეჯგუფს, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრები ასევე საკმაოდ ფართეა. ქვეჯგუფში ერთიანდება ტიპები, რომლებიც თავის მხრივ ვარიანტებს შეიცავს. დანაწევრებული ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას სწორედ ორი უკანასკნელი საფეხური იძლევა.

პირველ ჯგუფში ჩვენ მიერ გაერთიანებულია სამაჯურები, რომელთა ბოლოები სულიერი არსების რეალისტური თუ სტილიზებული გამოსახულებებითაა შემკული. ამგვარად დეკორირებული სამაჯურები განსაკუთრებით მრავალადაა დადასტურებული საკვლევი ხანის მასალებში. ამ ჯგუფის სამაჯურები ორ ქვეჯგუფად დაყავით. პირველ ქვეჯგუფში მოთავსდა სულიერი არსებათა რეალისტური ან სტილიზებული გამოსახულებები, რომელთა რაობა ჩვენთვის გასაგებია, მეორეში კი — ის გამოსახულებები, რომელთა წაკითხვა ვერ მოხერხდა. პირველი ქვეჯგუფი მოიცავს სამ ტიპს შესაბამისი ვარიანტებით: 1) ცხვრის გამოსახულება (7 ვარიანტი); 2) გრძელყურა ცხოველი (19 ვარიანტი); 3) ფაფრიანი ცხოველი (17 ვარიანტი).

მეორე ქვეჯგუფში დეკორირების მიხედვით ცხრა ტიპი გამოირჩევა. დაჯგუფების ეს პრინციპი მეტად მოსახერხებელია გამოსახულების სიუჟეტის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, სამაჯურების გამოსახულებების თემატიკა საკმაოდ შეზღუდულია და სულ რამდენიმე ცხოველს გულისხმობს. ესაა ცხვარი, გრძელ, წვეტიანყურებიანი ცხოველი, ფაფრიანი ცხოველი (მათ შორის ლომიც) და, შესაძლოა, ხბო. ყველა ეს სიუჟეტი კარგადაა ცნობილი აღმოსავლურ სამყაროში<sup>16</sup>. ლომის, ხბოსა და ჭიხვის გამოსახულება ამკობს ვანის № 6 სამარხში დადასტურებულ აქემენიდურ ოქროს სამაჯურებს. ვფიქრობთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაჯურების სტილიზებული გამოსახულებების შინაარსი ამ რეალისტურ გამოსახულებებს ემთხვევა და, უდავოდ რელიგიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. როგორც ირკვევა, ამ სიუჟეტებს გარკვეული ტრადიციულობაც ახასიათებს. ზოგიერთი მათ-

<sup>16</sup> P. A m a n d r y, Orfeverrie Achemenide, «Antike Kunst», I, I, 1958, ტბ. 10, 11-3.

ცაბულა II







ვანი საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში არსებობს. განსაკუთრებით ეს შეეხება გრძელყურა და ფაფრიაწი ცხვრელის გამოსახულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში მიმდინარეობს გამოსახულების თანდათანობითი სტილიზაცია და იგი სულ უფრო შორდება ორიგინალს, თუმცა ის ძირითადი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ამა თუ იმ გამოსახულების გადმოცემა, აუცილებლად შენარჩუნებულია. საქმე ის არის, რომ გამოსახულების სტილიზაციისას, როგორც ჩანს, მნიშვნელობა ენიჭებოდა გამოსახულების ძირითად აზრს, რომელიც უკვე საყოველთაოდ მიღებული და გასავები სიმბოლოების საშუალებით გადმოიცემა, ჩვენ შევეცადეთ სწორედ ამ სიმბოლოების დადგენა და ამის საფუძველზე თვით გამოსახულების ამოკითხვა.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის პირველ ტიპში ჩვენ მიერ გაერთიანებულია ცხვრის გამოსახულებები. ესაა რეალისტური (ტაბ. I<sub>1</sub>, 2)<sup>17</sup>, ზოგჯერ კი ძლიერ სტილიზებული გამოსახულებები, რომელთა ამ ტიპისადმი მიკუთვნება გარკვეულ დასაბუთებას მოითხოვს. ასეთა სტილიზებული გამოსახულებების რიცხვს მიეკუთვნება ბეშთაშენის ციხესთან ვათბრინოლი სამაროვნის № 24, 25 და № 26 სამარხებში დადასტურებული ბრინჯაოს სამაჯურების (ტაბ. I<sub>3</sub>, 4, 5) გამოსახულებები. სამივე სამაჯური ხასიათდება სქემატური თანაბარი ღეროთი და დაბრტყელებული ბოლოებით. ჩვენი აზრით, სამივე ეს გამოსახულება ცხვრის თავის სტილიზაციას წარმოადგენს. ამკვარი მოსახვრების საფუძველს იძლევა რიგი საერთო ნიშნებისა, რომელიც ამ გამოსახულებებს რეალისტურ გამოსახულებებთან აკავშირებს. მსგავსება შეინიშნება ჩომეთის ცხვრის გამოსახულებასა (ტაბ. I<sub>2</sub>) და ბეშთაშენის № 25 სამარხის სამაჯურის გამოსახულებას შორის (ტაბ. I<sub>3</sub>). გრძელ, ზედხედაში თითქმის თანაბარ დრუნჩში სამკუთხედიან ღრმული, ჩვენი აზრით, შეესაბამება ზემოხსენებულ რეალისტური გამოსახულების რქებს შორის მოთავსებულ სამკუთხედს, რომელიც ასევე გრავირებული ხაზითაა აღნიშნული. აღსანიშნავია, რომ ღრმა ჰედილი სამკუთხედიანა შემოსაზღვრული რქებს შორის მდებარე არე ვანის № 11 სამარხის ვერძისთავებიან ყელსაბამზე<sup>18</sup>. ბეშთაშენის № 25 სამარხის სამაჯურის ღეროზე განლაგებული შვერილები, შესაძლოა, ჩომეთის სამაჯურის ცხვრის გამოსახულების ორმაგ საყელურს შეესაბამებოდეს. რაც შეეხება ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს — გრძელ „ყურებს“ — ჩვენი აზრით, ისინი ცხვრის დახვეული რქების გამარტივებულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ, ამ სამაჯურის დეკორის მოხაზულობა ემთხვევა რეალისტური გამოსახულების სილუეტს. იმავე გამოსახულების სტილიზაციის კადევ ერთი მაგალითია ბეშთაშენის № 26 სამარხის ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. I<sub>4</sub>), სადაც ოსტატი გამოსახულების გადმოსაცემად თითქმის იმავე ხერხებით სარგებლობს. აქაც ვხვდებით რქებს შორის მოკეცულ ღრმა სამკუთხედს, თვით რქები კი კიდევ უფრო გამარტივებულია და უბრალო დაბრტყელების საშუალებითაა გადმოცემული.

ბეშთაშენის № 24 სამარხის სამაჯურის (ტაბ. I<sub>5</sub>) ამავე ჯგუფისადმი მიკუთვნების საშუალებას გვაძლევს მისი ბოლოების საერთო ფორმა და გამოსახულების გადმოცემის ტრადიციული ხერხი — რქების დაბრტყელება, სამკუთხედა,

<sup>17</sup> ოქროს სამაჯურები ვანის № 11 სამარხიდან. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ე ა, ა. ჭ ყ ო ნ ი ა, არქეოლოგიური ვათხრები ვანში, 1909 წ., ვანი I, გვ. 224 და ბრინჯაოს სამაჯური სოფ. ჩომეთიდან. დატულია საქ. საბ.მუზეუმის ხუმიზმატიკის განყოფილებაში. ინვ. № 787—8218.

წ. V ს-ის შუა ხანებში ექცევა. გამონაკლისია ჩომეთის სამაჯურა, რომლის ასაკის დადგენა ძნელდება, თუმცა სტილისტური ანალიზის საფუძველზე იგი აღწერილ გამოსახულებათა რაგში დგას.

მეორე ტიპში გაერთიანებულია გრძელყურა ცხოველის გამოსახულებით შემკული სამაჯურები, რომელთა დიდი ნაწილი ქვეწარმავლის გამოსახულებიანად იყო მიჩნეული. ამ ცხოველის მეტ-ნაკლებად რეალისტური გამოსახულება დადასტურებულია შულცის მიერ თეთრწყაროში 1902 წ. გათხრილი სამარხის მასალებში (ტაბ. I<sub>7</sub>)<sup>18</sup>. სამაჯურს ახასიათებს თანაბარი მსხვილი ლერია, რომლის ბოლოებზე დაფენილია ცხოველის გრძელი წვეტიანი ყურები. ყურებს შორის არე გრავირებული კუთხითაა აღნიშნული, თავი შემადლებულია, დრუნჩი ორწილადი. ამ რეალისტურ გამოსახულებასთან გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ბრინჯაოს სამაჯურები კამარახევის № 9 სამარხიდან (ტაბ. II<sub>1</sub>)<sup>19</sup>. პროფილში ეს სამაჯურები ძალზე ემსგავსება თეთრწყაროს გამოსახულებას, თუმცა დრუნჩი განსხვავებულია. სამაგიეროდ კარგადაა გადმოცემული ყურები, რომელთა წაგრძელებული ნაწილი თავზე ოდნავ მალაღია, ყური ირიბი ნაჭდევებითაა გამოყოფილი, ყურის შიდა ნაწილშიც ასეთივე ირიბი ნაჭდევებია დატანილი. ეს ხერხი კარგადაა ცნობილი აღმოსავლურ მასალებშიც<sup>20</sup>.

თუ კამარახევის სამაჯურების გამოსახულებაში იკითხება რეალისტური პროტოტიპისათვის დამახასიათებელი ყური, მთელ რიგ სამაჯურებზე ამ გამოსახულების სტილიზაცია იმდენად პირობითი ხდება, რომ მაიო მიკუთვნება ქვეწარმავლის გამოსახულებებისადმი სავსებით ბუნებრივი ჩანს. მიუხედავად ამისა, ამ ტიპში გაერთიანებულ ყველა გამოსახულებას ახასიათებს რიგი საერთო ნიშნებისა, რომელიც სწორედ მათ რეალისტურ გამოსახულებებთან აკავშირებს და გამოსახულების შინაარსის ახსნის საშუალებას იძლევა. ამ კავშირების დადგენაში გვეხმარება წინანდალში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. II<sub>2</sub>)<sup>21</sup>, რომელზეც შერჩენილია რეალისტური გამოსახულების ძირითადი ელემენტები: ორწილადი დრუნჩი, თვალის უბე, შემადლებული კეფა და საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ზურგზე გადაწყობილი, მახვილი კუთხით შემოხაზული ყურები. პროფილში აქაც ყურის ზედა ნაწილი ოდნავ შემადლებულია, გვერდიდან კი ირიბი ნაჭდევითაა აღნიშნული. აქვე აღმოჩნდა კიდევ ერთი სამაჯური (ტაბ. II<sub>3</sub>)<sup>22</sup>, რომელზეც ამავე გამოსახულების შემდგომი სტილიზაცია შეიმჩნევა. ამ შემთხვევაში ყურების არე ლერიაზე ოდნავ ფართოა ისევე, როგორც რეალისტურ გამოსახულებაზე, თუმცა მომრგვალებულ ფორმებს აქ უკვე აღარ ვგვხვდებით. პროფილში ყურების არე წაგრძელებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს, რომელიც ირიბი საფეხურით ბოლოვდება. სწორედ ეს მოგრძო ოთხკუთხედი რომელიც, როგორც დავინახეთ, ზურგზე გადაწყობილი ყურების სტილიზაციას წარმოადგენს, გვევლინება იმ მთავარ ნიშნად, რომლის საშუალებათაც მარტივად გადმოიცემოდა ამ გამოსახულების შინაარსი. როგორც წესი, ამ ოთხკუთხედის ზედა წახნაგზე წვეროთი კეფისაკენ მოქცეული გრავირებული მახვილი კუთხეა დატანილი, რომელიც ყურებს შორის არეს აღნიშნავს, გვერდიდან კი,

<sup>18</sup> საქ. სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 11—02 : 2315.


<sup>19</sup> რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, II, თბ., 1959, გვ. 15, სურ. 9.

<sup>20</sup> P. Amandry, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1335-36.

<sup>21</sup> საქ. სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 11—25 : 43.

<sup>22</sup> იქვე, ინვ. № 11—25 : 40.

ფიგურა IV



ღეროზე გადასვლის ადგილას სწორი ან ირიბი საფეხური ახასიათებს, რომელიც პროფილში ყურის ასოციაციას იწვევს.

როგორც ირკვევა, ეს სიუჟეტი საკმაოდ პოპულარულია და დროის დიდ მონაკვეთშია გავრცელებული, რომლის განმავლობაში იგი ინარჩუნებს ჩვენ მიერ აღნიშნულ ძირითად ნიშნებს. ამ ტიპის სამაჯურები მრავლადაა აღმოჩენილი ბეშთაშენის სამაროვნის (სამარხები №№ 2, 8, 18, 23, 24, 27, 62), კიკეთის (სამარხები №№ 1, 2), სანთის (ქვაყუთი № 2), მანგლისის (სამარხი № 10), წყნეთის (1916 წ.), კამარახევის (სამარხები № 9 (1959 წ.), №№ 8, 24, 66, 72, 126, 129, 147, 153, 156 (1976 წ.), ვანის (სამარხი № 9) მასალაში. უკანასკნელთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მასზე გამოსახულია ყურებგადაწეული ძალი<sup>23</sup>.

ამავე ტიპში თავსდება ე. წ. „დრაკონისთავებიანი“ სამაჯურებიც (ტაბ. II<sub>4</sub>), თუმცა თავისი სტილით ისინი სრულიად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ამგვარად დეკორირებული სამაჯურებისაგან. მათი გავრცელების ხანად ძვ. წ. IV ს. მიჩნეული<sup>24</sup>. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმავე გამოსახულებასთან გვაქვს საქმე ვანის № 11 სამარხში დამოწმებულ ვერცხლის ბრტყელღეროიან სამაჯურებზე, თუმცა აქაც საკმაოდ განსხვავებულ სტილთან გვაქვს საქმე.

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება მანგლისის № 10 სამარხის სამაჯურებზე (ტაბ. II<sub>5</sub>) ამ გამოსახულების ბოლოებზე და ზურგზე განლაგება. ეს მომენტი აშკარად ეხმაურება ოთხდრაკონიანი სამაჯურების დეკორირებას პრინციპს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთი და იმავე სიუჟეტის სტილიზაცია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თუმცა ერთი პრინციპით, მაგრამ დამოუკიდებელი გზებით ვითარდებოდა. ამასთან, დასავლეთ საქართველოში ამ სიუჟეტის ქრონოლოგიური დიაპაზონი ისევე დიდია, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

როგორც ცნობილია, დრაკონისთავებიანი სამაჯურების შემდგომ სტილიზაციად მიჩნეულია პრიზმულშეგრილებიანი ბრინჯაოს სამაჯურები (ტაბ. II<sub>6</sub>), რომელთა გავრცელების ხანად ძვ. წ. IV—III სს. მიჩნეული<sup>25</sup>.

ამგვარად, გრძელყოფა ცხოველის სიუჟეტი უწყვეტად არსებობს ძვ. წ. V საუკუნიდან მოყოლებული (ვანის № 11 სამარხი, ბეშთაშენის სამაროვნის მასალაზე) ძვ. წ. III საუკუნემდე (დაფნარი, დაბლაგომი). ამ ტიპში გამოყოფილი ვარიანტები თარიღების უფრო დაზუსტების საშუალებას იძლევა.

საინტერესო შედეგები მოგვცა ფაფრიანი ცხოველის სიუჟეტის კვლევამ. მთავარ ელემენტად ამ შემთხვევაში მივიჩნით ღეროზე ცხოველის თავთან განლაგებული სიგრძივი ზოლი, რომელიც, ჩვენი აზრით, შუაზე გაყოფილი ფაფრის სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს. ამგვარად დეკორირებული უძველესი სამაჯური დადასტურდა ბეშთაშენის სამაროვნის № 13 (ტაბ. II<sub>7</sub>) და № 32 (ტაბ. II<sub>8</sub>) სამარხებში, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. V საუკუნითაა დათარიღებული. შემდგომში ეს ნიშანი კვლავ იჩენს თავს ეშერის ინჰუმაციური სამარხის ბრინ-

<sup>23</sup> ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუფრიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე 1968 წ., ვანი I, 1972, გვ. 208, სურ. 170 ა.

<sup>24</sup> Б. А. Куфтин, Материалы..., II, გვ. 43; ვ. თოლორაძე, დაკრძალვის წესები..., გვ. 12.

<sup>25</sup> Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, с. 52.

ჯაოს სამაჯურებზე, ვანის № 4 სამარხის ოქროს სამაჯურებზე და გვერგვეტის, სანთის № 3 სამარხის, სამთავროს № 5, 20, 29, 50, 82, 106, 110, 207, 226, 227 ქვევრსამარხების, წითელშუქურას უმცროსი ჯგუფის № 39 სამარხის მასალაში და სხვა. ვერჯერობით ამ სიუჟეტის განვითარებაში თითქოს ქრონოლოგიური წყვეტილი შეინიშნება. ძვ. წ. V ს. შემდეგ იგი მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნეში ჩნდება და ძვ. წ. II ს-ის ბოლომდე არსებობს. ამგვარი წყვეტილის არსებობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს სიუჟეტი პერიოდულად გადმოდის სამკაულის დეკორში გარეშე სამყაროდან, სადაც იგი განაგრძობს არსებობას და განვითარებას. თვალსაჩინოა ის განსხვავება სტილსა და მანერაში, რომელიც ბეშთაშენურ და შემდგომი ხანის ამ ტიპის სამაჯურებს შორის არსებობს. ბეშთაშენური ეგზემპლარები ემორჩილება ძვ. წ. V—IV ს. პირველი ნახევრის მოდის ძირითად კანონებს. მათ ახასიათებს ოვალური ფორმა და მსხვილი თანაბარი ღერო, რომელიც ცხოველის თავებით ბოლოვდება. მოგვიანო ხანის სამაჯურებისათვის კი დამახასიათებელია ნაკლებმასივური და ბოლოებისაკენ თანდათან გამსხვილებული ღერო. ეს სამაჯურები ზურგშედრეკილია.

ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, დანაწევრებული ქრონოლოგიის საფუძველს ამ ტიპისათვის მასში გამოყოფილი ვარიანტები ქმნის. იგივე ნიშანი ახასიათებს ლომის გამოსახულებიან სამაჯურებს სამთავროს № 59 ქვევრსამარხიდან (ტაბ. III<sub>1</sub>). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლომის გამოსახულება საქართველოში, როგორც ჩანს, ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღმოსავლური სიუჟეტებიდან აქ ფეხს იკიდებს ის თემა, რომელიც უფრო გასავეები და ახლობელია ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

საკმაოდ თვალსაჩინოა კიდევ ერთი მომენტი: დროთა განმავლობაში სტილიზებული გამოსახულება თანდათან შორდება ორიგინალს და სულ უფრო სქემატური და პირობითი ხდება.

პირველი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში მოთავსდა ის გამოსახულებები, რომელთა მნიშვნელობის ამოხსნა ვერ მოხერხდა. იგი მოიცავს ცხრა ტიპს შენაბამისი ვარიანტებით. მათ შორის რაშდენიძე ვარიანტი შესაძლოა ხზოს გამოსახულებას წარმოადგენდეს (ტაბ. III<sub>2</sub>, 3, 4). ამ გამოსახულებათა შემადგენელი შუბლი და ფართე კეფა თავისი საერთო ფორმით ამ სახის რეალისტურ პროტიპებს მოგვაგონებს<sup>26</sup>.

მეორე დიდ ჯგუფში ერთიანდება სხვადასხვა სახის ბურცობებით შექმნილი სამაჯურები (ტაბ. III<sub>5</sub>, 6). ამ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა. პირველ ქვეჯგუფში ერთიანდება მეტად სპეციფიკური ორნამენტი — სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით შემკული სამაჯურები. ამ ორნამენტს ახასიათებს რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა. იგი ასევე მკაცრი კანონიკურობით ხასიათდება. ორნამენტი გვხვდება როგორც სამაჯურებზე, ასევე სხვა სახის სამკაულზეც. სამაჯურებზე იგი არც თუ ისე ხშირია, ამიტომ მათი ქრონოლოგიური ადგილის დაზუსტებისათვის საჭირო ვახდა ამგვარად დეკორირებული ყველა სახის სამკაულის ერთობლივი შესწავლა. კვლევამ მეტად საინტერესო შედეგები მოგვცა. გაირკვა, რომ ორნამენტი რომელიც პირველად ლურისტანულ საკინძებზე ჩნდება, საქართველოში თავს იჩენს ძვ. წ. V საუკუნიდან, როდესაც იგი მხოლოდ მშვილდსაკინძებისთვისაა დამახასიათებელი და განაგრძობს არსებობას მთელი IV საუკუნის მანძილზე და, როგორც ჩანს, III საუკუნეშიც გად-

<sup>26</sup> P. Amandry, დასახ. ნაშრომი, გვ. 10, სურ. 14, ტაბ. 11. სურ. 20, 22.

მოდის. ამ დროს იგი ძირითადად გვერგვებისა და სამაჯურების შემკულობას წარმოადგენს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ გრძივ ჭრილში ოვალური ფორმის დეკორი ახასიათებს ძვ. წ. V—IV ს-ის პირველი ნახევრის სამკაულს, IV ს-ის შუა ხანებისათვის დამახასიათებელია თანაბარი ზომის ორნამენტი, IV ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებამდე კი ბოლოებისაკენ კონუსურად გაფართოებული ფორმაა გაბატონებული.

ამავე ქვეჯგუფის ვარიანტებს წარმოადგენს სამაჯურები, რომელთა ბოლოებს სადა ან დაღარული ბურცოები ახასიათებს (ტაბ. IV<sub>1</sub>, 2). ეს ვარიანტები ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ცალკე ტიპს შეადგენს ბოლოებზე სალტეშემოკრული სამაჯურები (ტაბ. IV<sub>3</sub>) ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარი).

მეორე ქვეჯგუფში ვერთიანებთ სამაჯურებს, რომელთა ღერო მთლიანად შემკულია მეტ-ნაკლები სიხშირით განლაგებული ოვალური ან მრგვალი ბურცოებით. აქ სამი ძირითადი ტიპი გაირჩევა. პირველ ტიპში თავსდება რკინის სამაჯურები (ტაბ. IV<sub>4</sub>), რომელთა ღერო ხშირი ბურცოებითაა შემკული (ითხვისის № 1, 2, 8, 9, კუშჩის № 3, მოდინახის ელინისტური ხანის სამაროვნის № 5, 6, გომარეთის № 6, 10, 14, კამარახევის № 29, 30, 58, 65, 96, 146, 149, 153 სამარხები, დაფნარის № 23 ქვევრსამარხი). ამ სამაჯურების შემკველი კომპლექსების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებში.

ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება რკინის სამაჯურები (ტაბ. IV<sub>5</sub>) ღეროში ჩასმული მძივების რიგით (ითხვისის № 2, კუშჩის № 3 სამარხები).

მეორე ტიპს მიეკუთვნება ბრინჯაოს სამაჯურები რკალზე შვიდი ან მეტი ბურცოებით (ტაბ. IV<sub>6</sub>, 7). ამგვარები ცნობილია დაბლაგომის (ქვევრსამარხები № 4, 19), დაფნარის (ქვევრსამარხები № 3, 9, 33, 35), ზემოფარცხის (ქვევრსამარხი № 16), გუადიხუს უმცროსი ჯგუფის (სამარხი № 39), ყაზბეგის, თოხლიაურის, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნების მასალებში. მათი თარიღი ზოგადად განსაზღვრულია ძვ. წ. IV—III სს.<sup>27</sup>.

მესამე ტიპი წარმოდგენილია სამაჯურებით, რომელთაც სადა რკალი და ბურცოებით შემკული ბოლოები ახასიათებს (ტაბ. IV<sub>8</sub>, 8), ტიპი შეიცავს ოთხ ვარიანტს. სამკაულის შემკობის ეს მარტივი ხერხი, როგორც ჩანს, საკმაოდ სიკოცხლისუნარიანია და დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი აქვს, ძვ. წ. IV საუკუნიდან ძვ. წ. I საუკუნის ჩათვლით. ამ ტიპის ვარიანტები ზოგადი თარიღების დაკონკრეტების საშუალებას იძლევა.

მესამე დიდ ჯგუფში ერთიანდება სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტით შემკული სამაჯურები. ისინი ძირითადად სამთავროს ქვევრსამარხებიდან მომდინარეობს და, როგორც აღვნიშნეთ, კარგადაა შესწავლილი და ძვ. წ. II—I სს. თარიღდება.

მეოთხე დიდ ჯგუფში შევიყვანეთ სადა სამაჯურები, რომლებიც, როგორც ირკვევა, მთელი საკვლევი ხანის განმავლობაში თანაარსებობენ ორნამენტირებულ სამაჯურებთან და ზოგადად იმეორებენ შესაბამის ხანაში გავრცელებულ ფორმებს. მათი დათარიღება, ჩვენი აზრით, ყველა კერძო შემთხვევაში კომპლექსთან კავშირში უნდა ხდებოდეს.

<sup>27</sup> М. М. Трапш, Итоги археологического исследования Сухуми, с. 322; Труды, с. 263; Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, с. 52.

Н. Б. ГОГИБЕРИДЗЕ

 К ТИПОЛОГИИ БРАСЛЕТОВ АНТИЧНОГО ПЕРИОДА  
 (V—I вв. ДО Н. Э.)

## Резюме

В статье рассмотрены вопросы типологии браслетов раннеантичной и эллинистической эпох с территории Грузии в связи с разработкой их дробной хронологии. За основу типологии взят декор, рассматриваемый в каждой группе в своем развитии. Именно этот принцип оказался наиболее результативным для выделения типов, поддающихся датировке. При этом выясняется, что орнаментальный декор браслетов, равно как и других личных украшений, находится в определенной связи с религиозными представлениями.

Весь материал подразделяется на четыре основные группы: I. К первой группе относятся браслеты, украшенные изображениями животных. Первую подгруппу этой группы составили три основных типа: 1. изображения барана (середина V в. до н. э.); 2. изображения животного с острыми, заложенными на спину ушами. (V—III вв. до н. э.); 3. изображения животного с разделенной гривой (V и III—II вв. до н. э.). Ко второй подгруппе относятся браслеты с неопределенными изображениями (девять типов, с соответствующими вариантами). II. Вторую группу представляют браслеты с напльвами, подразделяющиеся на две подгруппы. К первой подгруппе относятся браслеты, украшенные «перлами» (IV — середина III в. до н. э.). В отдельный тип выделились браслеты с ободками на концах (вторая половина IV в. до н. э.). Вторую подгруппу составили браслеты с напльвами на стержне, подразделяющиеся на три типа: 1. железные браслеты (середина IV в. до н. э.); 2. бронзовые браслеты (IV—III вв. до н. э.); 3. браслеты с напльвами на концах (IV—I вв. до н. э.). III. К третьей группе относятся браслеты с геометрическим орнаментом (II—I вв. до н. э.). IV. Четвертую группу составили неорнаментированные браслеты, бытующие на протяжении всей исследуемой эпохи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ს. ჯანაშვიას სახ. სახელმწიფო მუზეუმმა

კავშირ ფიზიკალური

მალალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახიანი  
ნაგებობის დანიშნულების საკითხისათვის

1981 წელს, ვარძიის<sup>1</sup> და უფლისციხის<sup>2</sup> მრავალთახიანი გამოქვაბულების მიბაძვით, ზოგიერთმა ავტორმა ზემო წინარების მალალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახიანი ნაგებობა მიიჩნია აფთიაქის შენობად<sup>3</sup>.

1985 წელს კი გამოქვეყნდა ლ. მარუაშვილის და კ. ხარაძის წერილი სათაურით — „ქვის სამტრედები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში“, რომელშიც ავტორები, უარყოფენ როგორც ვარძიის თახჩიანი გამოქვაბულის, ისე წინარების თახჩიანი ნაგებობის აფთიაქობას და მათ სამტრედებად თვლიან<sup>4</sup>.

1986 წელს მ. შენგელიამ ჩვენს ობიექტებს საკმაოდ დამაჯერებლად განუმარტა, რომ „ვარძიაში აფთიაქის არსებობის საკითხი, მისაღებ დებულებად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი ხალხში არსებულ გადმოცემაზეა დაფუძნებული“, ხოლო მალალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახიანი ნაგებობის შესახებ, იგი ეთანხმება ლ. მარუაშვილისა და კ. ხარაძის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ნაგებობა არ არის აფთიაქის შენობა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ იგი არც სამტრედია<sup>5</sup>.

მ. შენგელია, ჩანს, იზიარებს ი. ციციშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოსდა მალალაქეთა ნასახლარზე არსებული მრავალთახიანი ნაგებობა აგებული იყო ეკლესიის იმ 300 ქართველი მსახურის პატივსაცემად, რომლებიც მონღოლებმა შემოსევის დროს ქვათახევეში ცეცხლზე დაწვეს. მათი აზრით, აღნიშნული ნაგებობის თახჩებში ინახებოდა კრემაციის შედეგად დარჩენილი ფერფლის შემცველი ჭურჭლები. ე. ი. ნაგებობა, მათი აზრით, წარმოადგენდა კოლუმბარიუმს<sup>6</sup>.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამგვარ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ და აი, რატომ:

1. 1394 წ. ქვათახევეში მომხდარი ამბის გამო ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ თემურლენგის მოლაშქრეებმა „შემუსრნეს მცხეთა და ყოველნი ეკლესიანი, ციხენი და სიმაგრენი ქართლისა და სომხეთისანი და რომელნიმე მოსწუნეს ცეცხლითა, ვითარცა მჩენარებს დღესაცა ქუაბთა — გვეს ეკლესიისა

1 კ. ფიზიკალური, ვარძიის „თახჩიანი გამოქვაბულის“ დანიშნულების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, № 3, 1958, 377—384

2 დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965, გვ. 32.

3 ს. სალუქვაძე, ვარძია წამლის სასახლე, თბ., 1981, გვ. 118—122.

4 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVI, თბ., 1985, 144—150.

5 მ. შენგელია, აფთიაქი, კოლუმბარიუმი თუ სამტრედე, „საბჭოთა მედიცინა“, 1985, № 3, გვ. 58—62.

6 მ. შენგელია, აფთიაქი, კოლუმბარიუმი თუ სამტრედე, „საბჭოთა მედიცინა“, 1986, № 3, გვ. 58—62.



იატაკი. გარნა კაცთა ევდენ ვერ ავენეს სრვითა და ტყუეობითა, რამეთუ გან-  
მზადებულ იყვნენ ბრძოლად“<sup>7</sup>.

სხვა ადგილას იგი დასძენს: ქვათახევის მონასტერში „შეჰყარა ლანგთემურ  
მოწესენი და შეასხა ეყუანნი (რომელნი იტყოდენ: „ვი ჩვენს დედაბრობასა,  
ეს რა გვეყლარუნებინან.“), და გამოსწუნა ყოველნი ეკლესიისა შინა, და ჩანს  
ღღესა იატაკსა ზედა კელნი, ფერჯნი, თავნი და გუამნი. არაეინ შეეღას ფერკ-  
შიშუელნი, სიწმიდისათუს“<sup>8</sup>.

როგორც ვხედავთ, არც ერთ ამონაწერში ფერფლის საცავი ან რიცხვა  
300 ნახსენები არ არის. პირიქით, ვახუშტი საგანგებოდ ამახვილებს რა ყუ-  
რადღებას მომხდარ ფაქტზე, იმასაც აღნიშნავს, რომ „გარნა კაცთა ევდენ ვერ  
ავენეს სრვითა და ტყუეობითა, რამეთუ (ქართველნი, — პ. ფ.) განმზადებულ  
იყვნენ ბრძოლად“<sup>9</sup>.

ბუნებრივია, თუ ქართველები ბრძოლისთვის მზად იყვნენ, ეს იმას ნიშ-  
ნავს, რომ მონასტრებიდანაც მონაზონთა თუ ბერთა უმრავლესობა გაზინულა  
უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ზოგიერთი ნათვანი მაინც შემორჩა და მტერს  
ჩაუვარდა, მათი რიცხვი არა გვგონია, რომ სამასი ყოფილიყო. ალბათ, ამით  
უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვახუშტი დაზოცილთა რიცხვს არ ასხენებს.  
ამასთან, თუ დაღუპულთ ხალხი ისეთ პატივს მიაგებდა, რომ ქვათახევის დე-  
დათა მონასტერში თესშიშველი შედიოდა მათი სხოვნის თუ წმიდანობის ბა-  
ტიქსაცემად, ამგვარივე ხსოვნა ხომ უნდა შემორჩენილიყო ზემო წინარების  
თახჩებთან ნაგებობის მიმართაც, რომლის შესახებ ვახუშტი ასევე არაფერს  
ამბობს.

მონოლოგების ბატონობის ხანაში, მსგავსი რამ არც ივ. ჯავახიშვილს აქვს  
აღნიშნული<sup>10</sup>.

თუ კოლუმბარიუმის მომხრეთა ვარაუდი სწორია, მაშინ საკითხავია: რა-  
ტომ არ ააგეს კოლუმბარიუმში ქვათახევის მონასტრის ტერიტორიაზე; სადაც  
თვით ეს ამბავი მოხდა?

თუ რაიმე აუცილებლობით იყო გამოწვეული, კოლუმბარიუმში მაინცდა-  
მაინც ზემო წინარების მახლობლად, ქვათახევიდან 6—7 კმ. დაშორებით  
აეგოთ, რატომ არ ააშენეს იგი, XII—XIII სს. ქრისტიანული სტეგლის —  
„ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესიის“ ეზოში? რატომა იგი ამ ეკლესიიდან  
საკმაოდ შორს, მთის კალთის ძირში აშენებული? თვით ეს ფაქტი ხომ ეწი-  
ნააღმდეგება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციას, რომლის  
მიხედვით საქალე უსათუოდ ეკლესიაში ან მის ტერიტორიაზე უნდა ყოფი-  
ლიყო.

ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის გარემოება,  
რომ თვით მალაქეებსაც, რომლებმაც XV ს. ზემო წინარების აღნიშნული  
ტერიტორია — ეკლესიით ხელისუფალთაგან სამფლობელოდ მიიღეს<sup>11</sup>, ამ და-  
უსახლებელ ტერიტორიაზე მხოლოდ XII—XIII სს. ეკლესია დახვდათ და

<sup>7</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 267.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 340.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 267.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1949, გვ. 322.

<sup>11</sup> ვ. ბერიძე, წინარტყელ მალაქეთა მშენებლობა XVII—XVIII საუკუნეებში, სა-  
ქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 195—217.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 4

ამგვარი წმიდა ადგილის — „კოლუმბარიუმის“ შესახებ კი (ბოძების სიველში) ერთი სიტყვიტაც არსად არაფერია ნათქვამი.

ამას აღნიშნავთ აგრეთვე იმიტომაც, რომ შემდგომში თვით მალაქაძეებმა თავიანთი საგვარეულო საძვალე ეკლესიაში და მას ეზოში, გალავნის შიგნით მოაწყვეს და არა გალავნის გარეთ, ეკლესიიდან საკმაოდ შორს მრავალთახიან ნაგებობასთან.

II. ნუთუ მტერი ქართველთ მისცემდა იმის უფლებას, რომ თავიანთი სულის მსახური წმიდანნი ამგვარი პატივით დაეკრძალათ? გავიხსენოთ არაბები, აბოს წამება, როცა აბო აწამეს, ხოლო შემდეგ ცეცხლზე დაწვეს მისი ნეშტი და ფერფლი მდ. მტკვარში ჩაყარეს<sup>12</sup>.

III. თვით დაკრძალვის ამგვარი წესი ეწინააღმდეგება მიცვალებულის ქრისტიანულ დამარხვის წესს, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეული გარდაცვალების შემდეგ უსათუოდ უნდა დაიმარხოს, რომ „მიწად იქცეს“. საყოველთაო ცნობილი გამოთქმაც ხომ იგივეს ამბობს — „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცი“ —ო<sup>13</sup>.

IV. როგორც ავტორები აღნიშნავენ „მონღოლებმა ეკლესიის 300 მსახური დაწვეს“, დანგრეული მრავალთახიანი ნაგებობის ნაწილობრივად არქეოლოგიური გათხრების დროს კი, როგორც ამას ს. სალუქვაძე ამტკიცებს, 459 თახჩა აღმოჩნდა<sup>14</sup>. რას ემსახურებოდა ან რა დანიშნულების იყო დანარჩენი 159 თახჩა პლუს ჩვენამდე მოუღწეველი თახჩები, ამის შესახებ ავტორები არაფერს ამბობენ.

ჯერჯერობით ჩვენამდე მოღწეულ 459 თახჩიდან<sup>15</sup> არც ერთ მათგანში არ აღმოჩნდა ფერფლის შესანახი ჭურჭელი ან მათი ნაშთი. რა ბედი ეწია ამ ჭურჭლებს არც ამის შესახება რაიმე ნათქვამი.

გასარკვევია აგრეთვე ისიც თუ რატომ იწყება თახჩები მიწას პირიდან, რატომ არ არის დატული გარკვეული ჰიგიენური წესი მისი აშენების დროს? და სხვ.

ცხადია, საბოლოო სიტყვა მრავალთახიანი ნაგებობის დანიშნულების გარკვევის საქმეში, როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. შენგელია<sup>16</sup>, არქეოლოგიურმა კვლევებმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვეჭვობთ, რომ არქეოლოგიურმა კვლევამ კოლუმბარიუმის სასარგებლოდ რაიმე გეითხრას.

ასევე, არა გვგონია იქ აღმოჩნდეს „აფთიაქის“ მანიშნებელი რაიმე საგნები, ანდა მტრედების განავლის ფენა და მათი საკვებად განკუთვნილი რაიმე ულუფის („საკენკის“) ნარჩენები, რომელიც როგორც ავტორებს პგონიათ თითქოსდა ნაგებობის „სამტრედეობის“ მათუწყებელია და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავტორების ლ. მარუაშვილის, კ. ხარაძის და ს. სალუქვაძის მისამართით იბადება კითხვა: რა მონაცემების საფუძველზე აერთიანებენ ვარძიის მრავალთახიან გამოქვაბულს და წინარების მრავ-

<sup>12</sup> იოანე საბანისძე, აბოს მარტვალობა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 67—68.

<sup>13</sup> წესი ერის კაცსა ზედა, იოსო, დიდი კურთხევანი, 1926, გვ. 223.

<sup>14</sup> ს. სალუქვაძე, ვარძია წაშლის სსახლე, 1981, გვ. 120.

<sup>15</sup> სადღესოდ ჩვენ მხოლოდ 251 თახჩის დაავლა შეეძლოთ (პ. ფ.).

<sup>16</sup> მ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

ვალთახიან ნაკვობობას ერთმანეთთან, როგორც „აფთიაქის“, ისე „სამტრე-დეების“ მომხრეები?

ამგვარი კითხვა მით უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ამას დამასაბუ-თებელი მასალები მათ წერილებში არ ჩანს, ვერც მათი პირადი პოსაზრებები გვაძეცნობენ რაიმე ახალს — ლოგიკურს.

მართალია, ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით ორავე ქველი საინტერესოა და საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ რაღაც საერთო ნაშნის (თახ-ჩის) მიხედვით გავაერთიანოთ, ხოლო განმასხვავებელი ნიშნები განუკ დატო-ვით. მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნული ძეგლები როგორც ქრონოლოგიურად, ისე არქიტექტურულად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.


რადგან მკითხველმა ჩვენი თვალსაზრისი ვარძიის „მრავალთახიანი გამო-ქვაბულის“ ანუ „აფთიაქის“ შესახებ უკვე იცის, ამჯერად ქვემოთ, მხოლოდ მალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილ მრავალთახიანი ნაკვობობის დანიშნუ-ლების საკითხზე შევჩერდებით. ოღონდ, ამთავითვე გვინდა იცოდეს მკითხ-ველმა, რომ ვარძიის თახჩიანი გამოქვაბულის შესწავლის დროს, უახლოესი პარალელის ძებნისას, მალაქეთა ნასახლარზე ჩვენი ყურადღება ამთავითვე მიიქცია მრავალთახიანი ნაკვობობის ნაშთებმა (ტაბ. I, 1), მაგრამ იმხანად მას-ზე არ შევჩერებულვართ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი მთელი რიგი დეტალებით განსხვავდება ვარძიის მრავალთახიანი გამოქვაბულისაგან და მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნანახი ჰქონდათ ჩვენს სახელდებულ მეცნიერებს (ვ. ბაგრატიონს, პლ. იოსელიანს, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს, ივ. ჯავახიშვილს, ლ. მელიქსეთ-ბეგს და სხვ.), რომლებიც ძირითადად კმაყოფილდებოდნენ ძეგ-ლის ირგვლივ ხალხში არსებული გადმოცემების შესწავლით, ხოლო თვით ძეგლი 1947 წლამდე ფაქტობრივად შეუსწავლელი და დაუთარილებელი იყო<sup>17</sup>.

ძეგლისადმი იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ჩვენ მაინც ეცადეთ მი-სი დანიშნულების შესახებ დამატებით შეგვევგოვებინა მასალა. სამწუხაროდ, დღემდე ვერც წერილობით წყაროებში, ვერც წინარეხსა და მისი მახლობელი სოფლების ეთნოგრაფიულ ყოფაში ამ მიმართებით ჩვენთვის საყურადღებო ვერავითარ ცნობას ვერ მივაკვლიეთ. თუმცა ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე და-ბეჭითებით გვიმტკიცებენ იმას, რომ წინარეხის ეთნოგრაფიულ ყოფაში მათ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით დადგენილ იქნა, რომ აღნიშნული ნა-კვობობა „სამტრედია“? ავტორთა ამგვარი განცხადება ცხადია, ემყარება ბაღებს ჯერ ერთი იმის გამო, რომ ისინი არ ასახელებენ მთქმელებს, ვისგანაც ეს მას-ალა ჩაიწერეს და მეორეც პლ. იოსელიანის, მ. ბროსეს, ლ. მელიქსეთ-ბეგის და ვ. ბერიძის მიერ, რომლებმაც აღნიშნულ ძეგლთან დაკავშირებით უფრო ადრე შეისწავლეს ხალხური გადმოცემები. მსგავსი რამ მათ მიერ დამოწმე-ბული ვერ იქნა.

ასე, მაგალითად, ქვათახევისკენ მიმავალ პლატონ იოსელიანს (როგორც ამას ვ. ბერიძე წერს), რომელმაც 1847 წელს გზად გაიარა მალაქეთა ეკლე-სიასთან, ამ მიტოვებული, ფრინველების (და არა კონკრეტულად რომელიმე სახის ფრინველის, — პ. ფ.) ამარად შთენილი, ტაძრისა და „გატყევებული ნა-სახლარის“ (დაუკვირდეთ გამოთქმას „ტაძრისა“ და „გატყევებული ნასახ-

<sup>17</sup> ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაქეთა მშენებლობა XVII—XVIII საუკუნეებში, სა-ქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბ., 1947, გვ. 195—217.

Նկար 1





ლარის“ და არა კონკრეტულად თახჩიანი ნაგებობის, — 3. ფ.) ნახევამ, როგორც თვითონ ამბობს, მწარე ფიქრები აუშალა ქართლის სამეფოს მძიმე წარსულის შესახებ<sup>18</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ლ. მარუაშვილის და კ. ხარაძის ჯანცხადება არ მიგვაჩნია სარწმუნოდ.

1947 წ. აკად. ვ. ბერიძის მიერ დადგენილი იქნა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მდგომი ერთადერთი ნაგებობა — „ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესია“ XII—XIII საუკუნეების შუა ხანს ეკუთვნის. XV ს-ში იგი დამსახურებისათვის, ხელისუფალთ, მალაქეთა გვარისათვის უბოძებიათ. ნიკოლოზ და პაპუა მალაქაძეებს XVII—XVIII სს. ეკლესია შეუქმნებიათ და მისთვის ვალავანი შემოუვლიათ. ამასთან, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, მთის კალთაზე სასახლე და სამეურნეო დანიშნულების შენობებიც აუგიათ<sup>19</sup> ე. ი. ვ. ბერიძის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა ეპოქას ძეგლია — ეკლესია (XII—XIII სს.) და სასახლე (XVII—XVIII სს.) გვიან შუა საუკუნეებში ისინი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალის — მალაქაძის რეზიდენციას წარმოადგენდნენ. იმავე ავტორის მიხედვით, აღნიშნული სასახლე XVIII ს-ის 70-იან წლებში ჯერ ხანძარს შთაუთქვავს, ხოლო შემდეგ სრულიად გაპარტახებულია<sup>20</sup>.

ამგვარად, სასახლის ტერიტორიაზე არსებული მრავალთახიანი ნაგებობა, ვ. ბერიძის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XVII—XVIII სს. უნდა დათარიღდეს<sup>21</sup> და არა XII—XIII სს, როგორც ეს ს. სალუქვაძეს<sup>22-23</sup>, ლ. მარუაშვილს და კ. ხარაძეს<sup>24</sup> მიაჩნიათ. ვფიქრობთ, რომ ძეგლის ასაკის ამგვარი განსაზღვრა უფრო მართებულია, იგი სასახლეზე ადრე აგებული ვერ იქნება, რადგან ავით ძეგლს ეკლესიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ამიტომ მის თანადროულადაც ვერ ჩაითვლება. უკიდურეს შემთხვევაში იგი მალაქაძეთა გვარის სააღმშენებლო საქმიანობასთანაა დაკავშირებული და მის თარიღს XV ს. იქით ვეღარ ვიანგარიშებთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დგება საკითხი ამ მრავალთახიანი ნაგებობის ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ.

ს. სალუქვაძის მონაცემებით, მალაქაძეთა ნასახლარის მრავალთახიანი ნაგებობა ნახევრად სარდაფის ტიპის სათავსია და 10 მ<sup>2</sup> ფართობი უკავია. მის შემორჩენილ სამ კედელზე 459 თახჩაა. თითოეული თახჩას სიგრძე 20 სმ-ია. ამ მონაცემებს ს. სალუქვაძე ადარებს ვარძიის № 70 გამოქვაბულის თახჩებს, ნაგებობას ამის გამო „აფთიაქად“ მიიჩნევს და როგორც აღნიშნეთ XIII ს. პირველი ნახევრით ათარიღებს, ე. ი. მას „ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესიის“ თანადროულად სთვლის (!) ისე, რომ ამის დამადასტურებელი მასალა არ გვაჩნია.

18 ვ. ბერიძე, წინარეგულ მალაქაძეთა მშენებლობა XVII—XVIII საუკუნეებში. საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV-B. თბ., 1947, 195—217.  
 19 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 195—217.  
 20 ვ. ბერიძე, მალაქაძიანი ეკლესია, ქართული ხელოვნება, № 15, 1957, გვ. 205—207, 208—219.  
 21 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974, 155, 178.  
 22 ს. სალუქვაძე, ვარძია წამლის სასახლე, 1979. 5—17.  
 23 ს. სალუქვაძე, ვარძია წამლის სასახლე, თბ., 1981, გვ. 118—120.  
 24 იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVI, თბ., 1985, 145—146.

ასევე იქცევიან ნაგებობის აღწერისა და დათარიღებისას ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე და ი. ციციშვილი, ოღონდ ამ ნაგებობას ერთნი „სამტრედედ“, მეორენი „აფთიაქად“, ხოლო მესამენი „კოლუმბარუმიად“ სთვლიან. ყოველივე ამის გამო გვინდა ერთხელ კიდევ შევნიშნოთ ის გარემოება, რომ ს. სალუქვაძე, ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე და ი. ციციშვილი ნაგებობის დანიშნულების განსაზღვრისას ძირითად ფაქტორად მხოლოდ და მხოლოდ „თახჩას“ მიიჩნევენ. ხოლო ძეგლის თარიღს და მისი დანიშნულების სხვა ძირითად განმსაზღვრელ გარეგან და შინაგან ნიშნებს კი ანგარიშს არ უწევენ.

ასეთ გარეგან ფაქტორებად ჩვენ ვთვლით იმას თუ რა ადგილას ან როგორ ბუნებრივ გარემოცვაში დგას თვით ძეგლი, ხოლო შინაგან ფაქტორად მივიჩნევთ იმ ხელწერას, რაც ძეგლის ხუროთმოძღვრულ ჩანაფიქრშია ვადმოცემულ-გაცხადებული და მშენებლობის დეტალებში ამეტყველებული. ასე მაგალითად, მაღალაძეთა მრავალთახჩიანი ნაგებობა: 1. კოშკიდან საკმაოდ შორს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტყით შემოსილ ჩაქრილ მთის კალთაშია ამოშენებული. იგი სარდაფის ტიპის ნაგებობაა; 2. ჩანს, იზოლირებული იყო როგორც სასახლიდან, ისე სასახლის დანარჩენი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და თავდაცვითი ხასიათის სხვა ნაგებობებიდან; 3. როგორც შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ირკვევა, ნაგებობის ოთხივე კედელს საყრდენად (იქნებ საიზოლაციოდ და თანაბარი ტემპერატურის შენარჩუნების მიზნითაც), ქვა-ლორლით, კირის დუღაბით, ჯერ საკმაოდ სქელი კედელი ამოუყვანიათ და შემდგომ მასზე მიუშენებიათ თახჩებიანი კედლები. ნაგებობას წინიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ჩვენი დაკვირვებით კარი და მეორე სათავსი ჰქონია მდებარე, ასე, რომ იგი ორ განყოფილებიანი ყოფილა და სხვ.

რაც შეეხება ნაგებობის შინაგან სახეს იგი ოთხკუთხედის ფორმისაა. სიგრძე 340 სმ., სიგანე 329 სმ, სიმაღლე 386 სმ. ვფიქრობთ, რომ საბურავი სეზონურად უყეთდებოდა (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). თახჩები ოთხივე კედელზე თითქოს ერთი ზომისაა, მაგრამ მცირედ მაინც განსხვავდება ერთი მეორისაგან. იგი ფორმით ოთხკუთხედს წააგავს და რაიმე დეკორატიულობის კვალი არ ემჩნევა. თახჩების ზომები ასეთია: სიგანე 20—28 სმ, სიმაღლე: 14—16 სმ. სიღრმე 25—35 სმ. არ აღემატება. ამასთან, ისინი იატაკიდან იწყება და ჩანს, რომ ჭერამდე აღწევენ, ასე, რომ მათი აშენებისას ჰიგიენური წესი, რაც ვარძიის „აფთიაქის“ (№ 70 გამოქვამულის) გამოკვეთის დროსაა დატული<sup>25</sup>, აქ შეგნებულადაა უკუგდებული. ვფიქრობთ, რომ იგი (როგორც ამას ქვემოთ ნათლად დაეინახავთ), განპირობებულია მისი უშუალო დანიშნულებითაც: ეს ნაგებობა ვარძიის № 106 „სალაროს“<sup>26</sup> ტიპის გამოქვამულს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე „აფთიაქს“. მაგრამ არის თუ არა იგი „სალარო“? რა თქმა უნდა არა. ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ იგი სასახლის ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს, მისგან იზოლირებულია, სარდაფის ტიპის ნაგებობაა. სახურავიც, ჩანს, სეზონურად უყეთდებოდა, როგორც სპეცდანიშნულების ნაგებობას და ტემპერატურა მასში მუდამ თანაბარ დონეზე ყოფილა. ასევე, ერთგვაროვან თახჩებს არავითარი დეკორატიულობა არ ახასიათებს. ამასთან, სასახლეს აქვს მრავალსართულიანი კოშკები და ვფიქრობთ,

<sup>25</sup> პ. ფირფილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

<sup>26</sup> კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ., 1961, გვ. 80, სურ. 137.



განძის შენახვა-დაცვა კოშკის რომელიმე სართულზე უფრო ხელსაყრელი და მოსახერხებელი იქნებოდა ვიდრე ამგვარ ნაგებობაში და სხვ.

ამდგვარად, რადგან მაღალაძეთა ნასახლარში არსებული მრავალთაბშიანი ნაგებობის დანიშნულების შესახებ სადღეისოდ, ჭერჭერობით, არავითარი ცნობა არ მოიპოვება და ამ მიმართებით ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ვერჩება ერთადერთი სწორი გზა: რადგან ვიცით, რომ გვიანი შუა საუკუნეების ეს ძეგლი, ერთ-ერთი მძლავრი ფეოდალის სასახლის ნაწილია, საჭიროა გავიხსენოთ ყველა ის ნაგებობანი, პირველ ყოვლისა საყინულე-მაცივარი, რომლებიც ამგვარ სასახლეებს ჰქონდათ<sup>27</sup>.

ვფიქრობთ, ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

მართალია, სადღეისოდ, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, ჩვენ ამგვარი სასახლეების არც სრული აღწერილობა, არც სათანადო გეგმები არ მოგვეპოვება და ჭერჭერობით ამ მიმართებით არც თვით ქართველ არქეოლოგთა მიერ მიკვლეული არქეოლოგიური მასალა სათანადოდ გაანალიზებულ-შესწავლილი. მაგრამ ამ დანაკლისს შეუქსავლელ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ავსებენ ის არაპირდაპირი ცნობები, რომლებიც დატულია ქართულ სამედიცინო, სამართლის, ძეგლებსა და ჩვენი ხალხების ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ მასალებში. მაგალითად, ქანანელის — „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.)<sup>28</sup> ხოჯაყოფილის — „წიგნი საქიმოში“ (XIII ს.)<sup>29</sup>, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ (XV ს.)<sup>30</sup>, დავით ბაგრატიონის — „იადიგარ დაუდში“ (XVI ს.)<sup>31</sup>, ავადმყოფის როგორც სამკურნალოდ, ისე მისი მოვლა-პატრონობის საქმეში ფართოდაა მოწოდებული ცივი წყლის, თოვლის და ყინულის ხმარება. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ მძიმე, სიცხიანი ავადმყოფის მკურნალობის დროს ჩვენი ექიმები ყინულს თითქმის ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც წამალს<sup>32</sup>.

ასევე, საკითხთან დაკავშირებით გიორგი ბრწყინვალის „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.)<sup>33</sup> ნათქვამია: „სალამოს მეღვინე ფანჯას მომკროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრას... ..და თუ მეფესა ღამით მოეწყუროს, ბრძანოს, რომელიცა უნდა“<sup>34</sup>. ასეთსავე საგოლისხმო ცნობას ვპოულობთ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“, სადაც ნათქვამია „თრიალეთის რივი და გამოსაღები საბატონო და სამოხელეო — სქეს... თოვლის ზიდვა“<sup>35</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის მინიშნება: „მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა ე (V, — 3. ფ.) მეფემან ლე-

27 ვ. სონღულაშვილი, თოვლისა და ყინულის შენახვის ხალხური წესები თბილისის სანახებში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII, 1962, გვ. 171—174.

28 ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940, გვ. 84, 102, 104.

29 ხოჯაყოფილი, წიგნი საქიმოში, თბ., 1936, გვ. 59.

30 ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1950, გვ. 182, 220.

31 დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდში, თბ., 1938, გვ. 364, 513, 494.

32 იქვე.

33 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი მოამზადა, გამოკლევდა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., გვ. 1.

34 იქვე, გვ. 38, 101.

35 იქვე, გვ. 617—618.



ვან ლეკნი, რათა უზიღონ ზაფხულს კავკასიიდან ყინული და იყო არჩილამდე ეგრეთ<sup>36</sup>. „დასტურლამალში“ ვხვდებით ამგვარ ცნობასაც: „ყოიორზე ტკბა-ლის მიტანისა, მარნის რეცხვისა და ყინულის ჩაყრის დებულება“<sup>37</sup> ან კიდევ „სადორის (ზემოქართლი, — პ. ფ.) ყინულის ჩაყრისაც წესხა აქუთ აბადარსა და ისრე სახელდობრ დაწერონ“<sup>38</sup>. აქვეა მუხლი: „ჯარიმა ნაცვალმა უნდა აიღოს და ბატონის ქარხანაში მიაბაროს; და ყინულის თეთრი — როგორც სამეცოსა სქეს“<sup>39</sup>.

გარდა აღნიშნულისა, „დასტურლამალში“ საციობთან დაკავშირებით ვხვდებით სხვა საყურადღებო ცნობასაც. ასე მაგალითად, ქართლის სადედოფლო სოფლების და ყმა-მამულის წესხაში „საცივიცაა დასახელებულია: „ატენს-ზღვრები, საცივი და გლეხები“<sup>40</sup> და სხვ.

როგორც ვხედავთ, მოტანილი ცნობებიდან მხოლოდ ერთხელა პირდაპირ ნითითებული, რომ სამეფო სახლს მაცივარი აქვს. მაგრამ ეს რაღი ნიშნავს იმას, რომ სამეფო სახლის მაცივართა და საყინულეთა რიცხვი ამით ამოიწუ-რებოდა. ამას გვაფიქრებინებს, ის გარემოება, რომ სამეფო სახლს თოვლყა-ნულზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდა და ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი პირთა მოვალეობას მხოლოდ და მხოლოდ სამეფო სახლის თოვლ-ყინუ-ლით უზრუნველყოფა უნდა ეზღვენდა. ამასთან იგი ხომ იმაზეც მიუთითებს, რომ ამგვარი სათავსები სამეფო სახლს უნდა ჰქონოდა, როგორც თბილისში ისე მის სარეზიდენციო ადგილებში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ თვით სიტყ-ვა — „ჩაყრა“ (თუ საცავი არ ჰქონდათ, სად უნდა ჩაეყარათ?) ზომ ამ გარე-მოებაზე მიუთითებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფო კარს, ერთი მხრივ, მო-უწევდა თოვლ-ყინულის გაუთავებელი ზიდვა (რასაც არავითარი აზრი არ ექ-ნებოდა. ან საიდან უნდა ეზიდათ? — პ. ფ.) ხოლო, მეორე მხრივ, ერთაშად მოტანილ თოვლ-ყინულს სამეფო სახლი უცებ თუ მოიხმარდა, თიარემ საჭი-როებისამებრ, სხვადასხვა დროს ხომ ვერ გამოიყენებდა?

ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ მოტანილ ცნობებში, სამეფო სახლს „დასტურლამალის მიხედვით, ჰქონდა ყი-ნულის ჩაყრის, ე. ი. შენახვის დებულება, ჰყავდა სპეციალურად გამოყოფილი მწე, რომელსაც „აბდარი“ ეწოდებოდა. „აბდარი“ ზემოთ აღნიშნული დებუ-ლებით ხელმძღვანელობდა და ამასთან ერთად ჰქონდა „წესხაც“ ე. ი. სია იმ პირთა, ვისაც ევალებოდა სამეფო სახლის საყინულეში თოვლ-ყინულის მო-ტანა<sup>41</sup>. „აბდარს“ აღრიცხვა ზუსტად უნდა ეწარმოებია, რადგან ვალდებულ პირთაგან ვინც თოვლ-ყინულს არ ჩააბარებდა მას მეფის სალაროს სასარგებ-ლოდ ჯარიმა უნდა გადაეხადა<sup>42</sup>.

მოვიტანთ აგრეთვე ჯ. სონღულაშვილის მიერ დამოწმებულ ფაქტობრივ მასალას, რომლის მიხედვით ყველა თავადის ოჯახს თავის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში „საყინულეც“ ჰქონია. მაგალითად: მუხ-

36 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ობ., 1941. გვ. 76, 57, 43, 96.

37 ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 633.

38 იქვე, გვ. 634.

39 იქვე, გვ. 716.

40 იქვე, გვ. 721.

41 იქვე, გვ. 633, 634.

42 იქვე, გვ. 633, 634, 716.

რანსა და დილომში ბაგრატიონებს; ფხვენისში — ამილახერებს, ქვემოხვითში — თაქთაქიშვილებს და მაჩაბლებს, ახალქალაქში თარხნიშვილებს<sup>43</sup> და სხვ.

ზემოაღნიშნული მოსაზრების და ეთნოგრაფიული მონაცემების სისწორე არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ასე მაგალითად: 1975 წ. ერეკლე II-ის მოედანზე, მეფე სვიმონის და გიორგი XIII-ის ყოფილ სასახლის ეზოში<sup>44</sup>, მიწის ქვეშ, წმიდა გიორგის სახელობის კარის ეკლესიის დასავლეთ კედლის ჩრდილო-დასავლეთით, არქეოლოგიური სამუშაოების შესრულების დროს, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კომპლექსურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები: ვარლამ ართილაყვა, ბიჭიკო გოძიაშვილი) მიაკვლია საყინულეს და ჭა მაცივარს, რომლებსაც ისინი XVI—XVII სს. ათარიღებენ<sup>45</sup> (ტაბ. I. 3).

1982 წ. არქეოლოგ ო. ტყემელაშვილის მიერ როსტომისეული სასახლის ანსამბლში, ეზოში, მიწის ქვეშ, გამოვლენილი იქნა XVI ს-ის 40-იანი წლების, ორსართულიანი თახჩებიანი საყინულე.

ამასთან, ო. ტყემელაშვილი სთვლის, რომ სამაცივრო მეურნეობა არა მარტო სამეფო სახლისათვის, არამედ მთელი ქალაქისათვის იყო აუცილებელი ატრიბუტი. რაც თბილისის სხვადასხვა უბნის არქეოლოგიური გათხრით და ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება. ასე მაგალითად, მკვლევრის მონაცემებით, 1979 წ. სამღებროს და გორგასალის ქუჩის მონაკვეთზე მის მიერ მიკვლეული იქნა ადრე ფეოდალური ხანის ჭა-მაცივარი, რომლის დიამეტრი 1 მ ხოლო სიღრმე 12 მ. არ აღემატებოდა. უფრო ადრე კი, მკვლევარმა 1931-32 წწ. ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე აღმოაჩინა შუა ფეოდალური ხანის (XII—XIII სს.) ანალოგიური სიდიდის ჭა-მაცივარი<sup>46</sup>.

1971-72 წწ. ლესელიძის ქუჩაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს ბიჭიკო გოძიაშვილის მიერ, ასევე, ფიქსირებულია ორიგანალურად ნაშენი ჭა-მაცივრის არსებობის რამდენიმე ფაქტი.

თბილისელები თამარა ხერხეულიძე და ლამარა ალუღიშვილა განმოგვცემენ, რომ მათი საცხოვრებელი სახლის (ჩახრუხაძის ქ. № 2) შემინული აივნის შიგნით 1931 წლამდე არსებობდა მოქმედი ჭა-მაცივარი, რომელსაც გიორგი ალუღიშვილის ოჯახი და ერთხანს მასთან შეეკედლებული — ნიკო ფაროსმანაშვილი პროდუქტებისა და ღვინის გასაცემლად იყენებდა<sup>47</sup> და სხვ.

გარდა თბილისისა ხელოვნური საყინულეებისა და ჭა-მაცივრების არსე-

43 ვ. ს. ონდუღაშვილი, თოვლისა და ყინულის შენახვის ხელშეწყობის შესახებ თბილისის სანახევრო, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაზრ., ტ. XXIII, 1962, გვ. 171.

44 ვ. ს. ონდუღაშვილი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაწერელას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ., 1936, გვ. 4, 39, 40, 65, 134, 133.

45 ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების 1975 წლის ანგარიში, გვ. 4—8.

46 საკითხთან დაკავშირებით გამოუქვეყნებელი მასალები და ცნობები მოკვლევის არქეოლოგებმა ო. ტყემელაშვილმა და ბ. გოძიაშვილმა (იხ. შემდგომ), რისთვისაც ავტორი მათ დიდ მადლობას მოახსენებს.

47 ჭა-მაცივარი ამჟამად მიწითაა ამოვსებული და დაკეცილებული. სახლის მფლობელს განმოცემით მას შემდგომ სახლის კედლები შედმოე ტენიანობას განიცდიან. (პ. ფ.). იხ. აგრეთვე, ნ. ჯოხარიძე, გვ. 2, „გაზეხვეოლა ირემივით მწეანე ბალახში“, აბ. 22/II 86. № 45 (9963).

ბობის ფაქტი მკვლევართა მიერ გამოვლენილია საქართველოს ზოგერთ სხვა რაიონებშიც. ასე, მაგალითად ერთ-ერთი ამგვარი მიწაში ჩამჯდარი საყინულე მიკვლევულია სოფელ ლამისყანაში ორბელიანების სასახლის ეზოში<sup>48</sup>. არქეოლოგ გ. ცქიტიშვილის მიხედვით, იგი XVI ს-ით უნდა დათარიღდეს.

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ვ. ჭელიძის ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთის ეპისკოპოსს — გაბრიელ ქიქოძეს ეკლესიის მახლობლად მდებარე ბაღჩა-ბოსტნის ერთ კუთხეში მოწყობილი ჰქონია ძალიან ღრმა საყინულე ორმო. როგორც ავტორი აღნიშნავს ორმოს დიამეტრი ათ მეტრს უდრიდა. ამასთან საყინულეს ჰქონდა ვიწრო ჩასასვლელი, ორავე სქელი ისლით ყოფილა დახურული. თოვლს საყინულეში ზამთრობით ინახავდნენ და იგი მასში ზაფხულის მიწურულამდე სძლებდა. ყინული გურიაში სოფლან ავაღმყოფთა სამკურნალოდ ყოფილა გამოყენებული<sup>49</sup>.

1960 წ. ჰიათურაში, ევ. ნინოშვილის ქუჩაზე № 30—32 საცხოვრებელი ბინების ჩრდილოეთით მდებარე კლდეში, ჩვენ მიერ მიკვლევული იქნა ოახჩების სტილზე გაკეთებული რამდენიმე მოქმედი ნაკვებობა, რომელიც ბუნებრივი და ხელოვნური მაცივრის კომბინაციას წარმოადგენს<sup>50</sup>.

ავადმყოფს ს. ღურმიშიძის ცნობით, მათ ოჯახს საჩხერეში (ჰიათურა) თლილი ქვისაგან აშენებული საყინულე ჰქონდა, და მისი მამა — ვასილ ღურმიშიძე ყინულს ავადმყოფებისათვის უსასყიდლოდ აძლევდა. მეცნიერის თქმით, აღნიშნული საყინულე მთელი წლის განმავლობაში აკმაყოფილებდა სოფლან მოთხოვნილებას<sup>51</sup>.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ს. ღურმიშიძის ოჯახის საყინულის აგების ისტორია, რომელშიც მკვლევარი კონკრეტულა მაგალითის ჩვენებით შესანიშნავად გადმოგვცემს იმ გარემოებას, თუ როდენ საჭიროა და აუცილებელი იყო ყინული ჩვენი ხალხისათვის უკიდურესი გაჭირვების, ავადმყოფობის ქამს და გამომდინარე აქედან თვით ხელოვნური საყინულის საჭიროება. მკვლევარი ამ ისტორიას მოკლედ ასე გადმოგვცემს: მის მამას — ვასილ ღურმიშიძეს 1912 წ. მეორე ვაჟი შესძენია. ბავშვი სამი წლის ასაკში თავის ტვინის ანთებით გამხდარა ავად. ავადმყოფის ხსნის ერთადერთ საშუალებად ექიმებს ყინულით მკურნალობა მიუჩნევიათ. ყინული კი რაჭის მთიდან უნდა ჩამოეტანათ. ავეისტოს ოვში ავადმყოფის ყინულით უზრუნველყოფა ძლიერ გასჭირვებიათ. ვასილი მარწმუნე კაცი ყოფილა და ხატისათვის შეუფიცავს, ოღონდ მისი შვილი გადაერჩინა და საყინულეს აუცილებლად ააშენებდა.

რაჭიდან ავადმყოფს ყინულმა ვერ ჩამოუსწრო, ბავშვი დაიღუპა.

მიუხედავად ამისა, ვასილს ხატისათვის მიცემული სიტყვა არ გაუტეხია და მას ბავშვის დაღუპვიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, პის სახელზე, საყინულე მაინც აუშენებია<sup>52</sup>.

48 მის არსებობაზე მივითითეს გ. ცქიტიშვილმა და ბ. ჭიჭიაშვილმა.

49 ვ. ჭელიძე, კაცად კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს, გაზ. „ლოჯიკალური საქართველო“, 26. 8, 1988 წ., № 35 (2659), გვ. 10.

50 პ. ფირფიტაშვილი, ბუნებრივი მაცივრები საქართველოში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1960. პ. XI. № 132 (6890), გვ. 3.

51 ს. ღურმიშიძე, ზოგი რამ წარსულიდან. თბ., 1985, გვ. 12, 13. (იხ. აგრეთვე ს. კაპანაძის „ქველმოქმედება“, საჩხერის რაიონული გაზეთი „ახალი ცნობება“, 1970. X. XI).

52 ს. ღურმიშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—13.

გარდა აღნიშნულისა, ს. ღურშიშვილის ოჯახის საყინულის აგებას ისტორი-  
აზე ჩვენ ყურადღება გავამახვილებთ კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი ფიქრით, საყი-  
ნულის აგებისას მის დამპროექტებელს უნდა ეხელმძღვანელა სხვაგვანა ბუნებ-  
რივი საყინულედან აღებული ზოგიერთი მონაცემით. ამგვარი ვარაუდის სა-  
სარგებლოდ ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ ვ. ღურშიშვიდემ იცოდა  
სხვაგვანა ბუნებრივი საყინულის არა მარტო არსებობა, არამედ ისიც თუ რა  
დრომდე შეიძლებოდა შენახულიყო თოვლი საყინულეში და ამიტომაც გავზავ-  
ნა ხალხი აგვისტოში იქიდან ყინულის ჩამოსატანად.

ამგვარად, ერთი მხრივ, ზემოთ დასახელებულ ქართულ წერალობით წყა-  
რობებში დაცული ცნობები, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ ეთნოგრაფიულ ყო-  
ფაში შემორჩენილი მასალები ნათლად მიუთითებენ, რომ ცივ წყალს, თოვლ-  
ყინულს ფართოდ იყენებდნენ როგორც სამკურნალო მიზნით, ისე სამეურნეო  
და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისამებრ. იმავე მასალებში ყურადღებას იქ-  
ცევს ის გარემოება, რომ სიცხიან და მძიმე ავადმყოფთა მკურნალობის საქმე-  
ში ჩვენი მკურნალები ყინულს თითქმის ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ,  
როგორც წამალს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენი  
ხალხი თოვლ-ყინულის შენახვისადმი იჩენდა რა განსაკუთრებულ სიფრთხილ-  
მზრუნველობას, იმე დროს ცდილობდა აეშენებია სხვადასხვა ტიპის ხელოვ-  
ნური საყინულები.

ე. ი. სადღეისოდ, ჩვენ ხელთ არსებული მასალა გვაძლევს იმის ვარაუდის  
შესაძლებლობას, რომ მაღალაძეთა სასახლესაც, ბაგრატიონების, ავილახტრე-  
ბის, თაქთაქიშვილების, მაჩაბლების, თარხნიშვილების და სხვა თავადათა სასა-  
ხლეების მსგავსად, თავისი საყინულეც უნდა ჰქონოდა.

მართალია, ჭრჭერობით ზუსტად არ ვიცით ზემოთ დასახელებულ ქარ-  
თლის თავადათა სასახლეებთან არსებული ყველა საყინულე არქიტექტურულად  
როგორი ტიპის ან რა სახის ნაგებობა იყო, მაგრამ უკვე სადღეისოდ გამოვლენ-  
ილი ბუნებრივი საყინულებების (ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური გათხრე-  
ბის შედეგად მიკვლეული ქართული აგურით, ქვით და კირ-ცემენტის ხსნარით  
ნაგები) და ჭა-მაცივრების არქიტექტონიკა (ტაბ. I. 3) დაახლოებით იმის წარ-  
მოდგენის საშუალებას მაინც გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენთვის უცნობი მათი  
„წინაპარი საყინულები“ საგანგებოდ მოწყობილი და დაცული ნაგებობანი  
უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ბუნებრივია, ის ინტერესი, რომელსაც ამ მიმართუ-  
ლებით იწვევს მაღალაძეთა ნასახლარში არსებული „სარდაფის ტიპის“ მრავალ-  
თახიანი ნაგებობა (ტაბ. I. 1), რომელსაც ს. სალუქვაძე „აფთიაქად“<sup>53</sup>, ხოლო  
ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე „სამტრედედ“<sup>54</sup> სთვლიან.

ამგვარ მოსაზრებას, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩვენ  
მიერ ზემოთ დამოწმებულ ქართველ არქეოლოგთაგან მიკვლეულ საყინუ-  
ლთა შორის ვხვდებით როგორც „თახიან“<sup>55</sup>, ისე სადა სწორ კედლებიან და  
კამარა თაღის მქონე საყინულის არსებობის და აღმოჩენის ფაქტსაც. ასე მავა-  
ლითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეოლოგ ო. ტყეშელაშვილის გადმოცე-  
მით: „მრავალთახიანი“ საყინულე მის მიერ მიკვლეული იქნა თბილისში  
1982 წ. მეფე როსტომის სასახლესთან. მისივე გადმოცემით, მართალია, აღნიშ-

53 ს. სალუქვაძე, ვარძია წამლის სასახლე, 1981, გვ. 120.

54 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული საზოგადოების შრომე-  
ბი, ტ. XVI, 1985, გვ. 145—150.

ნული საყინულე გზის გაფართოებამ შეიწირა, მაგრამ გვაქვს, მკვლევრის აღწერილობა: საყინულის სიღრმე — 3—4 მ. უღრის, სიგანე — დიამეტრი 2 მ. ხოლო თითოეული ოთხკუთხა თახჩის ზომა 30—50 სმ. არ აღემატებოდა.

საკითხის ნათელსაყოფად საჭიროა გავიხსენოთ როგორც საქართველოში არსებული კარკალის<sup>55</sup> და კასტრულ მღვიმეთა ტიპის ბუნებრივი საყინულეები,<sup>56</sup> ასევე, არქეოლოგიური გათხრისას მიკვლევული და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი თოვლ-ყინულის შესანახი ხელოვნურა საცავების აგებულება-სტრუქტურა. მათი გარეგნული ბუნებრივი და ხელოვნური გარემო (დაცვა). მათში თოვლ-ყინულის შენახვის ზოგიერთი წესი და სხე.

ასე მაგალითად, კარკალის ტიპის (ტაბ. II, 1), ანუ დიდ ქვეანარში არსებული ბუნებრივი საყინულე წარმოადგენს უსწორ-მასწორო ფორმას ქვეს ორმოს, რომელიც ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს იგი, თახჩისმაგვარი სათავსებით ვინმემ უახავით ამოაშენა<sup>57</sup> მიწის პირადან თავამდე. ამგვარი ორმოს დიამეტრი 80—130 სმ. აღწევს, ხოლო მისი სიღრმე 1,5—2,5 მ. არ აღემატება (ტაბ. II, 2, 3).

ყინულის აღნიშნული ორმოები ირგვლივ დაცული არიან კარკალში ბუნებრივად ამოზრდილი ხე-ბუჩქებით, რომელთა შემწეობით იქ მშვენიერი მიკროკლიმატი იქმნება და ძლიერი სიცხის დროსაც კი მშვენიერი სიგრილეა<sup>58</sup>.

კასტრული მღვიმის ტიპის ბუნებრივი საყინულეები წარმოადგენენ საშუალო და მაღალმთიან ტყით დაფარულ კირქველ-კასტრულ მასივებში არსებულ მღვიმეებს, უფსკრულებს, კუბს. ბევრი მათგანი რთული აგებულებას და დიდი მოცულობისაა<sup>59</sup>. ჩვენ მათგან სანიმუშოდ მხოლოდ ისეთს დავასახელებთ, რომლებიც ბუნებრივად ორი განყოფილებისაგან შედგება და რომელთა წყობა, ჩვენი ფიქრით, საფუძვლად დაედო მეორე ტიპის ანუ სწორკუდიანი, თაღიანი ხელოვნური საყინულეების მშენებლობას. ამგვარ საყინულედ ჩვენ ვთვლით სოფელ სხეავას<sup>60</sup> და მის მსგავს სხვა ბუნებრივ საყინულეებს<sup>61</sup>. სხეავას ბუნებრივი საყინულე ტყით დაფარულ სხეავას კირქვიან-კლდეოვან ფენებშია ბუნებრივად გამოქვაბული. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ორი განყოფილება-საგან შედგება, წინა განყოფილება წარმოადგენს ვეპიტროლა უსწორ-მასწორო ნაპირების მქონე ღია ორმოს, ხოლო უკანა თვით ბუნებრივ საყინულეს. მას აქვს სწორი კედლები, პირამიდული თალი და სამკუთხედის ფორმის ვარს შესასვლელი (ტაბ. II 4 შესასვლელი, 5. საყინულე). საყინულეში ჩასვლა თოვის

55 „კარკალს“ მესხეთ-ჯავახეთში ადგილობრივი მოსახლეობა „ხარბალს“ ეწოდებს (პ. ფ.); იხ. აგრეთვე გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტიის სალექსიკონო მასალა, თბ., 1951, გვ. 175. ხოლო სულხან-საბა ორბელიანი მას „დიდ ქვეანარად“ განმარტავს. სიტყვის კონა. ს. ითვლიან შვილის რედ. თბ., 1949, გვ. 161, 269.

56 შ. ყიფიანი, ზ. ტინტილოზოვი, არს. ოქროჯანაშილი, გ. ჯიშკარიანი, საქართველოს კასტრული მღვიმეების კლასტრი, თბ., 1966, გვ. 50, 51, 52, 53, 64, 102, 107, 115, 176.

57 შესაძლოა იგივე დაედო საფუძვლად ჩვენში კუბის სიბი-რიყის ქვირ ამოშენებას (პ. ფ.).

58 პ. ფირფილაშვილი, სოფელ ხიზაპარის ბუნებრივი საყინულე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXV, № 4, 1960, 601—607.

59 შ. ყიფიანი და სხვები, დასახ. ნაშრომი.

60 პ. ფირფილაშვილი, სოფელ სხეავას ბუნებრივი საყინულე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, № 6, 1962, გვ. 791—798.

61 შ. ყიფიანი და სხვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 115.

ან კაცის დახმარებით შეიძლება. მისი სივრტე 54 მ., სიგანე საშ. 22 მ., სიმაღლე 45 მ. არ აღემატება<sup>62</sup>.

სადღესოდ საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჭერჯერობით არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად, თბილისში<sup>63</sup> და დაბა საჩხერეში<sup>64</sup>. მიკვლეულია ამ ტიპის ორი საყინულე.

გარდა აღნიშნულისა, ჯ. სონდლუაშვილის მიხედვით, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში თოვლ-ყინულის შესანახი საცავების ოთხი სახეა დამოწმებული:

1. ორმო-თხრილი, რომელსაც შენობის ჩრდილო კედლის მხარეს აკეთებდნენ.
2. „კლდენაკვებები“ — კლდოვან მასივებში და მდინარეთა ნაპირზე აკეთებდნენ.
3. საყინულე სარდაფები — „საყინულეები“, მიწაში იყო ჩაძვდარი, ქვით-

<sup>62</sup> 3. ფირფილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 792.

<sup>63</sup> მეფე სეიმონის და გიორგი XIII ყოფილი სასახლის ეზოში მიწის ქვეშ არსებული, აგურით აშენებული თლიანი საყინულე. იგი ორ განყოფილებად იყო დაგეგმული. წინა განყოფილება წარმოადგენს საყინულეში შესასვლელად მოსამზადებელ პატარა ოთახს ცხრასაფეხურიანი აგურის კიბით და საყინულეში შესასვლელი პირველი კართი. მეორე კარი კი, ჩანს, თვით საყინულეს ეკუთვნოდა. თავად საყინულე ოთხკუთხედის ფორმისაა, კამაროვან თაღი, აგურის სწორი კედლებით. იგი შემდეგი ზომებით ხასიათდება სივრტე — 14,10 მ., სიგანე 7,4 მ., სიმაღლე 10,6 მ. საყინულის სამხრეთ დასავლეთით კედლთან მდებარეობს აგურით აშენებული ჭა-მაცივარი, რომლის დიამეტრია 1 მ., სიღრმე კი 8 მ. უდრის (იხ. ი. გრამაშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების 1975 წ. ანგარიში (მანქანაზე ნაბეჭდი), გვ. 4—8). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საყინულე ამჟამად არასწორადაა რესტავირებული და დასავლელულ ზომებთან შედარებით იგი ბევრად პატარაა და არ შეესაბამება მას. (ტაბ. I, სურ. 3).

<sup>64</sup> ლენინის ქ. № 64. ვასილ ღურშიშვილის სახლის ეზოში შედარებით კარგადაა დაცული და ჩვენამდე მოღწეული საყინულე, რომლის აღწერილობას ს. ღურშიშვილის ნებაყოფილით შევხვედებით აქვე ვთავაზობთ საყინულე ძირითადი საცხივრებელი სახლის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს. იგი მთლიანად მიწაშია ჩაძვდარი. აქვს მიწის ბანური სახურავი. მისი დასავლეთი და ჩრდილო კედელი მთლიანად ეზოს ფერდობში იყარვება, ხოლო აღმოსავლეთი და სამხრეთ კედლები, რომლებიც მიწის პირას ოდნავ ჩანს, გათლილი ქვის კარნიზითაა დამშვენებული. მიწის ბანური სახურავი მზის მცხუნვარებისაგან დაცული რომ ყოფილიყო, ზემოდან მასზე სდგამდნენ ხან ჩაღის ზეინებს, ხანაც მოწულ სასიმილდეს. თავად საყინულე მიწის ქვეშ მდებარე ორგანოფილებიანი ნაგებობაა. საყინულეს წინა განყოფილება თვით საყინულესთან შედარებით საკმაოდ პატარაა და მიწის პირთან უფრო ახლოს მდებარეობს. იგი განკუთვნილი ყოფილა იმისათვის, რომ გარედან შესული ჰაერის ნაკადი შეეჩერებინა, რათა მას ყინულზე ზეგავლენა არ მოეხდინა. აქვე ყოფილა შენახული საყინულის ამოქაოლილი კარის გამოსანტრევი ხელსაწყობი და ყინულის აგების შემდეგ კვლავ ამოსაქოლი თუ ამოსაშენებული მასალა. ამჟამად საყინულის წინა განყოფილებას კარი და პირვანდელი სახურავი აღარ აქვს. შემორჩენილია მხოლოდ მასში ჩასასვლელი ექვს საფეხურიანი ქვის კიბე.

მეორე განყოფილებაში ოთხკუთხედის ფორმის (ტაბ. I. 2. საყინულეს შესასვლელი მეორე კარი, 4. საკუთრივ საყინულე) თლილი ქვით და ცემენტით ნაგები საყინულეა. მას აქვს კამაროვანი ცემენტის თაღი და ოდნავ დაქანებული იატაკი, სადრენაჟო ტრაპის მაგვარი ორი ხვრელი. საყინულეში შესასვლელის სიგანე 97 სმ. უდრის, სიმაღლე 154-სმ. თვით საყინულის სიმაღლე 3,55 სმ, სივრტე 4,85 სმ. სიგანე 3,88 სმ. სადრენაჟო ხვრელის დიამეტრი 6 სმ., აღწევს. სადღესოდ საყინულის t — მუდმივად +15° უდრის, მაშინ როდესაც გარეთ 25°-ია. ეს იმიტომ, რომ სადღესოდ იგი პირვანდელი სახით დაცული არაა.

სადღესოდ, საყინულის მეორე განყოფილებას გაკეთებული აქვს ხის კარები და ჩასასვლელი კიბე. ამასთან საყინულეში ინახება მატარებლის ბუფერის გადატრალი ნაწილი, რომელსაც გადმოცემის მიხედვით, იყენებდნენ საყინულეში ყინულის შენახვის დროს, ყინულის დასაფხვენლ-მოსატანად. სადღესოდ იგი ოჯახის მიერ გამოყენებულია სათავს-მაცივარად (პ. ფ.).

კირის თალიანი კედლები მიწის პირამდე ამოდიოდა. 4. „ჩავარდნილი ადგილები“ მთის ჩრდილოეთი კალთა სადაც „ნაბუქს დასდებდა“<sup>65</sup>.

ჩვენი დაკვირვებით 1941 წლამდე მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში გლეხების უმრავლესობა ზამთარში მოსულ თოვლ-ყინულს მთელ რიგ სოფლებში (ხიზაბავრა, სარო, თოკი, ვარავი, ხანდო და სხვ.) თავის მიწური საბძლის ერთ-ერთ კუთხეში ყინულისათვის განკუთვნილ ორმოში, ბზეში ინახავდა და საჭიროების მიხედვით ხმარობდა

ჯ. სონლულაშვილის მიხედვით, ზემოთ დასახელებულ საცავებში თოვლ-ყინულის შენახვის ასევე რამდენიმე წესია დამოწმებული<sup>66</sup>.

თოვლ-ყინულის შესანახი სხვადასხვა სახის ნაგებობის არსებობის საინტერესო ფაქტები და მათში თოვლ-ყინულის შენახვის ორიგინალური წესები ყურადღებას იქცევს არა მარტო იმით, რომ თოვლ-ყინულის შენახვას და მის გარკვეული მიზნით გამოყენებას საქართველოში თავისი უძველესი ტრადიციები აქვს, არამედ იმითაც, რომ იგივე წესებში, ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, ვხვდებით მეტად საყურადღებო მონაცემებს. ასე მაგალითად: თოვლ-ყინულს უბრალოდ კი არ ყრიდნენ საყინულეში და ბზის, ნახერხის ჩალის და მიწის ამარა კი არ ტოვებდნენ, არამედ საყინულეში აკეთებდნენ „ჩახვნიჭვას“ — უროთი და კეტებით დაფშვნილ ყინულს სტენიდნენ, რათა ცარიელ სივრცეებში „ქარი არ დარჩენილიყო და ყინულს დნობა არ დაეწყო. „ქარის“ საბოლოო თავიდან აცილების მიზნით, გარდა ზემოთაღნიშნულისა, დარჩენილი ცარიელი ადგილების სრული შევსების მიზნით დატკეპნილ თოვლ-ყინულს ზემოდან კიდევ წყალს ასხამდნენ<sup>67</sup>.

ყინულის შენახვის სრულიად ანალოგიური წესი დამოწმებული აქვს ს. დურმიშიძეს საჩხერეში (ჭიათურა). ავტორის გადმოცემით, მას დიდი წარმატებით იყენებდა მამამისი — ვასილ დურმიშიძე, ყინულის შენახვის დროს. თავად ავტორია ამის ცოცხალი მოწმე და მონაწილე. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ საყინულედან ყინულის გაცემა უნდა მომხდარიყო ან დილით ძალიან ადრე, ანდა გვიან ღამით. საყინულის კარებს გამოანგრევდნენ, საჭირო ყინულის აღების შემდეგ მისი კარი კვლავ ყრუდ უნდა ამოქოლილიყო და გარედან გალესილიყო. საჭირო სააღმშენებლო მასალა, დასქენს მკვლევარი, იქვე წინასწარ მომარაგებული ჰქონდათ, საყინულის წინა განყოფილებაში<sup>68</sup>.

ყოველივე ზემოთქმული იმაზეც მოგვანიშნებს, რომ თოვლ-ყინულის შესანახი სათავს-საყინულე, თავის მხრივ, ამგვარი პროცედურებს ჩასატარებლად საგანგებოდ მოწყობილი უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ საქართველოში არსებული ბუნებრივი საყინულეებისა და მაცივრების აღრეული მიგნება და გამოყენება საფუძვლად დაედო შემდგომში ხელოვნურა საყინულეების შექმნას<sup>69</sup>.

ამას გვაფიქრებინებს კიდევ ის, რომ ხელოვნურ საყინულეებში ბუნებრივი საყინულეებიდან ბევრი ისეთი დეტალია აღებული და გამოყენებული, რომ

65 ჯ. სონლულაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

66 იქვე, გვ. 172.

67 ჯ. სონლულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

68 ს. დურმიშიძე, ზოგი რამ წარსულიდან, გვ. 13.

69 პ. ფირფილაშვილი, სოფელ სხვადას ბუნებრივი საყინულე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, № 6, 1962. გვ. 798.

იგი ერთი შეხედვითაც კი იქცევა ყურადღებას. ასე მაგალითად „ქარკალში“ ანუ დიდ ქვეანარში<sup>70</sup> არსებული საყინულე ქვის ორმოს კედლის ფორმა, კედლების ქვის წყობა-შენება, სადაც ქვათა შორის გვაქვს თახჩისმაგვარი პატარა სივრცეები, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყინულეში ორმოს ფსკერიდან იწყება და თავამდე ამოდის. ე. ი. საყუთრივ თახჩა ამ შემთხვევაში ბუნებრივად საყინულეში ასრულებს არა მარტო სათავისს, არამედ დრენაჟის როლსაც.

იგი ამასთან. მონაწილეობს ერთიანი, მთლიანი ყინულის კედლას შექმნაში და ამ გზით ყინულს იცავს ნადრევი დნობისაგან. ყოველივე ეს, სხვა ზემოთ მოტანილ მასალებთან ერთად, მიგვანიშნებს იმაზე, რომ მაღალაქეთა „საბრდაფის ტიპის“ მრავალთახჩიანი ნაგებობა (ტაბ. I. 1) აგებულია საქმის მკოდნე-დახელოვნებული პირის მიერ, რომელმაც წინასწარ გაითვალისწინა რა მისი დანიშნულება, როგორც სასახლის საყინულისა, იგი უძველესი გეგმის მიხედვით აავტო სასახლის ჩრდილო-დასავლეთით. ამასთან, საყინულე მან წრიულად, ქსავით კი არ ამოაშენა, არამედ გაადიდა და ოთხკუთხედის ფორმა მისცა როგორც თვით საყინულეს, ისე მის თითოეულ თახჩას, ასევე, აღნიშნული თახჩებია მიწის პირიდანვე ამოაშენა. ე. ი. აქაც თახჩა გარდა იმისა, რომ ასრულებდა „სათავისს“ როლს, „ჩახვიწვის“ და სხვა პროცედურების (წყლის დასხმის) შედეგად მჭიდროდ ივსებოდა ყინულით და ამ გზით იქმნებოდა ერთი მთლიანი ყინულის კედელი. რომელიც გამორიცხავდა ცარიელ სივრცეში „ქარის“ დაბრუნებას და საჭირო შემთხვევაში იგი დრენაჟის როლსაც ასრულებდა. თუ იმასვე გავიხსენებთ, რომ ნაგებობა ტყის პირასაა (შესაძლოა, იმ დროს XV—XVIII სს. ღრმად ტყეშიც იყო. — პ. ფ.) მიწის სიღრმეში ამოშენებული, რომ სეზონის დროს ტყეში მოსული — „სუფთა და მკვდარი თოვლი“ როგორც ეს ზემოთ მოტანილ ეთნოგრაფიულ მასალებში აქვს დამოწმებული ჯ. სონდულაშვილს, უშუალოდ ჩაეყარათ საყინულეში და შემდეგ იმავე წესით შეენახათ<sup>71</sup>. ცხადია, ამგვარი ნაგებობის საყინულეობა ექვს აღარ უნდა იწყვედეს.

ამგვარად, მაღალაქელა ნასახლარზე არსებული (XV—XVIII, სს.) მრავალთახჩიანი ნაგებობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა „აფთიაქთან“ ან „სამტრედესთან“ და მით უმეტეს „კოლუმბარბოთან“ არამედ უძველესი გეგმით აგებულ ხელოვნური საყინულის ერთ-ერთ უნიკალურ-უძველეს სახესთან. იგი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ორგანყოფილებიანი ყოფილა, სამხრეთის მხრიდან მას მიდგმული ჰქონია მეორე ნაგებობა, რომელიც ჩვენი ვარაუდით იცავდა თვით საყინულეს კარის გაღების დროს მასში შესული ჰაერის ნავადისაგან და მეორეც, შესაძლოა, იქვე ინახებოდა სასახლისათვის გასაციებლად საჭირო სანოვავე პროდუქტები. ე. ი. აღნიშნული ნაგებობა მთლიანად წარმოადგენდა ხელოვნურად აგებულ „საცივს“ ანუ მაცივარ-საყინულეს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი ბევრად წინ უსწრებს ქართველ არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, სადღეისოდ გამოუვლენილ ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ, მიწაში ჩამჯდარ ქვითკირით და ქართულ აგურით ნაკვებ თაღებიან, სადა კედლების მქონე „საყინულე-სარდაფებს“<sup>72</sup>, რომლებიც ჩვენი და-

70 სულხან-საბა-ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის კედ., თბ., 1949, გვ. 161, 289.

71 ჯ. სონდულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

72 იქვე, გვ. 172.



კვირვებით სხვადას და მისი მსგავსი სხვა ბუნებრივი საყინულეების მიბაძვით უნდა იყვნენ აშენებული. თუ რომელი ტიპის საყინულემ მოიპოვა შემდგომში მოქალაქეობრივი უფლება და პოვა ფართო გავრცელება ქვეყნის მასშტაბით, ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს. ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: სადღეისოდ ბუნებრივი ორი ტიპის საყინულის გვერდით სახეზე გვაქვს ორთავე ტიპის ხელოვნური საყინულის გაჩენის ფაქტი, რომელიც ნათლად მიუთითებს ჩვენი ხალხის ღრმა კულტურაზე. ამასთან, გამოვლენილ ხელოვნურ საყინულეთა ზოგიერთი სხვა დეტალი, მაგალითად სეზონური და მუდმივკამაროვანი გადახურვა<sup>78</sup>, შესაძლოა გარდა სუფთა პრაქტიკული დანიშნულებისა რაიმე რწმენასთანაც იყო დაკავშირებული.

П. М. ПИРПИЛАШВИЛИ

## К ВОПРОСУ О НАЗНАЧЕНИИ СТРОЕНИЯ С НИШАМИ, СОХРАНИВШЕГОСЯ В РУИНАХ ИМЕНИЯ МАГАЛАДЗЕ

Резюме

О строении с нишами в имении Магаладзе никаких исторических сведений нет. Поэтому о его назначении существует несколько мнений ученых: С. С. Салуквадзе считает его «аптекой», Л. И. Маруашвили и К. П. Харадзе — «голубятней», а И. Цицишвили и М. С. Шенгелия — «колумбарием».

Опираясь на древнегрузинские письменные источники, археологические и этнографические данные, а также учитывая местонахождение и архитектуру строения с нишами, вышеуказанные версии признаются несостоятельными. Высказывается соображение, что строение с нишами является искусственным морозильником. Лед, хранившийся в нем, применялся как для бытовых нужд, так и в лечебных целях.

Искусственные морозильники, обнаруженные в Грузии до настоящего времени, по их архитектурным особенностям разделены на два типа. Подчеркнуто, что при их постройке использовались основные элементы природных морозильников (Хизабаврского — I тип и Схавского — II тип), ранее описанных автором.

Строение с нишами отнесено к морозильникам первого типа и признано более ранним.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

78 ქ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

# კ უ ბ ლ ი კ ა ხ ი ა

განხა განმარტობა

## საოჯახო ყოფის ამსახველი დოკუმენტები კახეთიდან

1977 წელს ქართლ-კახეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ყოფნის პერიოდში, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყში, დიმიტრი ვასილის ძე ზამათელაშვილის (დაბ. 1932 წ.) ოჯახში მივაკვლიეთ ხელნაწერ დოკუმენტებს. რაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კახეთის საოჯახო ყოფის შესწავლის საქმეში. ერთ-ერთი საბუთი შედგენილია ძვ. სტ. 1843 წლის 7 დეკემბერს და ებება საეკლესიო ყმების გიორგისა და მის ოჯახში „ზედ სიძედ შესულას და სახლის კაცის აბრამის“ გაყრას.

დავით მამათელაშვილის (დაბ. 1895 წ.) გადმოცემით, ადრე ხალხი ურეგულად დადიოდა მართლზე, ერთხელ მისი პაპა გიორგიც ყოფილა წასული და როდესაც უკან ბრუნდებოდა ასურეთში შეხვედრია აბრამი, წამოუყვანია, მისთვის თავის და თამარი შეურთავს ცოლად, ძმად მიუღია და ერთად დაუწყიათ ცხოვრება. ის თითქოს გამყრელიძე უნდა ყოფილიყო. მაგრამ თავისი გვარი დაკარგა და ოსოშვილი გახდა — იმ ოჯახის გვარი მიიღო სადაც ჩაესიდა.

აქ ყურადღებას იქცევს გვარის შეცვლის ფაქტი. ვფიქრობთ ეს, ამ შემთხვევაში, ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს და მისი მიზანია ოჯახის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მიღება. მაგრამ რა ედო საფუძვლად გიორგის მიერ თავის საცხოვრებელში მოწილის შეყვანას. მთხრობლის გადმოცემით, ძველად ბევრი იყო „მრავალძმიანი ოჯახები“, ისინი უფრო ადვილად უძღვებოდნენ საქმეს და შეძლებულადაც ცხოვრობდნენ. ვფიქრობთ, გიორგიმაც აბრამის სახით გვერდში ამოიყენა კაცი, ძმა რომელთან ერთადაც უნდა შეექმნა ოჯახის მტკიცე ეკონომიკური საფუძველი.

რაც შეეხება ოსოშვილების მხრივ გვარის შეცვლას, გადმოცემით, ერთ-ერთი ოსოშვილი რძლებს ტუქსავდა როსთვისაც ზედმეტ სახელად მამათელაშვილად შეაქვეს, აქედან გაჩნდა გვარი მამათელაშვილი. ოჯახის გაყრის მომენტში გიორგი და აბრამი მამათელაშვილები არიან, ხოლო გაყრის შემდეგ აბრამის შთამომავლები ოსოშვილებად იწერებიან, გიორგის შთამომავლები კი მამათელაშვილებად. 1899 წლის საბუთშიც ნათქვამია, რომ „იოსებ აბრამაძე ოსოშვილმა და ილია ლაზარეს-ძე მამათელაშვილმა“ შესცვალეს სახანავი მიწები. რიგ საბუთებში გიორგის შთამომავლები ორივე გვარით ფიგურირებენ. 1911 წლის ოჯახის გაყრილობის საბუთში მედიატორები სწერენ, რომ მათ თავიანთი ქონების გაყოფა მიანდეს „ილია, გიორგი და მიხეილ ლაზარეს-ძე ოსოშვილებმა, იგივე მამათელაშვილებმა“. ოსოშვილებისა და მამათელაშვილების შთამომავლობაში კიდევ ჩნდება გვარი მღვდლიშვილი. 1910 წლის მიწის ნასყიდობის ხელწერილში ნათქვამია, რომ „მიხეილ და ილია გიგოს ძე მღვდლიშვილებმა, იგივე ოსოშვილებმა... ილია, გიორგი და მიხეილ ლაზარეს ძე მამა-



ბიან და ადგენენ, რომ ისინი გიორგიმ და აბრამამ თვითონ უნდა გაიყონ შუაზე. ამგვარად, მედიატორები ითვალისწინებენ ესა თუ ის ფართობი მამა-პაპეულია თუ შემდეგ შექმნილი და როდის შექმნილი და ამის მიხედვით აკუთვნებენ მოწილეებს, არამოწილეებს, ან მის გაყოფას მოწილეების უფლებებში სტოვებენ.

საბუთებში ამკარად შეიმჩნევა, რომ ამ კუთხეში მეურნეობას ძირითადი და წამყვანი დარგი იყო მევენახეობა და შემდეგ მიწათმოქმედება. ღვინის წარმოებას საბაზრო მნიშვნელობა ჰქონდა და ოჯახის ძირითად ფულად შემოსავალს ის იძლეოდა. შეიძლება აქედან გამოამდინარეობს ღვინოების დაყოფა შინაურ (რაც ოჯახში უნდა დაიხარჯოს) და გარეულ (რაც გასაყიდად ჰქონდათ გადადებული) ღვინოებად. ძირითადად იყოლიებდნენ მუშა საქონელს, რაც მიწათმოქმედების ინტერესებიდან გამოამდინარეობდა, ხოლო მეწველი საქონელი იმდენი ყავდათ რამდენიც ოჯახის ყოველდღიურ მოთხოვნალებს დააკმაყოფილებდა.

ოჯახის გაყრილობის მეორე საბუთი შედგენილია 1888 წლის 5 თებერვალს და იყრებიან ზემოთ დასახელებული გიორგი მამათელაშვილას შვილები. ამ დროს ცოცხალი აღარაა უფროსი თაობა და ერთ-ერთი მოწილე სიმონი. მოწილედ ვადის სიმონის ქვრივი მარიამი, რომლის მეურვედაც მასი მახლი მიტრო ყოფილა დანიშნული. მედიატორებს იწვევენ მიტრო, გიგო, ილო და სემონის ქვრივი მარიამი და საბუთს ბოლოში ხელს აწერენ ისინი ვინც ოჯახიდან წილი მიიღო: მიტრო, ილო, გიგო და მარიამი, ოჯახის მოწილეები. ჩვენ მიერ შედგენილი გენეალოგიური სქემის მიხედვით (იხ. გენეალოგია), გიორგის ყავდა ოთხი შვილი, ლაზარე, მიტრო, სიმონი და გიგა. მთხრობლის გადმოცემით, ლაზარე დაქორწინებისთანავე გამოეყო ოჯახს, სიმონიც მალე გარდაიცვალა და საბოლოოდ მიტრო და გიგა გაიყარნენ. როგორც ჩანს, მთხრობელს მხედველობიდან გამორჩა ილო.

საბუთში არაა ნაჩვენები გაყრამდე ოჯახი სად ცხოვრობდა, მთხრობლის გადმოცემით კი მას შემდეგ რაც გიორგი და აბრამი გაიყარნენ გიორგი იქვე დარჩა საცხოვრებლად, აბრამმა კი დაბლა ჩამოინაცვლა და ფაჯურის ხევის გვერდით დასახლდა. ამგვარად, ოჯახი რომელსაც კონკრეტულად ვეხებოთ, კვლავ ზემოთ განაგრძობს ცხოვრებას, ხოლო დაბლა სამეურნეო ფართობები ჰქონდათ. საინტერესოა რა სახის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაკებობები გვხვდება და როგორ იყვნენ ისინი განლაგებული. 1843 წლის საბუთში მთისა და ბარის, ზედა და ქვედა ნაკებობები უფრო მკვეთრადაა ერთმანეთისაგან ვამიჯნული. ესენია ზევით სასახლე, ქვეით სასახლე და ჩალურის მარანი, დიდი სასახლე, ფიცრული სახლი და ჩალური მარანი, სათონე, ქვეით ქვიოჯირის გომი, ჩარდახი და საბძელი. გიორგი მამათელაშვილის გადმოცემით, მთის ფერდობზე, ძირითად საცხოვრებელ ადგილას გიორგის და აბრამს ჰქონდათ ქვის სახლი, აქ ნახსენები ფიცრული სახლი კი ქვევით უნდა ყოფილიყო. აღრე დაბლა ხალხი ვერ დასახლდებოდა, აღნიშნავს მთხრობელი, რადგან, ადგილების დიდი ნაწილი მემამულეებს ეკუთვნოდათ და ისინი იქ დასახლების უფლებას არავის მისცემდნენ.

1888 წლისათვის ოჯახს რომელზედაც ეს საბუთია შედგენილი, სამი სახლი აქვს, მათ შორის ერთი „ძველი სახლი ქვიოჯირის, კრამიტით დაჭურული, თავის წინ ეზოთი“. სამეურნეო ნაკებობათა კომპლექსში გვხვდება რამოდენიმე ბედელი, სათონე თავის ალაგით, ძველი მარანი აღმოსავლეთით ეზოთი,



უმეტეს დროს აქ ატარებდნენ. მიხრობლის ვადმოცემით, ოჯახი ზამთარში ზემოთ იყო სოფელში, ზაფხულში კი დაბლა ჩამოდოდა. შესაძლებელია და ვფიქრობთ ეს აუცილებელიც იყო, ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი მთელი წლის განმავლობაში დაბლა იმყოფებოდა, ამას მოითხოვდა ის მტკიცე და მრავალდარგოვანი მეურნეობა რომელიც აქ სწარმოებდა.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი და აბრამი ორივე შინა კაცები იყვნენ, საქონელს კი დაქირავებული მწყემსების მეშვეობით უვლიდნენ, შემდეგ აბრამს შვილებიც ჩაერთვნენ სამეურნეო საქმიანობაში. გიორგის შვილების ოჯახში ლაზარე უფროსი ძმა იყო, მან ძალიან კარგად იცოდა ვენახის მოვლა, თვითონ მუშაობდა და სხვებსაც ამუშავებდა; სიმონი და გიგა ხნავდნენ, ურმებს დაყუბოდნენ და სხვა რიგით სამუშაოებს ასრულებდნენ; მიტროს საქონელი ყავდა ჩაბარებული, ის იყო მთავარი სარქალი, მწყემსები ყავდა დაქირავებული და მათ ხელმძღვანელობდა. ფაფრის მინდორზე მხოლოდ მუშა საქონელს იყოლებდნენ, დანარჩენი მშრალი, მეწველი საქონელი და ცხვარი კი ალაზნის ველზე ყავდათ გაყვანილი, აქ მარაგდებოდა საკვები და მზადდებოდა რძის პროდუქტები. ზაფხულობით ცხვარი და საქონელი მანავის მთებში მიუდიოდათ და ლეკის მთებშიც კი გადადიოდნენ. ამგვარად, საქონელი, გარდა მუშა საქონლისა, მთელი წლის განმავლობაში მოცილებული იყო ძირითად საცხოვრებელ ადგილს (სოფელს), სამიწაოქმედო ფართობებს (ფაფრის მინდორს), მათი ბინები ალაზნის ველზე იყო გაშლილი და მთელი წლიური ციკლის განმავლობაში ალაზნის ველსა და მანავის მთებს შორის მოძრაობდა. საქონელს მხოლოდ კაცები დაჰყვებოდნენ, ქალი იქ არ წავიდოდა, ალბათ ამიტომაც აღნიშნა მიხრობელმა — ბევრი საქონელი მრავალძმიან ოჯახებს ყავდათ.

ცხადია, ასეთი მრავალდარგოვანი და ფართო მასშტაბის მეურნეობის გაძღოლა, მესაქონლეობის აღნიშნული ფორმით წარმოება ძირითადად დიდ ოჯახებს, ე. წ. მრავალძმიან ოჯახებს შეეძლოთ. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, გამოიყოფიან ოჯახები, რომელთაც შეეძლოთ ოჯახის რომელიმე წევრი მესაქონლეობაში დაესაქმებიათ და ამით მეურნეობის ამ დარგის მასშტაბები გაეზარდათ. შედარებით მცირე საქონლის პატრონები ამხანაგობებს ქმნიდნენ, ხოლო ისინი ვისაც თითო-ორილა ძროხა ყავდა აერთიანებდნენ და მათ მოსავლელად მენახირეს ქირაობდნენ.

1988 წელს, ოჯახის გაყოფის დროს, როგორც აღვნიშნეთ, უფროსი თაობა ცოცხალი აღარ იყო, უფროსი ძმა ლაზარე ოჯახიდან კარგანის გასული იყო და მედიატორების წინაშე არც დგება საუფროსოს გამოყოფის საკითხი. არ ჩანან მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც. მედიატორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ილოს სახლში (ალბათ სახლის მშენებლობის დროს — ბ. გ.) დახარჯული ჰქონია თავისი ცოლის სათავნო და დედის კუთვნილი ფული ათ-ათი თუმანი, რაც უნდა გადაეხადათ „სახლის მომავლთ“. საბუთში დიდი გულმოდგინებით არის ჩამოთვლილი თუ რომელმა მოწილემ რა მიიღო: საცხოვრებელი ფართობი, სამეურნეო ნაგებობები, საოჯახო ინვენტარი, ქვევრები, ფული, მიწის ნაკვეთები, ნაჩვენებია მათი ზომება და საზღვრები ოთხივე მხრიდან. მაგრამ აქ შეიმჩნევა ერთი გარემოება. გაყრის მომენტისათვის ოჯახის მოწილე წევრებს ერთიან განუყოფელ ოჯახში უკვე აქვთ თავისი პირადი ქონება. ოჯახს აქვს რამოდენიმე სახლი რომლებშიდაც ცალკეული საქორწინო წყვილები არიან განლაგებული. მართალია, ისინი არ იყვნენ

ამა თუ იმ წევრზე გაფორმებული, მაგრამ ალბათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს მომავალში ოფიციალურ სახეს მიიღებდა. სიმონის ქვრივი მარიამი „ნათხალში“ ლეზულობს კრამიტით დახურულ ერთ ოთახს, „რაც თავისი ქმრიდან იყო დარჩობილი“, ხოლო „ნაწმიდალიდან“, მეწვიდე ნაწილიდან ლეზულობს ამავე სახლში კიდევ ერთ ოთახს თავის წინ ეზოთი და საურმე გზით (სხვა ქონებას არ ჩამოვთვლით, რადგან ის ასახულია თანდართულ დოკუმენტში); მიტრო კი ლეზულობს „სემონას ნაჭერ მარანს, თავის წინ ეზოთი და საურმე გზით“, მარიამი კი „მიტროს მარანში“ მდებარე ერთ ქვევრს. აღარაფერს ვამბობთ ქალთა წარმომადგენლების პირად საკუთრებაზე, რაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული.

ამგვარად, ოჯახის გაყრის მომენტისათვის ოჯახის წევრთა მთელი შემადგენლობა გაფანტულია, ცალკეული საქორწინო წყვილება უკვე კარგახანია სამეურნეო ობიექტებზე ცალკე-ცალკე სახლებში არიან დაბინავებული და მათ ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ წარმოებული დიდი მეურნეობა აერთიანებო. ამდენად, გაყრის დროს, პირველ რიგში საქმე გვაქვს ამ დიდი მეურნეობის დაშლასთან. მეურნეობის წარმოების აღნიშნული ფორმები იყო სოფელთა განსახლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. მოსახლეობა სტოვებს მთის ფერდობებს და თავიანთ სამეურნეო ფართობებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აქცევს, ამის პირობები უკვე კარგახანის შემზადებული იყო. ახალ ადგილზე დასახლების ფორმა რამდენადმე იცვლება, ის უფრო გაშლილ სახეს ლეზულობს, მაგრამ განსახლების პატრონიმიული პრინციპები აქაც დაცულია. ეს არის ის ძირითადი ელემენტები რაც XIX ს-ის, რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი პერიოდის, კახეთის ამ კუთხის საოჯახო ყოფისათვის იყო დამახასიათებელი.

ჩვენ ხელთაა საბუთი რომელიც შედგენილია 1911 წლას 26 ნოემბერს და ეხება იმავე მამათელაშვილების მესამე თაობის, ლაზარეს შვილების ილიას, გიორგის და მიხეილის (იხ. გენეალოგია) გაყრას, ოჯახის ქონებას და იმას თუ ვის რა მიეკუთვნება არ შეეხებოთ, რადგან ეს საბუთშიცაა ნაჩვენები, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დაცულია გაყრის ის ტრადიციული ნორმები რაც XIX ს-ის თანდართულ საბუთებში გვაქვს. მთელი ქონება, როგორც წესი, მოწილეებს შორის იყოფა, მაგრამ მის გარკვეულ ნაწილს მედიატორეკა „სამმოთ“ სტოვებენ, უფრო სწორად, მათ გაყოფას ძმების უფლებაში სტოვებენ, „გაიყონ თანასწორათ“, სწერენ და ამით ამთავრებენ თავის საქმეს. ცხადია, ეს საერთო სარგებლობაში დარჩენილი ქონება ძმებს შეეძლოთ გაენაწილებათ ან საერთოდ „სამოდ“ დაეტოვებოთ. ვიფიქრობთ, ეს საბუთიც ამის იშვიათი მაგალითია.

სახლის ოთახებად დანაწილების შემდეგ ილიას, გიორგის და მიხეილს სამმოთ დარჩათ ეზო სათონის ეზოთი; გზები, სადაც მოითხოვდა მამული ერთმანეთს მასზე გავლას ვერ დაუშლიდნენ. მედიატორეკები ვენახებსა და ყანებს უყოფენ მოწილეებს მაგრამ არ ეხებიან „პაპულ“ მიწებს, ისინი თვითონ ძმებმა უნდა გაიყონ თანასწორად; გამოჰყოფენ ნაყიდ მიწებს: „ნაყადი მამული ზალდასტანოვისა“ გაიყო ექვსად, ნახევარი მიიღო ილიამ თავის ორ შვილთან ერთად, მეორე ნახევრიდან ორი წილი გიორგიმ თავის შვილთან და ერთი წილი მიხეილმა; „მოდვერაულის მიწიდან“, ხაზგასმულია „ახალა შაძინებული“, თერამეტ-თერამეტი საყენი შეხვდათ მოწილეებს, დანარჩენი კი მისცეს ილიას შვილებს ვასილას და სოსოს. ცხადია, მომდევნო არამოწილე თაობა

წილს ღებულობენ იმ მიწებიდან რომელთა შესყიდვის უშუალო მომსწრენაც თვითონ იყვნენ. რაც შეეხება ოჯახში მათ შრომით დამსახურებას, ეს ტრადიციული ნორმა არც ამჯერად გამორჩენილად მედიატორებს, „ქალოს ვენახის“ გაყოფის დროს პირველ რიგში აძლევენ ვასილას და სოსოს თავიანთი შრომითი დამსახურებისათვის, ხოლო შემდეგ ყოფენ სამად „უმეტნაკლებოდ თავისი ცარიელი ალაგით და არაეული ვენახით“. ამგვარად, მიწის გაყოფასთან დაკავშირებით, ეს საბუთი იმეორებს იმ ფორმებს რაც 1843 წლის დოკუმენტში გვხვდება.

1911 წლის გაყრილობის საბუთში, როგორც აღვნიშნეთ, მედიატორები საქმოდ გასაყოფად სტოვებენ პაპუელ ადგილებს. ეს ადგილები ოჯახის ყველა წევრისათვის ცნობილი იყო და ამიტომ საბუთში აზრიც აღარ ჰქონდა მათ ჩამოთვლას. მაგრამ საინტერესოა ეს ადგილები ძმებმა როგორ გაინაწილეს, იქნებ არც გაინაწილეს და საქმოდ სარგებლობაში დაიტოვეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება, ილიას გარდაცვალების შემდეგ, 1917 წლის 25 თებერვალს გიორგი, მიხეილი და ილიას შვილები კვლავ უბრუნდებიან 1911 წლის გაყრილობის პირობებს და საბუთის ცარიელ გვერდზე შეაქვთ დამატებები. მათ სამი მიწა შეაფარდეს: გონჯანთ ღელეში ილიას შვილებს დარჩათ, ზალიანთეული — გიორგის, ყოჩიანთ ახოში — მიხაკას; ვაშლის მიწები სამად გაიყვეს; მარიამ ქიტესაშვილისეული და მიხა მღვდლისეული მამულები ექვსად გაიყვეს, სამი წილი მიიღეს ილიას შვილებმა, ორი გიორგიმ და ერთიც მიხეილმა. ამასთან ერთად, ხდება რიგი შესწორებები ძველი გადანაწილებიდან. 1911 წლის საბუთში ეს მიწები, გარდა ყოჩიანთ ახოსა და მოდვერაულის მიწისა, არც ერთი ნახსენები არაა, მხოლოდ შემდგომ ჩამატებაში ჩნდება.

და ბოლოს, 1921 წლის 29 იანვარს ძე. სტ. იყრება მამათელაშვილების შთამომავლობის მეოთხე თაობა. ამ საქმის გამრიგე მედიატორები იუსუყბიან, რომ ისინი ვასილ და იოსებ ილიას ძე მამათელაშვილებმა მიიწვიეს თავიანთი ქონების „ყოველივე მამაპაპუელის თუ კეთილშემძინებულის მამულის“ გასანაწილებლად.

ამგვარად, ყველა დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ სამეურნეო ფართობების განაწილების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ის მამაპაპუელი იყო თუ შემდგომ შექმნილი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ილია უკვე გარდაცვლილი იყო და პირველ რიგში გამოპყოფენ მისი ქვრივის თებროს წილს. მან მიიღო ფაფრის მინდვრის ვენახში ოცი რიადი გაბმული და ექვსი რიადი ჭიკვიანი, ყიტანთ სახნავი მიწა, ერთი სამცალაიანი ქვევრი და წითელი მოზვერი. მისა სიკვდილის შემდეგ ორივე ძმები შეუსრულებდნენ წესს და მის ქონებასაც შუაზე გაიყოფდნენ. საცხოვრებლად კი, თავის გასათხოვარ ქალ მარიამთან ერთად, იქნებოდა ვასილის სახლის ერთ ოთახში. მარიამმა კი მიიღო მზითვეი, ორი კასრი ღვინო და სხვა წესის შესრულება გათხოვების დროს მის ძმებს დაევალოთ.

მთელი ქონება ძმებს შორის თანაბრად იყოფა, მხოლოდ საწნახელი რჩებათ საერთო სარგებლობაში. როგორც აღვნიშნეთ, სოფელი ამ დროს უკვე დაბლობშია ჩამოსული, ყოფილი სამეურნეო ფართობები მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცა და მამათელაშვილების, კერძოდ, გიორგი ნაცვალას შთამომავლობა, ტრადიციისამებრ ერთ უბანში აღმოჩნდა განსახლებული. ბოლო



X + յԵՌՆԱԶՅԵՐ

ՅԱՅԱԹԱԸԱՅՅՈՒԸՆՆԻՆ  
ՅՆՏՆԱԸՄԵՆ

ՅՈՒԹԻՑ

ԹԱՅՅԱԿԻ + ՆՅԿԱՅՐԻ

ՅՈՒԹԻՑ    ԼՈՅՐՄԵՆ + ՅԱԿՈՒՅՈՒ    ԸՆԴՅԱԿ + ԼԱԸՄՅՈՒ    ՅՈՒՑ    ՈՒՄ

ՈՅՆԵՉ    ՅՈՒՆՉ    ՈՒՄՆԱՅԻ    ԿՈՆԹՐԱԿՏ    ՈՒՆՅԱԿ    ԸՅՅՈՒՄԻ

ՏՈՒՆ

ՈՒՈՒ + ԹՅԱԲԻՐ    ՅՈՒԹԻՑ (ՅԵՌՈՒՅԵՆԻ)    ՅՈՒՆՅՈՒՈՒՆ    ՅՅԱՆՉ    ԿԱԺԵՅՆԵ    ՅՅՅԻՐ

ՅԱՏԻՐ    ԼՈՅՐՄԵՆ    ՈՒՄՆԱՅԻ    ՅՈՒԹԻՑ    ՅՈՒՑ    ՅԱՆՈՒՆ    ԼՈՒՒՄ    ՈՒՆ    ՆԱԶԵՉ    ՅԱԿՈՒՅՈՒ    ԸՅՅՈՒՄԻ    ՅԵՌՅԱԿ    ԼՈՅՐՄԵՆ    ԸՆԴՅԱԿ    ՅՅԱԹՄ    ԸՅՅՅՆԵ    ՅԵՌՅԱԿ    ՏՈՒՆ

ՅՈՒԹ. ԸՅՅ. 1895 Ք.

ՅՈՒԹԻՑ  
ՅՅՅ. 1932 Ք.

ՅԵՌՈՒՅԵՆԻ    ՅՅՈՒՆ    ՅԱՅԱԿ    ՏՈՒՆ    ՅՅՅՈՒ    ՅՅՅՈՒ    ՅՅՅՈՒ    ՅՅՅՈՒ    ՅՅՅՈՒ    ՅՅՅՈՒ

ԸՅՅՈՒՄՆԱԿ    ՅՅՅՈՒՈՒՆ

ხანს, ილიას და გიორგის შვილების გაყრის შემდეგ, მამათელაშვილების უბანში კიდევ ჩნდება ერთი პატარა უბანი რომელსაც ელიზბარაანთ უბანს ეძახიან. გიორგის მეორე სახელი ელიზბარი რქმევია და იმ პატარა უბანს სადაც მისი შვილები (მათ შორის ჩვენი მთხრობელი დავითი) დაესახლენ (იხ. გენეალოგია) ელიზბარაანთ უბანი უწოდეს.

ამგვარად, ჩვენ მიერ მოტანილი ხელნაწერი დოკუმენტები მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის სოფლის განსახლების სტრუქტურაზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ფორმებსა და განლაგების პრინციპებზე, საოჯახო ყოფაზე, მეურნეობის დარგებს, მათი განვითარების მასშტაბებსა და წარმოების ფორმებზე.

ოჯახის ბაჰრილოზის საბუთი (1843 წლის 7 დეკემბრის)

ჩემგ წელსა ქრისტოშობის თვის 8 დღესა, სოფელს ჩუმლაყში მცხოვრებთა საეკლესიო ყმათა მამათელაშვილებსა გიორგისა და ზედ სიძეთ შესულსა და სახლის კაცთ აბრამისა მოსვლოდათ შურის ლაპარაკი გაყრილობაზედ და თავიანთის ნებით ვერ მოშვებულევნენ. მოვიდნენ ჩვენ ამა ქვემოთე ჩელას მომწერთა, გეთხოვეს თავიანთის საცხოვრებლისა, მოძრავისა და უძრავის განაწილვა და ჩვენც შევედით ამათის საცხოვრებლის მოძრავსა და უძრავსა განაწილებაშია და ანგარიშის გასწორებაშია ამ სახით, რომა ქვეით ქვათკირის გომი და ჩარდახი და საბძელი სამათ გაუყავით, ერთი წილი აბრამსა და მეორე წილი აბრამას შვილსა და მესამე წილი გიორგისა, ამიტომა რომა რადგანაც გომის ვაკეთებაშია აბრამას შვილები მოსწრებულნი ყოფილან. ვარდა ამისა, გომთან რომ ამათ განაყოფს მიჯნა შეიტანს და ამასთანავე დაკადევთ ქვეითი სასახლე და ჩალურის მარანი და შიგ რაც ქვევრები არის ადგილებოხა აწყვათა და ქვევრები აუწყვივათ და მის საბადლოთ შინა დიდი სასახლე და ფიცრულას სახლი და ჩალურის მარანი და შიგ რაც ქვევრები არის ესენიც აუწყვივათა გიორგი ნაცვალას ერგო და სათონე კი აბრამასი არის, უნდა გაიტანოს თავის სასახლეშია. ვარდა ამისა, ზევით სასახლე გიორგისი არის და ქვევით სასახლე და გომთან ადგილი რომელიც ზევითა სწერია ერთმანეთთან ზომით თანასწორეთ მიგვიცია და როცა უნდათ კიდე შეიძლება, რომა დაზომონ და შეასწორონ. ვარდა ამისა, ძველი ნავი აბრამს ერგო და ახალი ნავი და ცხრა ფიცარი გიორგის ერგო. ვარდა ამისა, დიდი ვენახი გარდიგარდმო გაიყო და ქველდამ რადგანაც მდარე ვენახი იყო ოცდაშვიდი ადგილი ქართულის ადლი სა... და დაინაწილესა გიორგისა და იმა საუარესოს ვარდა ნახევარი ქველდამ აიღო და ზეკადამ აბრამას დაანება. ვარდა ამისა, საკრის მადლობლი გაუყავით ვარდაგარდმოთა და შუაზედა ზომითა ბოლო გიორგიმ აიღო და თავი აბრამამ აიღო. ვარდა ამისა, შესაბამი საქონელი ყავთ თორმეტი უღელი, სამი უღელი კამეჩი და ცხრა უღელი ხარი და ორი ფური და ორი ტანა. აქედან უღელი ხარი გიორგის დედისა არის და სხვა საოჯახო არის. აქედამ გიორგიმ ერთი კამეჩი ხარა უნდა ვამარჩიოს საუფროსოთა და უღელი ხარი ივანესა და მიხას მივეციოთ და იაკობს მივეციოთ საქორწილოთ ერთი საპალნე ღვინო და ერთი ძროხა და ერთი ცხვარი და სხვა ხარი და კამეჩი და ძროხა და ტანა სულ შუაზედ უნდა გააყოს აბრამსა და გიორგიმ და ივანესაც მივეციოთ ოცი ჩაფი ღვინო სასმელათა. ვარდა ამისა, აბრამას შვილების დროს არის ნაყიდი სახნავი მიწა და საწისქველუ ცამეტი დღისა სიგელებითა, ესენი სამ ნაწილათ გაიყოს, ერთი ნაწილი აბრამს და მე-

ორე წილი აბრამას შვილებსა და მესამედი გიორგისა. გარდა ამისა, რაც მამა პაპის სახნავი მიწები არის ანუ მინდვრისა და ანუ ახლ სულ შუაზედ უნდა გააყოფონ. გარდა ამისა, რადგანაც ცხვარში სხვათა შვილი ყოლიათ მწყემსათა ამისთვის აბრამას შვილებს წილი არ მივეციოთ და შუაზედ უნდა გაიყოფონ. გარდა ამისა, თუმცა გიორგის დედა ბერეს ფულს დაობდა მაგრამ რაც აბრამამ თავისას პირით და მას ხუთმეტი თუმანი, ის ხუთმეტი თუმანი გიორგიმ და აბრამამ უნდა მისცენ გიორგის დედას ელისაბედს, ახლანდელი ღვინოები რომ გაიყიდოს იქილამ მისცენ. გარდა ამისა, სახლის ავეჯი და ნივთები სულ შუაზედ გაყვავიოთ. გარდა ამისა, თუმცა ცხვარი სწერია, რომ შუა უნდა გაიყოფონ მაგრამ ენახეთ, რომ აბრამას შვილებსაც ამავე ჰქონდათ, ამისთვის გადაბერით რეა მამვე ცხვარი უნდა მისცენ. გარდა ამისა, რაც ბიჭებისთვის ღვინო მიგვაცაია იმის გარდა რაც ღვინოები აქვთ შინაური თუ გარეული სულ შუაზედ უნდა გაიყოფონ. ამის გარდაწყვეტილობის განაჩენის ყაბული გვაქვს, ვართ მამათელაშვილები გიორგი ნაცვალის და სახლიკაცი ამისი აბრამი, რადგან ამათ წერა არ იცოდენ ამათის თხოვნით ხელს ვაწერთ დიმიტრი ჭარულევი ველისციხეში მცხოვრებელი მედიატორე, ისაკ დავითის ძე ჩინჩახოვი მედიატორე ველისციხეში მცხოვრებელი, სოლომონ ჩინჩახოვი ჩუმლაყში მცხოვრებელი მედიატორე, სვიმონ მენაბდიშვილი ჩუმლაყში მცხოვრებელი, ზაქარია ბეროშვილი. რადგან ამ მედიატორეებმა წერა არ იცოდენ ამათის თხოვნით ხელს ვაწერ დიმიტრი ჭარულევი.

ოჯახის გაყრდნის საბუთი (1888 წლის 5 თებერვალი)

ჩვენ ამისი ქვემოთ ხელის მომწერელი ისილორე ჩუბინიძე და პლატონ ბურდულაძე, იოსებ ომარაული და გიორგი ქართლელი წელს აღმოგვარჩავე მედიატორე ჩუმლაყში მცხოვრებელთა მიტრო, გიგო, ილო და ქვრივა სვიმონ მამათელაშვილისამ მარიაშვილსა და ამისავე აპეკონათ დანიშნულმა, იგივე მიტრო მამათელაშვილმა. თავიანთ საცხოვრებლისა, უძრავისა, მოძრავისა, ვაღისა თუ ფულისა გასაყოფათ და ამა კიდევ მოგვცეს თავიანთგანვე ხელშეუვლობისა წერილი, ჩაწერილი სასოფლო კნილაში ნომერსა ქვეშე № 5 და ჩვენც შეუდგით ამათ საქმის გარჩევასა. მღვთისა წინაშე და სვინდისისა ჩვენისაშებრ, თანადასწრობითა ჩუმლაყის სოფლის მამასახლისის სვიმონ მენაბდიშვილისა. რადგანაც სვიმონ მამათელაშვილი იყო გარდაცვლილი და დარჩა ამას თავისი საკუთარი საცხოვრებელი უძრავი, მოძრავი, ვალი თუ ფული. აქედან მივეციოთ ქვრივს მარიაშვილს მამათელაშვილს ნაშვიდალში და ნათხალში რაც თავის ქმრიდან იყო დარჩომილი ერთი ოთახი ქვითკირისა კრამიტით დახურული, მეშვიდე ნაწილიდან მივეციოთ უძრავიდან ამავე სახლის ადგილი ოთახი უკან ქვით საყენი და ოთახი წინ სამი საყენი, სიგანე აღმადაღმა სულ ცამეტი საყენი ეზოთ რასაც ოთახი გაიტანს თავის საურმე გზით. კიდევ მივეციოთ უძრავიდან ფაფრის მინდორზედ ვაზიანი ვენახი თავის გასადეგარ ცარიელი მინდვრით, აღმოსავლეთით 85 საყენი, დასავლეთით 85 საყენი, სამხრეთით 17 საყენი, ჩრდილოეთით 17 საყენი. კიდევ მივეციოთ იქვე ცარიელი მინდორი აღმოსავლეთით 26 საყენი, დასავლეთით 31 საყენი, სამხრეთით 20 საყენი, ჩრდილოეთით 20 საყენი. კიდევ მივეციოთ ერთი დღისა და ნახევრისა სახნავი მიწა გაღანის გვერდზედ შაონელის მიჯნამდინ. კიდევ მივეციოთ სახლის ავეჯიდან ერთი ქვაბი, ერთი ხაფი, ერთიც შევერცხლილი ხანჯალი თავის ქამრის ლარტყაში. კიდევ მივეციოთ

ერთი ქვევრი ხელ ცალიანი რომელიც მიტროს მარანში არის. საქონლიდან მივევით 2 სული ერთი ხარკამენი და მეორე ფურკამენი. კიდე მივევით ერთი ფაშატი ლურჯი ცხენი. კიდე მივევით ცხვირიდან 271 სული.

2. გიგოს მივევით ძველი მარანი აღმოსავლეთით ეხოთი და მარხის მალ-ლა საჩენი ჭერი, ერთი ღუქანი ქვეშ გომი თავის ადგილით აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით ჯავარულის მიჯნამდინ, სამხრეთით მიტროს მიჯნამდინ. კიდე მივევით ქვემოთ ძველი საკალე ადგილი ომარანთ მაჯნამდინ თავის საძძლით. კიდე მივევით ძველი თავლა და ჩარდახი თავას გასადევარი ალაგით აღმოსავლეთით ფირანა შაოშვილის მიჯნა, დასავლეთით ნაკო მღვდლი-შვილის მიჯნა, სამხრეთით სასოფლო გზა, ჩრდილოეთით თავისავე ვენახი. კიდე მივევით იქავე ვენახი აღმადამა, ბოლოში საურმით, აღმოსავლეთით ფირანა შაოშვილის მიჯნა არის 24 საყენი, დასავლეთით 37 საყენი მამათელაშვილების მიჯნამდინ, სამხრეთით ნიკო მღვდლიშვილი 46 საყენი, ჩრდილოეთით მიტრო მამათელაშვილის მიჯნა 43 საყენი. კიდე მივევით ამავე ვენახის ბოლოში საურ-მე გზის ქვეით ვენახი, აღმოსავლეთით სანდრო მამათელაშვილი 17 საყენა, ჩრდილოეთით თავის გასადევარი ადგილით 58 საყენი, დასავლეთით საურმე გზამდი 26 საყენი, სამხრეთით ფირანა მამათელაშვილის მიჯნა 65 საყენი. კიდე მივევით ფაფრის მინდორზე სახნავი მიწა, გარდიგარდმო აღმოსავლეთით იმე-რულაშვილი, დასავლეთით ქიტესაშვილი, სამხრეთით მიტრო მამათელაშვილი, ჩრდილოეთით აბრია მღვდლიშვილი. კიდე ამავე მიწის ბოლოში მივევით აღმა-დამის სიგრძის მიწა აღმოსავლეთით შარა გზა, დასავლეთით თავისავე ადგი-ლის მიჯნა, სამხრეთით მარტო მამათელაშვილი, ჩრდილოეთით საურმე გზამ-დინ. კიდე მივევით სახნავი მიწა კეკვიანთული ერთი დღისა, ორი დღის ძეძ-ვიანი მიწა საკურდღლე მიწის მესამედი ნაწილი. მეზღაცეშული მიწიდან მე-სამედი ნაწილი მივევით გზის მხარეს სამდარიოთი ერთი . . . . კიდე მივევით ტურის სახტომში 4 დღის მიწა, ეს უნდა გაიყონ მატრომ და გიგომ უმეტნაკლე-ბოთ. თხილის მიწა საკუთრათ გიგას მივევით. კიდე მივევით ბებური ზარი, თო-ფი და ერთი დამბაჩა, ერთი ბირდაბირი. კიდე მივევით ერთი ბელელი პურისა, ერთიც ყურმნის ნავი. ასევე ამის საბადლოთ მივევით ილოს ერთი სახლი დაკე-ბული ქვითკირისა კრამიტით დახურული, თავის ალაგით, წინ ეხოთი და საურ-მე გზით, აგრეთვე ზევით გასადევარის გზით აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით ნაგზერევის მიჯნა, სამხრეთით მიტრო მამათელაშვილის მიჯნა, ჩრდილოეთით ნაგზერევის ბილიკი, გზა. კიდე მივევით ამავე ეხო, ეხოში სა-თონე თავის ალაგით. კიდე ერთი ბელელი და ერთი ნავი. შინა ვენახების სა-დალი მივევით საკრის ვენახი სრულეებით აღმოსავლეთით აბრია მღვდლიშვი-ლი 22 საყენი, დასავლეთით აბრია მამათელაშვილი 22 საყენი, ჩრდილოეთით მღვდლიშვილი 50 საყენი, სამხრეთით სასოფლო გზა 50 საყენი. კიდე მივევით ფაფრის მინდორზედ საბმელ კალო აყუდებულ მიწაში აღმოსავლეთით ლიპარ-ტელაშვილის მიჯნა, დასავლეთით ლელაშვილები, ჩრდილოეთით ქართლელი-შვილი, სამხრეთით ხევი. კიდე მივევით იქავე ვენახი ზედ მობშული აღმოსა-ვლეთით მიტრო მამათელაშვილის მიჯნა, დასავლეთით ზურაშვილი და ქართლე-ლიშვილი, ჩრდილოეთით ქიტესაშვილი, სამხრეთით კიდე ზურაშვილი. კიდე მივევით სახნავი მიწა სამი დღისა გიმარგი საქრთაშვილის მიჯნა, ლოლო სვი-მონა რუაძე თავიაკალიშვილი, მარცხნივ გიგა მამათელაშვილი. კიდე მივევით ვონჯანთ ღელეზე სამი დღისა, კიდე ამასზე ერთი დღისა, კიდე დათვის მონა-

კლაგში ერთი დღისა, მეხდაცემულ მიწაში მესამედი ნაწილი, საკურდღლე მიწაში მესამედი ნაწილი. კიდე ამასვე ჰქონდა სათავენი თავის მეუღლე თებროსი ათი თუმანი სახლში დახარჯული და თავის დედისაც ათი თუმანი, სულ ოცო თუმანი. ეს ფული უნდა გადაუხადონ სახლის მოძავალი.

4. მიტროს მივეცით სახლების ბადალი ძველი სახლი ქვითკიროს, კრამიტით დახურული თავის წინ ეხოთი. კიდე მივეცით სვიმონას ნაჭერი მარანი თავის წინ ეხოთი და საურმის გზით. კიდე მივეცით ნავი და ქვევრები სრულეებით, მხოლოდ ერთი ხელცალიანი ქვევრი უნდა მისცეს ქვრივს მარამს. კიდე მივეცით მარნის უკან ალაგი დასავლეთით ნამხერევი და ჯავახიშვილის მიღგმაძი, სამხრეთით გიგა მამათელაშვილის მიჯნამდი, ჩრდილოეთით ილია და მარამ მამათელაშვილების მიჯნამდე. კიდე მივეცით ამბარი. კიდე მივეცით ფაფრის მინდორზე თავლა ქვითკიროსა კრამიტით დახურული თავის წინ და უკან ცარიელი ადგილით, აღმოსავლეთით შარაგზა, დასავლეთით.... მამათელაშვილის მიჯნამდინ, სამხრეთით მიხა მამათელაშვილის მიჯნამდინ, ჩრდილოეთით გიგა მამათელაშვილის მიჯნამდინ. კიდე მივეცით იქავე საბძელი წნულასა კრამიტით დახურული იმავე ალაგში და ჭის კარებით. კიდე მივეცით იქავე ვენახი აღმოსავლეთით ქვრივი მიხაკას მიჯნამდი, დასავლეთით ილო მამათელაშვილის მიჯნამდინ, სამხრეთით ზურაშვილის მიჯნამდინ, ჩრდილოეთით ქიტესაშვილის მიჯნამდი. კიდე მივეცით ერთი ქვაბი. კიდე მივეცით გძელი ვენახი აღმოსავლეთით საერმე გზა 212 ნახევარი საჟენი, დასავლეთით 35 საჟენი მამათელაშვილებს მიჯნამდინ, 43 საჟენი, სამხრეთით გიგა მამათელაშვილი, ჩრდილოეთით 43 საჟენი დელემდისინ. კიდე მივეცით სახნავი მიწა გონჯანთ დელეში სამი დღისა, საკურდღლეში მესამედი ნაწილი, დელის პირზედ..... სამდაროთი, მეხდაცემულ მიწაში მესამედი ნაწილი, დათვის მონაკლაგში ერთი დღისა, ტურას სახტომში ბარნაწილში გიგამ და მიტომ უნდა გაიყონ უმეტნაკლებოთ, თავი გიგასა და ბოლო მიტოსი, რუგზე სამი დღისა მიტოსია და ერთი დღისა ილოსა. ამასთანავე მივეცით სვიმონას ნაწილიდან სამოცდა თორმეტა თუმანი, ესე იგი ამ ფულიდან უნდა მისცეს იმის წილ ვალში რაც ამონდებთ ვალა, დაწარჩენი უნდა მოახმაროს იგი გარდაცვალებულ სვიმონ მამათელაშვილს, ამა სუმიდან ნომურაც უნდა გაუკეთოს მიტომ.

ამა ზემოხსენებული განაჩენის ყაბული ვართ მიტო მამათელაშვილი, ილო მამათელაშვილი, ამათი უწიგზურობის გამო ხელს ვაწერ ამათის თხოვნით გეურქ სერნოვი. ამ განაჩენის ყაბული ვართ ქვრივი მარამ მამათელაშვილისა, ამის მაგიერათაც ხელს ვაწერ გეურქ სერნოვი. ამ განაჩენის ყაბული ვართ გიგა მამათელაშვილი. განჩინება რომელი შევადგინეთ ძალისამებრ ჩვენის სასოფლო პალაქენისა, წესდებისა 38-ს მუხლისა ხელს ვაწერ მედიატორე იოსებ ომარაული, ვიო ქართლელიშვილი, ისიდორე ჩუბინიძე, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ ვიო ქიტესაშვილი, ხელს ვაწერ მედიატორე ალათონ ბურდულაძე. განაჩენი დაიწერა ოთხი პირი, ოთხივე..... და ჩავაბარეთ სათითაოთ თითო პირისა 1868 წელს, თებერვლას ზუთსა დღესა. (მედიატორეების ხელმოწერები კიდეც დამოწმებულია ხელმოწერითა და ოთხი ბეჭდის დასმით — ბ. გ.).

მიწის გაცვლის ხელშერილი (1899 წლის 20 ივნისი)

1899-სა წელსა, თიბათვის კ-სა დღესა, ესე გაცვლილობის ხელწერილი დავესდეთ ჩვენ, სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებთა, პირველ მე, იოსებ აბრამის ძე

ოსოშვილმა და მეორე პირმა, ილია ლაზარეს ძე მამათელაშვილმა, ჩვენის სურვილით შეეცვალეთ სახნავი მიწები ჩუმლაყის სამძღვარში. მე, იოსებ ოსოშვილმა, მოგვცით ჩემი მამაპაპის საქონი სახნავი მიწა ზომით სივანე აქვს ასი საჟენი, თავში სივანე აქვს ოცდაშვიდი საჟენი, შუა წელი ოცდაექვსი საჟენი და ბოლო ოცდახუთი საჟენი. ეს მოხსენებული სახნავი მიწა ჩავბარე ილია ლაზარეს ძე მამათელაშვილსა ვაშლის მიწეებში დავითო და ილია პერდელაშვილის მიჯნამდინ, დასავლეთით ნინაშვილის და ამონაშვილის მიჯნამდინ, ჩრდილოეთით ილია ოსოშვილის მიჯნამდინ, სამხრეთით გავოლა დედლიშვილის მიჯნამდინ. სამაგიეროთ ამა სახნავისად ზომის მიწისა მივიღე ილია ლაზარეს ძე მამათელაშვილისაგან გზას ქვეით ფაფრის მინდორზედ სახნავი მიწა ზომით ასი საჟენი, სივანე თავში ოცდახუთი საჟენი, ბოლო ოცდაშვიდი საჟენი და შუა წელი ოცდაექვსი საჟენი. მომიჯნავეები ყავს გზის ამოსვლისკენ იოსებ რუაძის მიჯნამდინ, მზის ჩასვლისკენ გიგო ავალიშვილის მიჯნამდინ, ჩრდილოეთით ისევ ჩემი მამულის მიჯნამდინ, სამხრეთით გიგო მამათელაშვილის მიჯნამდინ. ესე მიჯნებშუა მოხსენებული სახნავი მიწა ჩავიბარე იოსებ ოსოშვილმა ილია მამათელაშვილისაგან საფარდოთ ჩემი მიწისა. უკეთუ ამ ვაკეკლილობას ჩვენგანი რომელიმე პირი გადავიდეს და შეეშალნეთ მტყუანმა პირმა ძარბლის მხრის სასარგებლოთ შტრაფი გადაიხადოს ასი მანეთი ფული, რომელზედაც ხელს ვაწერთ ილია მამათელაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნით ეწერ და მოწმეცა ვარ...

მიწის ნასყიდობის ხელწერილი (1910 წლის 10 მაისი)

ესე ნასყიდობის ხელწერილი დავიწერეთ და მოგვცით ჩვენ, ამა ქვემოთ ხელის მომწერელმან, სიღნაღის მაზრის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებელმან მახეილ და ილია ვიგოს ძე მღვდლიშვილმა, თქვენ ამა მაზრის და ამა ჩუმლაყში მცხოვრებთ ილია, გიორგი და მიხეილ ლაზარეს-ძე მამათელაშვილებს, მისთავს რომელ მოგვიდეთ ჩვენი საჭიროებისათვის ჩვენი მამა-პაპული საუბრე ალაგი მდებარე ჩუმლაყში სახელდობრივ ვაშლას მიწებს ზომით აღმადამა ორსავე მხარეს ცხრაცხრა საჟენი და სივანით მთელი ჩვენი მამულის სივანე, რაცა აქვს და ფასიც მივიღეთ ამთავათ მთელი ცხრა თუმანი ფული, რომელიც შეადგენს დღეიდანვე ეს მოხსენებული მამული თქვენ მამათელაშვილებსა კუთვნილებას.

ოჯახის ბაჟრილობის საბუთი (1911 წლის 26 ნოემბერი)

1911 წელსა, გიორგობის თვის 26-სა დღესა ჩვენ ქვემოთ ამისი ხელის მომწერელნი, ს. ჩუმლაყში მცხოვრებელნი სიმონ ფაჯარაძე და ვანო მენაბდოვი და ზედამხედველი ჩუმლაყის მამასახლისი მიხეილ ორთოიძე აღმოგვიჩინეს სინდისის მედიატორეთ სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებელმა ილია, გიორგი და მიხეილ ლაზარეს ძე ოსოშვილებმა იგივე მამათელაშვილებმა და მოგვანდეს ყოველივე მათი საცხოვრებლის განაწილება რისაც იყვნენ მქონენი, როგორც მოძრავისა, ისე უძრავისა, ვაღისა და ფულისა. და რა მოვისმინეთ ყოველივე გარემოება მათი ჩვენც ჩამოვართვით კანონიერი ხელშეკრულობის ხელწერილი და გაუნაწილეთ ყოველივე მათი საცხოვრებელი, მყოფი ს, ჩუმლაყის სინდისისა და კანონისა მიებრ. ასე პირველათ გავყავით სახლები. ილიას მივეცით მადლა ოთახი დაბლა მარნის ჭერითა და ქვევრებით. გიორგის მივეცით მადლა ოთახი

ზევით მხარეს და მიხას მივეცი დაბლა ოთახი ზევით მხარეს თავიანთ სახლების გასადევარი ეზოთი, მხოლოდ არ შეეძლოთ მიხას და გიორგის უერთმანეთოთ სახლების დაშლა. მხოლოდ რადგან ილიას ოთახი ცოტა მეტია ამითვის უნდა ამოიყვანოს შუა კედელი საკუთრათ ფიცრით ანუ შებკით რო გიორგის არაფერი დაახარჯინოს. თავლა გამართული ოთახით და საბძლით მივეცი გიორგის და მიხას თანასწორეთ ალაგით და კალოთი. ბეღელი მივეცი ილიას, ამასთან, რადგანაც ჰქონდათ შრომა ილიას შვილებს ვასილას და სოსოს მივეცი მარან წინ პატარა ოთახი და ზედვე სათონე მთელი. მხოლოდ მარანის ალაგის საბადლოთ მივეცი გიორგის და მიხას. მიხას ოთახ ზემოდან გიორგის მივეცი მიხას სახლის ძირზედ  $3\frac{1}{2}$  სამ საყენ ნახევარი და მიხას მივეცი იმის ზემოდან  $4\frac{1}{2}$  ოთხ საყენ ნახევარი. იმის ზემოდან ალაგი გაყვავით ხამათ, ჯერ მიხას მივეცი ყოჩანთ მხარეს ორი საყენი და მეტი საამდარიოთ ნახევარი საყენი, იმის გვერდზედ მივეცი გიორგის ორი საყენი და მიტროს მხარეს მივეცი ილიას ორი საყენი. მხოლოდ ბოლო აქვს თითო ალაგას  $1\frac{1}{2}$  საყენი და მიხას ალაგს ორი საყენი, მიჯნებიც ჩაყვარეთ. მხოლოდ სახლი წან ეზო სათონის ეზოთ არის ცხრა საყენი და დარჩათ გასაყოფი სამძოთ, სამთ გაიყონ თანასწორეთ. კიბუც დარჩათ სამძოთ ილიას და გიორგის, არ შეეძლოთ დაშლა უერთმანეთოთ.

ქვევრები მივეცი გიორგის და მიხას ახალი, ამისთვის ამ ღვინის გაყიდვის დროს უნდა მისცეთ ილიამ გიორგის და მიხას თითო თუმანი ფული ქონისა. საკრის ვენახიც გაყვავით გარდიგარდმით ხამათ უმეტნაკლებოთ. ილიას მივეცი ბოლოში, გიორგის შუაზედ, მიხას თავში მივეცი. კალოს ვენახი გაყვავით გარდიგარდმით, ჯერ მივეცი თავში ვასილას და სოსოს თავიანთ შრომისა ოთხი პლანი, ესე იგი ოთხი საყენი თავის გასადევარით ცარიელი მიწადვრით საურმე გზამდის, მერე გაყვავით ხამათ უმეტნაკლებოთ თავისი ცარიელი ალაგით და არეული ვენახით, ზევით მივეცი ილიას, შუაზედ მიხას და ბოლოში გიორგის მივეცი. კალოს მიწები გაყვავით, ილიას მივეცი აღმაღალმა მიწა თავის ვენახთან მთელი გარდა საურმისა, გიორგის მივეცი ცარიელი ალაგი თავის ზემოდან მთელი და მიხას მივეცი ცარიელი ალაგი ქვემოდან მთელი ვიდრე ხევაძდის გარდა გზისა. გზები, სადაც მოითხოვს მამული, არ დაეშალოს არცერთ ძმას. ვეშუები გაყვავით და ჩავაბარეთ ყველას თავთავიანთი. ნავი ღირებული 50 მან. თავის ფიცრით დარჩათ გასაყოფი, მხოლოდ ილია დაიხსნის და ვიდრე დაიხსნის სამთავენი იხმარებენ, ვერ დაუშლის. სახნავი მიწები ილიას ვძელ მიწებში ღურღურაზედ, ამის საბადლოთ გიორგის და მიხას მივეცი. გიორგის და მიხას მივეცი ტყემლიანში ხირხატებზე ზემოთ აზო და ფარუხების მიწა. დანარჩენი მიწები გაიყონ თანასწორად პაპუღა. მადვერაულის მიწა ახალი შამინებული გაყვავით გარდიგარდმით, თითო ძმას შესვლათ თერამეტი საყენი და დანარჩენი მივეცი ვასილას და სოსოს, ბოლოში გიორგის, შუაზედ მიხას და თავში ილიას, მხოლოდ ილიას მამულს ექნება თავში სამდარიო ექნება ერთი საყენი გზის საბადლო. ნაყიდი მამული ზაღდასტანოვისა გაიყონ ექვსად, ნახევარი ილიას თავის შვილებით და ნახევარი ორი წილი გიორგის თავის შვილით და ერთი მესამედი მიხას დააკლონ. საქონელი და ცხენები თითონ გაიყონ, მხოლოდ უკეთუ რაიმე დარჩათ დაეწყებულნი ფული, ვალი თუ სხვა რაიმე გაიყონ ზემოთ მოხსენებულია.

საბუთი დამოწმებულია ხელმოწერებით.

ამავე საბუთის თავისუფალ კვერდზე განსხვავებული ხელით არას მიწერილი:

1917-სა წელსა თებერვლის 25-სა, დღეის რიცხვში კიდენ ერთმანეთის თანხმობით უმატებთ ამ განაჩენში. სამი მიწა შავაფარდეთ, ვონჭაანთ ლელეშო მივეციით ილიას, დანაშთენებს ზალიანთუული მივეციით გიორგის და ყოჩიანთ ახომი მივეციით მიხაკას. ვაშლის მიწები გავყავით უმეტნაკლებით სამათ, მხოლოთ თავში ორი საჟენი გზათ გაუშვით. გარდა ამისა, მარიამ ქიტესაშვილასეული და მიხა მღვდლიშვილისეული მამული გავყავით ექვს ნაწილად – სამი წილი მივეციით ილიას დანაშთენებს და ორი წილი გიორგის და ერთა წილი მიხაკას. ქართლელიანთ მხრივ გზა გაუშვით სამი საჟენი და თავში ორი საჟენი. მოღვერაულის მიწა გიორგის მივეციით და ამის საბადლო ყიტანში მიხაკას ჯა ილიას დანაშთენს მივეციით უმეტნაკლებოდ. თხილის მიწა ზევით გიორგიმ და მიხაკამ გაიყონ უმეტნაკლებით და ილიას დანაშთენებს მივეციით რუგზე. რომელიც განაჩენში გვიწერია საბძელი და თავლა მიხაკამ დაუბრუნა საბადლოთ, მიხაკამ აიღო უკანა მხარე და წინ გიორგის დაუბრუნა თავისა ოთახით და გიორგიმ ფულიც ჩააბარა რასათი შვიდ თუმან ნახევარი. თავლის გასადვეარი წინ გზის გარდა ნახევარი ეზოსი უნდა მივეცე მიხაკას, ვენახის კვერდზე ცარიელი ერთმანეთის თანხმობით 14 გავაჩარეკეთ და მისთვის ხელს ვაწერთ სამინი პირნი მიხეილ და ვასილ ოსოშვილები, იგივე მამათელაშვილები, ამათის უწივნურობის გამო ხელს ვაწერ შაქრო....., თანახმა ვარ, ხელს ვაწერ გიორგი მამათელაშვილი.

მამულბის ბაცვლის ხელწერილი (1914 წლის 2 სექტემბერი)

1914-სა წელსა მარიამობის თვის 2-ს დღესა გაძლევ ამ ხელწერილს მე, სოფელ ველისციხეში მცხოვრებელი ალექსი სიკოს-ძე ვარაზაშვილი შენ, ს. ჩუმლაყში მცხოვრებელს ვასილა ილიას-ძე მამათელაშვილს მასზედ, რომელიც ჩვენ ალექსიმ და ვასილამ შევეცვალეთ მამულები ერთმანეთის თანხმობით და მე, ალექსი ვარაზაშვილმა, მოგეცი ორი საჟენი საურმეთ გიო ოსოშვილას მხარეზედ, საშვილიშვილოთ იქნება შენთვის შარავნიდამ შენს მამულამდი და ერთმანეთში არაფერი დავა გექონდეს. უკეთუ მე ვარაზაშვილმა შენ ავიკრპალო იმ ორ საჟენ საურმეზე ტარება, ანუ ჩემმა შვილიშვილმა მაშინ გადავიხადო შტრაფი მამასი მანეთი შენ ვასილა მამათელაშვილის სასარგებლოთ. რომელიც ჩვენ მამული გავცვალეთ სახელდობრ გონჯან ყელში, უკეთუ მე ვასილა მამათელაშვილმა შეგეშალო მაშინ მეც გადავიხადო ოცდაათი თუმანი შტრაფა შენ ალექსი ვარაზაშვილის სასარგებლოთ.

მისის ნასყიდობის ხელწერილი (1917 წლის 1 თებერვალი)

1917-ს წელს თებერვლის 1 დღესა, ესე საშვილებით გამოხადვეი ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, ამისა ქვემოთ ხელის მომწერელმა, სიღნაღის მაზრის სოფ. ჩუმლაყში მცხოვრებელმა მიხეილ კრივილიას ძე მღვდლიშვილმა, იგივე ოსოშვილმა, თქვენ, ჩვენსავე სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებთ ვასილა და იოსებ ილიას ძეთა მამათელაშვილებსა, იგივე ოსოშვილებს და თქვენ შთამომავალთ მასზედ, რომელ მოგიცვალეთ ჩემი კუთვნილი მამული სავენახე ადგილი და რამდენიმე საჟენი ვაზიანი, მდებარე ყუმლაყის დაბაში,





დება და მეორე არ გათხოვდება, შემდეგ დარჩება საკუთრივ. მარანში შეეცა ჭურჭელი 1-4 საპალნიანი, 1-36 ჩ., 1-12 ჩ., 1-5 ჩ., 1-4 ჩ. ნიშა ზარი. კალოსკენ ძველი კენახი გავყავით და შეხვდა ვასილას 24 რიადი მიხაკას მხარეს აღმოსავლეთის მხარეს თავის გასადევარი მინდვრით საუბნო გზამდინ. ვაშლიძეები გაუყავით შუაზედ აღმაღალმა და შეხვდა გიორგის მხრივ ჩრდილოეთისკენ 7 რიადი. მღვდლიანთ მიხასეული მიწა თავის კენახით გავყავით აღმაღალმა უმეტნაკლებით თავის მინდვრით, შეხვდა მიხას მხრივ. სახნავა მიწებიდან: ღურღულის მიწა სრულიად გონჭიანთ ღელეში და მოღვერაულის მიწას გაიყოფენ უმეტნაკლებოდ ორნივე ძმები. ნიეცა ვასილას კიდე ავეჯიდან: ვახის აპარატი, 20 ჩ. ჩანა, წყლის ბოჭკა, რკინის გუთანა, ერთი საცალი, ერთი ვედრო, თანგირა ქვაბი, ქაფქირი, 1 ტაბურეტკა . . . . . სტოლი ზედადგირი.

2. იოსებს მიეცა შენობის მაგიერათ პატარა ოთახი სრულიად გადახურულ ჩარდახით, ბეღელი და ჩალით დახურული ქვითკირის კედლებით შენობა. ქვევრებიდან: 2 ხუთ-ხუთ ცალიანები, 1-18 ჩ., 1-13 ჩ., 1-4 ჩ. 2 ქილა ხუთ ჩაფიანები, ერთი კამეჩა, შედგმული ურემი. დიდ კენახში შეხვდა იოსებს ზვეით მხარეს თავის კალოს გასადევართ 21 რიადი, ვაშლის მიწის კენახში 7 რიადი მიხაკას მხარეს, მღვდლიშვილისეულ კენახიდან ქაჩლიშვილის მხარეს აღმაღალმა თავის კენახმინდვრიანთ, ზაკრის კენახში აღმოსავლეთის მხარეს უმეტნაკლებოდ. სახნავი მიწებიდან: 2 დღ. გძელ მიწებში, 1 დღ. რუვზე, გონჭიანთ ღელის და მოღვერაულის მიწებს გაიყოფენ უმეტნაკლებოდ. დიდი თაღარი. უნაგირი, ფუქსი, ყურიანი ქვაბი, ტაფა, თასი, დიდი ვედრო საცვალო, 1 ტაბურეტკა, ერთი სუფრა სტოლი 6 არშინიანი.

ნავს იხმარებენ ორივე ძმები. სამი წლის განმავლობაში უნდა გაიტანოს იოსებმა თავისი ქვევრები ვასილას მარნიდან, მინამ არ შეეძლება დააწუხოს ქვევრების გატანა.

საბუთი ხელმოწერილია მედიატორებას მიერ.

ბ. ვ. გამყრელიძე

## ДОКУМЕНТЫ ИЗ КАХЕТИ, ОТОБРАЖАЮЩИЕ ВОПРОСЫ СЕМЕЙНОГО БЫТА

### Резюме

В работе рассмотрены рукописные документы, обнаруженные в семье Дмитрия Васильевича Мамателашвили, жителя села Чумлаки Гурджаанского района. В документах составленных в 1843, 1888, 1911 и 1921 годах, говорится о разделе семьи Георгия Мамателашвили и его потомков, а также о расписках купли-продажи земель. Эти документы содержат важные сведения о семейном быте кахетин равнинных районов. Вместе с этнографическими материалами, собранными нами, они дают определенные представления о составе и экономических основах семьи, о разделе семьи и правовых отношениях членов семьи к общесемейному имуществу, о жилых и хозяйственных постройках, о традиционных формах хозяйства и масштабах их развития и т. д.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

# დისკუსია და განხილვა

ანრი ზომბერაძე

## ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ

(ტექსტის გაგებისათვის)

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლისა და მისი მოთხოვნების შესახებ დიდი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ვინაიდან ამ მოვლენის შეფასებისას, ჩვენი აზრით, წყაროს ტექსტი არ ყოფილა ბოლომდე სათანადოდ შესწავლილი, არაერთი ურთიერთგამომრიცხველი და მიუღებელი მოსაზრება გამოითქვა. ჩვენ ამ მოვლენის შეფასებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ტექსტის ანალიზი, ვფიქრობთ, ბევრ რამეს თავისთავად ნათელყოფს.

1184 წელს ახლად კურთხეულ თამარის სამეფო კარზე განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოსვლა მოეწყო. თამარის პირველი ისტორიკოსი, რომელსაც დაუთავს ცნობა ამ გამოსვლის შესახებ, საკმაოდ სიტყვაძუნწობს. ამისდა მიუხედავად, მისი მონათხრობი, ჩვენი დაკვირვებით, იმდენად ნააული და გამჟღავნებელია, რომ სიძნელეს არ უნდა ქმნიდეს ამ საკითხში გარკვევისათვის. სანამ უშუალოდ ზემოხსენებული გამოსვლის ცნობას ვანეხილავდეთ, ისტორიკოსის მიერ მანამდე აღწერილი ფაქტები გავიხსენოთ.

გიორგი მეფე გარდაიცვალა. დიდებულებმა ჯერ კიდევ „მეფეთმეფისვან მეფედ ქმნული“ თამარი ხელმეორედ აკურთხეს. როგორც ახლად კურთხეულ გვირგვინოსანს შეფეროდა, თამარმა იწყო წყალობის უშურველად გაცემა. ახალგაზრდა მეფე-ქალის ამ მოქმედებას უშუალოდ მოსდევს დიდებულთა ზემოხსენებული გამოსვლის ცნობა:

„ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდათვე თემთასა, იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმე; და დიდებულთა ვიეთმე კელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „ალარ ვეგებით ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრევილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიაინი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უკმართავან“<sup>1</sup>.

საქართველოს შვიდივე თემის წარმომადგენლებზე წყალობის დაწყებისას, ამბობს ისტორიკოსი, იწყეს ზოგიერთებმა ძველთაგანვე კაცთათვის დამახასიათებელი საქმეო. ეს კაცნი ვინმე დიდებულნი ხელისუფალნი ყოფილან, რომლებიც შეფიცულან შემდეგი მოთხოვნების პირობით: ალარ შეგვიძლია ძველ ხელისუფალთა და გამგებელთა ბრძანების ქვეშ ყოფნა, რადგან მათგან (ესენი „უგვარონი და უხმარნი“ ყოფილან მათ ენაზე), „გვარიაინი და მსახურეულნი სახლნი“ უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ“-ო.

ისტორიკოსი ქვემოთ ასახელებს თუ ვინ იყვნენ ეს „უგვარონი და უხმა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 30.

რნი“, რომელთა მორჩილებაში ყოფნა ასე უმძიმდათ „გვარიან და მსახურეული სახლის“ წარმომადგენლებს.

„დაღაცათუ ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, გარნა სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა მოღებოდა ენა, კელი და ფერჯი. და აწუეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმიდღარისა, გარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარი სახიერ იყო და მოწყალე, მოიჯენა სიყუარული, სამსახური და ზრდილობა მისი, თვნიერ ჯელისუფლებისა და ლორისაგან კიდე არა რა დააკლო...“

კულად აფრიდონ, აზნაურის ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაცქმნილი, მიიწია მსახურთუხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა პატრონობამდის აღზეებული, — მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლანქართათა. და ბრძოლამყოფელთა ჯელისუფლობისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიღვა<sup>2</sup>.

ისტორიკოსის მთელ ამ მონახობებში ერთი გარემოება იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს დიდებულნი მეფეს მოთხოვნებს კი უყენებენ, მაგრამ არ ელოდებიან მას, რა ზომებს მიიღებს. ისიც კი არ უნდათ, მეფემ გადაწყვიტოს ეს საკითხი მათ სასარგებლოდ, ანუ მეფეს დაუთმონ ინიციატივა ამ საქმეში და „უგვარო“ ხელისუფალთა ნაცვლად ამ დიდებულთა წრიდანვე კანდიდატები მან შეარჩიოს. ესენი არამარტო საკუთარი ნებასურვილით ამბობენ ზემოხსენებულ ხელისუფალთ, არამედ ასევე მეფისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ განთავისუფლებული სახელოების განაწილებისას. მართალია, „ბრძოლა და ზიღვა“ კი შეექმნათ ერთმანეთში, მაგრამ, საყურადღებოა, რომ ამ ვითარებაშიც მეფე გარიყული ყოლიათ.

„აწუეს“ მხოლოდ თავიანთი განზრახულით თამარს, ამბობს ისტორიკოსი, რაც ჭერჯერობით ყუბასარისა და აფრიდონის დამხობის გადაწყვეტილების ცნობას შეეხებოდა. ასევე „აწუედენენ“ ისინი თამარს იმ შემთხვევაშიც, როცა დამხობილი ვაზირების სახელოების განაწილებაში საბოლოოდ შეთანხმდებოდნენ (იქნებ ვერ შეთანხმებულიყვნენ), მაგრამ ეს საქმე, როგორც ცნობილია, აქამდე არ მისულა.

„აწუეს“ ვაგება მოტანილ კონტექსტში „მობატიეების“, „მოხმობის“, „დაძახების“ მნიშვნელობით არ ივარგებს (სხვაგან, მაგალითად, ასე ხმარობს ამ ზმნას ისტორიკოსი). „მოწოდების“ კი შეიძლება, მაგრამ უთუოდ „იძულების“ ელფერით („აწუეს“ ერთი მნიშვნელობით ხომ „აიძულებდეს“ ნიშნავს<sup>3</sup>). ისტორიკოსი შექმნილ ვითარებას, უეჭველია, თამარის სასარგებლოდ ამსუბუქებს, მაგრამ საერთო სურათს ვერ მალავს, რომ შეთქმულებმა მეფეს ძალა დაატანეს, რათა თავიანთი „განზრახული“, ფაქტობრივად განაჩენი, ზემოხსენებულ „უგვარო“ ხელისუფალთა მიმართ გამოტანილი, სისრულეში მოეყვანათ.

ისტორიკოსი დიდ დამსახურებად უთვლის თამარს, რომელიც ამ მძიმე ვითარებაში დიდებულთა ნებას არ დაჰყვა მთლიანად და თანამდებობიდან გადაყენებულ ყუბასარს, მაგალითად, ქონების ნაწილი შეუნარჩუნა (მსახურთუხუცეს აფრიდონის მიმართ კი ესეც ვერ შეძლო). მოკლედ რომ ვთქვათ,

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

<sup>3</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 550.

„გვარიანი და მსახურეული სახლების“ შვილებმა ზემოხსენებული მოწვევები დაამხეს თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მისი თანხმობით. ნება და წადილი ამისა, არ მალავს ისტორიკოსი, ამ დიდებულთა და მათი ინტერესების გამომხატველი ლაშქრის ყოფილა: აფრიდონ „მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“, — აღნიშნულია მატეიანში, მაგრამ ამ ხალხის რისხვა, დავინახეთ, ყუბასარსაც დაატყდა საკმარისად: მან სახელისუფლო პატივიც დაჰკარგა და მასთან დაკავშირებული ქონებაც და, ჩანს, უმთავრესად სამემკვიდრეო მფლობელობა შეინარჩუნა თამარის მცდელობით.

კითხვა იბადება, როგორ შეძლო თამარმა ამირსპასალარ და მანდატურთ-უხუცესს ყუბასარისთვის ქონების ნაწილის შენარჩუნება (დიდებული აზნაურის შესაფერის ქონებისა), ხოლო მსახურთუხუცეს აფრიდონისათვის კი ვერა? აფრიდონისათვის მეფემ თავი აღარ გამოიღო, თუ უბრალოდ მფარველობა ვერ გაუწია მის მიმართ ამ დიდებულთა მიერ გამოჩენილი განსაკუთრებულ სიმშვიდის გამო? შეიძლება შეთქმულნი აფრიდონის მიმართ უფრო შეუკრებელნი იყვნენ, რადგან ის მათ თვალწინ იყო გიორგი მეფის მიერ „კაცქმნილი“ და მსახურთუხუცესობამდე „აღზეებული“ და ამდენად, „უგვარო“ სახეებით, მაგრამ ისინი ხომ, პირველ ყოვლის, ზემოაღნიშნულ ხელისუფალთა მორჩილებაში ყოფნას ჩიოდნენ, რისი მოქმედიც უპირატესად ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყუბასარი უნდა ყოფილიყო? მართალია, ის არც იმდენად „უგვარო“ იყო, ყოველ შემთხვევაში „აზნაურის ყმა“ არ ყოფილა, არც მისი ადრინდელი სოციალური მდგომარეობით და არც წარმომობით (მისი უშუალო წინაპრები დავით აღმაშენებლის მიერ გადმოყვანილი ყიფჩაყების სამხედრო-არისტოკრატიულ წრეს მიეკუთვნებოდნენ, საფიქრებელია), მაგრამ დიდგვარიშვილების თვალში მაინც „უგვაროდ“ რჩებოდა (უცხოდაც ალბათ) და, ამასთან, აფრიდონისაგან განსხვავებით „უხმარიც“ (უფარვისი) იყო მძიმე ავადმყოფობის გამო.

„სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა მოღებოდა ენა, გელი და ფერჯი“, — არ ფარავს ისტორიკოსი (იქნებ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თამარის უმწეობა გაამართლოს მკითხველის თვალში). არც იმას მალავს, რომ „ერთგულა და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, ვაზრდილი პატრონთაგან“ (ასეთ დახასიათებას ის, მაგალითად, აფრიდონისათვის ვერ იმეტებს. „კაცქმნილი“ იყო „ღმრთის მობაძობითა“ რომ ამბობს, ამ მითითებაში მისი პიროვნების ერთგვარი უკუღებულყოფა იგრძნობა უთუოდ).

საყურადღებოა ყუბასარის ავადმყოფობის ამბავიც. სულ ცოტა ხნის წინ ის ისინი სასახლეში წარუდგა უმაღლეს ხელისუფალთა გარემოცვაში თამარს და დედოფალ რუსუდანს გიორგი მეფის გარდაცვალების გამო სამშვიდლიდან სასწრაფოდ მოსულთ. ნუთუ ამ დროს ის ჯერ კიდევ ჯანმრთელი იყო და ამის მერე „მოელო ენა, ხელი და ფეხი“? თავისთავად შეუძლებელი ამაში არაფერია, მაგრამ მაშინ გაუგებარი იქნებოდა უმცაოფილო ხელისუფალთა მოთხოვნა, რომელშიც ხანდაზმულობის მომენტი იგულისხმება — „უხმართა მბრძანებლობაში ყოფნა აღარ შეგვიძლიაო“. ჩანს, რომ ყუბასარი „უხმარი“ კი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ შეძლებისამებრ სამსახური არ შეძლებოდა სამეფო კარზე. ყოველ შემთხვევაში, თამარს მისი გადაყენება ჩანს ფიქრად არ ჰქონია, ამიტომ გვარიშვილებმა თვითონ იზრუნეს ამის თაობაზე ასეთი ერთსულოვნებით.

თუ ყუბასარმა საკმაო ქონება შეინარჩუნა, იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ ვითარცა დამბლადაცემული, საშიში აღარ იყო მომავალში მეტოქეთათვის და ამიტომ მათაც აღარ გამოიღვეს თავი ყოფილი ამირსპასალარის ბოლომდე მოსათხრელად. თუ ასე იყო მართლა, მისი დიდმფლობელობაში დარჩენა მართო მეფის მფარველობის შედეგი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ყუბასარის გადაყენებაში დიდებულები და ლაშქარი შეთანხმებული არიან, როცა ეს სამხედრო ძალა, სწორედ ამირსპასალარის დასაყრდენი უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აფრიდონის პიროვნება დიდგვაროვნითა გამოხატულების ამ ორომტრიალში. სხვა ვითარებაში ალბათ ვერც გავიგებდით გიორგი III-ის ამ „უგვარო“ და უღებლო ვაზირის თავბრუდამხვევ აღზევებაზე, რომ მწყალობელი მეფის სიკვდილისთანავე მისი დამხობის უმთავრესი მიზეზის აღნიშვნის საჭიროება არა. მსახურთუხუცესი აფრიდონი, როგორც თამარის ისტორიკოსი გვამცნობს, ადრე „აზნაურის ყმა“ ყოფილა ანუ აზნაურ-ფეოდალის მოლაშქრე კაცი, ვსალი. მაგრამ აფრიდონი „აზნაურის“ უბრალო „ყმა“ კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ამ ისტორიკოსის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ვარგი და საცნაური აზნაურის ყმა“<sup>4</sup>, რომელსაც გამოჩენილი უნარისა და მამაცობის გამო მეფის ყურადღება მიუქცევია, ანუ იმავე ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ — „მეფისაგან შესწავლილი ვარგი“<sup>5</sup> ყოფილა. ჩვენ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გიორგი III-ემ ამ საჭირო კაცს ხელი მოკიდა და პირდაპირ მსახურთუხუცესის სახელოზე დასვა. არა, მანამდე მას, უეჭველია, „აზნაურობა“ უბოძა. თუ ისტორიკოსი მას მინცდამაინც მხოლოდ „აზნაურის ყმას“ უწოდებს, ეს იმის გამოა, რომ სოციალურ კიბეზე ასვლა ანუ „აღზევა“ მან ამ საფეხურიდან დაიწყო და შემდეგ, როგორც ვიცით, მსახურთუხუცესობის მიღებით „დიდებულთა“ წრეშიც შეაღწია.

გიორგი III-ის მიერ „კაც-ქმნილი“ და მსახურთუხუცესობამდე აღზევებული აფრიდონი ცოცხალი მაგალითი იყო მეფის თვითმპყრობელური ტენდენციების გამოვლენისა დიდგვარიან ფეოდალთა მემკვიდრეობითი უფლებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ და ამდენად, ვასაგებია, ეს გუშინდელი „აზნაურის ყმა“ (შესაძლებელია ამ გამოსვლებაში რომელიმე მონაწილისაც) მათი განსაკუთრებული გაბოროტების მიზეზი ყოფილიყო. ამასთან ყუბასარი და აფრიდონი უნიათო და უხერხემლო ხელისუფალნი არ ყოფილან და მეფისაგან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილებს, ცენტრალური თუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი მორჩილებაში ჰყოლიათ მოყვანილი.

აფრიდონის „მოშლა“ და „დამხობა“ იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის კვლავ „აზნაურის ყმობაში“ დააბრუნეს, რაც მეტისმეტი და არაბუნებრივი იქნებოდა. ალბათ, ერთ რიგით სამეფო აზნაურად ის ამის შემდეგაც დარჩა, მაგრამ, რადგან სახელო დაკარგა და მისი შესაფერი ქონებაც, საკუთარი, ჩანს, ჯერ ისეთი არაფერი ჰქონია, რომ მისი შენარჩუნება თამარის მოწყალების ნიშნად კვლავ აღნიშნული ყოფილიყო. ანდა, თუ ჰქონდა კიდევ, ისიც ჩამოურთმევიათ, რომ ქონებრივად უზრუნველყოფილი, მომავალში სოციალ-პოლიტიკურადაც არ აღზევებულიყო მის დამამხობელთა სამტროდ.

ამრიგად, გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებუ-

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 14.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 98.

ლებმა ზემოხსენებული ხელისუფალნი დაამხეს და განათვისუფლებული სახე-  
ლოების განაწილებას შეუდგნენ. აქამდე ისინი, როგორც თანაშევიცულთა  
შეპყრობად, ერთსულოვანი ყოფილან, მაგრამ მათი თანხმობა უმაღლეს და-  
ირღვევა, როცა გადაყენებულთა ადგილების დაკავებაზე მიდგასაქმე. „ბრძოლა-  
მყოფელთა ჯელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიღდა“-ო,  
— გვამცნობს ისტორიკოსი, რასაც მოაყოლებს განსაკუთრებული მნიშვნელო-  
ბის შემდეგ ცნობას:

„და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან ცხოვარმან, ჯორის სახელ  
ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მო-  
მღებელმა წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა  
ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასახდომილნი მუნ შიგა,  
განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა, და შერისხვისანი, ვაკადრე-  
ბდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალს; მაშინდა სრულ  
იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

თუ რა სდომებია მექურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანს, ამ ცნობის აზრი  
საკმაოდ ნათელია\*. მაგრამ იყო მისი მოთხოვნა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი  
დასის გამოსვლის მაუწყებელი. თუ იმ „ვიეთმე ხელისუფალთა“ მოთხოვნების  
უშუალო გაგრძელება და განვითარება, ახლა ამაზე ვჩერდებით საგანგებოდ.

„და ესეცა უცხო მოსაგონებელი“! ისტორიკოსის ამ პათეტიკურმა შეძა-  
ხილმა მკვლევარებს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ ამ სიტყვებით მან  
პოლიტიკურ ასპარეზზე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი დაჯგუფება  
გამოიყვანა. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ თუ წინანდელ გამოშ-  
სვლელთა შორის ისტორიკოსი კონკრეტულ პირებს არ ასახელებდა და მას  
მთლიანად დიდგვარიანთა კოლექტიურ თაზოზიციად სახავდა, ამჯერად ზე-  
მოაღნიშნული მოთხოვნები უშუალოდ მექურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის  
სახელთან დააკავშირა. ამრიგად, კითხვა ისმის: „და ესეცა უცხო მოსაგონე-  
ბელი“ ამბავი უკვე ახალი, მექურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის, დასის  
გამოსვლას შეეხებოდა. თუ ისტორიკოსმა ამ შეძახილით თხრობა განაგრძია  
შეთქმულთა მოთხოვნებში გაჩენილი უცხო და უჩვეულო პირობებისათვის  
ყურადღების მისაქცევად.

მკვლევართა უმრავლესობამ მოტანილი ცნობა ახალი დასის გამოსვლაზე  
მიიჩნია და ამ შეხედულებას საფუძველზე კარვისელებისა და წინანდელ დიდ-  
გვარიშვილ ხელისუფალთა მოთხოვნები ერთმანეთს დააშორა და დაუპირის-  
პირა. თუ პირვანდელ თაზოზიციონერთა სოციალური წარმოშობა, მიზანი და  
მოქმედების აზრი ნათელი იყო, ყუთლუ-არსლანისა და მისა მომხრეების სო-  
ციალურ ვინაობაზე და მათი პროგრამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები  
გამოიქვეა. რადგან ჩვენ მხოლოდ ტექსტის გაგებითა და განმარტებით ვიფა-

\* ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

\* მისი პიროვნების დახასიათება კი განმარტებას საჭიროებს. ისტორიკოსის სიტყვით,  
პირუტყვმა და ჯორის მსგავსად მქნელმა ყუთლუ-არსლანმა, ბიჭისთვის დამახასია-  
თებელი მზაკურთხილი გონებით ანუ უმწიფარის და უსაყოს ცხოვრებით (ც. ი. არა მისი ხელი-  
სუფლების შესაღერი გონიერებით); სპარსთა მმართველობის რაღაც წესის მიხედვით, მოთხოვნა  
კარავის დადგმა. ყუთლუს ცხერ კჳუს ავტორი უპირისპირებს თამარის „უკლებელ გონებას  
და საუნჯეს სიბრძნისასა“, რომელც კარგად მიუხედა „ორ ბუნებისა და მზაკურთხილი გონების“  
ყუთლუ-არსლანს, რომ მისი მოთხოვნა იქნებოდა „დასასრული ხელმწიფობისა“ (აქედან უნდა  
ვიფიქროთ, რომ ყუთლუ თავისი მოთხოვნების ნამდვილ მიზანს ნიღბავდა).

რგლებით, ამ შეხედულებების გარჩევას არ გამოვუდგებით და მხოლოდ იმაა მივუთითებთ და დავიმოწმებთ, რასაც გვერდს ვერ აუვლიდით.

მხოლოდ ნ. ბერძენიშვილმა გაიგო თამარის კარზე დატრიალებული ზემოაღნიშნული ამბები ერთ მთლიან პოლიტიკურ მოძრაობად (ამ მოსაზრებას, რამდენადაც ვიცით, გამოკვეთილად მხოლოდ დ. ლეთოდიანი დაუჭირა მხარი<sup>7</sup>). მართალია, სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი აქ ჯერ კიდევ ორ დაჯგუფებას გამოარჩევდა: ყუთლუს გამოსვლას იწყებდა დიდგვარიანებს შორის განთავისუფლებული ადგილების გამო ამტყდარი ბრძოლიდან<sup>8</sup>. ასეთივე აზრი ნ. ბერძენიშვილს თავის საარქივო მასალებშიც გაუტარებია, მაგრამ ეინაიდან ორივე გამოსვლა მას დიდგვაროვანი აზნაურების მოძრაობად მიაჩნდა თავიდანვე, ამავე მასალებში ლოდეკურად იმ დასკვნამდე მისულა, რომ „არავითარი ორი სხვადასხვა დანის ნიშანი აქ არ არის. პირიქით, ესაა ერთი (დიდგვარიანთა) გამოსვლა დაწყებული ყუბასარაფრიდონის წინააღმდეგ გამოსვლიდან ბოლომდე“; მხოლოდ, „ეს ბრძოლა ყუთლუ-არსლანმა კონსტანტუციურ ფორმაში ჩამოაყალიბა და მისი დაკანონება მოისურვა. აი ეა იყო „ახალი“<sup>9</sup>.

მართლაცდა არავითარი ორი სხვადასხვა გამოსვლა არ ყოფილა. მთელ ამ ერთიან მოძრაობას, რომელსაც თამარის გამეფებისთანავე ჰქონდა ადგილი, შეიძლება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეწოდოს. ამაში რომ საბოლოოდ დავრწმუნდეთ, დარჩენილი ცნობებიც მოვიტანოთ და მთლიანობაში განვიხილოთ:

„ესე ვიეთ საწყენელ იყო — დაასარულისა ჯელმწიფობისა პატრონისასა მიცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკურვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუხჯემან სიბრძნისამან, და მოიღონა ველით გდება თავასა მის მოქმედთასა და თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მექუტუტლეთ-უხუტუცესი და აწ თავისა თუხისა ამირხპასალარად და სომეხთს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული“<sup>10</sup>.

თამარმა ყუთლუ-არსლანის მოთხოვნები, რამდენადაც „საწყენელ“ იყო, იმუნდადვე და იპისდა შესაფერისად „იწყინა“, რადგან „ხელმწიფობის დასასრულს“ მოასწავებდაო. თავის ერთგულ და ახლობელ ხალხთან მოთათბირების შემდეგ მეფემ უკიდურეს და უადრესად სახიფათო ღონისძიებას მიმართა და „ჯორის სახედ ორ ბუნებას მყოფელი“ მექუტუტლეთ-უხუტუცესი შეიპყრო, რომელიც იმ მომენტისთვის ამირხპასალარად და ლორეს სომეხთა მეფის ადგილზე დასაჯდომად ყოფილა განმზადებული.

ყუთლუ-არსლანმა, ამრიგად, თამარს კარვის დაარსების მოთხოვნა წაუყენა, რომელშიც დასახლომილნი უფლებამოსილნი უნდა ყოფილიყვნენ „მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ უკვე მანამდე აღნიშნული მოთხოვნების ავტორი ამირხპასალარად აპირებდა თურმე დამჯდარიყო ყუთლუს ეს გადაწყვეტილება

<sup>7</sup> დ. ლეთოდიანი, ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ XII ს-ის ბოლოს (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა), თსუ შრომები, ტ. 243 V, 1983.

<sup>8</sup> საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 196.

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 177.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.





გაუგებარი იქნებოდა მთლიანად, რომ ის დიდგვარიანთა წინა გამოსვლაში ან ყოფილიყო გარეული, ან, სწორედ იმ „ბრძოლასა“ და „ზიდვაში“ მათ რომ განთავისუფლებული სახელობის გამო შეექმნათ. ამას უცილობლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ყუთლუ-არსლანს თავისი მოთხოვნების წამოყენებამდე თავი ამირსპარსალარად გაუმზადებია და არა ამ გადაწყვეტილების ჯერ კარავში გამოტანისა და მერე მისი მეფისაგან დამტკიცების მოიმედე ყოფილა (წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერც შევიტყობდით კარვის დაარსებით რა სარგებლობას გამოელოდა იგი პირადად). ყუთლუ-არსლანი რომ გიორგი III-ის თვითმპყრობელური პოლიტიკით უქმყოფილო დიდებულთა ბანაკში არ ყოფილიყო იმავე, ვინ დაანებებდა მას სათავისოდ განთავისუფლებულ პატივთაგან უმთავრესს? ანდა, თუ იგი მათ შორის არ იყო და ასპარეზზე ახლა გამოვიდა, ერთდროულად ამ დიდებულებსაც დაუპირისპირდა და მეფესაც? (ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ მათი დაპირისპირების უეჭველი ფაქტები გვაქნებოდა და არა მხოლოდ ამის დამკვირვებლის უეჭველი ფაქტები გვაქნებოდა ასე ერთიანად ზემოხსენებული დიდგვარიანები თავიანთ ლაშქარ-მოკიდებულებითურთ, როცა ეს საქმე ბოლომდე არ ჰქონიათ ჯერ მიყვანილი, რომ პოლიტიკური ასპარეზი ყუთლუ-არსლანსა და მასთან თანამეფიცულ დიდებულებსა და ლაშქარს დაეჩაბოთ მთლიანად? ყუთლუს იმდენი მომბრე ჰყავს დიდებულთა შორის და იმდენად ძლიერი ჩანს მისი ლაშქარი, რომ მათგან დამოუკიდებლად დიდებულთა სხვა ჯგუფი და სხვა ლაშქარი (აი, ის ლაშქარი, რომელთა „ნებიოთა და თნევიოთა“ ყუბასარი და აფრიდონი დაემხო) აღარ წარმოიდგინება. არა, საკმაოთ და სარჩევ აქ არაფერია. ყუთლუ იმავეთვე ამ დიდებულთა შორისაა, უფრო მეტი, ის, შეიძლება ითქვას, ამ საქმის „მოქმედთა თავი“ ყოფილა.

ყუთლუს თანამეფიცება და თანამეფიცულებს (ესენი არიან „გზადგამ-ყოლნი“ მისნი), როცა შეუტყვიათ მისი შეპყრობა, „დააადგინეს ახალი სიმტიციე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა“-ო. „ახალი სიმტიციის დადგენა“ ნიშნავს, რომ მანამდე სხვა „სიმტიციე“ იყო „დადგენილი“. თუ „ახალი სიმტიციე“ დიდებულებმა დაადგინეს ყუთლუს დაპატიმრების შემდეგ, ძველ „სიმტიციედ“ უნდა იგულისხმებოდეს ის „ფიცო“, დიდებულებმა რომ „ყვეს“ ამ მოძრაობის დაწყების წინ ძველ ხელისუფალთა და გამგებელთა მორჩილებიდან გამოსასვლელად. სწორედ ამ აღრინდელი ფიცის ძალითაა, რომ ყუთლუ-არსლანის მომხრეები ისტორიკოსის მიერ მის „თანამეფიცულებად“ იწოდებიან, რომლის შეპყრობის შემდეგ ისინი იძულებული გამხდარიან „ახალი სიმტიციისათვის“ მიემართათ.

ყუთლუ-არსლანი რომ იმავეთვე წინა გამოშვლელთა შორის არ ყოფილიყო, ის მათ დაუპირისპირდებოდა უთუოდ თავისი პროგრამით, რომლის თანახმად კარავში და კარვისელთა მიერ უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ სამოხელეო თანამდებობებზე დანიშვნა. მაგრამ, როგორც დაკინახეთ, ის ამ დაწესებულების შექმნამდე მოვიდებოდა ამირსპარსალარის სახელს, ისე რომ ამ პატივის შერჩევაში მეფეს არათუ მოთათბირებია, არც კი დაკითხვია და არც კარვის დაარსებისათვის მოუცდია. ამ საქმეში სრულიად მისი ნება-სურვილი ჩანს და მასთან შეფიცულთა და არა მეფისა. ასე რომ, ყუთლუ-არსლანი უკვე პრაქტიკულად ახორციელებდა იმ პროგრამას, რაც შემდეგ კარვის დაარსებით სურდა თავის მომხრეებიანად. ერთი სიტყვით, ის იმ დიდებულებით იქცევა,

განთავისუფლებულ თანამდებობებს რომ თავის ჭკუაზე ინაწილებდნენ და ან ნიშნითაც ყუთლუ მათი წრისა და მათ ბანაკშია. ხელმწიფის ეს მოხელე ამირსპარსალარობას თამარს კი არ ეაჯა, არამედ იმ „ბრძოლასა“ და „ზიდვაში“ დაუჩენებია, დიდებულებს რომ შეექმნათ განთავისუფლებული სახელოების გამო.

ამრიგად, დიდებულთა აღნიშნული გამოსვლა თავიდანვე ორგანიზებული ყოფილა და მას მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ჰყოლია სათავეში. მაგრამ ამ დროს მისი როლი ჯერ იმდენად გამოკვეთილი არ ყოფილა, რადგან მთელი დიდგვარიშვილობა ერთიანად გამოსულიყო უგვარო ხელისუფალთა დასაწაობად. ისინი შეფიცულან, რომ ამ საქმისათვის ერთად იბრძოლებდნენ და ერთმანეთს არ უღალატებდნენ. ამ ერთიანობის წყალობით იყო, რომ პირველ ეტაპზე გაიპარკვეს და უგვაროები დაამხეეს, მაგრამ შემდეგ განთავისუფლებულ ადგილებზე შეექმნათ ცილობა. ჩანს, თავიდანვე ამ საკითხში შეთანხმებული არ ყოფილან, რადგან ასე შორს ჯერ არ მიდიოდნენ, — საძულველ ხელისუფალთა მორჩილებიდან უნდა გამოსულიყვნენ მანამდე. შეიძლება ამ პირველ ეტაპზე ყუთლუ კი ჰყავდათ, ვითარცა მათი „თავი“, ამირსპასალარად განზრახული, მაგრამ სხვა ვაკანტური ადგილების განაწილებას უკვე ამის მერე ფიქრობდნენ ალბათ.

დიდებულები რომ შეთანხმებული ყოფილიყვნენ ბოლომდე, ისინი განთავისუფლებულ ადგილებს განაწილებდნენ და, საფიქრებელია, კარავი აღარ დასპირდებოდათ, ჩათვლიდნენ, რომ მომავალშიც „წყალობისა“ და „შერისხვის“ საკითხებს თვითონვე გადაწყვეტდნენ მეფის დაუკოთხავად.

ყუთლუმ რომ გამოსვლას პროცესშივე შეეცადა მოქმედების ფორმა და მეთოდი დაკარვის დაარსების პროგრამა წამოაყენა, ეს მარტო იმით არ იყო გამოწვეული, რომ მას უნდოდა ძირძველი დიდებულების ბრძოლით ნობოვებული შედეგის დაკანონება — ერთხელ და სამუდამოდ მათ ხელში გადასულიყო ქვეყნის მთელი მართვა-გამგეობა. დიდებულთა გამოსვლაში კორექტივის შეტანა მას მოუხდა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რომ ეს მოძრაობა არაორგანიზებულობის მახევერპლი არ გამხდარიყო, რისი სამიშროებაც დადგა (ამ მოძრაობაში გარეულებიდან, ცხადია, ყველა ვერ მიიღებდა იმ პატივს, რისთვისაც ხელს იშვერდა და ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ უქმყოფლონი ისევ მეფეს მისვლოდნენ და მის კარზე ეძიათ სამართალი), მან წამოაყენა ის ცნობილი პროგრამა, რომლის თანახმად სამეფო კარზე არსებული მმართველობის უმაღლესი ცენტრალური აპარატი სამეფო სასახლესა და მეფეს უნდა გამოყოფოდა მთლიანად და ისინი ველზე დადგებულ კარავში გადასულიყო.

ყუთლუ-არსლანს რომ კარავში პირველობის იმედი არ ჰქონებოდა, ალბათ არც გამოვიდოდა კარვის დაარსების მოთხოვნით. ის უკვე ამირსპასალარად გამზადებულიყო და, ცხადია, არც ვახდიდა ამ ადგილის დაკავების

\* „წესი რასამე სპარსთა განაგისი“, რომლის შემოღებასაც, ისტორიკოსის სიტყვით, თოქოს, ყუთლუ-არსლანი თავისი პროგრამით აპირებდა, არ ჩანს, რომ მას სპარსული (თუ საერთოდ აღმოსავლური) მმართველობის რაიმე კონკრეტული სტრუქტურის შინაარსით ჰქონდეს ნაველისმედი. რამდენადაც ყუთლუს მოთხოვნა უჩვეულო, არაქართული ამბავი იყო, ისტორიკოსმაც ამდენად იგი მისთვისაც რაღაც გაუთვითცნობიერებელ „სპარსთა განაგისის წესად“ წარმოგვიდგინა. სინამდვილეში ყუთლუ-არსლანის პროგრამა ასევე „უცხო მოსაგონებელი“ და უნიკალური იყო უნა საუკუნეების აღმოსავლეთის თუ დასავლეთის მონარქიებისათვის.

კანონიერებას კარვისელებში საკამათოდ. მას მხოლოდ უნდოდა ეს კარავში მეფის გარეშე, მის თანაშეფიცულთა შორის გადაწყვეტილიყო და მეფესაც დაედისტურებია ის ამ საკითხში ჩაურევლად.

ყუთლუ და მისი მოძრებები თავიანთ პრაქტიკულ მოქმედებაში უკვე ახორციელებენ იმას, რაც, მათი აზრით, შემდეგ კარავში უნდა გადაწყვეტილიყო საერთოდ. ისინი ამბობენ „უგვარობს“ საკუთარი ნება-სურვილით (მეფეს აცნობენ მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას და ისიც ძალაუვნებურად მას აღსატურებს) და საკუთრივე შეხედულებისამებრ ინაწილებენ განთავისუფლებულ ადგილებს. ამრგად, „მიცემისა და მოღების, წყალობისა და შერისხვის“ უფლებაში ისინი მეფეს კარვის დაარსებამდე შესცილებიან. დიდგვარიანებს რომ განხეტქილება არ მოსვლოდათ და ეკანტური ადგილები მშვიდობიანად გაეყოთ, საფიქრებელია, კარავი აღარ დასჭირდებოდათ (მეტად უჩვეულო და უპრეცედენტო — „უცხო მოსავონებელი“ რომ იყო მისი დაარსების იდეა), რადგან ჩათვლიდნენ, რომ მომავალშიც „წყალობისა“ და „შერისხვის“ საკითხებს საერთო ძალითა და ურთიერთშორის თანხმობით თვითონვე გადაწყვეტდნენ მეფის გარეშე. მაგრამ ვინაიდან ამ საქმეს საშიშროება დაემუქრა დიდებულთა შორის შეუთანხმებლობის გამო, ყუთლუმ ცენტრალური მმართველობის სასახლის გარეთ გამოტანა, მისი კარვად გადაქცევა მოინდომა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ქვეყნის მართვა-გამგეობის ყოველი დარგი სამეფო კარიდან კარავში გადაბარებულ ძირძველ ხელისუფალთა განსახილველ-განსაგებელი ყოფილიყო. ყუთლუ არ აუქმებდა, ცხადია, უმაღლეს სამხელეო თანამდებობებს, რადგან ამირაპასალარობას თავისთვის იჩენებდა და მასთან დაკავშირებულ სომეხთა მეფეთა ადგოლს — ლორეს დასაჯდომად. მსახურთუხუცესობა, მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა კი თავისი მომხრეებისათვის — მომავალი კარვისელებისთვის უნდოდა, უეჭველად.

რა უნდა გადასულიყო ყუთლუმ აზრით კარვისელთა უფლებამოსილებაში? მისი სიტყვებია: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისაგან, ეკადრებდეთ და ეცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა: მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ესე იგი კარავში დასხდომილნი უფლებამოსილნი უნდა ყოფილიყვნენ, განავონ (გადაწყვეტიონ) „მიცემისა“ და „მოღებისა“ (წართმევის), „წყალობისა“ და „შერისხვის“ ყველა საქმე საქართველოში, რითაც გადმოცემულია ყველა ის უფლება და კომპენტენცია, რაც მანამდე მეფის პერუგატივას შეადგენდა.

საერთოდ, ყუთლუ-არსლანის აღნიშნული მოთხოვნები მოიცავენ მეფის ხელისუფლების ყველა მხარეს მთლიანად. როცა „წყალობისა“ და „შერისხვის“ უფლება კარვისელთა ხელში გადადიოდა, მეფის რომელ უმაღლეს მართლმსაჯულებაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს? თუ მეფე თავის შეხედულებისამებრ კაცს ვერ „შეიწყალებდა“, ანდა „შერისხავდა“, უმაღლესი მართლმსაჯულების რომელი მხარე რჩებოდა მას ამის მერე, ძნელი წარმოსადგენია. იგ. ჯავახიშვილის აზრი, რომ „წყალობისა“ და „შერისხვის“ უფლების მათ ხელში გადასვლა მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციების მითვისებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა, სწორია. შეეძლო თუ არა, მაგალითად, მეფეს კარვისელების შერისხვა? ჩამოკრთობა სახელო და მამული, სიკვდილით ან გაძევებით რომელიმე მათგანი დაესაჯა? რა თქმა უნდა, არა. ანდა, ვთქვათ, ომისა და ზავის უფლება, მიუხედავად იმისა,

რომ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნებში მოხსენიებული არაა, მეფის ხელში რჩებოდა? თუ კი ვერც თამარის წინაპრები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა დაუქითხავად ვერ წყვეტდნენ ამ საკითხებს, ვისი დახმარების იმედით შეიძლება იმდენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო აღარ რჩებოდა? (კარავი რომ დაარსებულ იყო, სამეფო კარზე მხოლოდ სასახლისა და სამეფო მამულების გამგებელ-მოხელენი შერჩებოდნენ).

ომისა და ზავის საკითხებზე ვაზირობა ბჭობის დროს პირველი სიტყვა ამირსპასალარს უნდა ეთქვა და, როცა ის სამეფო კარზე კი აღარ იყო, არამედ კარავში იჯდა და მეფეს მასთან და სხვებთან მოთათბორების საშუალება არ ჰქონდა, ეს დარგიც კარვისელების განსაგებელი იქნებოდა თუ მეფისა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამარს ლაშქარი აღარ ემორჩილება, რადგან ის ძირძველ დიდებულთა ინტერესებს იცავს თამარის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. თამარს, ცხადია, მთავარსარდლობაც ჩამორთმეული იქნებოდა კარვისელთა მიერ, რაც ფაქტობრივად მანამდეც ასე იყო. ერთი სიტყვით, ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა მხარე კარვისელების ხელში გადადიოდა და მე არ ვიცი, რა საბუთიანობით შეიძლება ითქვას, რომ მეფეს ამის შეზღვევაც რჩემოდა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება. მეფეს რჩებოდა მხოლოდ კარავში მიღებულ გადაწყვეტილებათა დამტკიცების უფლება-მოვალეობა, ნებად და თუ არ ნებად. მიინცდამაინც თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ გამოვხატავთ, მეფეს რჩებოდა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ფორმალურად.

„...ვტკადრებდით და ვაცნობებდით თამარს, მეფესა და დედოფალსა, — მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“, — ამაში ის აზრია ჩადებული, რომ მეფემ უნდა დაამტკიცოს კარავში გადაწყვეტილი, რითაც მას ეძლევა კანონის ძალა, რომელსაც მერე ცხოვრებაში ისევ კარავი გაატარებს და არა მეფე (ამაში ილ. ანთელავა სწორია). ყუთლუს სიტყვებში: „მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“, — პირდაპირაა მინიშნებული, რომ მეფეს მხოლოდ კარვისელთა განგებულის დამტკიცება ევალებოდა, რადგან მას veto-ს უფლება რომ ჰქონოდა, ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანის მოთხოვნებში ამ არსებით მომენტს არ გამოტოვებდა: „(და თუ ენებოს), მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“-ო. მეფეს რომ ამის უფლება დარჩენოდა, მას შეეძლო მანამდე დაერღვია კარავ-სელთა განგებული, სანამ მათ მისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ მიაღებინებდა. მაგრამ ყუთლუსა და მასთან თანაშემფიცულთ მეფის აზრი და სურვილი ფაქტობრივად არ აინტერესებთ. მეფეს უნდა „ეცნობოს“ მხოლოდ მათი განგებული და მიაჩნიათ, რომ ამის შემდეგ ის ძალაშია შესული, ე. ი. უნდა თუ არა, მეფეს მისი დამტკიცების იქით გზა არ დარჩენია. ამიტომ ამბობს ისტორიკოსი, ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა მისი ხელმწიფობის დასაბრუნებლად ნიშნავდაო. ასევე გაიგო ეს ეახუშტიმ: „ენებოს თუ არ ენებოს, თამარ დაამტკიცოსო“<sup>11</sup>.

ამასვე მიუთითებდა თავის საარქივო მასალებში არაერთგზის ნ. ბერძენიშვილი: „ყუთლუს პროგრამა... სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შეუტილებლად ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად“<sup>12</sup>; „უკიდურესი რეაქციონერება,

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 171.

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 148.

ყუთლუსიტები, მათ მეფის ხელმწიფობის გაქრობა ენებათ და ხელმწიფობას ხელში ჩაგდება<sup>13</sup>.

ერთი სიტყვით, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ მეფეს რაღაც უფლებები კიდევ რჩებოდა და, თითქოს, საკმაოდ მნიშვნელოვანიც (კიდევ უფრო მიუღებელია აზრი, თითქოს, ყუთლუ-არსლანს სწორედ მეფის ცენტრალურ-ხელისუფლების გაძლიერება ჰქონდაო მიზნად). ეს დიდგვარიანები, ხომ დავინახეთ, ამ გამოსვლების დროს როგორც იქცეოდნენ. მეფის სურვილიდან გამოდიოდნენ, როცა ყუბასარსა და აფრიდონს (სწორედ ცენტრალური ხელისუფლების ბურჯებს) ამხობდნენ? მეფისა და სახელმწიფოს ინტერესებს ითვისებდნენ, როცა დამხობულ ხელისუფალთა სახელოებს ინაწილებდნენ? მეფე მათ მხოლოდ კარავში მიღებული გადაწყვეტილების დასამტკიცებლად უნდოდათ (მეფის „თვითმპყრობლობა“ აქამდე დაყავდათ). იცოდნენ რა, მეფობის გაუქმება მთლიანად შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელიც იმ ვითარებაში, ამიტომ თუ მეფის სახელით ამ დიდებულთა „განგებული“ ეცნობებოდა ხალხს, ეს ყველაზე მოხერხებული ფორმა იქნებოდა კარვისგლთა ფაქტობრივი ხელმწიფობისა ქვეყანაში.

ისტორიკოსის მიერ აღწერილი მოვლენების მსვლელობით ისე ჩანს, რომ ყუთლუ-არსლანი დაპატიმრებამდე სასახლის კარზე მოქმედებს და არა გარეუბანში უყენებს მეფეს მოთხოვნებს. ეს გასაკვირი არცაა, ის ხომ მეჭურჭლეთუხუცესი იყო. ამით უნდა ახსნებოდეს, რომ დაპატიმრებისას ლაშქარი მათთან არ ხლებია, რადგან „ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა“, იმას ნიშნავს, რომ იმ მომენტში ეს კაცი მათთან არ იყო ფიზიკურად. ამიტომ მოინდომა ალბათ ისინი სასახლის აღება ამ ლაშქარმა, რათა მეფე კი არ შეურაცხყო<sup>14</sup>, არამედ ყუთლუ-არსლანი გაათავისუფლონ, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სასახლეში ჰყოლიათ გამოკეტილი (კონკრეტულად სასახლის კომპლექსში შემავალ ისინი ციხეში). სხვა შემთხვევაში თამარი ვერ გაბედავდა და ვერც შეძლებდა ყუთლუს სასახლის გარეთ დაპატიმრებას, რადგან ეს საქმე მაშინ მეფისა და მეჭურჭლეთუხუცესის მომხრეებს შორის შეტაკებით უნდა გადაჭრილიყო და არა მოლაპარაკების გზით.

ყუთლუს მომხრეთა „ლაშქარი“ ის „სპა“, უეჭველია, თამარის მეფედ კურთხევაში რომ ცხოველი მონაწილეობა მიიღო: „თაყუანისცეს, დალოცუნდა აღიდგინ სპათა შუდისავე სამეფოსათა“-ო. ეს „სპა“ სწორედ „შუდისავე სამეფოს“ დიდებულ-ხელისუფალთა მიერაა გიორგი მეფის დასაფლავებასა და თამარის გამეფებაში მონაწილეობის მისაღებად მოყვანილი და ერთვად საპატრონუმო ლაშქარს წარმოადგენს და ამ მიზეზით ამირსპასალარის, ვითარცა სახელმწიფოს სამხედრო უწყების განმგებლის, კონტროლიდან გამოსულია მთლიანად. მეტად ხელსაყრელი დრო<sup>15</sup> დაუდგათ დიდგვარიანებს, რომლებიც თავიანთი რაზმებითურთ თბილისში შემოიკრიბნენ და შეეცა თვითმპყრობლური ტენდენციების წინააღმდეგ საერთო ენა გამონახეს.

ამ საქმის წამომწყებად და ორგანიზატორად, მოვლენების შემდგომი მსვლელობით ირკვევა, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ყოფილა, რომელიც

13 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 152.

14 იქვე, გვ. 142—143.

15 თამარის მეორე ისტორიკოსიც მიგვანიშნებს პირველ ისტორიკოსთან მოხსენიებულ ამ „ვიეთმე ხელისუფალთა“ გამოსვლის დროზე: „...ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყებასცე ამისსა მეფობისასა“-ო.

ლიც, ჩანს, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო უგვარო ხელისუფალთა მორჩილებასი ყოფნით და ამის გამო, დიდებულთა ამ მოძრაობას შეიძლება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეწოდოს იმთავითვე.

ფაქტობრივად ეს მოძრაობა დიდგვარიანთა არაორგანიზებულობის<sup>16</sup> მსხვერ-ბლი გახდა, რაც მათ წინააღმდეგ მიმართულმა მეფის აქტიურმა მოქმედებამ ბოლოს კიდევ უფრო დააჩქარა. მართალია, წინამძღოლის დაპატიმრების გამო ისინი ერთხელ კიდევ შეკავშირდნენ და იარაღიც აეღარუნეს, მაგრამ შინა-განად უკვე გატეხილი იყვნენ (არც ისე ადვილი აღმოჩნდა მეფის გარეშე სახელოების ურთიერთშორის განაწილების საქმე, როგორც ეგონათ) და ამის გამო თამარმა დაპირებებისა და დათმობების აღთქმით მალე მოიყვანა ისინი მის წინაშე „დავრდომით თაყუანისცემის“ მიზანშეწონილობის ჭკუაზე.

ყუთლუ-არსლანის გაქვების შემდეგ, თამარი მისი ყოფილი მომხრეების „თანადგომითა და ერთნებაობით“ „ვაზირთა და სპასპეტთა“ დანიშნვისა და დამტკიცების საქმეს შეუდგა თვით ამ ხალხისავე წრიდან, რა თქმა უნდა (ამის გამო იყო, რომ იმ „ვიეთმე ხელისუფალთა“ შორის ამათი სახელდებით მოხსენიება. ვითარცა „ბრალობა“ ახსნილთა და შეწყალებულთა, მოგვიანებ-ბით ისტორიკოსს უკვე მიზანშეუწონლად მიუჩნევია). ეს იყო თამარის პირვე-ლი დამოუკიდებელი მოქმედება ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მამის გარდაცვალების შემდეგ. ამდენად, ისტორიკოსის ცნობა, რომ „კუალად და-ჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა... პირველად გარდაცვალებსა და გამორჩევასა შინა ორთა — ვაზირთა და სპასპეტთასა...“, — თამარის ხელ-მეორედ („კუალად“) ტახტზე დაჯდომას ნიშნავს („კუალად“ ალბათ იმითომ, რომ მანამდე მის ტახტზე ყოფნას ყუთლუ-არსლანის მომხრეთა საქმიანობით და მოთხოვნებით რეალური შინაარსი გამოცლოდა) და პირველ დამოუ-კიდებელ სახელმწიფოებრივ საქმიანობას გიორგი მეფის სიკვდილის შემ-დეგ, რაც შემოაღნიშნულ ხელისუფალთა განჩენაში გამოიხატა. საკვირველია, რომ მისი ტექსტის ბოლო გამომცემელმა ი. ჯავახიშვილის შეხედულებიდან გა-მონდინარე ამ „გარდაცვალებაში“ ქართლის კათალიკოსის და ჭყონდიდელ-წიგნობართუხუცესის მიქელ მირიანისძისა და ამირსპასალარ გამრეკელ თა-რელის გარდაცვალება იგულისხმება, რაც ამავე ისტორიკოსის ცნობებს აშკა-რად ეწინააღმდეგება<sup>17</sup>. არანაკლებ საკვირველია, რომ მკვლევრებმა ზემოხსენე-ბულ „გარდაცვალებაში“ ისტორიკოსის მიერ ნაგულისხმები გიორგი მეფის სიკვდილი ვერ შეიცნეს. ყველა შემოაღნიშნული მოვლენა ერთმანეთის მი-დევნებით იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ გიორგი III-ის დაკრძალვასა და თამარის გამეფებაში მონაწილე დიდებულები და სპა ჯერ კიდევ დაშლილი არ ყოფილა. ამდენად გამორიცხულია, ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რომელიც თამარმა სხვა ხელისუფლებთან ერთად დამტკიცა და განაჩინა, დროის ამ მონაკვეთში ვაზირობა კიდევ დაეკარგა და ხელმეორედ კიდევ მიე-ლო. მხედველობაში გვაქვს ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხ-მოკიდებული შეხედულება, რომლის თანახმად კათალიკოს მიქაელ მირიანის-ძეს ანტონ გლონისთავისძისთვის ვაზირობა წაუთრთმევია გიორგი III-ის გარდა-ცვალების უმაღლე, ანდა თამარის გამეფებისთანავე. საცხებით მართალი

16 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 148.

17 შ. მესხია, თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 138—139, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, გვ. 138—139.

იყო ი. ცინცაძე, რომელიც თვლიდა, რომ თამარმა ანტონი ხელმეორედ კი არ დანიშნა მწიგნობართუხუცესად, არამედ სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით გამეფებისთანავე მხოლოდ „დაამტკიცა“ და რომ ეს სახელო მიქაელ მირიანისძემ „მოივერაგნა უფლისაგან“ მოგვიანებით<sup>18</sup>.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა, რომ ანტონ გლონისთავისძე ხელმეორედ „დასუეს ვაზირად“ მიქაელის გარდაცვალების შემდეგ 1191 წელს, საეკვო არაა. ამ დროს ორივე ისტორიკოსის ცნობით, სხვებიც შეიწყალეს და თუ „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი მათ შორის ანტონს არ იხსენიებს, იმიტომ კი არა, რომ ამის შესახებ მან უკვე გვამცნო ხელისუფალთა 1184 წლის დანიშვნისას, არამედ, ვითარცა თამარის ხელისუფლების მორიგი მარცხის მოწმობა, უნდა ვითქვითო, მიჩქმალა შეგნებულად (იქნებ ამავე მიზეზითაა, რომ მეორე ისტორიკოსმა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ არაფერი თქვა და, როგორც სასულიერო პირმა, მხოლოდ კათალიკოსის „წინაუქმობა“ ვერ დაფარა). ასეც რომ არ იყოს, გამოთქმებში: „ბრძანა დამტკიცება ვაზირად“ და „მოიყვანა... და დასუეს ვაზირად“, თუ ჩატუკვირდებით, სხვადასხვა აზრია ჩადებული. „დამტკიცება“ პირველ ისტორიკოსთან უკვე განჩენილის დადატურების აზრით იხმარება, ხოლო „დასუმა“, თანამდებობაზე ახლად აყვანას ნიშნავს, თუნდაც ეს ხელმეორედ ყოფილიყო.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ჩათაგებისთანავე, როგორც ვთქვით, თამარმა „გამოარჩია“ და „დაამტკიცა“ ვაზირი და სხვა უმაღლესი ხელისუფალნი „თანადგომითა და ერთნებაობითა შუდთავე სამეფოთა დიდებულთათა“. ისტორიკოსი მათ უმრავლესობას სახელებით ჩამოთვლის და ბოლოს დასძენს: „და სხუანი ჯელისუფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისაებრ სახლისა“<sup>19</sup>.)

ამ ბოლო სიტყვას, რადგან ხელნაწერებში მის ნაცვლად გაუგებარი „სა-ლისა“ წერია, ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად კითხულობენ, მაგრამ მისაღება მხოლოდ კ. კეკელიძის მიერ აღდგენილი „სახლისა“, რაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ბოლო გამომცემელმა ს. ყაუხჩიშვილმაც გაიზიარა სამართლიანად.

ისტორიკოსი ამ სიტყვას მოცემულ კონტექსტში ხმარობს განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვით: არა ისე, ვითარცა ყუთლუს უნდოდა მეფის გარეშე კარავში გადაწყვეტილიყო ეს საქმე, არამედ ჩამოთვლილი ხელისუფალნი თამარის ნებაყოფილობით „სამეფო ტაძრისა და საყდრის წინაშე მდგომელებად“ (ე. ი. სამეფო სასახლის ყმებად) „წესისაებრ სახლისა“ (სამეფო ანუ სახელმწიფო სახლი იგულისხმება) „განაჩინეს“-ო. თამარის ისტორიკოსი ამ გამოთქმას უფრო სრულად სხვაგანაც ხმარობს: „წესისაებრ სახლისა საკელმწიფოსა მიეგებნენ დიდებულნი პატივითა და სიყვარულითა“ მუტაფრადინსო. სწორედ „წესისაებრ სახლისა (საკელმწიფოსისა)“, ამბობს ისტორი-

<sup>18</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), 1956, გვ. 120—121.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

კოსი, მოხდა ზემოხსენებულ ხელისუფალთა განჩენა და არა „სიახლოსა“ თუ „ახლისა“ წესით<sup>20</sup>.

А. А. БОГВЕРАДЗЕ

## О ВЫСТУПЛЕНИИ КУТЛУ-АРСЛАНА И ЕГО СТОРОННИКОВ

(к анализу текста)

Резюме

Сведения по исследуемому вопросу имеются в сочинении первого историка царицы Тамары. Тщательный анализ текста привел автора статьи к выводу, что выступление группы Кутлу-Арслана началось сразу же после воцарения Тамары ультиматумом родовитой аристократии, которая потребовала изгнания из центрального аппарата управления высокопоставленных, но «безродных» сановников. Знаменитая политическая программа, которая чуть позднее была выдвинута Кутлу-Арсланом с целью крайнего ограничения царской власти, была вызвана разногласиями, которые возникли среди этих феодалов при дележе постов свергнутых чиновников. Опасаясь возможности использования царицей разногласий в свою пользу, мечурчлетухуеси (министр финансов) Кутлу-Арслан и его сторонники потребовали переноса центрального аппарата управления из царского двора в так называемый карави. Члены этого учреждения, состоящего из родовитой служилой знати, должны были решать все важнейшие вопросы государственного управления и правосудия. Царице оставалось только вынужденное утверждение вынесенных ими постановлений, после чего они приобретали силу закона. Из-за несогласованности интересов выступление Кутлу-Арслана и его сторонников окончилось поражением.

<sup>20</sup> ასევე გასასწორებელია გამოთქმა „წესისაებრ სახელისა“ სუმბატ დავითის ძის მატანის დასასრულს — „წესისაებრ სახლისა“-დ. აღნიშნული გამოთქმა ამ თხზულებაში იხმარება ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლის საბერძნეთში გამგზავრების მიზნის გადმოცემისას: „წარიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშუღიბა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნა დაწყყარებულ და მყუდრო იყვენენ, და რათა მიუთხრეს (მიუთხოვოს?) პატივი ძესა თჳსსა ბაგრატსა მეფესა წესისაებრ სახელისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386). ამ გამოთქმის სწორი ფორმა და აზრი დაედო ქართლის მატრიანეში იმავე მარიამ დედოფლის მისიის თხრობისას: „წარიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშუღობისა და ერთობისა, და კჳლად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათჳს თჳსისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესისა სახელისა მათისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 294).



# პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## სამართალი ვახტანგ მემქნისა.

ბაქსი დაბაძინა, გამომცემი და

საქიპლავი დაუროთი იხილორე დოლიძე, თბ., გამ. „მეცნიერება“, 1981 წ.

სამართლის ისტორია საზოგადოებათმცოდნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დარგია, აქტიურად ეხმარება დღევანდლობას და მის შესწავლას დიდი მეცნიერული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

საკანონმდებლო ძეგლებში, უფრო მეტად ვიდრე სხვა რიგის წერილობით წყაროებში, არეკლია ამა თუ იმ ეპოქის სოციალურ-უფლებრივი ცხოვრება, მისი განვითარების დონე და შინაგანი ტენილები.

სამართალი იქ, სადაც იგი კონკრეტული ქვეყნის ობიექტურ სინამდვილეს შეესაბამებოდა, იცავდა ადამიანებს შორის ნორმალურად მიზნულ ურთიერთობას და ხელს უწყობდა მის შემდგომ განვითარებას.

არსებოთ განსხვავება კლასობრივ ჩაგრაზე დამყარებულ სახელმწიფოთა კანონებსა და სოციალისტურ პრინციპებზე აღმოცენებულ სამართლებრივ ნორმებს შორის. პირველ შემთხვევაში სამართალი იცავს გაბატონებული კლასების ინტერესებს, ხოლო მეორე შემთხვევაში გამსახურება მთელი ხალხის მატერიალურსა და სულიერ მოთხოვნებს.

კანონი, იცავდა რა წესრიგს სახელმწიფოში, გარკვეული ისტორიული ეპოქის მიხედვით იქმნებოდა და ცხოვრების დიალექტიკის შესაბამისად იცვლებოდა.

ფეოდალური ეპოქის მსოფლიოს სამართლებრივი აზრის განვითარების ისტორიაში სათანადო წვლილი უდევს ქართული სამართლის ძეგლებსაც.

ძველი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას საღებველი ჩაუყარა ქართველი ხალხის დიდმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ივ. ჯავახიშვილმა. მისი საქმიანობა წარმატებით განაგრძეს მისმა მოძველებმა და მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც თანამედროვე ეტაპისათვის შესაფერისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით გააძლიერეს, ახალ საფეხურზე აიყვანეს ზოგადი სამართლისმცოდნეობა.

დიდი წვლილი შეიტანა სამართლის ისტორიის კვლევაში საქართველოს სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსმა, განსვენებულმა ი. დოლიძემ. 11. „შპაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 4

1962—1985 წლებში მან გამოაქვეყნა „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეული სათანადო კომენტარებითა და ლექსიკონებით. ამით ავტორმა უმდიდრესი და საყმაოდ კრატეულად შესწავლილი მასალა მოაწოდა არამარტო სამართლის მკვლევრებს, არამედ, საერთოდ ქართველთა ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მრავალრიცხოვან სპეციალისტებს.

„სამართალი ვახტანგ მემქნისა“, უდავოდ, გამოირჩევა ი. დოლიძის პუბლიკაციებს შორის. კრიტიკულად დადგენილ ტექსტს წააქარებელი აქვს ვრცელი, ღრმამზინარსიანი მეცნიერული გამოკვლევა. შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპის სამართლის ისტორიის საკითხებში ღრმანახედული ავტორი აბასიათებს ვახტანგის სახელით ცნობილი „კანონთა კრებულის“ ეროვნულ და ზოგადისტორიულ მნიშვნელობას. ამ ფონზე მისი მთავარი ყურადღების საგანია საკუთრივ ვახტანგის ავტორობით შედგენილი სამართალი. ამასთან ახლებურადაა დასმული და გარკვეული ქართული სამართლის ისტორიის ზოგიერთი სადავო საკითხი.

ი. დოლიძემ კიდევ ერთხელ და რეკლამურად წარმოაჩინა სწავლამდებელი, მეუთა შემოკმელება სამართლის დარგში, გვიჩვენა მისი სულიერი განწყობილება, მეტ-ნაკლებად გამძლე ნებელი მისივე კანონებში. ნათლად მოჩანს, რომ ძნელია მიუღწევად მეფე-პოეტისა და მეცნიერი-მოქალაქის შეფასებას მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესთა დაცვის პოზიციებიდან. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ვახტანგი „თავისი კანონმდებლობით შეეცაოა ოტოთი მაინც შეემსუბუქებინა ყმა გლეხის მდგომარეობა და ერთგვარად შეკრბილებიას ბატონყმური კანონმდებლობისა და წესჩვეულებათა სასტიკი ხასიათი. ვახტანგის მეგობრად ამას მისი პიროვნული თვისებებით, მისი პუნანტრობით ხსენის, რომ იგი იყო „ქერიე-ობოლთა და გლახაკთა მიმცემი, უღონოთა შემბრალე“. ცხადია, „ზენსრული გამგებლის“ ეს თვისებებიც მხედველობაშია მისაღები, მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნა ქართლის ფეოდალური საზოგადოების კოდექსია,

რომელიც აკანონებს მემამულეთა ბატონობას ყმა გლეხებზე“.

კანონთა მუხლობრივი ანალაზის საფუძველზე განსაზღვრავს ი. დლომი მთა სოციალურ შინაარსს, ავლენს ზოგად ტენდენციას, მიმართულს მწარმოებელთა ინტერესებისა დაცვისა და ფეოდალური თვითნებობის ნაწილობრივი აღგავისაკენ. ამ თვალსაზრისით განსაუხრობებული მნიშვნელობა ჰქონდა კანონმდებლის ერთგვარი მუქარას ბატონებისადმი — „ნურა კაცი თავის ყმას ძალს ნუ დატყავს, თორემ წავა, ვეჭუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, ზელმწიფეს ეყმობა და ყმა დეკარგება“. სახაზრო ყმათა რიცხვის ზრდა, თავისი ობიექტური შედეგებით, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნამდვილად ზღუდავდა ბატონყმობას XVIII საუკუნის საქართველოში.

ვახტანგი, როგორც ჩანს, ცდილობდა ერთმანეთთან შეეთავსებინა ბატონყმობა და „ჰუმანიზმი“. სამართლის აბალი კოდექსის შედგენაში მან მოიხვედია დაბალი ფენების წარმომადგენლებიც — „ჰუიანი კაცები“. მეტად მიმზიდველია და დღესაც აქტუალური ქვარადობა აქვს მის მოთხოვნებს სამართლის მოხელეთაში: „გამომძიებელი“ უნდა იყოს „დიდი“ მხარვედი“; „ქართამი არ უნდა ინდობოს“, მის მიერ საქმის ძიებაზე არ უნდა იქონიოს გავლენა ძმობა-მეგობრობამ, „სიყვარულმა“ ან „მტრობამ“; არაის „შიში და „მორიდება“ არ უნდა ჰქონდეს; მხოლოდ „მულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭიროს და მართალი საქმისათვის უნდა გააპიროს“; მეტად მნიშვნელოვანია მეფე-მმართველისადმი წყაყნებული მოთხოვნა — „შეუძლებლად მეფობას უქნელობა საქობს და კულის აღება“...

ვახტანგ VI-ის სამართალს, როგორც ჩანს, გარკვეულად კეთილისმყოფელი გავლენა უნდა ჰქონოდა ალექსანდრე ამილახვრის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებზე, რომლებიც მან ჩამოაყალიბა თავის ცნობილ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“. XVIII ს-ის 70—80-იან წლებში.

ქართლის განათლებული მეფე ვახტანგი ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ფეოდალური ეპოქის ისტორიაში და, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო ვითარების იმ მოწამულულ ატმოსფეროში, რომელშიც წ.ს უხდებოდა მოღვაწეობა, სწორედ აღნიშნულმა ჰუმანურმა მიდრეკილებამ და გულახდილობამ, სხვა ძირითად მიზნებთან ერთად, რამ-

დენადმე ხელი შეუწყო კიდევ მისი და მისივე სამეფოს ტრაგედიას XVIII ს-ის 20-იან წლებში. ქართლი ხომ მაშინ ვერავა დასაყრობლების გარემოცვაში იმყოფებოდა...

ძველის გამომცემელი რელიეფურად ასახითებს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას; კერძოდ, საკუთრივ ვახტანგის სამართალი, — დასკვნის ავტორი, — ყველაზე მნიშვნელოვანი კანონმდებელი ძველია. იგი წარმოადგენს მთავარსა და უჩვეულოდ წყაროს გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების შესასწავლად“. მოცემულია აგრეთვე ძველის შედარებითი შესწავლის ცდა. ავტორის აზრით, მართალია, ვახტანგის სამართალში გადმონათესი სახითაა შემორჩენილი სასამართლო ორდალების ფორმები, მაგრამ მისთვის მანც უცხო იყო აბრალდებულის ტყვე-წყალობით გამოტეხის საშინელი ხერხები... აგრეთვე მსჯავრდებულის სოკილით დასჯის შემაძრუნებელი და შეშარაგი სახეები... რომლებიც გათვალისწინებულია იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის კანონმდებლო ძეგლებით. ამ მხრივ ვახტანგის სამართალი გაცილებით უფრო პროგრესული, ღმობიერი და ჰუმანური, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების მისი თანამედროვე სჯულმდებლობა“.

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ კანონთა კრებულში შეტანილი ძეგლებიდან საუკლებულო ძალა მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის პირი შედგენილ სამართალს ჰქონდა. სადავოდა მიზნული, მაგალითად, კრებულში შეტანილი XI—XIV სს. კანონმდებლობის სავალდებულო ძალა. ი. დლომის მიერ მოზმობილი ფაქტები კიცხადავით, რომ ძველ კანონებსაც ჰქონდათ ასეთი ძალა. იგი დაასკვნის, რომ „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო განჩინებები ვეიცავენ მითითებებს ბეჭა-ადბულის კანონთა გამოყენების შესახებ“. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ქართლის სამეფოსათვის შექმნილი სამართლის ეს კრებული მალე მთელ საქართველოში გავრცელდა; სლომონ II მას „იმერეთის სამართალს“ უწოდებდა.

ვახტანგის სამართლის ზოგადქართული მნიშვნელობა ნამდვილად ერთ-ერთი ფაქტორი იყო იმ დიდი მიზნის განხორციელების გზაზე, რომელიც „ყოველი საქართველოს“ ანუ „ზემო“ და „ქვემო“ ივერიის, პოლიტიკური გაერთიანებას ისახავდა მიზნად“.

1 ი. მ. დ. დუმბაძე, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 719—731).

ი. დოლიძე სწორად გვიჩვენებს ესტანგის სამართლის მეგვიდრეობით კავშირს ბუქა-ალბულის სამართალთან. მათ შორის სამსაუფუნოვანი ზღვარი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ფეოდალიზმის ერთგვარი დაჩიხულობის გამო, ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საფუძვლიან გარდაქმნებს არ ჰქონია ადგილი, რომ ძველი ბატონმურის სამართალი მთლიანად უარსაყუფელი გამხდარიყო. ამიტომაც ი. დოლიძეს ჰქონდა საფუძველი ემტციებინა, რომ კრებულში შეტანილი ძველი პერიოდის სამართლის ძეგლებიც „მოქმედ სამართალად“ ვანიხილებოდა. ეს დებულება შეიძლება სადავო იყოს; „ძველსა“ და „ახალს“, რა თქმა უნდა, თანაბარი ძალა არ ექნებოდათ. ავტორიც ვითითებდა, რომ კრებულში შეტანილი კანონებს „მეტნაკლებად გამოყენება ჰქონდა სასამართლო წარმოებაში“, უპირატესობა კი „საქუთრივ ვატანავის სამართალს ჰქონდა“.

ვახტანგ მეექვსის სამართალი ი. დოლიძემ პირველად გამოსცა 1963 წელს „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში, ვატანავის ამავე სამართლებრივ კრებულთან ერთად.

მაშინდელ გამოცემაში საკუთრივ ვატანავის კანონები წარმოდგენილი იყო ორი ნუსხით. 1981 წ. პუბლიკაციის ტექსტოლოგიური საფუძველი უფრო ფართოა — უკვე 4 მნსმენლოვან ხელნაწერს ემყარება — და ამდენად გაცილებით სანდოც არის. შეიძლება ითქვას, რომ მკითხველებმა მიიღეს კრიტიკულად დაღვინილი ტექსტი. უპიკველად მნიშვნელოვანია გამომცემლის მიერ ტექსტოლოგიური ბაზის

საფუძვლიანი დახასიათება, ძეგლის შესაბამისა ნუსხების დაწვრილებითი აღწერითა და მათი ავკარგინაობის ჩვენებით; სრულყოფილი გამოირჩევა „ტერმინოლოგიური სპიივბელი“ და სხვ.

ვახტანგ VI-ის სამართლის 1981 წ. გამოცემა ი. დოლიძის ხანგრძლივი ტექსტოლოგიური ძიების ნაყოფია და შედეგად თკლსაჩინოა; ამისათვის ავტორს აკადემიკოს ნიკო ბერაენიშვილის სახელობის პრემია ჰიენიება.

ამჯერად ჩვენ არ შეგჩრდებით ამ წერილის შესავალში მოხსენიებული „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულზე. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ი. დოლიძის მიერ განხორციელებულმა ფუნდამენტურმა ნაშრომმა გულთბილი გამოხმარება პოვა ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო ჟურნალებსა და განვითარებაში (წარდგენილი საქ. სსრ სახელმწიფო პრემიაზე 1989 წლისათვის). შედარებით ვრცლად დავახასიათებთ ვატანავის სამართლის ავტორისეული გამოცემა. ამით შევეცადებთ გვიჩვენებინა თუ როგორი თავდადებითა და ღრმა მეცნიერული კეთილსინდისიერებით ილწვოდა იგი წერალობითი ძეგლების გამომწეურებისათვის.

ქართველოლოგიის მკვლევრები ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოახსენიებენ აკად. ი. დოლიძის დიდ ღვაწლს ფეოდალური საქართველოს ისტორიისა და სამართლებრივ კულტურის შესწავლაში.

მამია ღუბაძე

**М. М. ГРОМЫКО, ТРАДИЦИОННЫЕ НОРМЫ ПОВЕДЕНИЯ И ФОРМЫ ОБЩЕНИЯ РУССКИХ КРЕСТЬЯН XIX в. М., «Наука», 1986, 275 с.**

უკანასკნელ წლებში მკვლევართა ინტერესი ქვეყნის ტრადიციული ნორმებისა და ურთიერთობის ფორმათა შესახებ საგრძნობლად გაიზარდა. ამ გლობალური პრობლემის ცალკეულ, კონკრეტულ საკითხებს თუ ზოგად-თეორიულ მხარეს არაერთი მკვლევარი შეეხო.

ამგვარი დანიტრეგება გამოიწვია აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობამ ამა თუ იმ ხალხს წეს-ჩვეულებების შესწავლის საქმეში. რუს გლეხთა ქვეყნის ნორმებისა და ურთიერთობის ფორმების შესწავლას მიექმენა მ. გრომიკის ნაშრომი, რომელიც შედგება შესავლის, სამი

1 Бгажников Б. Х., Коммуникативное поведение и культура (к определению предмета этнографии общения) — СЭ, 1978, № 5, с. 3—17, Першиц А. И., Проблемы нормативной этнографии. — В кн. Исследования по общей этнографии, М., 1979, с. 7; Байбурина А. К., Этнические аспекты изучения стереотипных форм поведения и культура. — СЭ, 1985, № 2, с. 36—46; Этнические стереотипы поведения, под ред. А. К. Байбурина, Ленинград, 1985; Громыко М. М., Трудные традиции русских крестьян Сибири (XVIII — первая половина XIX в.). Новосибирск, 1975; მისივე: Проблемы и источники исследования этических традиций русских крестьян XIX в. — СЭ, 1979, № 5.

ნაწილის, შეიდი თავის, ოცი პარაგრაფისა და დასკვნისაგან. კვლევის კონკრეტული ობიექტია ქვეყნის ისეთი ნორმები, რომელიც რაკეტული-დემბოდა არა იტარდებოდა დადგენილებებით, არამედ თითქმის მთლიანად მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით.

„მონოგრაფიის ავტორი, ითვალისწინებს რა ოთხ მომენტს (შრომის, დასვენებას, თაობათა ურთიერთობისა და საოჯახო ურთიერთობათა ერთობს), შენიშნავს, რომ ცალკეული სოფლების მცხოვრებლებს შორის მკვიდრო ურთიერთობა ყალიბდებოდა, რაც დაუქმებულთა იყო სამეურნეო საქმიანობაზე, ნათესაურ კავშირებზე; სამეზობლო კონტაქტებზე, მეგობრულ სიმართობას და ა. შ. ამის შესაბამისად 2. გრომერს გამოყო ურთიერთობათა ოთხი კომპლექსი: 1. ნათესაურ ურთიერთობათა, 2. სამეზობლო ურთიერთობათა, 3. სამეურნეო ურთიერთობათა, 4. სქესობრივ-ასაკობრივ ურთიერთობათა და ა. შ. არანათესაურ ურთიერთობათა კომპლექსი.

როგორც შესავალშია აღნიშნული გლეხობის მკვლევარ ტრადიციული ნორმების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები თავისი წარმომადგენლის მიხედვით შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გავყოთ: 1. დამკვირვებელი მიერ სამეცნიერო ან სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ჩატარებული აღწერები, 2. წყაროები, რომლებიც საკუთრივ სოფლებიდან მომდინარეობდა გლეხობის ყოველდღიური ცხოვრებას შესახებ.

ძირითადი ორგანიზმი, რომელშიც ავტორი საკვლევ საკითხს იხილავს, არას XIX ს-ის რუსული სამეზობლო, ტერიტორიულა თემი, რის შესახებაც იგი წერს: «Крестьянская территориальная община живой социальный организм, характер которого определялся ходом общественного развития страны в целом. Мы исходим из двойственности положения общины в системе общественных отношений, России: являясь действительным и важным институтом своего времени, община, с одной стороны, осуществляет фискальные и административные функции государства, с другой — защищает хозяйственные и социальные интересы самих крестьян. Существовал и дуализм общины другого плана: соединение в поземельных отношениях интересов коллективного (общины в целом) и индивидуальных держателей земли» (с. 23).

საყურადღებოა მკვლევრის ზოგად თეორიული პოზიცია პრობლემის კვლევასთან მიმართებაში. იგი შენიშნავს, რომ მონოგრაფიაში

აღმრულ საკითხებს ეთნოგრაფები და ფოლკლორისტები უპირატესად ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით სწავლობდნენ, რომლის მიზანია ამა თუ იმ წეს-ჩვეულებაში არქაული ელემენტების გამოყვანა და მისი აღრიცხვა ფორმების აღდგენა. ე. გრომიკო შემდეგ წერს: «Не умаляя ни в коей мере значения историко-генетических исследований обычаев, мы ставим перед собой принципиально иную задачу: определение их места, их значения в общественной жизни данного периода, рассмотрение их как части общественного быта русской деревни XIX в.» (с. 25).

როგორც ვხედავთ, ავტორის პოზიცია ნათელია. მისი კვლევა მიმართულია მოცემულ მომენტში ამა თუ იმ მოვლენის, წეს-ჩვეულების ფუნქციური დატვირთვის ახსნისაკენ. მართებულია ე. გრომიკოს შეხედულება იმის თაობაზე, რომ ისტორიულ-გენეზისურა და ფუნქციური კვლევის ამოცანათა ატრავსა საბოლოოდ არასწორ შედეგებს იძლევა, რაც აზრთხელ მომხდარა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნაშრომის ძირითადი ნაწილის პირველ განყოფილებაში, რომლის დასათურებაა „ურთიერთდამხარება“, მკვლევარი მივიანშეწავს, რომ ურთიერთდამხარება შეიძლება იყოს კოლექტიური და ინდივიდუალური. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ კოლექტიური ურთიერთდამხარების მთავარი დანიშნულება იყო გლეხთა ერთობლივი უანჯარო შრომათა სამეზობლო ობიექტული დასრულება ამა თუ იმ პირის მეურნეობაში. მისი დაკვირვებით. ეს ტრადიცია შეიცავს სამეურნეო-შრომით, ყოფით, სადღესასწაულო, ფოლკლორულ და ზოგჯერ რიტუალურ ელემენტებსაც.

მკვლევარი გამოყოფს შემწეობის სამ ტიპს: 1. რომელშიც მონაწილეობდა თემის წევრთა უმრავლესობა (ანდა ყველანი) და რომელიც რიგ-რიგობით ტარდებოდა თითოეული მონაწილისათვის; 2. რომელშიც ასევე მონაწილეობდა თითქმის მთელი თემი, მაგრამ ისინი ესმარებოდნენ მხოლოდ ერთ მეურნეს, ვინც ამ დონისათვის ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ გადაწყვეტილებას თემის კრება იღებდა; 3. რომელსაც საკუთარი ინიციატივით აწყობდა რომელიმე მეურნე, მაშინ მრავალი შემწე მონაწილეობდა, მაგრამ მას თემთან კავშირი არ ჰქონდა და თემზეც იგი მხოლოდ გენეტიკური თვალსაზრისით და სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლიანი შარბიერდებოდა.

შემწეობის ტიპებთან ერთად მკვლევარი მის სახეობებსაც გამოყოფს. თუ ტიპოლოგიის სა-

ფუძვლად მ. გრომიკომ ძირითადად სწორად გააზრებული დახმარების ვალდების მექანიზმა მიიჩნია, სახეობების გამოყენებისას იგი აქცენტს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროზე აკეთებს. ამდენად, გამოყოფილია შემწეობის სახეობები მკის დროს, მშენებლობაში, სეღისა და კანაფის დამუშავების პროცესში და ა. შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახეობების გამოყოფის ეს კრიტერიუმი მყარია არ არის. ამ პრინციპის მიხედვით გამოდის, რომ ყოველი ახალი სამუშაო ავტომატურად ბადდება ურთიერთდახმარების ახალ სახეობას. კარგი იქნებოდა მკვლევარს ეჩვენებინა ურთიერთდახმარების ცალკეულ სახეობებსა და ტიპებს შორის მიმართება. ეს კიდევ უფრო მეტ სიკბადეს შეიტანდა შემწეობის ტიპოლოგიის საკითხში.

მ. გრომიკო ეხება რა შემწეობაში მონაწილეობის საკითხს, მართებულად მიუთითებს, რომ ინფორმაცია ცნობები ამ საკითხზე ნაირფეროვანი იყო. განსხვავებანი შეიმჩნეოდა როგორც ტერიტორიული, ასევე ტიპების თვალსაზრისით. რუს გლეხთა ცნობიერებაში ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით ურთიერთდახმარებაში მონაწილეობის კატეგორიული ვალდებულება არ არსებობდა, მაგრამ ზნეობრივი ფაქტორი იმდენად ძლიერი იყო, რომ უარი თითქმის არ დადასტურებულა. მონაწილეობის საკითხის ამგვარი ფორმულირება ყოველი ხალხს ყოფაში მოქმედი ურთიერთდახმარების ტრადიციული წესისათვის გამოდგება. უნდა ითქვას, რომ მკვლევარი აღნიშნულ საკითხს ზოგადი განცხადების დონეზე არ ტოვებს. იგი ცდილობს გამოიჩინოს ურთიერთდახმარებაში მონაწილეობის ზნეობრივი ვალდებულების მეტნაკლებობის პრინციპის გაგება. სამოსიდ ავტორს არაერთი მაგალითი მოჰყავს შემწეობის ამა თუ იმ ტიპში პიროვნების მონაწილეობის მორალური აუცილებლობის ვარიანტების შესახებ. მაგალითად, ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ ინდივიდის (ოჯახის) მიმართ თემის დახმარება, როცა იგი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო ჩაჯარდნილი (ხანძარი, ავადმყოფობა, დაქირავება, დაბრუნება...), გლეხური ეთიკური ნორმის მიხედვით საავალდებულოდ ითვლებოდა. სამართლიანად ითქვას, რომ ურთიერთდახმარებაში აუცილებლად მონაწილეობის პრინციპი მეტნაკლებად იყო გამოხატული თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. პრაქტიკაში აღნიშნული მორალური პრინციპი მოტივირდებოდა პირადული ურთიერთობის, ნათესაური ან მეზობლური დამოკიდებულებას, პირადი სიმპათიების სახით.

საუბრალოდ, რომ მკვლევრის აზრით, «Если за основание классификации взять име-

нно характер взаимной помощи... то в одну группу войдут поочередные помощи...» (გვ. 63), სადაც შეუზომდენ პრინციპი — «...ყველა ყველასთან». მეორე ჯგუფში კი, ავტორის აზრით, შედის ცალკეული მეურნის მიერ რაგანზებული შემწეობა, სადაც რიგითობას აღეგოლი არ ჰქონდა, მაგრამ საპასუხო დახმარება იგულისხმებოდა.

ბუნებრივია, საინტერესოა მკვლევრის ამგვარი ანალიტიკური მიდგომა ურთიერთდახმარების რაობის პრობლემებისადმი, მაგრამ თუ ვაკითვალისწინებთ მის მიერვე შემოთავაზებულ ტიპოლოგიას, მაშინ საკუთრივ გახდება სხეებზელი ციტატის ერთგვარი დახუტება რას: გულისხმობს ავტორი სიტყვებში «...именно характер взаимной помощи». დავეუთავო, რომ მ. გრომიკოს მიერ ჩატარებული კვლევის ლაგოჯარი ანალიზის მიხედვით ჩვენ ჩავლეთ გაკვეთული აზრი ამ სიტყვებში, მაინც ბუნდოვანად გვეჩვენება შემწეობის ორი ჯგუფის გამოყოფა. ჩვენი აზრით, ურთიერთდახმარების ყოველი ტიპი თუ ფორმა საბოლოოდ ორმხრივობას, სანაცვლო დახმარებას გულისხმობს. განსხვავება მხოლოდ საპასუხო დახმარების ვალდებულების აუცილებელი დროის ხანგრძლივობაში გამოიხატებოდა. მკვლევრის მიერ გამოყოფილი სამი ტიპი ზევით მოტანილ ორ ჯგუფს ფარავს და ამდენად, ამ უკანასკნელ კლასიფიკაციის მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ.

მ. გრომიკოს «ურთიერთდახმარების» ნაწილში მეორე თავად განხილული აქვს მძინაფციობის საკითხი, როგორც ინდივიდუალური დახმარების განმარტყებული რელიგიურ-ზნეობრივი საშუალება.

ავტორი, უწინარესად, ინფორმაციას გვეწვდის ამ წეს-ჩვეულების ისტორიული ფესვების თაობაზე. საამისოდ მას გამოყენებული აქვს ფოლკლორული სიუჟეტები. ნაშრომიდან ირკვევა, რომ XIX ს-ის რუსეთში მძინაფციობის ტრადიცია შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული. მკვლევარს მოტიანილი აქვს ეთნოგრაფიული მასალა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან, სადაც თავის დროზე ჩაწერილი მასალის მიხედვით მძინაფციობის ტრადიცია პოპულარული იყო. განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა იგი კახეთში. რადგან: მათი სამხედრო სამსახური საამისოდ კარგ პირობებს ჰქმნიდა. მძინაფციობის საკუთრების მრავალი ვარიანტიდან საილუსტრაციოდ ერთი კლასიფიკაცია. კერძოდ, ისეთ შემთხვევებში როცა პიროვნება ოჯახიდან (თემიდან) რაიმე საშუალებით მიდიოდა, მაშინ პარტნიორთან მძინაფციობით დაკავშირება ნათესაური ურთიერ-

თობის შემცველი და ამხანაგის საიმედოობის გარანტია ხდებოდა.

მ. გრომიკო შემდეგ აღწერს ძმადგაფიცვის რიტუალს, ვება ქალებს შორის ანალოგიური წესის არსებობას და ძმადგაფიცვა შეიღებს შორის ქორწინების შესაძლებლობის (ან პირქით) საკითხებს.

უნდა აღენიშნოთ, რომ მკვლევარი რამდენიმე ადგილას ნათლად მიუთითებს ძმადგაფიცვის, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას. ეს არის ინდივიდუალურა ურთიერთდახმარების ფუნქცია. კარგი იქნებოდა ძმადგაფიცვის ამ კუთხით უფრო ვრცელ ვაანალიზება. რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ ვარიანტთან, რაც განიხილებოდა თუნდაც იმაში რომ, ავტორის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ **«обратимство предполагает высокие нравственные обязательства индивидуальной взаимной помощи при любых условиях (გვ. 90)»**. ამავდამ აქ მახელი გაკეთებულია ურთიერთშემწობის აუცილებლობის მომენტზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სპეცილისტის ყურადღებას ხსენებული ტრადიციული წესის მიმართ. საჭიროდ სივანინია, რომ მკვლევარს უნდა მოეხდინა ანდოვიდუალური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთდახმარების სხვა სახეობების შედარება. ამგვარი მიდგომა უფრო ანალიტიკურს გახდინდა კვლევას. ფაქტი ერთია, ძმადგაფიცობა, როგორც ინდივიდუალური ურთიერთდახმარების ფორმა, ურთიერთდახმარების სისტემაში სათანადო ადგილს იკავებს.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში, „თემი და ეთიკური ტრადიციები“, განიხილულია სამი საკითხი: 1. კრებაზე ინდივიდუალური ქცევის საკითხები; 2. კოლექტიური წეს-ჩვეულებები და აქტუალური, რომელსაც თემი არეგულირებს; 3. უფროსი და საშუალო თაობის ურთიერთობის ფორმები.

ბუნებრივია, რომ სასოფლო (სათემო) ყრილობაზე მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებული იყო გლეხის რეპრეზენტაზე. ასეთ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზოგადოებრივ აზრს. ნაშრომში მოტანილი მრავალი მაგალითიდან საკლესტრაციოდ ჩვენ მოვიტანთ ერთს. ყრილობა გარკვეულ ვითარებაში იხილავდა ობოლ ბავშვებზე გამზრდელის დანიშვნას საკითხს, ასეთ დროს გადაწყვეტა როლს ანიჭებდნენ გამზრდელის ზნეობრივ სახეს. შესაძლებელი იყო ხსენებული მოვლემის შემსრულებლად აერჩიათ ეკონომიურად შეუძლო პირი, თუკი მის მორალურ მხარეში არავინ დაეკუდებოდა.

საყურადღებოა, რომ თემის მიერ გარკვეულ სათემო თანამდებობაზე არჩეული პირები თემისაგანვე იღებდნენ დოკუმენტურად გაფორმებულ ხელნაწერს, სადაც ჩამოყალიბებული იყო მინდამაინც მოცემული პირის არჩევის მოტივაცია. მკვლევარი ამგვარ დოკუმენტს „ნდობის ფორმულას“ უწოდებს.

მართებულაა მ. გრომიკოს მიოითება იმის თაობაზე, რომ ინდივიდის რეპრეზენტაციის ფორმირებაში არსებით როლს ასრულებდა შრომითი ჩვევების ფლობა, ხალხური კალენდრის მცნებების, რელიგიური მოთხრობების შესრულება და ა. შ. კალენდარული, საოჯახო, საქორწილო და სხვა წეს-ჩვეულებების შესრულების დროს ინდივიდების მიერ ამა თუ იმ როლის შესრულებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ქმედება, ავტორის აზრით, განსხორციელებდა ეთიკური ტრადიციების დაცვას. მათ მკვლევარი თემში ეთიკური ტრადიციების ინდივიდუალურ მატარებლებად მიიჩნევს.

საზოგადოებრივი აზრი და ინდივიდის რეპრეზენტაცია ოჯახის ავტორიტეტის საფუძველი იყო. ყოველივე ერთად აღებულ კი თემის რეპრეზენტაციის ფუნქციონირება წარმოადგენდა. თემის ხელმძღვანელები ცდილობდნენ აღკვეთათ ყოველი ისეთი ინციდენტი, რაც შეუახვდა თემის ავტორიტეტს. აღნიშნული ვითარება თავის გამოხატულებას პოულობდა ირაციონალურ აზროვნებაში, ზებუნებრივი ძალებისადმი ჩრმენაწარმოდგენების მიერ კომპლექსში.

თემის რელიგიურ-ეთიკური ფუნქციები მკაფიოდ ჩანდა არა მხოლოდ იმაში, თუ რა უნდა შეესრულებინა კონკრეტულ პიროვნებას, არამედ იმაშიც, თუ რა არ უნდა გაეკეთებინა, რა აკრძალვები უნდა დაეკვა თემის ყოველ წევარს. ამ საკითხს მ. გრომიკო იხილავს ე. წ. უქმე დღეთა მაგალითზე. საინტერესოა ნაშრომში მოტანილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ჩანს უქმე დღეთა მიმართება ქირით მუშაობასთან და შემწეობის ორგანიზაციასთან. ბუნებრივად გვეჩვენება, რომ რუს ვლახობაში ამ მხრივ არ იყო საკითხისადმი ერთნაირი მიდგომა. ზოგიერთ ვებერნისაში აკრძალულ დღეს ქორაზე მუშაობა არ შეიძლებოდა, სხვანაირად ასეთი მოქმედება ცოდვად არ ითვლებოდა, ზოგან კი შემწეობის ორგანიზებაც კი შეზღუდული იყო. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ თემში ყრილობა ადგენდა, თუ რამდენი ადამიანისაგან შემდგარი გაერთიანება ჩათვლებოდა შემწეობად. დაკონკრეტებული იყო დამხმარეთა მინიმალური ციფრი (შვიდი სული). მასზე უფრო მცირე რაოდენობის გაერთიანების საქმიანობა ოჯახურ შრომად ითვლებოდა, რასაც თემი უქმე დღეს კრძალავდა. ჩვენი აზრით, გაუგებარია რას ემ-

დასურებოდა დამხმარეთა რაოდენობის ღრმობითი ტრიალი. რატომ უნდა ჩათვლილიყო მოცემულ ლიმიტზე უფრო მცირე რაოდენობის მემშენებლის შრომა საოჯახო საქმედ, როცა შესაძლებელი იყო მონაწილეთა შორის მეზობელ-ნათესავეების ყოფნაც.

საყურადღებოა, რომ რუს გლეხთა ცნობიერებაში უქმე (აქრძალუ) დღითა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა პარასკევს. მართებულა მ. გრომიკოს ზოგადი განმარტება, რომ პარასკევთან დაკავშირებული ქვეყნის სწორ-მათა კომპლექსი შეიცავდა წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ შეხედულებებს ამ დღის თაობაზე. XIX სსს რუსეთის გლეხთა წრეებში, როგორც ნაშრომიდან ვეუბნებით, ფართოდ ვაგრძელებულია ანტირეფორმული ტექსტების სხვადასხვა რედაქცია სათაურით „თქმულება თორმეტი პარასკევს შესახებ“. აქ ჩამოთვლილი ყოფილა ის პარასკევი დღეები, რომლისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ. აქვე მითითებული იყო, თუ რა სახის უბედურებისაგან იცავდა ადამიანს თითოეული დღის თავანსიცემა, როგორც მ. გრომიკოს გამოკვლევაშია აღნიშნული, თითოეული პარასკევი გამოიყოფოდა ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვან თარიღებთან კავშირში. მაგალითად, „ხარებობის წინა პარასკევი“, „შობის წინა პარასკევი“, „ღვთმარტვის პირველი კვირის პარასკევი“ და ა. შ. მკვლევარი ვარაუდობს, რომ პარასკევის თავანსიცემაში უმთავრესად იტვლისხმობიდა ზოგადიერთი სამუშაოს არ შესრულება და მარტვის შეწყვეტა. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაშიც სამუშაოს შესრულება-არაშესრულების საკითხი სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაწარად იყო გადაწყვეტილი. ამავე დროს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოვარებაზე აუცილებლობა არაიმეოთად არღვევდა ზოგერთ ტრადიციულ წესს. ყოველივე ეს კი იწვევდა პარასკევის, ვითარცა უქმე დღის, გაგების საკითხში გარკვეულ წინააღმდეგობრივ მოქმედებებს რუსეთის გუბერნიებში მკვლევრებელნი შრომის. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ თემი მემამულის წინააღმდეგ გამოდიოდა პარასკევი დღის მემამულის დაწყების, დამთავრების, ანდა სჯობდა ამ დღეს მუშაობის საკითხის გადაწყვეტაში. სამწუხაროდ, ამ სინტეზის საკითხის შესახებ ნაშრომში მსჯელობა არაა გამოვლილი. არადა შეიძლებოდა დანახულიყო როგორც თემისა და მემამულის ურთიერთობების ერთ-ერთი კუთხე, ასევე უფრო თემის ცალკეულ წევართა ქვეყნის ტრადიციული ნორმების მოქმედება მემამულესთან (როგორც გაბატონებულა წოდების წარმომადგენელთან) მიმართებაში.

უქმე დღეების შესახებ მსჯელობისას მკვლევარი არ გააძლევს ინფორმაციას საოჯახო, სასოფლო, სათემო უქმე დღეთა არსებობა-არარსებობის თაობაზე. საყურადღებო იქნებოდა საუბარი ქრისტიანულ დღესასწაულების დღეებსა და სპეციალურად დაყენებულ უქმე დღეებში გლეხთა ქვეყნის ნორმებს შორის მსგავსება-განსხვავების შესახებ.

მონოგრაფიის მესამე ნაწილი ეძღვნება ახალგაზრდობის ურთიერთობის ფორმებს. მ. გრომიკოს მიხედვით, ასაკობრივ კვანძებში ურთიერთობა ყველა სახეობის შორის ყველაზე უფრო მასობრივი, ხშირი და მრავალფეროვანი ახალგაზრდების შეკრებები იყო. გლეხთა ახალგაზრდები მკიდრო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან საოჯახო თუ სასოფლო სამუშაოთა შესრულების დროს. მონოგრაფის ამ ნაწილში საუბარია ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ფორმათა შესახებ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ახალგაზრდობის შეკრების ძირითადი ადგილი იყო სოფლის მკვიდრის სახლი. სადაც მათი თავშესაფარი იყო ძირითად კვლევად ხდებოდა: 1. რაიმე სამუშაოს შესრულებით და 2. სამუშაოს შესრულების ვარჯიშე. შეკრებები ზოგჯერ მორიგეობით ეწყობოდა სოფლის მცხოვრებთა ოჯახებში. იშვიათ შემთხვევებში საამისოდ სახლსაც ქირობდნენ. მხოლოდ გართობისათვის თავმოყრას უმთავრესად რაიმე დღესასწაულს ამთხვევდნენ. ასეთ დროს შეკრებებში მონაწილეობას სხვა სოფლის ახალგაზრდებიც იღებდნენ. ავტორი მიუთითებს, რომ განსახილველ პერიოდში ახალგაზრდული შეკრებები, ისევე როგორც ურთიერთობის სხვა ფორმები, კაპიტალისტური ელემენტების ზემოქმედებას განიცდიდნენ. ცხადია, ამგვარი გავლენა გარკვეულ ცილილებებს შეიტანდა ქვეყნის სწორ-მათა რეპუბლიკის, მათი დაცვა-გამოყენების, შესრულებისა და განვითარების საკითხში. მკვლევარს კარგად აქვს შენიშნული სენატიული ზემოქმედების ზოგადირობა მომენტში.

მონოგრაფიის დასკვნა, ჩვეულებრივ, ემსახურება ნაშრომის ძირითად ნაწილში საკითხთა შესწავლის შედეგების მოკლე რეზიუმირებას. მ. გრომიკო მიუთითებს, რომ სასოფლო (ტერიტორიული, სამეზობლო) თემის მიმართება ხალხურ ეთიკასთან ორი ასპექტითაა შესაძლებელი: 1. ტრადიციული კულტურის კვლავარსებობაში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით, 2. მთელი რიგი კონკრეტული რელიგიო-ეთიკური საკითხების რეპუბლიკის ასპექტით. მართებულად გვეჩვენება ავტორის აზრი, რომ სასოფლო თემის გავლენა ეთიკის საკითხებში ყველა-

ზე მეტად შეიმჩნეოდა ინდივიდუალურ რეპუტაციაში. საკონტაქტო ჯგუფებში ხანგრძლივი ურთიერთობა ერთგვარი გარანტია ხდებოდა ამა თუ იმ ინდივიდზე კოლექტივის აზრის შექმნა-ვენის საკითხში. დასვენაში მკვლევარი გაყვრით ეხება ტრადიციისა და ვარიანტულობის ურთიერთმიმართების საკითხს, რისთვისაც ეფუძნება კ. ჩისტოვის, პ. ბოგატირიოვისა და სხვათა გამოკვლევებს.

დასასრულ აღენიშნათ, რომ განვიხილეთ ნაშრომის სახით ჩვენ ხელთ გვაქვს რუს გლეხთა ტრადიციული ქცევის ნორმებისა და ურთიერთობის ფორმათა შესახებ დაწერილი საინტერესო მონოგრაფია, რაც წინამდებარე მოკლე რეცენზიაშიც გამოჩნდა. ეს ნაშრომი საბჭოთა ეთნოგრაფიის საყურადღებო შენაჩენია.

ბაღრი ზემლიძე

**გიორგი ქაზთარაძე, „სამართვლოს ენოლოგი-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების უშუალო“. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1981.**

ქრონოლოგია — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთანაც უხდება შეხვედრა არქეოლოგს. უკანასკნელ დრომდე ევროპისა და კავკასიის ისტორიის ექველესი ეტაპები შეისწავლებოდა ძირითადად მემარტულითი ქრონოლოგიით. აბსოლუტური თარიღები ბარბაროსული კულტურებისათვის მიიღებოდა იმ ნივთების წყალობით, რომლებიც იმპორტს წარმოადგენდა. მომდინარეს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებიდან. ბოლო დროს არქეოლოგიაში სულ უფრო და უფრო იტრება დათარიღების ფიზიკური მეთოდები. ჯერ-ჯერობით ყველაზე ეფექტურია რადიონახშირბადული (14C) მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებამ საშუალება მისცა მეცნიერებს სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურის სინქრონიზაციისა. „დაძველდა“ ბარბაროსული კულტურები, მაშინ როცა წინა აზიისა და ეგვიპტის ქრონოლოგია დაუწყებელი წერილობით წყაროებზე იფიქრებოდა. ამის შედეგად ზოგი ისეთი მოკლეა, რომელიც დიფუზიას მიეწერებოდა ადგილობრივ წარმოქმნილად წარმოგვიდგა.

ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ბევრ აქამდე ცნობილ არქეოლოგიურ კულტურებს შორის იტყობა და ჩვენში მიღებული ქრონოლოგიური ჩარჩოების „გაფართოებას“ მოითხოვს. მაგ., აქამდე ჩვენ თრიალეთის კულტურას მტკვარ-არაქსის კულტურის გაგრძელებად ვთვლიდით; როგორც ჩანს, მათ შორის საკმაო ქრონოლოგიური ხარვეზი არსებობდა და მისი შევსება სამეორისა და მარტყოფის, ალან-ხან-ბედენის ყორღანული კულტურებით სულ ახლახან მოხდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი და ადრეული საფეხურების გამო-

ყოფა. უფრო მეტიც, ახლმა პარალელურმა მასალამ მომდინარე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დასვა საკითხი ამიერკავკასიის ენოლოგი-ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ქრონოლოგიის დახუსტებასა და „დაძველების“ შესახებ. ამიტომ, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად ჩატარებული ყოველი სამუშაო, გამოქვეყნებული ყოველი ნაშრომი დიდ ინტერესს იწვევს.

ამ აქტუალური საკითხის კვლევასდამია მიძღვნილი გ. ქაზთარაძის ნაშრომი — „სამართვლოს ენოლოგი-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების უშუალო“ (1982 წელს იმავე გამომცემლობამ დასატამა რუსულ ენაზე ნაშრომი: «К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии»).

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამიერკავკასიისათვის რადიონახშირბადული მეთოდით მიიღებული თარიღების ახალი, კალიბრებული მნიშვნელობის გამოყენება და ძველი აღმოსავლეთის ძველი და ახალი პარალელების მოშველიებით ახალი ქრონოლოგიური შკალის შექმნა. ავტორს გამოყენებული აქვს რ. ქლარქის მიერ შედგენილი საკალიბრაციო მრუდი, რომელიც ჯერ კიდევ დაბეჭდვის პრეტენზია, მაგრამ ითვალისწინებს თარიღების ცთომილების გამოწვევებზე თითქმის ყველა მიზეზს. რ. ქლარქის მრუდით შეიძლება კალენდარული წლების მხოლოდ 6500 წლამდე მოკლებული რადიონახშირბადული თარიღების გათვალისწინება, ავტორი კი ამ მრუდის ექსტრაპოლაციის საშუალებით, 6500 წელზე მეტ ასაკის ძველების გადათარიღებასაც ცდილობს. ეს პერიოდი მთლიანად აღრესამიწათომოქმედი კულტურებს განეკუთვნება და შეიძლება უფრო პარობითი იყოს, მაგრამ ესეც ერთ-ერთი დიდი დასახე-





რება ავტორისა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შულაერის გორის ქვეთარაქსიელი თარიღი (ქვ. წ. VI ათასწლეული) არ ეწინააღმდეგება ალ. ჭავჭავაძისა და თ. კლუბერაძის ნაგარაღვე თარიღს, მიღებულს წინააღიერ ანალოგებზე დაყრდნობით. გ. ქვეთარაქსი მხოლოდ რადიონახშირბადული თარიღების კალიბრების მეთოდით, ცალმხრივად არ წყვეტს დასახულ ამოცანას. მას მოჰყავს პარალელური მასალა კარგად დათარიღებული ძეგლებიდან. შავ, საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის : ფაზის 14C თარიღები ჩვენ არ მოგვეპოვება და მისი „დაძველება“ ხდება წინა აზიის თანაფროული ძეგლების მიხედვით. ანატოლიის, სირია-პალესტინის და დასავლეთ ირანის მტკვარ-არაქსიული ძეგლების იმავე ტერიტორიებზე მდებარე ძეგლებთან ურთიერთობის შედეგად პარალელების გამოყენებით, ასევე შესაძლებელი ხდება ამ რეგიონებში მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების „დაძველება“. წინა აზიის მტკვარ-არაქსისთვის მიღებული ეს თარიღები თავისთავად მოწმობენ ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსის ქვედა თარიღის დაძველების საჭიროებას. ამით უფრო მეტად ჩანს შესწორებული რადიონახშირბადული თარიღების მეტი მიზანშეწონილება შეუსწორებელ რადიონახშირბადულ თარიღებთან შედარებით და ამიერკავკასიური კულტურების ქრონოლოგიური დაძველების მართებულობა.

ავტორის მიერ საჩხერის ხიშტიანური იარაღის ტიპოლოგიური შესწავლას და მისთვის ახალი პარალელების მოძებნას საშუალებით, ეს იარაღი უკავშირდება არა ტრადიციულად მიღებულ მანიშტუსუსსა და პუზურ შეშინავის წარწორებით დათარიღებულ იარაღებს, არამედ მასთან უფრო ახლოს მდგომ ურის სამეფო აკლდამაში მოპოვებულ იარაღს (გვ. 96). ტიპოლოგიური შესწავლის ანალოგის საფუძველზეა დაძველებული, აგრეთვე, ცარკის გორაზე აღმოჩენილი შუბისპირი, მსგავსი შუბერის ადრედინასტიური ხანის შუბისპირებისა (გვ. 97). ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ ზეერო შეიძლება.

კვლევა მეტად მამუტაბურია. შესწავლილი უდიდესი პერიოდი ქვ. წ. VI ათასწლეულიდან ქვ. წ. I ათასწლეულამდე. მაქსიმალურადაა გამოყენებული თითქმის ყველა ნაშრომი, როგორც საკუთრივ კავკასიის, ისე ევროპისა და ძველი აღმოსავლეთის აღნიშნული პერიოდის ძეგლების შესახებ. მათგან საკმაო რაოდენობა პირველად გ. ქვეთარაქსის ნაშრომშია გამოყენებული.

ასეთი მამუტაბური კვლევა, ის უზარმაზარი პერიოდი, რომელსაც ავტორი ეხება, ბუნებრივია, სადავო საკითხებსაც წარმოშობს.

გ. ქვეთარაქსი მტკვარ-არაქსის ადრეული საფეხურისთვის მიუთვინებელი მასალის (ე. წ. დიდძელ-კიკეთის ჭგუფი) დათარიღებისთვის მნიშვნელოვანი ანიჭებს ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი კულტურების კერამიკის მსგავსებას მტკვარ-არაქსის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭელთან. ეს კულტურებია უნეტისის, გლინა III, ბელოტიჩნებას ცერკვა და სხვ. ამ თანხედენას უკავშირებენ ხალხთა მასების გადაადგილებას კავკასიიდან დასავლეთ კარპატებში მცირე აზიის გზით (გვ. 63). მაგრამ, ამ კულტურებს შორის მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ხარვეზია, დაახლოებით ასასი წელი. რაც გამოირჩევა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ხანაში მოსახლეობის მიგრაციის შუა ევროპაში. მართალია, ევროპის რიგ კულტურებში გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის მსგავსი კერამიკა, მაგრამ მტკვარ-არაქსის რომელი საფეხურისაა გავს ეს თიხის ჭურჭელი ჯერ კიდევ საკვლევია. მაგ., ჩიხიში ბრატისლაის მახლობლად დევილის ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის დენაში მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი საფეხურისათვის დამახასიათებელი ფორმები გვხვდება. მაგრამ ეს კერამიკა უორნამენტია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადრეული მტკვარ-არაქსის დროინდელი უნდა იყოს. დევილის ერთი ჭურჭელი ბოკონესტრი ტანით ქვაბულსა B ფენის ჭურჭელს ჰგავს. ავტორის აზრით, ადრეული მასალის გამოჩენა გვიანდელ ძეგლებში შეიძლება მიზეზი იყოს იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გარეკლების პერიოდებში დიდი ხნით შემორჩენილი ფორმები შემდეგ თავს იჩენს სხვა ლოკალურ რაიონებში. ეს ნაკლებ დამაჯერებელი უნდა იყოს, როგორც აღენიშნეთ. მათ შორის დროის დიდი ხარვეზია და ამასთანავე მტკვარ-არაქსის კულტურის მამუტაბური ტომები იმდენად ევოლუციური არიან, რომ თავისი გავრცელების მოკლე ტერიტორიაზე, სხვადასხვა საფეხურზე განვითარების თითქმის ერთიან დონეს ინარჩუნებენ.

რაც შეეხება გ. ქვეთარაქსის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ ტაბულას, რადიონახშირბადული თარიღების კლენდარულ წლებთან მიხედვებამ ავტორის საშუალება მისცა ახლებურად დაესვა ეტაპობრივი ნომენკლატურის საკითხი. თუ საერთოდ ეტაპობრივი ნომენკლატურას დავეყრდნობით, აღაზნებდნენური და, მით უმეტეს თრიალეთის კულტურის გოვაძისეული პირველი ეტაპის ძეგლებს ადრებრინჯაოს ხანაში გაერთიანება ცოტა სადავოა. ყორღანული კულტურა თვისობრივად სულ სხვა საფეხურზე დგას, ვიდრე ადრებრინჯაოს

ხანის ძეგლები და, ალბათ, განვითარების შემდგომ ეტაპს, შუა ბრინჯაოს ხანას წარმოადგენს.

ნაშრომში შეიძლება სხვა ზოგიერთი საკითხიც საკამათო იყოს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ გ. ქავთარაძის მიერ გაწეული უზარმაზარი სამუშაო და მის მიერ მიღებული დასკვნები საესეზო მისაღები და გასაზიარებელია, დარც მთავარია, თვით კვლევა დიდ პერსპექტივას ქმნის.

მართალია, ავტორი ნაშრომს საცდელი ხასიათისაა უწოდებს, ხოლო მიღებულ დასკვნებს პირობითს და დროებითს (გვ. 24), მაგრამ ეს როგორც ჩანს თავმდაბლობით მოსდის. საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურების მის მიერ დათარიღება დიდად შეუწყობს ხელს ძველი აღმოსავლეთის სინქრონულ კულტურებთან ურთიერთობის შესწავლას, თავის

წვლილს შეიტანს ძველი მსოფლიოს ერთიანი ქრონოლოგიური სისტემის შექმნაში.

ნაშრომი, როგორც ითქვა, წარმოადგენს პირველ გამოკვლევას ჩვენს ისტორიოგრაფიაში, სადაც მოცემულია ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა რადიონახშირბადული თარიღების კალიბრებული მნიშვნელობები; ამის საფუძველზე ახლებურად არის წარმოდგენილი ამიერკავკასიის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიური შკალა.

საკითხი საერთოდ, პრინციპულად სწორედ არის გადაწყვეტილი. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა, რასაკვირველია, უნდა გაგრძელდეს და, ალბათ, თვით გ. ქავთარაძის თაოსნობით.

ზია ავალიშვილი



**გარდაქმნა, მცენიერება, ახალგაზრდა მკვლევარი  
ანუ დისკუსიის შესახებ, რომელიც ისტორიული მცენიერების  
საგნის, უამცნავის გზების, საზოგადოებრივი ფუნქციების  
ბანსაღვრის პრობლემებს ეხება**

ღრმა ცვლილებები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ხდება, ბუნებრივია, ახალ პრობლემებს წამოჭრის ისტორიული მეცნიერების წინაშე, ისტორიკოსებისაგან დღეს მრავალი ურთულესი საკითხის გადაჭრას ელოდნენ. იმისათვის, რათა მრავალფეროვანი კითხვებზე პასუხების გაცემა შეძლონ, მათ ბუნებრივია, უპირველესად თავიანთი სამუშაო ლაბორატორია უნდა მოაწესრიგონ, გადაწყვიტონ თეორიულ პრობლემები, რომელიდან ბევრი ამა თუ იმ ფორმით, მართალია, უძველესი დროიდან, ისტორიული მეცნიერების ჩასახვის დროიდან, დგას ისტორიკოსთა წინაშე, მაგრამ დღეს თვითნებრივად ახალ ვითარებაში მათი ხელახალი გააზრება, ანუ მათდამი ისტორიკოსთა ახალი თაობის დამოკიდებულების გარკვევა ყველა საჭიროა.

ამდენად, ისტორიული მეცნიერების საგნის, მისი შემცენების გზების, საზოგადოებრივი ფუნქციების შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სსრ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა სამუშაო ინიციატივით ამ ციტატას წინასწარ განვიხილავთ დისკუსია, რომელზედაც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პუბლიკაციური პრობლემის ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებმა მოიყარეს თავი, ფრიად საჭირო და ღრული იყო.

დისკუსიაზე დასწრების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ წინასწარგამიზნული „მრავალი მაგიდის“ ნაცვლად აუდიტორიამ დარბაზში გადაინაცვლა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები: ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ჩხარტიშვილი, ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. ვაშაკაძე, ი. მამაძე, ა. კობახიძე, დ. გორაძე, ვ. გოცირიძე; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ყორაყულიანი, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელი ზ. ვახანიანი,

კ. კაციტაძე. დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უფროსი თაობის მეცნიერებმაც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილებათა გამგებმა: ჯ. ოდიშელმა, უ. სიღამიანიძემ, ისტ. მეცნიერებათა დოქტორმა გ. ალასანიამ, ისტ. მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ლეკიაშვილმა, ფილ. მეცნიერებათა დოქტორმა გ. ყორაყულიმ, აღმოსავლეთმცოდნეობის თანამშრომელი ისტ. მეცნიერებათა კანდიდატმა პ. თოფურია. დისკუსიის დაესწრო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი აკად. გ. მელიქიშვილი.

დისკუსიაზე მსჯელობა ისტორიული მეცნიერების საგნის გარკვევით დაიწყო. ისტორიული მეცნიერების, ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერების მიზანს ჰუმანიტეტის დადგენა წარმოადგენს. არავითარი სხვა მიზნის გამო, არავითარი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მანამ გზიდან არ უნდა გადაუხვიოს. ამ აზრს ავითარებდნენ მ. ჩხარტიშვილი, გ. ყორაყულიანი.

დისკუსიაზე აღნიშნა, რომ ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ისტორიულ კონცეფციაში დიდი ადგილი უჭირავს თხრობას, ისტორიულ ნარატივს. ამიტომ არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ისტორია თითქმის არ არის ნომინალური მეცნიერება, არამედ ილიოგრაფიული. ამ პრობლემამაც აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მონაწილეებმა (გ. ყორაყულიანი, ი. მამაძე, ვ. ვაშაკაძე, მ. ჩხარტიშვილი) აღნიშნეს, რომ ცოდნის ის სფერო, რომელიც მხოლოდ ემპირიულია, რომელიც არ კრისტალდება კანონებში, არ შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ სამეცნიერო დისციპლინად, ამიტომ ისტორიული მეცნიერების საბოლოო მიზნად უნდა გვესახებოდეს კანონზომიერებათა აღმოჩენა, მაგრამ ისტორიულ მეცნიერებაში თავისთავად მნიშვნელობა აქვს აღწერასაც.

დისკუსიაზე გამოიკვეთა ისტორიული მეცნიერების თავისებურებანიც. როგორც ყველა სხვა დარგის სპეციალისტი, ისტორიკოსიც

ხელთ არსებულ მასალას შეისწავლის, რომლის საშუალებით აღადგენს წარსულს. წარსულის ამ ნაშთებს კი ისტორიკოსები წყაროებს უწოდებენ. ისტორიული მეცნიერების თავიებურებაა სწორედ ის, რომ შემეცნება ხდება ისტორიულ წყაროთა გაშუალებით (უ. სიღამონიძე). ისტორიული წყაროდან ინფორმაციის ამოღებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. გ. ყორანაშვილმა, გ. ყორაშვილმა და ს. ჯორჯიანიმ ისტორიული კვლევის მეთოდების დახვეწის აუცილებლობის შესახებ.

ისტორიული მეცნიერების საზოგადოებრივი დანიშნულება მრავალგვარია. შემეცნებითის გარდა მას აქვს აღმზრდელაობითი ფუნქცია. ესაა ამ მეცნიერების პრაქტიკული ასპექტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ პირობებში, მას შემდეგ რაც ისტორიულ მეცნიერებაში ბევრი რამ შეიცვალა, რამაც ეპქვემ დააყენა საერთოდ ისტორიის ობიექტურობა. ვ. ვაშაქიძემ, ა. კობრეიჭემ, ლ. ურუშაძემ აღნიშნეს, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი ფაქტი შეგნებულად იქნა გაბუნდოვნებული. ნაყალბევი ისტორია კი ვერ შეასრულებს თავის უპირველეს საზოგადოებრივ ფუნქციას — აღზარდოს უმჯობესი მამულიშვილები.

დისკუსიამ, რომელიც თიუქმის ზეთ სათს გაგრძელდა, კარგად აჩვენა უზოგადესი პრობლემების გადაჭრისას სხვადასხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა თანამშრომლობის შე-

დეგიაონობა. ამიტომ გამოითქვა აზრი (პ. თოდუბრი, ა. ლეკიაშვილი), რომ ამგვარი შეხვედრები რეგულარული გახდეს მომავალში. ამასთან დაკავშირებით გ. ყორაშვილმა კოლეგებს გაუზიარა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა გამოცდილება. გამოიჩინა, რომ ისინი ყოველკვირულ სემინარებზე იკრიბებიან, სადაც იხილავენ სხვადასხვა მნიშვნელოვან ნაშრომს, ერთმანეთს აცნობენ უცხოურ ლიტერატურას. მისი აზრით, კარგი იქნებოდა სხვა ინსტიტუტის ახალგაზრდებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ სემინარებში. ზ. ვახანიამ კი გაერთიანებული პენსიონარული დარგების ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შექმნის იდეა წამოაყენა, რომელიც მოაწყობს ყოველთვიურ სემინარებს, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებები დარგთაშორის თემებზე. გ. აღასანიამ, ლ. გორდუზიანი, გ. ყორანაშვილმა, ი. მაჭავარიანი მხარი დაუჭირეს აზრს მომავალში თეორიულ პრობლემებზე დისკუსიების რეგულარულად ჩატარების შესახებ, ოღონდ აღნიშნა, რომ სასურველია თემატიკის უფრო დაკონკრეტება, რაოდეს შესაძლო გახდეს ამა თუ იმ საკითხის ღრმად გააზრება.

დისკუსია შეაჯამა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ჩხარტიშვილმა.

მკვ. კვანარცხელი

## ნიკოლოზ თუშიშვილი



1988 წლის 22 მაისს, ხანგრძლივად, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ვახიანიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ახალმშენებლობებზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებების სექტორის გამგე-ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1959 წლიდან ნიკოლოზ (კუქერი) ნიკოლოზის ძე თუშიშვილი.

ნ. თუშიშვილი დაიბადა 1932 წელს, ქ. თბილისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1950 წელს შევიდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1955 წელს. იმავე წელს ნ. თუშიშვილმა მუშაობა დაიწყო ი. ვახიანიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში. იგი თავიდანვე აქტიურად ჩაება საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში. ახალგაზრდობის წლებში მონაწილეობდა ბიჭვინთის, სარკინეს, ხრამის ხეობის, ზოლნისის, რაქის და თეთრიწყაროს ექსპედიციებში, გამოცდილი არქეოლოგების გ. გობეგიშვილის, ა. ავაქიძის, ი. გმელიშვილის და სხვათა გვერდით. ამ ექსპედიციებში შექმნილმა ცოდნამ და გამოცდილებამ ნ. თუშიშვილს საშუალება მისცა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, ეწაპოებინა დამოუკიდებელი არქეოლოგიური გათხრები.

1960 წელს მან მიაკვლია და გათხარა ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, რომლის შესწავლის შედეგებს მან, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით შესრულებული ნაშრომი უძღვნა. ბოგვისხევის სამაროვნის გათხრების შემდეგ, 1963-64 წლებში, ნ. თუშიშვილი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ ექსპედიციას ალგეთის ხეობაში. აქ მისი ხელმძღვანელობით გათხრილი და შესწავლილი იქნა მანდიშალის სამაროვანი, რომელიც შემდეგ საუფუძელად დაედო მის საჯანდაცო დისერტაციას. 1966 წელს ნ. თუშიშვილის აქტიური მონაწილეობით თეთრიწყაროს რაიონში შექმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი მის მიერვე იყო მოპოვებული. მომდევნო წლებში ნ. თუშიშვილი მონაწილეობდა თბილისისა და ბორჯომის ხეობის, აგრეთვე სხვადასხვა სადაზვერვო ექსპედიციების მუშაობაში. თავისი ხანგრძლივი საველე-არქეოლოგიური მოღვაწეობის მანძილზე შეეღწეა მუშაობა უზღებოდა თითქმის ყველა პერიოდის ძეგლებზე, მაგრამ მისი მეცნიერული ინტერესების კონკრეტული მიმართულება — ვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში განისაზღვრა. ამ მიმართულებით ნ. თუშიშვილის საქმიანობამ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა გუბაბრინჯაოს ხანის რთული პრობლემატიკის კვლევაში.

ნ. თუშიშვილის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დიდი დამსახურება ქვემო ქართლის, კერძოდ კი თეთრიწყაროს რ-ის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში, რომელსაც მან ფაქტობრივად თითქმის მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შეაღია. ვარდა თეთრიწყაროს რაიონში მიკვლეული ძეგლებისა, კიდევ რამდენიმე ათეული არქეოლოგიური ძეგლის გამოძიებებამ დაკავშირებული ნ. თუშიშვილის სახელთან.

1973 წლიდან გარდაცვალებამდე ნ. თუშიშვილი სთავეში ედგა ალგეთის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც დაკავშირებული იყო ახალმშენებლობებთან და ემსახურებოდა უპირატესად ეროვნულ და კეთილშობილურ საქმეს — არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენას. ნ. თუშიშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიციამ შეისწავლა რამდენიმე ათეული ძეგლი, რომელთაც განაღებუბა ელოდათ. მათ

შორის აღსანიშნავია: ჭალის ადრეპრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ჭალის, კობალას გვიან-ბრინჯაოს ხანის, პაპიგორის და შავსაყდარა I ადრეელენისტური ხანის სამაროვნები, შავსაყდარა II ელენისტურა სამაროვანი და ნასახლარი, ხობისის ადრეშუასაუკუნეების ნასახლარი და სხვ. ამასთანავე ნ. თუშიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თეთრიწყაროს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რაიონის წინაშე მისი დიდი დამსახურებისათვის საზოგადოებრიობამ იგი თეთრიწყაროს საპატიო მოქალაქედ აირჩია.

1982 წელს, ექსპედიციის ხელმძღვანელობის პარალელურად ნ. თუშიშვილი სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთ-ერთ რთულ და პასუხსაგებ უბანს, ახალშენებლობებზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების სექტორს. ამ რთულ და საპატიო მოვალეობასაც იგი მისთვის ჩვეული გულისყურითა და კეთილსინდისიერებით ასრულებდა სიცოცხლის ბოლო დღემდე.

ნ. თუშიშვილი 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის ერთი მონოგრაფიისა. მან 1970 წელს წარმატებით დაიცვა სოციალური დისერტაცია თემაზე „გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლები ქვემო ქართლში“, სიცოცხლის ბოლო წლებში კი დიდი ინტენსიურობით მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე, რომლის დასრულება მას (სამწუხაროდ) აღარ დასცალდა. წლების მანძილზე ნ. თუშიშვილის მიერ წარმოდგენილი საექსპედიციო ანგარიშები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, ისევე, როგორც მასზე დაკისრებული ყველა სამუშაო.

ნ. თუშიშვილი, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 56 წლის, სიცოცხლათ საეცე წაეიდა ჩვენგან. დარჩა ბევრი განუხორციელებელი ოცნება, რომელთა აღსრულების ძალაც მას საეცებით შესწევდა.

გამოცდილი არქეოლოგის, კეთილი მეგობრისა და მოქალაქის ნიკოლოზ თუშიშვილის ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

**ივ. ჯაპახიშვილის სახ. ინსტორის,  
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი**

### შოთა ხანთაძის ხსოვნას



ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდა ფართო სამეცნიერო ინტერესების მქონე თვალსაჩინო მეცნიერი შოთა ანდრიაის ძე ხანთაძე.

შ. ხანთაძე დაიბადა 1924 წ. ქ. ქუთაისში მასწავლებლის ოჯახში. 1942 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის № 20 საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1944 წ. დაამთავრა თბილისის 26 კომისრის სახ. საარტილერიო სასწავლებელი და მსახურობდა 296-ე ქართულ დივიზიაში ოცულის მეთაურად. 1946 წ. იქნა დემობილიზებული. იმავე წელს შ. ხანთაძემ ექსტერნის წესით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დაუსწრებელი პედაგოგიკური ისტორიის სპეციალობით. გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებისას მან მიიქცია აკად. ნ. ბერძენიშვილის ყურადღება, რომლის წინადადებითაც იმავე 1946 წ. შევიდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

შ. ხანთაძემ ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1951 წლიდან 1954 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

თემაზე: „სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში (სათავადო აზნაურების საკთიხისათვის)“. 1954 წელს შ. ხანთაძე გადადის სამუშაოდ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქ იგი აყალიბებს ახალი ისტორიის განყოფილებას, რომლის გამგედაც მუშაობდა 1957—1967 წლებში. ამ დროს მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გაიხსნა XIX ს. საქართველოს ისტორიის მუდმივმოქმედი გამოფენა. 1967—1970 წლებში შ. ხანთაძე იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1970—1973 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, ერთდროულად წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სსრ კავშირის ისტორიის განყოფილებას, 1973—1976 წლებში იყო გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1976—1985 წლებში კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ხოლო 1985 წლის ნოემბრიდან გარდაცვალებამდე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის პროფესორი.

მრავალმხრივ სამეცნიერო-ორგანიზაციულ და პედაგოგიურ საქმიანობას შ. ხანთაძე ათავსებდა ნაყოფიერ კვლევით მუშაობასთან. 1972 წ. მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მარი ბროსე და ევროპული და რუსული ქართველოლოგია“. თავისი პირველი მონოგრაფია მარი ბროსეზე შ. ხანთაძემ ქართულად გამოაქვეყნა 1966 წელს, ხოლო 1970 წელს გამოქვეყნდა მისი უფრო ვრცელი რუსული წიგნი. ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ორიენტალისტის და ქართველოლოგის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის მარი ბროსეს ცხოვრების გზა და მეცნიერული შემკვიდრება, დახასიათებულია მისი როლი ევროპასა და რუსეთში მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბებაში. აქვე ნაჩვენებია შ. ბროსეს დეაქტივაციის გზა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მისი მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჯერ თეიმურაზ ბაგრატიონთან, ხოლო შემდგომ ქართველოლოგთა

მომდევნო თაობასთან (პლ. იოსელიანი, დ. ბაკრაძე და სხვ.), საერთოდ ქართულ მოწინავე ინტელიგენციასთან.

შ. ხანთაძეს ეკუთვნის რამდენიმე გამოცემული კერძოდ ქართული ისტორიოგრაფიის ძველ და თანამედროვე წარმომადგენლებზე (ვახუშტი ბაგრატიონი, დ. მეღვინეთუბუცესი-შვილი, ს. ჭანაშია, ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია). 1985 წ. გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია: „ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში“, ხოლო ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების ისტორიის შესწავლას მან საგანგებო წერილი მიუძღვნა (არჩილ ბარამიძესთან ერთად).

შ. ხანთაძის შესწავლის საგანს წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური აზროვნების საკითხები XVIII—XIX სს., 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატი“. იგი იყო საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესანიშნავი მცოდნე. მის დაკვირვების არეში მოქცეული იყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარება და, კერძოდ, სათაუდოთა საკითხი, უპირატესად ისტორიოგრაფიულ კრილში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ხასიათი XVIII საუკუნეში და სხვა.

შ. ხანთაძეს, როგორც ფართო მეცნიერული თვალსაწიერის და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის დიდი გამოცდილებას მქონე მუშაკს არაერთი პასუხსაგები დაევალება ჰქონდა დაკარგებული. ს. ჭანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის პერიოდში იგი საქართველოს ახალი ისტორიის გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით აქვეყნებს მეთოდური ხასიათის წერილებს სამუზეუმო ექსპოზიციის საკითხებზე;

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მას თავდაპირველად დაევალებული ჰქონდა საქართველოს ისტორიის მრავალტომეულზე მუშაობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და ორგანიზაცია; შემდგომში იგი, როგორც ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის ნარკვევების შედგენაში. უნივერსიტეტში იგი იყო აქტიური მონაწილე ქართული კულტურის ისტორიის პროგრამის შემუშავებისა და ამავე დარგში სახელმძღვანელოზე მუშაობის ორგანიზაციისა.

შ. ხანთაძე ხალისით უზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდობას. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა და დაცულ იქნა რამდენიმე საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი; იგი სისტემატურად გამოდიოდა ოპონენტად სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვისას, იყო საზოგადოება „ცოდნას“ აქტიური წევრი, კითხულობდა საჯარო ლექციებს.

შ. ხანთაძეს 1970 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება; იგი დაჯილდოებული იყო მედლებით.

შ. ხანთაძის ვარდაცვალება (1988 წ. 16 მაისს) მისი შემოქმედებითი სიმწიფის ეამს ქართული ისტორიოგრაფიის მიმე დანაკლისია. მან ბევრი გააყვია საქართველოს ისტორიოგრაფიის დარგში, მაგრამ ბევრი სასარგებლო საქმე განუხორციელებელიც დარჩა.

ედიშერ ხოშბარია-ბროსე



661/32

დასი 1 მან. 30 კაბ.

ინდექსი 76197